

# ემონ ბარი



## ეს შენ უნდა მოჰყვა მოპონაბაბი ვილი ბრანდტზე

ერთმანეთი ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გაიცნეს. ბერლინის მმართველმა მერმა RIAS-ს ჟურნალისტი ბარი სენატის სპიკერად დანიშნა. ბერლინის კედლის აღმართვის შემდეგ ერთად შეიმუშავეს აღმოსავლეთის პოლიტიკა, რაც დღემდე ბრანდტის კანცლერობის დიდ მიღწევად ითვლება. ბარი ვილი ბრანდტს საგარეო საქმეთა სამინისტროში და კანცლერის აპარატშიც გაჰყვა როგორც ყველაზე ახლო და საბედო მეგობარი. მან ბრანდტის დავალებით ანარჩოა მოლაპარაკებები აღმოსავლეთის ხელშეკრულებებზე და გვერდიდან არ მოსცილებია მას არც ნდობის ვოტუმის ტრიუმფალური დაძლევისას და არც კანცლერის პოსტიდან გადადგომის მხარე ნუთებში. ისინი პოლიტიკის მიღმაც ერთგული მეგობრები იყვნენ, ამ მეგობრობამ 1992 წელს ბრანდტის გარდაცვალებამდე გასტანა. ბარი ბრწყინვალედ ჰყვება აქამდე უცნობ ისტორიებს და მკითხველს აცნობს ვილი ბრანდტის ადამიანურ მხარეს. იგი მოგვითხრობს, როგორ დაიწყო ყველაფერი ბერლინში, ჰყვება ერთობლივი მოგზაურობების, მძიმე და სახალისო მომენტების შესახებ და გვახედებს ბრანდტის, ვენერისა და შმიდტის რთულ ურთიერთობებშიც. ავტორი გვაჩვენებს ბრანდტის სიდიადეს და მის მგრძობიარე ბუნებას, განსაკუთრებით კი მის დაუღალავ შრომას უკეთესი, მშვიდობიანი და ადამიანური საზოგადოებისთვის.

ეგონ ბარი

# „ეს შენ უნდა მოჰყვე“

მოგონებები ვილი ბრანდტზე

გერმანულიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ

თბილისი

2018

**Egon Bahr**

**„DAS MUSST DU ERZÄHLEN“**

ERINNERUNGEN AN WILLY BRANDT

Übersetzt ins Georgische von Maia Panjikidze

Ullstein Buchverlage GmbH, Berlin 2013

Friedrich-Ebert-Stiftung, Tbilissi 2018

რედაქტორი

ნინო ღვინაია

დამკაზადონებელი

ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი

ილია ხელაია

ქართული გამოცემა მომზადდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის  
ფინანსური მხარდაჭერით.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული  
მასალების გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

**FRIEDRICH  
EBERT**   
**STIFTUNG**

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

## სარჩევი

ეგონ ბარის „ეს შენ უნდა მოჰყვე“ – მოგონებები ვილი ბრანდტზე. ქართული გამოცემის წინასიტყვაობა (კურტ ბეკი)	5
წინასიტყვაობა (გიუნტერ ბეხლერი)	9
წინათქმა	13
დასაწყისი	15
<b>პირველი ნაწილი – ბერლინი</b>	
შესავალი	17
შესასვლელი ბილეთი	23
ჯერ ერთმანეთის გვერდით, შემდეგ ერთმანეთთან ერთად 1961 წლის 13 აგვისტო	29
ჩაკირული გაყოფა	39
ახალი მიზნები	45
გამოუქვეყნებელი წიგნი	52
54	
<b>მეორე ნაწილი – ბონი</b>	
დიდი კოალიცია – არაპოპულარული და გარდაუვალი	57
საგარეო უწყებაში	60
დაგეგმვის შტაბში	67

სინამდვილე	71
ნახტომი მწვერვალზე	77
დასაწყისი ვაშინგტონში	81

#### მესამე ნაწილი – ტრიუმფი და ტრაგედია

მოსკოვში	85
შევეგუოთ ან გადავლახოთ საზღვრები	94
მაშ, იმოქმედე	103
უპასუხოდ დარჩენილი მონდომება: პოლონეთი	106
ბერლინის ხელშეკრულება – ხელოვნების ნიმუში	112
გერმანელების გარეშე არაფერი გამოვა (სატრანზიტო შეთანხმება)	121
ყველაფერი ან არაფერი	127
მეგობრის განსაცდელი	133
დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნდობის ზრდა	136
ფინიშის სწორს	142
გაჭიანურებული სტარტი	147
ვენერი	152
დაცემა	161
შმიდტი და ბრანდტი	168

#### მეოთხე ნაწილი – რწმენა

ახალი დასაწყისი	177
უსაფრთხოება ვისთვის?	180
პარტნიორი – ამერიკა	188
სატრფო, რომელსაც სასონარკვეთამდე	
მიჰყავხარ (ევროპა)	192
შეიცან თავი შენი	197
„რაც უფრო ვბერდები, მით უფრო მემარცხენე ვხდები“	212
ის, რაც რჩება	223

## ეგონ ბარის „ეს შენ უნდა მოჰყვე“ – მოგონებები ვილი ბრანდტზე

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

ეგონ ბარი ომის შემდგომი პერიოდის გერმანიის ყველაზე მნიშვნელოვან სოციალ-დემოკრატთა რიგს განეკუთვნებოდა. ვილი ბრანდტმა და მისმა ერთგულმა თანამოაზრემ 1963 წელს ერთად ჩამოაყალიბეს და განამტკიცეს ფორმულა „გარდაქმნა დაახლოების გზით“, რომელიც სოციალ-ლიბერალური კოალიციის დროს აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკის საფუძველი გახდა. ამდენად, ბარმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა გერმანიის გაყოფისა და ევროპის გახლეჩის გადალახვაში. საერთაშორისო დონეზე აღიარებული ექსპერტი ხანდაზმულ ასაკშიც იღვწოდა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

ბარი 1922 წელს დაიბადა ტიურინგიაში და ჯარისკაცი იყო მეორე მსოფლიო ომში. 1945 წლის შემდეგ ჯერ ჟურნალისტად მუშაობდა. 1956 წელს გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1960-დან 1966 წლამდე ბერლინის მიწის პრესისა და ინფორმაციის სამსახურს ხელმძღვანელობდა, შესაბამისად, ის გახლდათ ვილი ბრანდტის, როგორც სენატის ხელმძღვანელი მმართველი მერის სპიკერი. შემდეგ საგარეო უწყებაში გადავიდა, სადაც 1967-დან 1969 წლამდე დაგეგმვის შტაბზე იყო პასუხისმგებელი. 1969 წელს ფედერალური კანცლერის აპარატში

ასრულებდა სახელმწიფო მდივნისა და ბერლინის საკითხებში ფედერალურ საქმეთა რწმუნებულის ფუნქციას. 1972-დან 1974 წლამდე კი საგანგებო დავალებათა ფედერალურ მინისტრად მსახურებდა.

ამ წლებში ფედერალურ კანცლერ ვილი ბრანდტთან ერთად პრაქტიკულ პოლიტიკაში გაატარა გერმანიისა და აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკა. „აღმოსავლეთის ხელშეკრულებების არქიტექტორმა“ დაუღალავად იღვანა საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, და, რასაკვირველია, გდრ-თან თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. ბარის ზრუნვის მუდმივი ამოცანა იყო გერმანიის ორივე ნაწილის მოსახლეობის კეთილდღეობა და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის თანაარსებობის გაიოლება. ამ საქმეში იგი ეყრდნობოდა ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების მონაწილეებთან თანდათანობით დამყარებულ ნდობასა და პარტნიორობას. ბარის განმუხტვის პოლიტიკა პატარა ნაბიჯების პოლიტიკა იყო, რომელმაც საბოლოოდ წარმატებამდე მიგვიყვანა – 1990 წელს გერმანიის გაერთიანება ეგონ ბარის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.

ბარი 1972 წლიდან იყო ბუნდესტაგის წევრი, 1974-დან 1976 წლამდე კი ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალური მინისტრი; იგი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი მოაზროვნე. 1976-დან 1981 წლამდე საქმეთა მწარმოებლის რანგში სერიოზული კვალი დააჩნია პარტიას. ბარი მუდამ თავისი განმუხტვის პოლიტიკის ერთგული დარჩა. 1980-დან 1982 წლამდე გახლდათ წევრი ოლოფ პალმეს მიერ დაარსებული „განიარაღებისა და საერთო უსაფრთხოების დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა“. 1984 წლიდან 1994 წლამდე კი სამეცნიერო დირექტორის რანგში ხლმძღვანელობდა მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სამეცნიერო ინსტიტუტს ჰამბურგში.

ეგონ ბარი და ფრიდრიჰ ებერტის ფონდი ერთმანეთთან მრავალმხრივ იყვნენ დაკავშირებული. 1979-დან 2000 წლამდე ბარი ფონდის გამგეობის წევრი გახლდათ და მის საერთაშორისო მიმართულებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა. 2015 წლის 20 აგვისტოს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იგი ფრიდრიჰ ებერტს ფონდთან ერთად გეგმავდა მოგზაურობას საქართველოში: მოსკოვის მიერ საქართველოს გახლეჩვა, განსხვავებების მიუხედავად, 1950-იანი და 60-იანი წლების გერმანიის სიტუაციას აგონებდა. საქართველოშიც ხედავდა ბარი პატარა ნაბიჯების პოლიტიკის შანსს გახლეჩის დასაძლევად – და მზად იყო რჩევები გაეცა. ეგონ ბარმა ეს გეგმა ველარ შეასრულა. სწორედ ამიტომ, მის „მოგონებებს ვილი ბრანდტზე“, რომელიც ბარისა და ბრანდტის პოლიტიკურ ნააზრევს შთამბეჭდავად და სახალისოდ გადმოსცემთ, მრავალ მკითხველს ვუსურვებთ საქართველოში.

## **კურტ ბეკი**

ყოფილი პრემიერ-მინისტრი  
ფრიდრიჰ ებერტის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე





## წინასიტყვაობა

„მოგონებები ეგონ ბარზე“ უნდა ერქვას ამ წიგნს, რომელიც არა მხოლოდ ვილი ბრანდტის მემკვიდრეობაზე მოგვითხრობდა, არამედ წინამდებარე თხზულების ან გარდაცვლილი ავტორის უზარმაზარ დამსახურებაზე. ვილი ბრანდტს და ეგონ ბარს – განმუხტვის პოლიტიკის არქიტექტორებს – მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდათ, ორივე მათგანი იმსახურებს პატივისცემასა და მადლიერებას გასული საუკუნის 60-ანი და 70-იანი წლების აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების დაძლევის გაბედული პოლიტიკისთვის. დღესაც არანაკლები ინტენსივობით ვმსჯელობთ ევროპის შემამოფოთებელი განვითარებაზე, „დასავლეთსა“ და რუსეთს შორის დაძაბულ და მწვავე ურთიერთობაზე, ვიდრე მაშინ. ალბათ ბევრს ახსენდება ჰელსინკის ფინალური აქტის ხელმოწერამდე არსებული დამუხტული ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. არადა, ბევრი რამ შეიცვალა 1975 წლის შემდეგ: სისტემებს შორის გლობალური კონფლიქტი ჩაანაცვლა რეგიონული გავლენის ზონებისა და მათზე ბატონობის კონფლიქტმა; ბლოკების სწორხაზოვანი დაპირისპირება – მულტიპოლარულმა და ბუნდოვანმა სტრუქტურამ; ტრანსატლანტიურმა ალიანსმა მკაფიოობა დაკარგა და ა. შ. და მაინც: შესადარებლად და ევროპის დღევანდელი განვითარების გასააზრებლად, „მოგონებებს ვილი ბრანდტზე“ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

რატომ ითარგმნა „მოგონებები“ ქართულად? ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი შეერწყა ერთმანეთს, რამაც საქართველოში ამ წიგნის მიმართ ინტერესი გამოიწვია. ერთი მხრივ, მე, როგორც შვეიცარიის ელჩი საქართველოში, ფაქტობრივად ყოველდღე ვესაუბრებოდი ამ წიგნის მთარგმნელსა და საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს მათა ფანჯიკიძეს საქართველოში არსებული კონფლიქტებისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ. მეორე მხრივ კი თავად გახლდით 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჰამბურგის უნივერსიტეტის „მშვიდობის კვლევისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომელი; ამ ინსტიტუტს მაშინ ეგონ ბარი ხელმძღვანელობდა. ამგვარად, 2014 წლის ივნისში, როდესაც შვეიცარია ეუთოს თავმჯდომარეობდა, ეგონ ბარისა და მცირერიცხოვანი ქართული დელეგაციის შეკრება მოვახერხე შტაინ ამ რაინში. ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობდა. ორდღიანი არაფორმალური შეხვედრა ორ ერთმანეთთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოს – საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის მოხსნის კონცეფციებისა და იდეების განხილვას ემსახურებოდა. ოთხმოცდათორმეტი წლის ეგონ ბარი, მიუხედავად ასაკისა, ენერგიით სავსე გახლდათ; მან ქართველ მეგობრებს თავისი უსაზღვროდ დიდი გამოცდილება გაუზიარა და ბევრი მნიშვნელოვანი რჩევა მისცა გერმანულ-გერმანული ურთიერთობების წარმატების თუ ტრანსატლანტიურ-საბჭოთა ურთიერთობების შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკებების მაგალითებზე დაყრდნობით.

„მოგონებები ვილი ბრანდტზე“ უაღრესად შთამბეჭდავად აჯამებს ყველა იმ ფაქტორს, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა ცივი ომის დაძლევაამდე და გერმანიის გაერთიანებამდე – დაპირისპირებულ ინტერესთა დასაცხრობად შექმნილი დიპლომატიური ფორმულები, შეთანხმებების „შემოქმედებითი ორაზროვნება“,

ორივე გერმანული სახელმწიფოს აქტიური როლი განმუხტვის პოლიტიკაში, მოსკოვსა და ვაშინგტონს მიმართ ტრანსპარენტულობა, კონკრეტულ აქტორებს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნა თვით შეიარაღების კონტროლისა და სამხედრო სფეროშიც კი, ამავე დროს კი საკუთარი დემოკრატიული ინტერესების, პრინციპებისა და ღირებულებების დაცვა.

ამ წიგნის მნიშვნელობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან გლობალური პოლარიზების ფონზე უფრო მეტად გამწვავდა კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის. იმედს გამოვთქვამ, რომ „მოგონებები“ საქართველოში ბევრ მკითხველს დააინტერესებს და ქვეყანაში არსებული დაპირისპირების გადალახვაში შეიტანს წვლილს. კონფლიქტით დაზარალებული, რთულ პირობებში მცხოვრები ქართველები, აფხაზები და ოსები უთუოდ მაღლიერები დარჩებიან.

## **გიუნტერ ბახლერი**

ელჩი

ეუთოს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოსა და რუსეთს შორის ჟენევის მოლაპარაკებებში



## წინათქმა

ვილი ბრანდტმა შეგნებულად დატოვა თავის „მოგონებებში“ თეთრი ლაქები: „ეს შენ უნდა მოჰყვე“. მისი ნდობა აღმოსავლეთისა და განმუხტვის პოლიტიკას ეფუძნებოდა. ამ მოწოდებას წიგნით – „ჩემს დროს“ ვუპასუხე. ახლა კი ვსარგებლობ შემთხვევით და მოგითხრობთ ისტორიასა და ისტორიებზე, აღწერ, თუ როგორ იქცა თანამშრომლობა მეგობრობად, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგაც თან მდევს.

ცხოვრება დროთა განმავლობაში აქრობს წვრილმანებს, რომლებიც ამ ამბის ნაწილია. მეორე მხრივ კი, მეხსიერებამ შეჩერებული კადრებივით შემოინახა საკვანძო მოვლენები და გამონათქვამები, რომლებიც არსად გამქრალა.

სიახლოვე ყველაზე პირად სივრცეში ჩახედვის საშუალებას იძლევა, თუმცა, მხოლოდ იმდენად, რომ მეგობრობა აღწერო. ამას მოითხოვს პატივისცემა ცოცხლებსა და გარდაცვლილთა მიმართ.



## დასაწყისი

ორივემ ვიცოდით: უკანასკნელად ვხვდებოდით და ვსაუბრობდით. ამქვეყნიური ვნებები უკვე უკან მოეტოვებინა, ტრიუმფი და წყენა ველარ სწვდებოდა. მის უკანასკნელ, ძალზე პირადულ სიტყვებს გულში ვინახავ. ეს მისგან მონიჭებული განსაცვიფრებელი საჩუქარია, როგორი ღირსებით შეხვდა აღსასრულს. კართან კიდევ ერთხელ მივტრიალდი. ერთმანეთს ხელი დავუქნიეთ.

მას შემდეგ თავს მარტო და დაცარიელებულად ვგრძნობ.

აღბათ ერთი კვირა თუ იქნებოდა გასული მისი გარდაცვალებიდან, როცა ლარს ბრანდტისგან ხელნაწერი ბარათი მივიღე. – მამაჩემს რომ დავემშვიდობე, წესისამებრ, და უკვე გამოვდიოდი, ვკითხე: „ვინ იყვნენ შენი მეგობრები?“ ვილის უპასუხია: „ეგონი“.

ამ ამბიდან ოცი წლის შემდეგ ეს მმატებს გამბედაობას, ვცადო ჩემი მოგონებები მოვყვე.





# პირველი ნაწილი – ბერლინი

## შესავალი

აღარ მახსოვს, როდის გავიგე პირველად ვილი ბრანდტის სახელი. მეხსიერებამ ვერ აღიდგინა, როდის შევხვდი და ვესაუბრე პირველად. ეტყობა, განსაკუთრებული შეხვედრა არ ყოფილა. უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში ბრანდტი, როგორც ნორვეგიის სამხედრო მისიის წევრი, თვალში არ უნდა მომხვედროდა.

1945 წლის ზაფხულში ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებული ზონისა და ბერლინის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, იაკობ კაიზერის თავდაჯერებულობამ, როგორ გეგმავდა ჩრდილო-რაინი-ვესტფალიის წარმომადგენელ კარლ არნოლდთან და მიუნხენელ იოზეფ (ოქსენზეკ) მიულერთან ერთად ადენაუერის ძალაუფლებისგან ჩამოეშორებინა. იგი ამბობდა, „ადენაუერს, ამ სეპარატისტს არ უნდა ჩაუვარდეს ხელში მთელი ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“. 1949 წელს კი იჯდა ბონში ადენაუერის პირველ კაბინეტში საერთო გერმანული საკითხების ფედერალურ მინისტრად, მათ შორის, არ დაგვაინწყდეს, გერმანიის გაყოფის საკითხიც მას ეხებოდა და ცდილობდა საკუთარი პარტიის დასაქმებულთა ფლანგთან ერთად პატარა სამფლობელო შეექმნა.

1949 წლიდან ვიმყოფებოდი ბონში როგორც RIAS-ის (ამერიკული სექტორის რადიო) კორესპონდენტი და სხვა ჟურნალისტებივით, პროფესიული საჭიროებისამებრ, ბუნდესტაგის

პარტიების წამყვან პოლიტიკოსებს ვეკონტაქტებოდი. ორშაბათის შეხვედრებზე, რომელიც კოლეგებთან ერთად დავანესე, ძალზე გულლიად ვსაუბრობდით (შეპირებულ დისკრეციას არავინ არღვევდა) ყველა პარტიის წარმომადგენელ მნიშვნელოვან ბატონებთან – ქალები პოლიტიკაში თითქმის არ ჩანდნენ. კანცლერი ადენაუერი ჩაიზე გვეპატიჟებოდა ხოლმე პალე შაუმბურგში. ჩვენს წრეში იაკობ კაიზერს „კაიზერს სამფლობელოს გარეშე“ ვეძახდით, სანამ 1955 წელს პატივისცემამ არ შეცვალა ასევე პატივისცემით განმსჭვალული ქილიკი. მინისტრი დაუპირისპირდა თავის კანცლერს, რომელმაც პარიზთან შეათანხმა ზაარის მხარის ევროპული სტატუსი, საკმაოდ ღიად მოქმედებდა და საარჩევნო კამპანიას ამ სტატუსის სანინაღმდეგოდ აფინანსებდა. მან „გაიმარჯვა“: ზაარლანდელებმა ხმათა თითქმის 68 პროცენტით ფედერალურ რესპუბლიკასთან მიერთება გადაწყვიტეს.

ბონი უალრესად მყუდრო პატარა ქალაქი აღმოჩნდა. ჩემმა დიასახლისმა, როდესაც მისგან ავეჯით განწყობილი ოთახი ვიქირავე და ვკითხე, ხომ გიხარიათ, რომ ახლა ბონი დროებითი დედაქალაქია-მეთქი, გაცოფებულმა მიპასუხა: „რა თქმა უნდა, არა! ქუჩაზეც კი ვეღარ გადახვალ, უკან თუ არ მიიხედე, მანქანა ხომ არ მოდისო“.

ბერლინიდან ვიცნობდი ფრანგული ლიცენზიის „კურიერის“ მთავარ რედაქტორს, პოლ ბურდინს. მას მოსწონდა კანცლერის კეთილგანწყობა საფრანგეთის მიმართ და ფედერალური მთავრობის ბრწყინვალე სპიკერი იყო. ერთ მშვენიერ დილას დამირეკა და გაოგნებულმა შემატყობინა, გუშინ სალამოს ადენაუერს ვახლდი რიონდორფში და უეჭველია, „მოხუცს გაერთიანება საერთოდ არ უნდა“. გადადგომის მეტი აღარაფერი დარჩენია, რადგან ყოველდღიურად უწევს საპირისპიროს მტკიცებაო. კიდევ სამი კვირა თამაშობდა, ჩახლართულად ლაპარაკობდა და შემდეგ მართლაც გადადგა. ეს ფაქტი იქცა

ადენაურის მიმართ ჩემი დაპირისპირების საკვანძო მოვლენად. სულ უფრო და უფრო ცხადად ვაცნობიერებდი, რომ ის და ვალტერ ულბრიხტი, სინამდვილეში, კონგენიალური პოლიტიკური ფიგურები იყვნენ. ორივე მათგანს ენადა ქვეყნის თავისი ნაწილის შემომტკიცება და საკუთარი წონის გაზრდა, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. თითოეული მათგანი, ქვეყნის თავის ნაწილში აღმოჩნდა უძლიერესი პიროვნება და ისინი ფლობდნენ პოლიტიკურ ასპარეზს. ადენაუერზე, შუმახერთან მიმართებითაც იგივე ითქმის.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე კურტ შუმახერი ძალიან მომწონდა; მან, ზედმეტი ალიაქოთის გარეშე, ჯერ კიდევ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, შეუნარჩუნა ფედერაციას ფინანსურ საკითხებში უზენაესობა, გამარჯვებულ ძალებთან მიმართებაში და ამით მეტი წონა შემატა გერმანიას. ადენაუერს უკვე ჩაქნეული ჰქონდა ხელი. წარმოდგენაც კი შეუძლებელია, როგორ განვითარდებოდა ფედერალური ჯარის აღმშენებლობა, დაფინანსების საკითხი მიწების თანხმობაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული. მიწების ფედერაცია ფედერალური სახელმწიფოს ნაცვლად: შუმახერის მიერ ფინანსების საკითხში მოპოვებული უზენაესობის გარეშე, ფედერაციული რესპუბლიკა სხვანაირი იქნებოდა.

შუმახერმა კიდევ ერთ ისტორიულ გადაწყვეტილებას მიაღწია ჯერ კიდევ 1945 წელს. დასავლეთის ზონებშიც, აღმოსავლეთის მსგავსად, შეიმჩნეოდა მონდომება, ესწავლათ ვაიმარის რესპუბლიკის შეცდომებზე. ოტო გროტევილმა, როგორც გერმანის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, მოუწოდა გერმანიის მუშათა კლასს ებრძოლათ ორგანიზაციული ერთობისთვის და იმედი ჰქონდა, თავად გახდებოდა პირველი, ვინც აღმოსავლეთსა და დასავლეთში მცხოვრები ყველა გერმანელის სახელით ილაპარაკებდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა დასავლეთის სამ ზონაში სო-

ციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიანი ორგანიზაციაც კი არ იყო ნებადართული. აქ ორი კაცი აცხადებდა ლიდერობაზე პრეტენზიას. პირად შულლსაც არ უთამაშია მცირე როლი, რომ შუმახერმა „რაიხში“ აღკვეთა ერთიანი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყველას პირზე ეკერა, როცა პოტსდამის კონფერენციამ გერმანია არ გაყო. ფედერალურმა პრეზიდენტმა თეოდორ ჰოისმა შუმახერის დაუვინყარი ღვანლი უნოდა იმ ფაქტს, რომ მოხერხდა ტოტალიტარული იდეოლოგიის შეკავება. შუმახერი მიხვდა, რომ ტყუილად არ ეპარებოდა ეჭვი, „შეინარჩუნებდა თუ არა ბერლინი მოქმედების თავისუფლებას“ მას შემდეგ, რაც მოსკოვმა კომუნისტური პარტიების და სოციალ-დემოკრატიული პარტიის გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასთან შერწყმა გადანყვიტა. ერნსტ ლემერი, იაკობ კაიზერის მოადგილე, ამბობდა ოდნავ მოგვიანებით, ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასაც იგივე ბედი ენია თავისი ანტიპოდების, კაიზერისა და ადენაუერის წყალობითო. ბერლინის მიმართ უნდობლობით განმსჭვალულები შეხვდნენ ერთმანეთს – გერმანიის გაყოფაში, რომელზეც მათზე ძლიერები აგებდნენ პასუხს, მათაც შეიტანეს პატარა წვლილი.

შუმახერი თავდაჯერებული გერმანელი გახლდათ. ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი კაცის სიამაყე აძლევდა უფლებას, ოთხ გამარჯვებულ ძალასთან, გერმანიის ინტერესების დაცვისას პრინციპულად, ლამის უხეშად ელაპარაკა, თითქოს თანასწორთა შორის თანასწორი ყოფილიყო; სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენელი გეგონებოდა, რაც ჩვენს ქვეყანას მაშინ ნამდვილად არ ეთქმოდა. ბევრი უცხოელის ყურს მისი სიტყვები ნაციონალისტურ რიტორიკად ხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ადენაუერის ენას ვერ შეადარებდი, იგი შუმახერს აგდებულად უწოდებდა „მორგებულს“. სულ უფრო პატივისცემით ვიმსჭვალებოდი ამ კაცის მიმართ, ვინმეს დაუხმარებლად თითქმის რომ ველარ მოძრაობდა და მიუხედავად

იმისა, რომ გრძნობდა, ბევრი დრო აღარ დამრჩენიაო, თავს არ ინდობდა და მთელი შემართებით იბრძოდა თავისი მიზნებისთვის.

გარდა ამისა, ბონში გატარებულმა სამმა წელიწადმა დამარწმუნა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო ერთადერთი, რომელმაც გულწრფელად დაისახა ჩვენი ქვეყნის გაერთიანება თავისი პოლიტიკის პრიორიტეტად. ამიტომ მისი წევრობა მომინდა, მაგრამ შუმახერმა მირჩია, ნუ იზამო: მირჩევნია, რადიოში სოციალ-დემოკრატების კვოტას არ მიგათვალონო.

ბერლინში ვილი ბრანდტის საარჩევნო კამპანია პარტიის თავმჯდომარეობისთვის, ფრანც ნოიმანის წინააღმდეგ, ბორდიკით მიმდინარეობდა, მე მას ბონიდან ვაკვირდებოდი, მაშინ გავიცანი ბრანდტი შორიდან. იგი „დიდი მერის“ ერნსტ როიტერის ახალგაზრდა მეგობრად ითვლებოდა. ორივე ემიგრაციიდან აკვირდებოდა „რაიხის“ დაცემას. ორივე უფრო მეტ სიმპატიას გამოხატავდა ამერიკის მიმართ, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა ბონში. ორივე უფრო გახსნილი, ღია იყო, ვიდრე შუმახერი. 1953 წლის დასაწყისში როდესაც RIAS-ის მთავარი რედაქტორი გავხდი, როიტერს ხშირად ვხვდებოდი. ვმსჯელობდით ხოლმე მას და ბონში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას შორის საგარეო პოლიტიკის საკითხებში არსებულ დაძაბულობაზე. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ იზიარებდა ჩემს რჩევას, პარტიის თავმჯდომარეობისთვის ებრძოლა. შევთანხმდით, საუბარი კვლავ გაგვეგრძელებინა. სამწუხაროდ, შეთანხმება ფუჭი აღმოჩნდა, რადგან 1953 წლის შემოდგომაზე უეცრად გარდაიცვალა.

როიტერის გარდაცვალების შემდეგ ბრანდტი ჩემთვის „მისტერ ბერლინი“ გახდა, არა ბუნდესტაგში მისი გამოსვლების შინაარსის, არამედ მისი უშუალო საუბრის გამო, რომელსაც ბუნდოვანი პარტიული რიტორიკის არაფერი ეცხო. ეს გახლდათ კაცი, რომელსაც მზერა აღმოსავლეთისკენაც მიეპყრო, მაშინ,

როცა ბონელები სულ უფრო და უფრო დასავლეთისკენ იყურებოდნენ და მოქმედებდნენ. ისევ მოვიდომე მისი პარტიის წევრი გავმხდარიყავი. ბუნდესტაგის რესტორანში შევხვდი, რომ მისი აზრი მომესმინა. „ბონში მიღებული მთელი გამოცდილების გათვალისწინებით მივხვდი, რომ ეს არის ერთადერთი პარტია, რომელსაც მართლაც სწადია ქვეყნის გაერთიანება“, ასე დავასაბუთე ჩემი სურვილი. მაშინვე ჩამიხშო ვნება: „გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ პარტიის წევრობით გავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე“. ხანდახან გარედან გამოხატული პოზიციით მეტს მიაღწევ, ვიდრე შიგნით ყოფნითო. ასე რომ მეორედ გამომისტუმრეს უარით.

## შესასვლელი ბილეთი

შუმახერის გარდაცვალების შემდეგ, 1952 წელს, მემკვიდრედ მისი მოადგილის -ერის ოლენჰაუერის არჩევა დროებით მოვლენად აღიქმებოდა. ლონდონის ემიგრაციიდან დაბრუნებული ეს ალალი დემოკრატი ადენაუერისთვის ნამდვილად არ წარმოადგენდა საფრთხეს. ქრისტიან-დემოკრატიული და ქრისტიან-სოციალური პარტიების გაერთიანებამ პლაკატებს დაანერა: „მთავარი კანცლერია“. სოციალ-დემოკრატებმა ამ ლოზუნგს დაუპირისპირეს: „ოლენჰაუერი ადენაუერის ნაცვლად“ და, სინამდვილეში, ადენაუერს უწევდნენ რეკლამას. ორმოცდაათიანი წლების შუაში მისი ეპოქის დასასრული ჯერ არ ჩანდა. ქდკ/ქსკ გაერთიანებაში ჯერ არ გამოკვეთილიყო მისი მემკვიდრე, ხოლო ეკონომიკური სასწაულის მამას, ლუდვიგ ერჰარდს ადენაუერმა ასეთი განაჩენი გამოუტანა: „აბა სცადეთ და პუდინგი მიაჭედეთ კედელზე“.

ოლენჰაუერის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ოთხ სახელზე მსჯელობდნენ. ესენი იყვნენ: კარლო შმიდი, რომელმაც კონსტიტუციას დააჩნია დიდი კვალი, ფრაქციის თავმჯდომარე ფრითც ერლერი და შემდეგ მოდიოდა ორი სახელი – ასაკობრივი იერარქიით ბონელ ჟურნალისტებს მანამდე ნაკლებად რომ მოხვედროდათ თვალში – ბრანდტი და შმიდტი. ერლერმა კარლო შმიდტს, ბუნდესტაგის გამორჩეულ, ბრწყინვალე ორატორს, უწოდა კაცი, რომელსაც დიდი მომავალი უკვე



უკან მოეტოვებინა. ასახელებდნენ კიდევ ერთს – ჰერბერტ ვენერს; მას ზურგს უმაგრებდა ხელშეუხებელი ანტიკომუნისტის, შუმახერის რეკომენდაცია, ყოფილი კომუნისტი ვენერი, მიუხედავად მოსკოვეური წარსულისა, ჭეშმარიტ სოციალ-დემოკრატად გადაიქცაო, თუმცა სწორედ მისი წარსული ხდიდა პარტიის თავმჯდომარეობას შეუძლებელს.

ოლენჰაუერის მიერ უნგრეთის 1956 წლის აჯანყებაზე გაკეთებული სულელური კომენტარის შემდეგ ბრანდტს მომავალი წლის არჩევნებზე მისი პარტიის საშინელი დამარცხება ვუნინასწარმეტყველე და კიდევ ერთხელ დავიჟინე, ამჟამად ბუნდესტაგის რესტორნის ტერასაზე, პარტიაში უნდა შემოვიდე-მეთქი. „ვისაც რჩევა არ ესმის, არაფერი ეშველება“, გაიცინა მან თანხმობის ნიშნად. ასე გავხდი 1956 წელს პარტიის წევრი. ბრანდტისთვის ეს დიდ რისკს არ წარმოადგენდა. ჩემი კომენტარები რადიოში, რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, კარგად ესადაგებოდა მის ამბიციურ წარმოდგენას თავდაჯერებულ საგარეო პოლიტიკაზე. ეს „მზითვად“ მივიტანე. ბრანდტმა დამისახელა მისამართი ბერლინში, რომელიც პარტიული წიგნაკისთვის დამჭირდებოდა როგორც ბონელ კორესპონდენტს. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ჰაინრიხ ალბერტცის მისამართი მოუცია.

ჩემი, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზომცხვარი წევრის სავიზიტო ბარათად იქცა სიტყვა, რომელიც ბერლინის ცელენდორფის ოლქში 1957 წლის იანვარში წარმოვთქვი, ოლქის დელეგატების შეკრებაზე. როგორც „არა დაბადებით სოციალ-დემოკრატმა, არამედ მოგვიანებით ჩამოყალიბებულმა“, ვალიარე, რომ მიჭირდა მიმართვა „ამხანაგოთი“, რადგან ვფიქრობდი, ეს სიტყვა უაზრო ტრადიციონალიზმად არ უნდა ქცეულიყო, არამედ უნდა გაეთავისებინა პოლიტიკური ოჯახის კუთვნილების განცდას.

შიდა პოლიტიკური სიტუაციის დახასიათების შემდეგ ვთქვი: „პარტიაში შევედი არა საზოგადოების შესაცვლელად, არამედ იმისთვის, რომ პარტიის საგარეო პოლიტიკა შეეცვალა“. „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა შეიტანოს ნვლილი ერის ცნების მიმართ გერმანელთა შებოჭილი დამოკიდებულების დაძლევაში“. „ყველა იმ დანაშაულის გათვალისწინებით, რომლებიც ერის სახელით სხვა ხალხებისა და საკუთარი ხალხის მიმართ განხორციელდა, არ უნდა დავუშვათ ერის ცნების უარყოფა“. „დამწვარ ბავშვს ემინია ცეცხლის, მაგრამ ცხელ საჭმელზე მთელი ცხოვრება ხომ ვერ იტყვის უარს. სანამ გერმანია გაყოფილია, ჩვენ ერი არა ვართ. ერზე უარის თქმა გაერთიანებაზე უარის თქმას ნიშნავს. ეს იქნებოდა ჩვენი ხალხის თვითმკვლელობა და დემოკრატიის ღალატი; რადგან დემოკრატია დასრულდება, თუკი გაერთიანების იდეას ვერ გაუმკვლავდება“.

შემდეგ პირველად წარვადგინე თანმიმდევრულად საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ჩემი მაშინდელი გამოსვლიდან ქვემოთ მოყვანილი აზრები წარმოაჩენს განმუხტვის გრძელვადიანი პოლიტიკის მიმართ სრულ თანმიმდევრულობას და შინაგან სიმტკიცეს: „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არ უნდა მივდიოთ აინონა-დაინონას პოლიტიკას... ჩვენი დასავლელი მეზობლების მხარდაჭერის გარეშე საერთოდ შეუძლებელია გერმანიის საგარეო პოლიტიკის განხორციელება ... კომუნიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, თავისი დრო მოჰაპა ... რუსეთის სახელმწიფო ინტერესებმა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, რუსეთის იდეოლოგიურ ინტერესებს გადაასწრო ... ჩვენი უსაფრთხოება ძევს ამერიკის მიერ მოცემულ გარანტიაში ... ნატო უნდა მოქმედებდეს, სანამ მას ისეთივე უსაფრთხოების უკეთესი მექანიზმი შეეცვლიდეს ... გაერთიანების ფასად უნდა განვიხილოთ ალიანსის წევრების ატომურ შეიარაღებაზე დათანხმება და მხოლოდ გაერთიანებული გერმანიის სახელით

ავილოთ ატომურ იარაღზე უარის თქმის ვალდებულება... უსაფრთხოების ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და ამერიკის ყოფნას კონტინენტზე, დასაშვებია ... გერმანიის ომის შემდგომი პოლიტიკის ახალ ფაზას ეწოდება აღმოსავლეთის პოლიტიკა“.

ბრანდტს არასოდეს უკამათია ჩემთან ამ გამოსვლაზე. მან იცოდა ტექსტი, რომელიც, სიმწვავის გამო, მხოლოდ ორგანიზატორებისთვის მქონდა გაგზავნილი. შესაბამისად, იცოდა, რა ვთქვი და რას ვფიქრობდი. შემდგომი ათწლეულების მანძილზე, პრაქტიკულ საქმიანობაში, ჩვენ შორის პოლიტიკის მიმართულებაზე კამათი არ ყოფილა. თუ შემეკითხებით, როგორ ვაახლოებდით განსხვავებულ პოზიციებსა და გადაწყვეტილების ალტერნატიულ შესაძლებლობებს და ხანდახან მაინც თუ ვენინააღმდეგებოდით ერთმანეთს, შემიძლია გიპასუხოთ: ასეთი რამ არ მომხდარა. გვისაუბრია ტაქტიკურ მიზანშეწონილობაზე, სასარგებლო თუ ზედმეტ არგუმენტებზე გამოსვლის ან დოკუმენტის წერისას. უმეტესად, ვენდობოდი მის შეუდარებლად დიდ გამოცდილებას, მაგრამ მასაც შეეძლო სხვების არგუმენტი გაეზიარებინა. დიდი ხანი დამჭირდა, სანამ სრულად გავიცნობიერე ჩვენი საერთო თვალთახედვა. წლების განმავლობაში ეს ისე დაიხვეწა, რომ, სხვების თანდასწრებით, მისი თავის მოძრაობაზე თუ წარბის აწევაზე ვხვდებოდი, რას ფიქრობდა. პოლიტიკური მიმართულება იყო სწორი. მოულოდნელი სიურპრიზები არ მელოდა.

1957 წლის ოქტომბერში, ჩემი გამოსვლიდან ნახევარი წლის შემდეგ, ვილი ბრანდტის ბერლინის მმართველ მერად არჩევას, ბონიდან ზერელად ვადევნებდი თვალს. თუმცა, მისი საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენდა. ვალიარებდი, რასაც მიაღწია ბერლინისთვის. გულწრფელი აღფრთოვანებით შევცქეროდი, მაგრამ წამით არ გამივლია თავში, რომ როდესმე მასთან ვიმუშავებდი. არც ფე-

დერალურ მთავრობაში უფიქრია ვინმეს განსაკუთრებულად, რომ გამოჩნდა კაცი, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაენიათ. ადენაუერსაც კი.

1959 წელს ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა, განვითარებად ქვეყნებში განთავსებულ ჩვენს საელჩოებში რამდენიმე ჟურნალისტი მიეწვინა. 1958 წელს ხრუშჩოვის ულტიმატუმის შემდეგ, რომლითაც მან დასავლეთ ბელინის „თავისუფალ ქალაქად“ აღიარება და დასავლელი მეკავშირეების ჯარების გაყვანა მოითხოვა, დასავლეთს გდრ-ის არაღიარებისთვის უნდა ემუშავა ამ სახელმწიფოებში. მე დამნიშნეს განაში დასავლეთ აფრიკის რეგიონალურ რწმუნებლად. დაბრუნებისას საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაინრიხ ფონ ბრენტანომ (ქდკ) საგარეო საქმეთა უწყებაში დარჩენა შემომთავაზა. თითქმის იმავე დროს შემომთავაზა ჰენრი ნანენმა უაღრესად მომხიბვლელი რამ – მისი მოადგილის რანგში მემუშავა ჟურნალ „შტერნის“ პოლიტიკურ გამოცემად გარდაქმნაზე (მეცამეტე ხელფასი საშობაოდ, მეთოთხმეტე ხელფასი შვებულებისთვის, სამსახურის მანქანა და სახლი). სანამ ჩემთვის ვბჭობდი, ბერლინის ფედერალურმა სენატორმა გიუნტერ კლაინმა დამირეკა: მმართველ მერს სურს გაგესაუბროთო.

ბრანდტს ბუნდესტაგის ფოიეში შევხვდი დილის ათ საათზე – მისთვის, როგორც მოგვიანებით გავიგე, ეს დრო თითქმის შუალამეს უდრიდა. არც დაემსხდარვართ, მოკლედ მკითხა, ჩემი პრესის განყოფილების უფროსი ხომ არ გახდებოდიო. ერთი წამიც არ მიყოყმანია, ისე დავეთანხმე. დანაჩენი Cds-სთან გაარკვიეო. „ვინ არის და რა არის Cds?“ „სენატის კანცელარიის შეფი. მთავარია, მას მოურიგდეთ“. ვკითხე, ახლა ვინ არის ამ პოსტზე-მეთქი. „პენსიაზე გადის“. „როდის დავინყო მუშაობა ბერლინში?“ „რაც შეიძლება, მალე“. საუბარი სამი წუთიც არ გაგრძელებულა. ხანდახან რა სწრაფად მიიღება მთელი მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელი გადაწყვეტილე-

ბები. კანცელარიის შეფი ჰაინრიხ ალბერტცი აღმოჩნდა. მასთან შევათანხმე დეტალები და ბერლინის სენატის პრესისა და ინფორმაციის სამსახურის უფროსად დანყების თარიღი – 1960 წლის პირველი თებერვალი.

## ჯერ ერთმანეთის გვერდით, შემდეგ ერთმანეთთან ერთად

სამსახურის დაწყებიდან ორიოდ დღეში შედგა ჩვენი პირველი კერძო საუბარი. გვიან სალამოს მარტო აღმოვჩნდი უზარმაზარ საწერ მაგიდასთან მჯდომი ბრანდტის პირისპირ. „კაცმა რომ თქვას, ერთმანეთს წესიერად არც კი ვიცნობთ“, იყო ჩემი პირველი წინადადება. ამ უწყინარმა ფრაზამ სახე გაუხევა. ფხუკიანი უნდა ყოფილიყო, რომ ჩემი ნათქვამი დაახლოების უტიფარ მცდელობად აღექვა. მისი მწყრალი მიმიკა ჩემთვის ადგილის მიჩენის ტოლფასი იყო. მხოლოდ მაშინ მოლბა, როცა დავამატე: „მე თქვენ ყოველთვის გეტყვით, რასაც გავიფიქრებ, გინდაც არ მოგეწონოთ“. შემანყვეტინა: „ძალიან ცუდი სათქმელი თუ გექნებათ, გთხოვთ, მხოლოდ მაშინ მითხრათ, როცა მარტონი ვიქნებით“. ჩემი პასუხი: „თქვენი გადანყვეტილებები შეუვალი იქნება, მთავარია, სინდისს არ ეწინააღმდეგებოდეს“. საკითხი ასე არასდროს დასმულა.

მას მაშინ მიუახლოვდებოდი, ძალიან მიახლოვებას თუ არ შეეცდებოდი. პატივისცემა იმ საზღვრის მიმართ, რომლითაც თავის ყველაზე პირადულს იცავდა, დროთა განმავლობაში ჩემთვის თავისთავად ცხადი გახდა, მისთვის კი გარანტია, რომ ყოველთვის თავად გადანყვეტდა, რამდენად გამეხსნებოდა. არასოდეს მიკითხავს რამე პირადული, თუ თავად არ წამოიწყებდა საუბარს, თუმცა, რალაც-რალაცები მაინტერესებდა.

პრესაში მოარული ჭორებიც ტაბუდ დარჩა. ჩვენ შორის მზარდი ნდობის საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ არცერთ ჩვენგანს არ გვიცდია როდესმე, ყველაზე დაფარული „მე“-ს მესაიდუმლე გავმხდარიყავით.

იმ კაცის ავტორიტეტს, რომელმაც ბრწყინვალედ მოიგო არჩევნები ბერლინში და წარმატებით მოიარა მსოფლიო, ხომ შეიძლებოდა დაეთრგუნე. იგი იაპონიის იმპერატორმა ჰიროჰიტომ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, გაეროს გენერალურმა მდივანმა ჰამარსკიოლდმა და პრეზიდენტმა აიზენშაუერმა მიიღეს; ნიუ იორკში ნამდვილი ალღუმი მოუწყვეს. ამას ემატებოდა ჩემი, როგორც ჟურნალისტის ნუხილიც, უცებ რომ აღარ მქონდა საკუთარი სათქმელის გამოხატვის უფლება, თანაც პასუხისმგებელი ვიყავი იმაზე, რასაც ბერლინის სენატის სახელით ვაცხადებდი. თავში ეს აზრი მიტრიალებდა – ხომ არ აღმოვჩნდებოდი მისი გავლენის ქვეშ და დავკარგავდი საკუთარ სტილს – თანამშრომლობის განმავლობაში თანდათანობით მივხვდი, რომ ჩემი ნუხილი უსაფუძვლო იყო.

დოკუმენტის შინაარს შეფი განსაზღვრავდა. როდესაც ფრაზებს ვხვედით და ჩემს რთულ წინადადებებს უმოწყალოდ ანაწევრებდა, მივხვდი, რომ მმართველი მერი კარგი რედაქტორი იქნებოდა. ჩემდა სამარცხვინოდ, უაზრო წინადადება თუ გამეპარებოდა, უბრალოდ იტყოდა ხოლმე „ასევე დარჩეს“. სწორედ ამ გამოთქმებს მოჰყვებოდა ხოლმე ყველაზე მქუხარე ტაში. ჩვენს სანერ მაგიდებს შორის აქეთ-იქით მოსიარულე ხელნაწერებზე მუშაობისას, ისე ხვენდა სტილს და თანაც, თავისი მწვანე მელნით სიტყვებს კი არ ცვლიდა, არამედ გახზავდა ხოლმე ან კითხვის ნიშანს დაუსვამდა. შემდეგ ვმსჯელობდით და ვაყალიბებდით საბოლოო ვერსიას. უთვალავჯერ გვისაუბრია და ორივე გავუშინაურდით ერთმანეთს აზროვნების თვალსაზრისით, უკეთ გვესმოდა ერთმანეთის, ვცდილობდით საერთო ძალისხმევით დაგვემარცხებინა შიშე-

ბი, დაგვესახა იმედები, გეგმები, მოკლე და გრძელვადიანი მიზნები გაგვეხორციელებინა. ბრანდტი დარწმუნდა, რომ მე მხოლოდ მასთან და მისთვის ვმუშაობდი. ვერავინ ვერ ჩანვდა ამ პარტნიორობას რიჰარდ ფონ ვაიცზეკერზე უკეთ, რომელმაც ერთხელ თქვა: „ვილი ბრანდტი და ეგონ ბარი – ეს გახლდათ სანიმუშო თანამშრომლობა ორი სრულიად განსხვავებული პიროვნებისა. ურთიერთდახმარებით მათ მიაღწიეს საკუთარი ნიჭის სრულ გაფურჩქვნას“.

ბრანდტი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის კანდიდატობაზე კი ფიქრობდა, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში არ სურდა ამისთვის ბრძოლა. ალბერტცი და მე სკეპტიკურად ვუყურებდით ამ ამბავს, ვფიქრობდით, რომ ნაადრევი იყო და ძეგლად ქცეული ადენაუერის წინააღმდეგ ნაკლები იყო წარმატების შანსი. თუმცა როდესაც შესთავაზეს – და რახან ამ შეთავაზებას ელოდა – თითქოს ტვირთი მოეხსნაო, ისე დაეთანხმა. ბერლინში მისი „მაფია“ მხოლოდ იმაზელა ფიქრობდა, რა იქნებოდა მოქმედების საუკეთესო გეგმა.

ჰანოვერში 1960 წლის პარტიულმა ყრილობამ ბევრი პოლიტიკური და პირადული სიახლის მონმე გაგვხადა. პირველად აირჩია პარტიამ „კანცლერობის კანდიდატი“, მაშინ, როცა პარტიის არჩეულმა თავმჯდომარემ, ერის ოლენჰაუერმა თანამდებობა შეინარჩუნა. კლაუს შუთცმა უბრალოდ მოიპარა ეს იდეა აშშ-სგან, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატ კენედის საარჩევნო კამპანიას აკვირდებოდა.

ბრანდტმა თავის საკანდიდატო გამოსვლაში პარტიის ეროვნულ ტრადიციაზე გაამახვილა ყურადღება და ერთმანეთის გვერდით დაასახელა ისეთი მოღვაწენი, როგორებიცაა ოტო ფონ ბისმარკი და აუგუსტ ბებელი, ფრიდრიხ ებერტი და გუსტავ შტრეზემანი, იულიუს ლებერი და კლაუს გრაფი ფონ შტაუფენბერგი, ერნსტ როიტერი და თეოდორ ჰოისი, რაც მაშინ გამბედაობას მოითხოვდა. სამი წლის შემდეგ, ტუტცინგის



ცნობილ შეკრებაზე, იდეას, სახელების საშუალებით ჩავწვდომოდით ჩვენს რთულ სამშობლოს, თურმე გვარიანი შესწორება ელოდა. მაშინ ასე ითქვა: „ბისმარკი და ბებელი ნამდვილად უნდა ვახსენოთ, ჰინდენბურგი და ებერტიც, გიორდელერი და ლებერიც, ადენაუერი და შუმახერიც, მაგრამ, ასევე, ჰიტლერი და ულბრიხტიც“.

ბრანდტმა ჰანოვერში განაცხადა, რომ არ აპირებდა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებების უსიტყვოდ განმხორციელებელი გამხდარიყო და ყველა ვალდებულება შეესრულებინა გერმანიას, რასაც ნატო წევრებს ავალდებულებდა. მანამდე ოლენჰაუერმა უარი განაცხადა ბუნდესვერის ატომურ შეიარაღებაზე. კანდიდატს კი სწორედ ეს არ გამოურიცხავს. როდესაც ერთად ვამზადდებით მის გამოსვლას, ბრანდტმა თვალი ჩამიკრა: „ადრე ხომ შესაძლებლად მიგაჩნდათ“. არ დავიწყებოდა ოთხი წლის წინათ ცელენდორფში ნათქვამი ჩემი სიტყვები. საღამოს კი პარტიის ყრილობის დარბაზიდან რომ გამოვდიოდით, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „მგონი, შეიძლება შენობით ვილაპარაკოთ“. მესიამოვნა. ოფიციალურად ისევ თქვენობით მივმართავდით ერთმანეთს, მერეც, პალე შაუმბურგშიც კი. პატივისცემა მისი პოზიციის მიმართ კრძალავდა შინაურულ ფორმას და ბრანდტს ჩამოუყალიბა თვალსაზრისი, რომ არცერთ პარტიას არ უნდა ეგონოს, რომ სახელმწიფო მას ეკუთვნის.

კლაუს შუტცის მიერ ახლადარჩეული კანდიდატისთვის მომზადებულ საარჩევნო კამპანიაში ბრანდტმა ძალა, ენერჯია და ბრწყინვალე გამძლეობა გამოავლინა. საარჩევნო ორომტრიალი კანდიდატს სინდისის ქენჯნისგან ათავისუფლებდა, საწერ მაგიდასთან რომ არ იჯდა და ქაღალდებში ქექვას ვერ ახერხებდა. ამომრჩევლისთვის განკუთვნილ გზავნილებს ლაპარაკის დროსაც კი ხვეწდა. „მენტალური ჰიგიენა მიკრძალავს, სულ ერთი და იგივე სიტყვა მოვიშველიო“, გვეუბნებოდა იგი. ამის მომსწრე შემდეგ ათწლეულებშიც ბევრჯერ გავმხდარვარ.

იგი არგუმენტების თანმიმდევრობას გადაწყობდა ხოლმე, სისხარტეს სძენდა, აუმჯობესებდა და დარწმუნებული იყო, რომ ესეცაა თავისი საუკეთესო საარჩევნო სიტყვა წარმოთქვა. მისი ერთ-ერთი, მაშინ ძალიან აქტუალური სლოგანი, გახლდათ „რურის აუზის თავზე ცა ისევ ლურჯი უნდა გახდეს!“ სიტყვა „გარემო“ მაშინ ჯერ მოდაში არ შემოსულიყო.

\*

ყველა ადამიანი პატივმოყვარეა. ხელოვნებისა და პოლიტიკის სამყაროში, სადაც საჯარო გავლენაზე მოთხოვნაა და იგი განისაზღვრება კიდეც, ეს თვისება უფრო მეტად ჩანს, ვიდრე ეკონომიკაში, სადაც ზოგიერთი სიმპატიური მოღვაწე გავლენას მაღავს კიდეც. მოკლედ, მე ვალიარებ ჩემს პატივმოყვარეობას: მსიამოვნებდა შეფთან უშუალო ურთიერთობა. მსიამოვნებდა, რომ ბრანდტს, ჰაინრიხ ალბერტს, ფედერალურ სენატორ კლაუს შუტცს და მე უკვე „ნმინდა ოჯახს“ გვეძახდნენ. გარდა ამისა, ვამჩნევდი, რომ იმ სენატორებზე, რომლებთანაც ჟურნალისტებს მეტად რთულად ეხერხებოდათ შეხვედრა, მე მირეკავდნენ და მთავარი რედაქტორებიც აზრს მეკითხებოდნენ და ჩემი შეფასებების საიდუმლოდ შენახვას მპირდებოდნენ. ძალიან მსიამოვნებდა, როცა „ჩემს“ მძღოლს, რომელიც მალე ოჯახის წევრი გახდა, სადამოს მივყავდი დალაქთან. სამსახურის გამო, სამუშაო საათებში მასთან მისვლას ვერ ვახერხებდი. და შემეძლო მემუშავა მშვიდად გვიანობამდე, ვიცოდი, რომ ჩემს მეუღლეს მიაკითხავდნენ. მოსახერხებელია, როცა მანქანის გასაჩერებელ ადგილს არ ეძებ და ღონისძიების დამთავრებისთანავე შეგიძლია შინ წახვიდე. საჯარო სამსახურში კარგ ხელფასს არ გიხდიან, მაგრამ მაღალი თანამდებობა არაჩვეულებრივ მომსახურებას გთავაზობს.

ყოველივე ეს მალე წესად დამკვიდრდა და 35 წელი ვსარგებლობდი ამ სიკეთით. უკან რომ ვიხედები, ვაღიარებ ძალაუფლებით გამოწვეულ მიამიტურად პატივმოყვარულ გრძნობებს და ფულის განკარგვის უფლებით განცდილ კმაყოფილებას. პარლამენტი მანდობდა სახსრებს. შემეძლო განაცხადებისთვის გამომეყო თანხა ან უარი მეთქვა და მნიშვნელოვანი პროექტები წამომეწყო. ფულის ძალაუფლებას გავლენის მოხდენა შეუძლია. რამდენად განუსაზღვრელია პოლიტიკური ძალაუფლება, რომელსაც ხალხთა თანაცხოვრების შეცვლა შეუძლია, მხოლოდ მოგვიანებით გავიგე.

ძალაუფლება და პატივმოყვარეობა ტყუპისცალები არიან. ბრანდტს სიამოვნებდა, როცა ნიუ იორკში პოლიციელი „მაიორს“ პოლიციური საღმით ეგებებოდა, თუმცა ჩაიბურტყუნებდა ხოლმე: „აქაც ვერ მივალწიე ანონიმურობას“. ბერლინში კი სირცხვილით ვაღიარებდი, რომ მმართველმა მერმა ისე შეისისხლხორცა თავისი მდგომარეობა, რომ პატივმოყვარეობის ნიშან-წყალსაც კი აღარ ავლენდა. ეს სტადია უკვე უკან მოეტოვებინა.

ფულის მიმართ, როგორც კერძო პირს, ბრანდტს უცნაურად დისტანცირებული და სუვერენული დამოკიდებულება ჰქონდა. არასოდეს მინახავს მის ხელში საფულე. თავის საყვარელ რესტორანში რომ მიდიოდა, ანგარიშს მერიაში აგზავნიდა. ერთხელ, ამერიკაში წასვლის წინ ვკითხე, ხომ არ გინდა ჰონორარიანი გამოსვლა მოგიწყო, ბარემ რუთსაც წამოიყვან-მეთქი. შეხსენება, რომ ბრიტანეთის მთავრობა საკუთარ მაღალი თანამდებობის პირებსაც უხდის მეუღლეების მგზავრობის ფულს-მეთქი, მისთვის დამარწმუნებელი ვერ აღმოჩნდა. მისი სურვილი მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვენი ფირმის მეშვეობით შეიძლებოდა შესრულებულიყო, რომელიც პატარა ბიუჯეტით და დიდი ამბიციით წარადგენდა ბერლინს ამერიკაში.

ამ ფირმის შეფი როი ბლუმენტალი მანამდე ფედერალური მთავრობისთვის მუშაობდა და ნიუ იორკში, „ვალდორფ-ასტორიაში“ ადენაუერის შეხვედრა დავიდ ბენ-გურიონთან მისი მონყობილი გახლდათ. ბრანდტი და მე წინასწარ დავრწმუნდით, იქნებოდა თუ არა ამ სააგენტოსთვის 500 000 დოლარის გადახდა გამართლებული. არ გვინანია. როი ლიბერალი იყო, მაგრამ მიხვდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბედს მომავალში ორი უნიჭიერესი ადამიანი – ბრანდტი და შტრაუსი გადანყვეტდნენ. ამერიკის ინტერესებში იყო ბერლინის მერს დახმარებოდა. ამიტომაც მოახერხა და ბრანდტი 1962 წლის შემოდგომაზე ორი ლექციის წასაკითხად მიიპატიჟეს ჰარვარდის უნივერსიტეტში; შემდეგ კი თეთრ სახლში ჰქონდა შეხვედრა, სადაც ბრანდტმა გაიმეორა ჰარვარდში გამოსვლისას წარდგენილი მოსაზრებები „თანაცხოვრების შესახებ, რომელიც გაბედულებას გაიძულებს“, რაც იმას გულისხმობდა, რომ მშვიდობის ცნება აღმოსავლეთისთვის არ უნდა გადაგვებარებინა. კენედიმ იცოდა ბრანდტის წაკითხული ლექციების შესახებ და იგი შეაგულიანა. ვაშინგტონს ყელში ამოსვლოდა ბონის მიერ ყველაფრის დაბლოკვა და, ამავე დროს, საკუთარი წინადადებების არარსებობა.

„მმართველის“ რანგში თავმდაბალ ბრანდტს ფინანსების საკითხის საკუთარ ხელში აღებაც უნევდა. კედლის აშენების შემდეგ კიდევ უფრო ზუსტი ანგარიში მოეთხოვებოდა. რადგან დიდმა ფირმებმა, შიშის გამო, თავიანთი ცენტრალური ოფისები ფედერაციული რესპუბლიკის სამხრეთსა და დასავლეთში გადაიტანეს, ბერლინის საგადასახადო შემოსავალი ძლივსღა სწვდებოდა მოხელეების და მოსამსახურეების ხელფასებს. ყველაფერი დანარჩენი, რითიც საზრდოობს ქალაქის ცხოვრება, მშენებლობა იქნებოდა ეს თუ კულტურის კერები, ბონს უნდა უზრუნველყო. და ბონიც იხდიდა, სპეციალური გადასახადების დაწესებითა და საგადასახადო შეღავათების გზით.

გაგვეხარდა, რომ აქსელ შპრინგერმა ისარგებლა საგადასახადო შეღავათით და კედელთან ახლოს აღმართა თავისი ბექედვითი კონცერნის იმპოზანტური შენობა. იმ ახალგაზრდების ბერლინში დაფუძნება, სავალდებულო სამხედრო სამსახურებს რომ გაურბოდნენ, საკმარისი არ იყო დასავლეთისკენ გადასულების დასაბალანსებლად. სენატს სტატისტიკის გაყალბება უწევდა (სტატისტიკისთვის ეს უცხო ხილი არ არის), რომ ბერლინის მოსახლეობის მაგიური ორმილიონიანი რიცხვი შეენარჩუნებინა. გაბერილი საჯარო სამსახური ამით არ შემსუბუქებულა, ძალიან ზუსტად უნდა დაგვეთვალა ფული და ჰელმუტ შმიდტის თავხედური ნათქვამი, ბერლინელებმა მილიონს და მილიარდს შორის განსხვავება არ იციანო, გვწყინდა, რადგან სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

სენატი ბონიდან იღებდა ფულს, რომ ბერლინი კულტურულად მიმზიდველი გაეხადა მთელი მსოფლიოდან ჩამოსული სტუმრებისთვის. ყოფილმა დიპლომატმა შეპარდ სტოუნმა, ფორდის ფონდის საშუალებით, თავისუფალი უნივერსიტეტისთვის, გერმანული ოპერისთვის და სხვა კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებებისთვის შემოწირულობები შეაგროვა. კომპოზიტორმა ნიკოლას ნაბოკოვმა, ფესტივალის ხელმძღვანელის რანგში, შპრეეს ნაპირზე საინტერესო ხელოვნები მოიზიდა. საერთაშორისო რანგის ვარსკვლავებს ენთუზიაზმით ვეგებებოდით.

კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ ვახშამზე ამერიკელი მსახიობის, ჯეინ რასელის გვერდით ვიჯექი და საინტერესოდ ვისაუბრეთ. ბევრად დიდი შთაბედილება მოახდინა ჩემზე მარლენე დიტრიხმა, რომელზეც ვგიჟდებოდი. იგი 1960 წელს ომის შემდეგ პირველად ჩამოვიდა თავის მშობლიურ ქალაქში. ბრანდტის სურვილი გახლდათ, რომ ქალაქის ოქროს წიგნში გაეკეთებინა ჩანაწერი. ბრანდტი იმ ადამიანებთან, ვინც მის მსგავსად გაიარეს წინააღმდეგობის გზა, დიდ სიახლოვეს

გრძნობდა. მე წილად მხვდა ბედნიერება, თხუთმეტი წუთი პირისპირ მესაუბრა მარლენესთან, რადგან ბრანდტი ვილაცამ ჩაიგდო ხელში და დაკავებული იყო. მისი მშვენიერება არ ჩამქრალიყო, თუმცა შევამჩნიე, ხელები დაბერებოდა. „Sag mir, wo die Blumen sind“ ჩემთვის უკვდავი სიმღერაა. ალბათ სასიამოვნო მოგონებად დარჩებოდა მას ტიტანია-პალასტში კონცერტის შემდეგ გამართული ოვაციები, როცა ეს სიმღერა გერმანულად შეასრულა. „პატივცემულ ვილი ბრანდტს“ წერილით გადაუხადა მადლობა: „თქვენი მარლენე დიტრიხი“.

\*

1961 წლის 10 მაისს ბრანდტის თანამშრომლის პოზიციიდან მის მრჩეველად დავწინაურდი. ოსლოში ნატოს საგაზაფხულო სხდომის კომუნიკეში შედიოდა ფორმულირებები, რომლებიც მანამდე არსებულ დაუსაბუთებელ პირად შიშს დასავლეთის ოფიციალურ პოზიციად აცხადებდა. მასში აღარ იხსენიებოდა ქალაქის ოთხი გამარჯვებული ძალის სტატუსი, არამედ – თავისუფალი მიმოსვლის გვერდით – გამოთქმული იყო გარანტია „დასავლეთის სამი სექტორის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ“. შემოფოთებულმა მივირბინე ბრანდტთან, ტექსტი წინ დავუდე და ვუთხარი: „ფაქტიურად, ეს არის მოსაწვევი საბჭოთა კავშირისთვის, რომ რაც უნდათ, ის გააკეთონ თავიანთ სექტორში“. კომუნიკე მაგონებდა სამი დასავლური ძალის და ბონის მემორანდუმს, რომელიც ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა, ბრუნო კრაიციკიმ მიიღო 1960 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი გრომიკოსგან და ვენაში ყოფნისას წამაკითხა. ეს დოკუმენტი საფუძველშივე გამოხატავდა საბჭოთა კავშირის ინტერესს, „ამ სივრცეში“ დაემყარებინა სტაბილურობა და უკიდურეს შემთხვევაში, დაედო

სამშვიდობო ხელშეკრულება გდრ-თან. ბრანდტმა გადაწყვიტა საგარეო საქმეთა მინისტრ ბრენტანოსთვის ოთხი გამარჯვებული ძალის კონფერენცია შეეთავაზებინა. იგი ხელმძღვანელობდა მოსაზრებით, რომ სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, აღმოსავლეთი ცალმხრივ ღონისძიებებს არ გაატარებდა. სამწუხაროდ, ბრენტანომ უარი განუცხადა. ჩვენ ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ ქალაქის მხოლოდ დასავლეთ ნაწილის შესახებ არსებული ნებისმიერი ხელშეკრულება გდრ-ის დე ფაქტო აღიარებას მხოლოდ დროის საკითხად აქცევდა.

შიონებერგის რატიუშაში 1961 წლის ივნისში 20 000 ლტოლვილი აღვრიცხეთ, ხოლო ივლისში 30 000. კედლის აშენების წინა საღამოს ვილი ბრანდტმა ნიურნბერგში, ფედერალური საარჩევნო კამპანიის დაწყებისას გაახმაურა მდგომარეობის ჩვენეული შეფასება: „ამ საღამოს, 12 აგვისტოს, ბერლინში ამ თვის 17000-ე ლტოლვილი შემოვა. პირველად მოგვიწევს 24 საათის განმავლობაში 2500 ლტოლვილის მიღება. რატომ მოინევენ ეს ადამიანები? რომელმა შიშმა დაძრა ეს ტალღა? პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: რადგან საბჭოთა კავშირი ჩვენი ხალხის წინააღმდეგ შეტევისთვის ემზადება და მცირედნი თუ აცნობიერებენ მის სერიოზულობას. რადგან ზონაში ადამიანებს ეშინიათ, რომ რკინის ფარდის მარწუხები ჩაბეტონდება. რადგან შიშით ძრწიან, რომ გიგანტურ საპყრობილეში გამოემწყდებიან. რადგან საშინლად ტანჯავთ განცდა, რომ მათ დაივიწყებენ, ჩამონერენ და მსხვერპლად შესწირავენ გულგრილობისა და ხელიდან გაშვებული შანსების საკურთხეველზე“. მისი გამოსვლა განონასწორებული უნდა ყოფილიყო. არც უნდა გაეზიარებინა მდგომარეობა და არც გაქცევისკენ მოეწოდებინა.

## 1961 წლის 13 აგვისტო

როდესაც კრიზისი დადგა, ბრანდტი მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ნიურნბერგში მისი გამოსვლის შემდეგ დაიწყო მოსალოდნელი, მაგრამ, ამავე დროს, წარმოუდგენელი „ცალმხრივი ღონისძიება“. ბრანდტს ეს ამბავი ნიურნბერგიდან კილისკენ მიმავალ ღამის მატარებელში დაენია. მატარებლიდან ჩამოვიდა, ჰანოვერიდან ბერლინში ჩაფრინდა და მაშინვე ბრანდენბურგის კარიბჭისკენ გაემართა. იქ იგი გახდა ბერლინელების უსაშველო აღშფოთებისა და ბრახის მოწმე. შემდეგ თავის სიცოცხლეში პირველად (და უკანასკნელად) მივიდა მეკავშირეების კომენდანტურაში, სადაც დახვდნენ მოხელეები, რომელთაც არანაირი მითითება არ ჰქონდათ მიღებული. მათ უფროსებს თავიანთი დედაქალაქები შაბათ-კვირის გასატარებლად დაეტოვებინათ. უკანასკნელი საბჭოთა კომენდანტის ფოტოსურათი ჯერ კიდევ კედელზე ეკიდა. ბრანდტმა, თითქოს ის ყოფილიყოს მითითებებზე უფლებამოსილი, ქალაქის სამივე კომენდანტს, რომლებიც, ხალხთაშორისი სამართლის მიხედვით, ქალაქის მესვეურებს წარმოადგენდნენ, საკმაოდ მკაცრად მოსთხოვა, ჯიპები მაინც გაატარეთ ქუჩებში, რომ ბერლინელებს არ ეგონოთ, უკვე მიგვატოვესო. რატუშაში უშვერი სიტყვებით აგინებდა „იმ დამპლებს“, რომელთაც ბოლოს და ბოლოს შეისმინეს და ჯიპები მაინც გაუშვეს ქალაქში.



ბრანდტმა ყველანაირი პროტოკოლის დარღვევით, პირდაპირ პრეზიდენტ კენედის მისწერა მკვახე, შემანჯღრეველი წერილი, სადაც სთავაზობდა გაეძლიერებინა ამერიკული გარნიზონი, რაც მომავალ სამ დღეში მართლაც განხორციელდა. ჯერ კენედის პასუხი არ იცოდა, ისე დანიშნა მიტინგი შიონებერგის რატუშის წინ, რათა გამწარებული და აღშფოთებული მოქალაქეებისთვის მიემართა, სხვა არაფერი შეეძლო, თან, არც ის იცოდა, რა უნდა ეთქვა. ერთად ვმსჯელობდით, როგორ გამოსულიყო სიტყვით ამ უაღრესად ფეთქებად მდგომარეობაში; მოედანზე მოზღვავებული ხალხის შემაშფოთებელი ხმაური ჩვენამდე უკვე აღწევდა. ბოლოს და ბოლოს რაღაც მოვიფიქრე დასაწყისისთვის და მერე ნაწილ-ნაწილ ვანოდებდი გამოსვლის ტექსტს. ბოლო გვერდები სანერ მაგიდაზე დავუდე. აჩქარებით დასწვდა, რედაქტირების დროც აღარ ჰქონდა. მე მის კაბინეტში დავრჩი, პასუხისმგებლობისგან მაკანკალებდა, თანაც მისმა ნდობამ გამაოგნა. მოსამაგრებლად კონიაკი დავისხი და მხოლოდ მაშინ დავწყნარდი, როცა პირველი ტაში მომესმა. მსგავსი ემოციები ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს. ბრანდტი დაბრუნდა. არაფერი უთქვამს. მხოლოდ მას არ მოეხსნა ლოდი გულიდან. მე შევიცანი მისი ძლევამოსილება, მისი თავდადება. რაც უფრო კუთხეში აღმოჩნდებოდა მიმწყვედეული, მით მეტად ემატებოდა გამბედაობა.

მისმა გამბედაობამ კიდევ ერთხელ აღმაფრთოვანა, როდესაც 1969 წელს, არჩევნების ღამეს გადაწყვიტა ვალტერ შეელისთვის დაერეკა და სოციალ-ლიბერალურ კოალიციაზე მოლაპარაკებოდა. იგივე განმეორდა, როდესაც მისი პირველი სამთავრობო განცხადების საგარეო პოლიტიკის ნაწილზე ვმსჯელობდით. „დიდ თემებს რომ შეეჭიდები, გულისთქმას არ უნდა აჰყვე, საკუთარ თავს უნდა აჯობო“, თქვა მან და მიუხედავად ჩემი ჭოჭმანისა, მხარი დაუჭირა შეელის იდეას, დაემსხვრია ტაბუ და გდრ-ისთვის ეწოდებინა სახელმწიფო,

რომელიც ჩვენთვის ვერაფრით იქნებოდა საზღვარგარეთი. ამ ფორმულამ, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მოსკოვს სერიოზული მოლაპარაკებებისკენ უბიძგა. ან თუნდაც 1972 წელს, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის დაკარგვის შემდეგ ახალი არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა და პარტიის წევრების უმრავლესობის რჩევის სანინააღმდეგოდ, გდრ-ის მიმართ ჩვენი პოლიტიკის არც ტემპი და არც ინტენსივობა არ დაუგდია. „როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ სამართლიანსა და საჭიროს აკეთებ, ჯობს აფრიალებული დროშებით ჩაიძირო, ვიდრე წაბორძიკდე“. ასეთი იყო მისი სიტყვები.

პიროვნული სხვა თვისებაც ახასიათებდა – იოლად წყინდა. ძალიან იმოქმედა მასზე, რომ ადენაუერმა ისე გააგრძელა საარჩევნო კამპანია, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, არადა კედელი დღითი-დღე იზრდებოდა. ადენაუერის მიერ 14 აგვისტოს რეგენსბურგში საარჩევნო ღონისძიებაზე ურცხვად ნათქვამი სამი სიტყვა „ბრანდტი, იგივე ფრამი“, მის უკანონო შვილობაზე და ემიგრანტების მიმართ ზოგადად თავშეკავებულ დამოკიდებულებაზე ქარაგმულად იყო ნათქვამი, თან ისეთი ფორმით, თითქოს ვინმე დამნაშავეს გულისხმობდა. ამ სამმა სიტყვამ გულში დაჭრა კაცი, რომელიც ომის დროს სხვანაირი, უკეთესი გერმანიისთვის იბრძოდა და საკუთარი ნებით დაბრუნდა სამშობლოში.

კედლის აშენების წინა პერიოდში ბრანდტის წარსული დიდად სალაპარაკო თემა არ გამხდარა. მსმენოდა, რომ მძიმე ბავშვობა ჰქონდა ლიუბეკში. მისი ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდი მხოლოდ ზოგადად ვიცოდი: თუნდაც არცთუ უსაფრთხო გაქცევა ბალტიის ზღვის გავლით, დანიაში, შემდეგ ნორვეგიაში გატარებული წლები, შვედეთში თავის შეფარება ომის დროს და არაჩვეულებრივ რუთთან, მის მეუღლესთან შეხვედრა. გერმანიაში ნორვეგიული სამხედრო უნიფორმით დაბრუნდა, თუმცა, ეს მაშინ არც უცნაურობა იყო და არც

დასაძრახი. სხვების წინაშე ამაყობდა, რომ ნაციონალ-სოციალიზმის მოწინააღმდეგე იყო. მხოლოდ მარტო ყოფნისას გადააქნევდა ხოლმე თავს, უკვირდა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ რად არ იხმო უკან ემიგრანტები. უფრო მეტიც, ეს დასავლეთ გერმანიის შეცდომად მიაჩნდა, აღმოსავლეთ ბერლინის მსგავსი შეცდომა არ დაუშვია. როდესაც ფაშისტებმა სამარცხვინოდ ჩამოართვეს მას მოქალაქეობა და წაართვეს სამშობლო, მოქალაქეობის აღსადგენად შეიტანა განცხადება. ბიუროკრატიული პროცედურა საოცარ წინააღმდეგობაში მოდიოდა ბუნებრივ მოლოდინთან, რომ კარგად მიიღებდნენ. რა უნდა ექნა, რომ მიეღოთ და ეს ერწმუნა?

რა არ ვიცოდით ჩვენ: სანამ ბრანდტი ბერლინში უკონტროლო დაპირისპირების და სისხლისღვრის აღსაკვეთად იბრძოდა, ადენაუერმა საბჭოთა ელჩი დაიბარა და დაარწმუნა, ბონი სულაც არ აპირებს, მდგომარეობა გაამწვავოსო. არადიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავს, მოსკოვს შეუძლია ბერლინის ხმაურიანი მერი სერიოზულად არც მიიღოსო.

გაცოფებული ბრანდტი შიშს მოგგვრიდა. კატეგორიულად უგულვებელჰყო, როცა ურჩიეს, ამ სამარცხვინო საქციელს ნუ აჰყვებიო. მაგრამ ხელჩასაჭიდად ვერაფერს დაუპირისპირებდა, მხოლოდ თავდაცვა კი ღირსებას შეულახავდა. ფრანც იოზეფ შტრაუსმა, ასევე საარჩევნო კამპანიისას, მზაკვრულად და ფარისევლურად განაცხადა, ვიცი, ომის დროს რასაც აკეთებდით (ნეტა მართლა იცოდა?); ყოველი დღე შხამად გვექცა, როცა საათები იფლანგებოდა დისკუსიებში, როგორ დავპირისპირებოდით ასეთ ცილისწამებას და ეჭვებს სამართლებრივი გზით. ასობით მოგებული პროცესიც კი არაფერს მოიტანდა. მხდალი ნაძირლები ზურგში დანას გვირტყამდნენ და ლათინური გამოთქმის უტყუარობაში გვარწმუნებდნენ: *Semper aliquid haeret*. მაგრამ სანყენია, როცა რალაც ნალექი რჩება. 1965 წლის წარმატებული, მაგრამ მოლოდინთან შედარებით მაინც წაგებული

არჩევნების შემდეგ, ბრანდტი და მისი მეუღლე რუთი სერიოზულად ფიქრობდნენ ნორვეგიაში დაბრუნებულიყვნენ.

ვისაც სურს შეიცნოს ბრანდტის პიროვნება, არ უნდა გამოორჩეს მუდმივი ჭრილობა, თუნდაც იგი შეხორცებული ჩანდეს, რაც მას ადენაუერის სიტყვებმა და შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, მისი წარსულის წინააღმდეგ წარმართულმა კამპანიებმა მიაყენეს. გულქვა სულაც არ იყო, რომ ყოველდღიური პოლიტიკური შემოტევებისთვის და სიძულვილით სავსე კამპანიებისთვის იოლად გაეძლო. ასევე მწვავედ განიცდიდა, როცა მისი ვაჟების ტოლერანტულ აღზრდაზე ქილიკობდნენ. საკუთარ სუსტ მხარეებს არ მალავდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი ღირსება. და სწორედ ამით იზიდავდა ადამიანებს და ამით მოიპოვა პოპულარობა. ბრანდტის მგრძნობიარე ბუნება მის ძლიერ მხარედ იქცა.

ჭრილობის ნაწიბურები აღარ სტკიოდა, როცა უკანასკნელად შევხვდით. ბრძოლა უკვე დასრულებულიყო. გარდაცვლილ ფედერალურ კანცლერს, საუკეთესო გაგებით ცივილურ ადამიანს, უმაღლესი სამხედრო პატივი მიაგეს ბერლინის რაიხსტაგში – ეს იყო იმის სიმბოლო, რომ იგი საკუთარმა ქვეყანამ მიიღო, ზუსტად ისე, რასაც თვითონ დიდხანს ამაოდ ელტვოდა: შინ დაბრუნდა.

## ჩაკირული გაყოფა

1945 წლის აგვისტოში, ის-ის იყო შევისწავლე ახალი ამბების გავრცელების ამერიკული წესი – ვინ, როდის, როგორ, სად და რა – შეძლებისდაგვარად უნდა წარმოჩნდეს პირველივე წინადადებაში. მაშინ წავიკითხე, რომ გამარჯვებულებმა პოტსდამში საიდუმლო შეხვედრა გამართეს და გერმანიის შესახებ ხელშეკრულება დადეს. არ გამკვირვებია, რომ რადიოში არც ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა იცოდნენ რამე და არც დამარცხებულმა გერმანელებმა. საოცარი შვება ვიგრძენი: გერმანია გაუყოფელი დატოვეს. წარმოების აღმშენებლობის უფლება კი მოგვცეს, რა თქმა უნდა, არა იარაღის წარმოების, რაც ისედაც არავის სურდა, და დავკარგეთ მიწები ოდერის იქითა მხარეს – მტკივნეული იყო, მაგრამ გასაგები. მმართველობა ოთხ ზონად დაიყო ქვეყანაშიც და ბერლინშიც, რომელიც წარმოადგენდა ოთხი გამარჯვებული ძალის პასუხისმგებლობის ერთადერთ საერთო რეგიონს. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რამხელა ტვირთი წამოიკიდეს.

ვერავინ იფიქრებდა, რომ რაიხის წინააღმდეგ ომის დროს გაერთიანებული მეკავშირეები, შემდგომ ოთხ წელიწადში, ცივი ომის მოწინააღმდეგენი გახდებოდნენ და ორ გერმანულ სახელმწიფოს დააარსებდნენ. ვერავინ განჭვრეტდა, რომ დროის იმავე მოკლე მონაკვეთში დედაქალაქი გაიყოფოდა და ურთიერთმუქარის და შანტაჟის ობიექტად იქცეოდა, და რომ

საშიში დაპირისპირება კულმინაციას 1961 წლის ოქტომბრის ბოლოს მიაღწევდა, სროლის სურვილით შეპყრობილი ამერიკელების და საბჭოელების ბერლინის ფრიდრიხშტრასეზე განლაგებული ტანკების წყალობით. ოთხი ძალის სტატუსმა, რომელიც გერმანიაზე ერთობლივი კონტროლის ინსტრუმენტად იყო ჩაფიქრებული, სექტორების დემარკაციის ხაზებისგან ორ სისტემას შორის საზღვარი შექმნა. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით იქ ნატო და ვარშავის ხელსეკრულება იდგა ერთმანეთის პირისპირ. მათი კანონები ამოქმედდა და გამარჯვებულები საკუთარი ინტერესების მიხედვით აქცია. ბერლინი ორივე მხარისათვის ზედმეტი ტვირთი აღმოჩნდა. ვერცერთი მისცემდა თავს უფლებას, ეს ტვირთი ჩამოეხსნა, თუმცა ორივეს შეეძლო მისი განეიტრალება ეცადა. პრესტიჟი აიძულებდა ორივე მხარეს, მოენდომებინათ, რომ ბერლინი სანდო, ერთობლივად გარანტირებული სტაბილურობის კერად ექციათ.

კედლის აღმართვა ცივი ომის კულმინაციად და მისი დასასრულის დასაწყისად იქცა, რაც მაშინ არ შეიმჩნეოდა. როგორ უნდა გაგეგო, რომ 1961 წლის 14 აგვისტოს ბერლინის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმართული ყველა ქუჩა მავთულხლართებით გადაკეტეს და, ამავე დროს, გამოიცა გდრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, რომ დასავლეთის სამი გამარჯვებული ძალის წარმომადგენლებს მხოლოდ სამი გასასვლელით შეეძლოთ ესარგებლათ და ბოლოს ამ სამიდან მხოლოდ ერთი – ჩარლის გამზვები პუნქტი დარჩა ფრიდრიხშტრასეზე? უპირველეს ყოვლისა: დასავლეთის სამი გამარჯვებული ძალა ემორჩილებოდა მინისტრის მითითებას, რომელსაც ამის უფლება არ გააჩნდა და სახელმწიფოსას, რომელიც, მათი გაგებით, საერთოდ არ არსებობდა.

ოსლოში ნატოს სხდომის მოგონება და საბჭოთა მემორანდუმი, რომელიც ბრუნო კრასკიმ წამაკითხა, მესხიერებაში

ისევ ამომიტივიტივდა და უსიამოვნო ეჭვი გამიჩინა, რომ ეს ყოველივე ჩუმად ხომ არ მომზადდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთობლივი შეთანხმებით. მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა და კენედიმ უშედეგოდ მოუსინჯეს ერთმანეთს კბილი ვენაში, ჯონ მაკკლოი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აშშ-ს ყოფილი უმაღლესი კომისარი, ყირიმში გაფრინდა და ხრუშჩოვს ჩოგბურთი ეთამაშა. ნეტავ ერთმანეთს იმაზეც ხომ არ ესაუბრნენ, რომ მოესინჯათ, როგორ შეიძლებოდა მშვიდობიანად მოეგვარებინათ ბერლინის სადავო საკითხი? სავალდებულო შეთანხმებებს ვერ დადებდნენ. მაგრამ აღმოსავლეთი 13 აგვისტოს შემდეგ სამი დღე ელოდებოდა დასავლეთის რეაქციას, სანამ მავთულხლართებს ქვითა და ბეტონით ჩაანაცვლებდა და კედლის მშენებლობას დაიწყებდა. რისკი აღარ არსებობდა.

როდის მიხვდა კენედი, რომ ბერლინის, სამხედრო თვალსაზრისით დასავლეთის ყველაზე სუსტი წერტილის დაცვა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ არც მუდმივი პოლიტიკური ზენონა შეიძლებოდა მისადგომ გზებზე? უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ განმუხტვის პოლიტიკაზე მოსკოვი არ წამოვიდოდა, სანამ არსებობდა აქილევსის ქუსლი – ბერლინი. საპირისპიროდ აღწერა სიტუაცია ამერიკელმა ისტორიკოსმა, ჰოუპ ჰარისონმა 2003 წელს, მას შემდეგ, რაც მოსკოვის არქივები შეისწავლა – რომ ხრუშჩოვმა მოატყუა ულბრიხტი. იგი მზაკვრულად შეჰპირდა ულბრიხტს ცალკე სამშვიდობო ხელშეკრულებას და ამავე დროს მისი მთავარი მიზანი იყო სტაბილურობის მიღწევა მეორე სუპერ-სახელმწიფოსთან. კენედიმ კი თავისი წარმატება – ბერლინის უსაფრთხოების ხელშეუხებლობა – მხოლოდ 1963 წელს გამოხატა შეძახილით „Ich bin ein Berliner“.

მას შემდეგ ბერლინში კრიზისი აღარ დამდგარა, სანამ კედელი არ დაინგრა. აღარც გერმანიაში. ვაშინგტონსა და მოსკოვს აღარ უცდიათ გერმანიის გაყოფის შემსუბუქება ან სუ-

ლაც გადალახვა. ევროპაში სტატუსს კვო კარგად მუშაობდა და კუბის კრიზისსაც კი გაუძლო; იგი მხოლოდ მაშინ შეირყა, როცა გერმანია გაერთიანდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა. არ მახსენდება ისტორიის არცერთი დაუნერეელი შეთანხმება, რომელსაც ასე შეუმცდარად ემუშაოს ოცდაათი წლის განმავლობაში. ამ განზომილებას ვერცერთ დედაქალაქში ვერ განჭვრეტდნენ.

\*

პრეზიდენტი კენედი თავდაპირველად გაოგნდა, რომ არა ვთქვათ, გაბრაზდაო, ვილი ბრანდტის წერილზე, თუმცა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და 1500 კაციანი საბრძოლო დანაყოფით გააძლიერა ბერლინის გარნიზონი. ჯარისკაცების გასამხნეველად ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი და საჰაერო ხიდის გმირი გენერალი ლუციუს დ. კლეი მოავლინა ბერლინში; ბერლინელები კი ისეთი ოვაციებით შეხვდნენ ამერიკელებს, თითქოს საკუთარი ჯარისკაცები გამარჯვებულნი დაბრუნებოდეთ ომიდან.

ჯონსონი გრძნობდა, როგორ უმჯობესდებოდა განწყობა და გახალისდა. შიონებერგის რატუშაში შეხვედრისას ბრანდტის ფეხსაცმელი მოეწონა. ვინც სხვისგან ელის მოქმედებას, თვითონაც უნდა გაისარჯოს. ჰოდა, პროტოკოლმა შაბათ დღეს უკვე დაკეტილი მალაზია გააღებინა და ფეხსაცმელი უშოვნა. გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ განსხვავებული ზომის ტერფები ჰქონია – ესეც მოგვარდა.

კენედის საპასუხო წერილი, რომელიც ჯონსონმა გადმოგვცა, მხოლოდ მისი გაფრენის შემდეგ წავიკითხეთ. პრეზიდენტის გზავნილმა ცივი წყალი გადაგვასხა: კედლის მოშლა მხოლოდ ომითაა შესაძლებელი, მაგრამ „ვერც თქვენ და ვერც ვერავინ



მეკავშირეთაგან ვერასოდეს იფიქრებს აქ ომი წამოიწყოს“. ის, რომ კედელი ხრუშჩოვის დამარცხებას ნიშნავდა, რადგან იგი მას არ ააშენებდა, მიზნად მთელი ბერლინის დაკავება რომ განეზრახა, თავის მოტყუებად აღვიქვით და კენედის შორსმჭვრეტელობას ვერ მივუხვდით.

ახლა უკვე ვიცოდით: გაყოფა ხანგრძლივი ამბავი იქნებოდა. ამის ხმამალლა თქმა არ შეიძლებოდა, რომ ხალხს იმედი არ დაჰკარგვოდა. უპირველეს ყოვლისა, მწარე შეგრძნება დაგვეუფლა. ჩვენს სტუდენტებს უნდოდათ ალჟირელი თანატოლებისთვის მიებაძათ და პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებით დაენგრიათ კედელი. სენატი იძულებული გახდა პოლიცია გამოეყო კედლის დასაცავად. ჩვენს პოლიციელებს არ ჰქონდათ უფლება იარაღით დაეცვათ ლტოლვილები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აზრით, მათ სამართლიანად უნდოდათ გაქცეულიყვნენ; პოლიციას არც გდრ-ის ჯარისკაცებზე სროლის უფლება ჰქონდა, ჩვენი გაგებით ისინი უკანონო ატარებდნენ სამხედრო ფორმას და იარაღს. ჩვენს პროკურატურას არ შეეძლო საქმე აღეძრა დახმარების განწევაზე უარი თქმის ბრალდებით, რადგან მშვიდობა ჩვენსავე ინტერესებში იყო. სტატუს კვოს არაფერი უნდა დამუქებოდა.

ის, რასაც სენატი მიხვდა, მაგრამ ვერ გამოთქვამდა, ერთი წლის შემდეგ გაცხადდა, როდესაც ლტოლვილ პეტერ ფეხტერს ესროლეს. ფეხტერი აღმოსავლეთ სექტორში წაიქცა და ორმოცდაათი წუთი არ ეპუებოდა სიკვდილს, სანამ სული არ დალია. დასავლეთ ბერლინელებმა იქვე მდგარ ამერიკელ ოფიცერს მიმართეს, მისთვის დახმარება გაენია, შეაგულიანეს, შენ ხომ სამხედრო ფორმა გიცავსო. უგრძნობელმა და კორექტულმა პასუხმა არ დააყოვნა: „ჩემი კომპეტენცია სექტორის საზღვართან მთავრდება“. ასე გაშიშვლდა ნამდვილი რეალობა, რამაც ომის შემდეგ პირველი ანტიამერიკული მიტინგები გამოიწვია. როდესაც ჩარლის გამშვებ პუნქტთან ამერიკული

და საბჭოთა ტანკები ერთმანეთისგან 200 მეტრის დაშორებით განლაგდნენ, ბრანდტმა რატუშაში თქვა – როცა სპილოები ცეკვავენ, ჯობია თავუნები სადმე შეიყურონ.

1963 წლის 23 ივნისს კენედის ვიზიტი ბერლინში მისმა პრეს-სპიკერმა პიერ სელინჯერმა მოამზადა. მაშინ შეევიტვისე: სიტყვით გამომსვლელის მიმართ ტელეკამერის დახრის კუთხე და დაშორება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იქვე მსმენელები-სადმი, რადგან ტელევიზია მეტ მაყურებელს სწვდება.

ოვაციების ფონზე, ქალაქში გასეირნების შემდეგ პრეზიდენტმა ჯერ მმართველი მერის საპირფარეო „დაათვალიერა“, სანამ მის კაბინეტში, თარჯიმანთან ერთად ბოლთის ცემას და ჩურჩულთ თავისი გამოსვლის მეცადინეობას მოჰყვებოდა. ჩვენგან არავინ იცოდა, რის თქმას აპირებდა პრეზიდენტი. ბრანდტის საწერ მაგიდასთან ადენაუერი იჯდა და გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდს“ კითხულობდა. რატუშის წინ მოედანი არასოდეს ყოფილა ასე გადავსებული. როდესაც კენედიმ თავისი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა, რომელიც ბერლინის ხელშეუხებლობას ნიშნავდა, ადენაუერს გაეხარდა, ბრანდტს კი სახე მოეჭმუნა. „Ich bin ein Berliner“ ზუსტად შეესატყვისებოდა საერთო განწყობას. ნაშუადღევს, თავისუფალ უნივერსიტეტში პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმუხტვაზე და თანამშრომლობაზე ისაუბრა. ახლა ბრანდტს უხაროდა, ადენაუერს კი სახე გაუშეშდა.

კენედით აღტაცების მიუხედავად, ცხადი გახდა: ამ ურჩხულის – კედლის დანგრევაში არავინ დაგვეხმარებოდა. სწორედ ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში იშვა მოსაზრება, ერთეული ადამიანებისთვის მაინც გამხდარიყო შესაძლებელი „გალმა“ მყოფი ოჯახის წევრების მონახულება, თუნდაც რამდენიმე საათით. ადამიანური ყოფის შემსუბუქების საწინააღმდეგო ოთხიდან არც ერთ ძალას არ გამოუთქვამს. არც მერე, როცა დაადგინეს, რომ ამისათვის მანამდე სენატსა და აღმოსავლეთ

ბერლინს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების ტაბუ უნდა დარღვეულიყო. გამარჯვებულმა ძალებმა ხომ სტატუს კვოს გამყარება დაუნერვლ კანონად მიიღეს და განახორციელეს კიდევ. ახლა ისლა ანუხებდათ, ხელშეუხებელი დარჩენილიყო მათი, როგორც გამარჯვებულების მუდმივი უფლებები. გამარჯვებულების მიმართ პატივისცემა გახლდათ საკუთარი ინტერესების გატარების ერთადერთი გზა. ასე უწყინრად დაიწყო გასვლის ნებართვების გაცემა, რომლითაც 1963 წელს, საშობაოდ, პირველად მოინახულეს დასავლეთ ბერლინელებმა თავიანთი ნათესავები ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში.

1963 წლის 18 დეკემბერს ვილი ბრანდტი ორმოცდაათი წლის შესრულდა. ეს იყო პირველი დღე, როცა გაიცა აღმოსავლეთში გადასასვლელი ნებართვები. როცა დაბადების დღე მიულოცეს, თქვა: „ეს არის ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო დღე. შობის ეს კვირები დაგვანახებს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები და ერთი ერი ვართ“.

ის, რომ რვა წლის შემდეგ, 1971 წელს, ეგრეთ წოდებული ოთხი გამარჯვებული ძალის ხელშეკრულება მთელი გერმანიის საკითხზე მოლაპარაკებებს ორივე გერმანული მთავრობის მონაწილეობის გარეშე ვეღარ განახორციელებდა, ჯერ ჰორიზონტზე არ ჩანდა. ხოლო ცხრამეტი წლის შემდეგ, 1990 წელს, ოთხი გამარჯვებული ძალა ნოტარიუსად იქცა, რომელთაც სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა რეალობის აღიარებისა, რომელიც კედელზე მიტანილმა იერიშმა გამოიწვია.

უკან მიხედვისას დასტურდება, რომ კედლის აღმართვა გერმანიის ომისშემდგომი ისტორიის გარდატეხის მომენტია. მან გამოიწვია გერმანიის განმუხტვის პოლიტიკა, რომელმაც ოთხი გამარჯვებული ძალის მიერ გაყოფილი ორი გერმანული ობიექტი ევროპის შუაგულში ერთ სუვერენულ სუბიექტად აქცია. ამ პოლიტიკის გარეშე, ასეთი სახით გაერთიანებას ვერასოდეს მივაღწევდით.

## ახალი მიზნები

მნიშვნელოვან პროგრამულ ნიშნულად იქცა 1963 წლის ივლისში ტუტცინგის ყრილობა. იმის გათვალისწინებით, რომ ორ წელიწადში კანცლერი შეიძლება გამხდარიყო, ტუტცინგის ევანგელისტური აკადემიის პოლიტიკურმა კლუბმა ბრანდტს სთხოვა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მისეული ხედვა წარედგინა. დიდი მონდომებით ვიმუშავეთ ხელნაწერზე, ბევრჯერ შევასწორეთ. ამასობაში აკადემიის დირექტორმა როლანდ-ფრიდრიხ მესნერმა დამირეკა და მთხოვა სადისკუსიო გამოსვლა მომემზადებინა. ვჭომანობდი, თავი სრულიად დაცარიელებული მქონდა. ხანგრძლივი ხვეწნის მერე გადავწყვიტე ბრანდტის სიტყვიდან ერთი პუნქტი გამომეყო და მის მაგალითზე მეჩვენებინა, თუ რას ნიშნავდა ჩვენი საგარეო პოლიტიკური კონცეფცია ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისთვის. ამ იდეის გაჩენის შემდეგ საათ-ნახევარში ჩემს მოადგილეს ვუკარნახე ტექსტი, მან კი იქიდან აირჩია ფრაზა „გარდაქმნა დაახლოების გზით“ და სათაურად წარუმძღვარა ჩემს გამოსვლას. მიუნხენისკენ გზაში ხელნაწერი ბრანდტსაც ვაჩვენე. მან წაიკითხა, კუშტად დამიბრუნა და მითხრა „კარგი“.

ორივე ჩვენგანისთვის მოულოდნელად, ჩემი ხალმოკლე სიტყვა დისკუსიაზე პოლიტიკური ბომბივით აფეთქდა და

ბრანდტს არ დაუფარავს უკმაყოფილება, რომ მის გრძელ გამოსვლას საკადრისი ყურადღება არ მოჰყოლია. დისკუსიაში ჩემს წვლილზე, რომელსაც ჩვენსავე პარტიაში გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა, ჰერბერტ ვენერმა თქვა „ბარ-აქალა ამ უაზრობასო“, თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ჩემი თეზისი ბონის განმუხტვის პოლიტიკად იქცა.

\*

სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატის გამოცდილებას ჩვენს მეზობელ კონტინენტთან – აფრიკასთან შეხვედრა აკლდა. მე ნამყოფი გახლდით საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში – დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში და შემდეგ, 1959 წელს, განაში ვიმუშავე ფედერალური მთავრობის წარმომადგენლის რანგში. დიდი ძალისხმევა დამჭირდა შეფი დამერწმუნებინა, რომ ასეთი მოგზაურობა აუცილებელი იყო და როგორც იქნა, 1963 წლის შემოდგომაზე აფრიკაში გავემგზავრეთ. პირველი გაჩერება კაიროში შთამბეჭდავ შეხვედრას გვიმზადებდა გამალ აბდელ ნასერთან, რომელმაც მშვიდად და დაჟინებით გაგვაცნო თავისი პესიმისტური ხედვა: როცა ასუანის კაშხალი დასრულდება და ათი წლის შემდეგ ტბა დაგუბდება, ბამბის მოსაშენებელი ფართობი კი გაორმაგდება, მაგრამ მოსახლეობა კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება და სიღარიბე მოიმატებსო.

მისმა აღმატებულებამ, ეთიოპიის მეფე ჰაილე სელასიმ აგვიხსნა, რომ იმაზე მეტ ახალგაზრდას არ მიეცემოდა ევროპაში სწავლის უფლება, რამდენიც ქვეყანას სჭირდებოდა. უნივერსიტეტი მხოლოდ ახალგაზრდობის მოუსვენარ, დაუსაქმებელ მასას ქმნისო. იულიუს ნიერერე დარესსალამში გვარწმუნებდა, ჩემს ქვეყანას სოფლის მეურნეობაში დახმარე-

ბა კი არ სჭირდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, არამედ საჭირო ტექნიკა, რომ ტანზანიაზე სრული ენერგოდამოკიდებულება შევამციროთო. ცოტა ხნის წინ დამოუკიდებლობა მოპოვებულმა, მაგრამ საერთაშორისო კონცერნებზე დამოკიდებულმა სახელმწიფოებმა, როგორცაა ნიგერია და ალჟირი კი ჩემს მეგობარს ბევრი სიახლე შესძინეს.

როდესაც ბერლინში დავბრუნდით, ბრანდტის სახლში შევიკრიბეთ შლახტენზეზე, იქ იყო მისი მოადგილე ჰაინრიხ ალბერტციც, რომელმაც გვიამბო, რა მომხდარიყო ამასობაში ჩვენს „პატარა ქალაქში“. ტელეფონთან მიხმეს და შემატყობინეს, რომ კენედიზე თავდასხმა განეხორციელებინათ. ცოტა ხანში წამოგვეწია მისი სიკვდილის თავზარდამცემი ამბავი. მძიმე რეალობა გლოვის დროს არ გვიტოვებდა. განცხადებები, დროშების დაშვება, ინტერვიუები და დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობა იყო უპირველესი გადასაწყვეტი საკითხები. ამასობაში ბერლინელებმა ფანჯრებში სანთლები აანთეს, როგორც ერნსტ როიტერის გარდაცვალებისას. ისინი გლოვობდნენ კაცს, რომელმაც უსაფრთხოების გარანტია მისცათ. 1963 წლის 22 ნოემბერი მსოფლიოში ბევრ ადამიანს არ დაავიწყდება.

1964 წლის დასაწყისში ბრანდტმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სათავეში ან გარდაცვლილი ერის ოლენჰაუერი შეცვალა. მომდევნო წელს მეორედ განაცხადა პრეტენზია ფედერალური კანცლერის პოსტზე. ისევ რეკორდული მაჩვენებელი მოუტანა თავის პარტიას, მაგრამ ლუდვიგ ერჰარდთან დამარცხდა.

## გამოუქვეყნებელი წიგნი

1965 წელს არჩევნებში კიდევ ერთი დამარცხებისა და კედლის აშენების შედეგად გერმანიის საკითხის დაბლოკვის გამო, ვიფიქრე, რომ აღმოსავლეთისა და გერმანიის შესახებ მომავლის პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება სასარგებლო იქნებოდა, სათაურით „ახლა რას ვშვრებით?“ 180 გვერდიანი ხელნაწერი 1966 წლის მარტის ბოლოს მზად იყო. ვილი ბრანდტს გადავეცი, მან კი სულ მალე, 6 აპრილს დაწვრილებით მიპასუხა.

კონცეფცია ცელენდორფში ჩემი გამოსვლის გაგრძელებას წარმოადგენდა და ბონის მიერ მანამდე გატარებული პოლიტიკის მკაფიო შემობრუნებას განიხილავდა, მაშასადამე, ჯერ დაძაბულობის განმუხტვა და შემდეგ გაერთიანება. გერმანიის საკითხის გადაჭრის გზად დავამუშავე ევროპული უსაფრთხოების სისტემის საკითხი, რომელიც გერმანიის უსაფრთხოებას გერმანიისგან უსაფრთხოებას უკავშირებდა და ორივე სუპერ-სახელმწიფოს მიერ სტაბილურად განხორციელებულ დაშინების პოლიტიკას ეფუძნებოდა. პროცესი უნდა დაწყებულიყო ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის მონესრიგებული თანაარსებობის შესახებ შეთანხმებით და მოსკოვი უნდა ყოფილიყო მასში მუდმივად ჩართული. მიზნად დასახული სტაბილურობა არ უნდა გადაზრდილიყო ძალადობრივ დაპირისპირებაში – როგორც ეს მოხდა 1953 წელს გდრ-ში და 1956 წელს პოლონეთსა და უნგრეთში. 1989 წელს, კედელ-

ზე იერიშის შემდეგ, ოთხივე ძალა აფრთხილებდა გერმანელ პოლიტიკოსებს: „პროცესი უკონტროლო არ უნდა გახდეს“. 1966 წელს ვერცერთი მთავრობა ვერ იწინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის დაშლას. გარკვეული სახის ლიბერალიზაცია შესაძლებლად მიიჩნეოდა, მაგრამ არა იმპერიის დასასრული.

ვილი ბრანდტის რეაქცია მოულოდნელ ხელნაწერს სწრაფად მოჰყვა, იგი ავტორის სულისკვეთებას სრულად იზიარებდა. „ბერლინის პრესის სამსახურის უფროსი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის უშუალო თანამშრომელი ამ ნაწერს ამ სახით ვერ გამოაქვეყნებს“. მან მთხოვა, ხელნაწერი „პარტიის ხელმძღვანელობის შიდა მსჯელობის დოკუმენტად მექცია“. ტუტცინგში ჩემს გამოსვლაზე რეაქცია ჯერ კიდევ კარგად მახსოვდა. შეფის ინტერესში ვერ იქნებოდა ისეთი შინაარსის წიგნი, რომელიც მძაფრ დაპირისპირებას გამოიწვევდა. მისი შემოთავაზება იყო „პატარა სამუშაო ჯგუფის“ შექმნა და სავარაუდოდ, შემოდგომისთვის „ჯეროვნად გადამუშავებული ვერსიის“ გამოქვეყნება, გარდა ამისა, შემოგვთავაზა, ევროპის უსაფრთხოების და გაერთიანებული გერმანიის უსაფრთხოების ღონისძიებების საკითხი ჰელმუტ შმიდტთანაც განვიხილოთ. მისი თავმეკავება აღვიკვი როგორც უარყოფის დახვეწილი ფორმა. იგი ეხებოდა საფეხურებრივ მოდელს, რომელზედაც მითხრა, „პრაქტიკული პოლიტიკის თვალთახედვიდან შეუძლებელი მგონია“.

ტექსტში ვაყალიბებდი აზრს, რომ „ბერლინის მმართველი მერი ვილი ბრანდტი ამ წიგნით მხოლოდ უფლებას აძლევს თავის თანამშრომლებს, ჰქონდათ საკუთარი აზრები და გამოხატონ კიდევ ისინი“. მან დაუნდობლად მკაფიო ხელნაწერი კომენტარით მიმითითა ერთ ეპიზოდზე, რომელიც სამართლებრივ საკითხებში პრეზიდენტ კენედის მრჩევლის, ტედ სორენსენის მიერ დაწერილ კენედის ბიოგრაფიაში გვხვდება: „1960 წლის დეკემბერში კენედისთან ერთად მოსაწვევები განვიხილეთ, რო-



მელიც ჩემთვის გამოეგზავნათ. მოხსენებების წასაკითხად მე-პატიჟებოდნენ; გარდა ამისა, რამდენიმე ჟურნალს სურდა ჩემ შესახებ სტატია გამოექვეყნებინა. „ყველა უკან დააბრუნეთ“, მითხრა მან და მე მის რჩევას ვენდე... „თუ გინდა დავიდარაბას თავი აარიდო, უკანა პლანზე უნდა დარჩე“.

რა ხშირად კითხულობდა შეფი მნიშვნელოვან, საინტერესო, გინდაც პიკანტურ რაღაცებს ჩემზე ადრე (ნეტავ როდის ასწრებდა?). ხშირად მირჩევდა ხოლმე: „ეს შეგიძლია არც წაიკითხო“. ახალი ლიტერატურული გამოცემების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. ჰოდა, მასთან მივედი, რათა კითხვაზე „ახლა რას ვშვრებით“ მეპასუხა, რომ წიგნს არ გამოვცემდი. დიდად არ გაუმახვილებია ყურადღება, სრულიად ახალი თემა გამაცნო. მოსალოდნელია, რომ შემოდგომაზე დიდი კოალიცია შეიქმნას, რაც მაინცდამაინც არ აღმაფრთოვანებსო. ჩემი ფანტაზია საკმარისი აღმოჩნდა იმის წარმოსადგენად, რომ ამ ვითარებაში წიგნი ბომბივით გასკდებოდა.

მაინც არ მინანია, რომ ვიშრომე. უპირველეს ყოვლისა: ბრანდტმა წაიკითხა ხელნაწერი და შემეფასა. ამ თემაზე საუბარი საჭირო აღარ იყო. წიგნი ჩვენი მომავალი წლების პოლიტიკის უმთავრეს თემებს ეძღვნებოდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი ტექსტი საწერი მაგიდის უჯრაში ჩავკეტე და ბრანდტს უსიამოვნება ავაცვილე. იგი ჩემს მეგობრულ ლოიალობას ტყუილად არ ენდობოდა. მისი მრჩევლიდან მეგობრად ვიქეცი.

## მეორე ნაწილი – ბონი

### დიდი კოალიცია – არაპოპულარული და გარდაუვალი

ბრანდტი ჯერ კიდევ 1965 წლის საარჩევნო კამპანიაში მიღებული შეურაცხყოფას და ბუნდესტაგის ნაგებულ არჩევნებს განიცდიდა, მაგრამ 1966 წლის ივნისში პარტიის ყრილობამ ბრწყინვალე შედეგით ისევ აირჩია პარტიის თავმჯდომარედ. 326 დელეგატიდან 324-მა დაუჭირა მხარი.

როდესაც კანცლერ ერჰარდის ფედერალური მთავრობა ვერ შეთანხმდა ქრისტიან-დემოკრატიული და ქრისტიან-სოციალური პარტიების გაერთიანების მიერ დაგეგმილ გადასახადების გაზრდაზე, თავისუფალი დემოკრატების პარტიის მინისტრები 1966 წლის 27 ოქტომბერს გადადგნენ. იმავე დღეს ჩამოვუნერე ბრანდტს ჩვენი შესაძლებლობების დანვრილებითი ანალიზი. „ქდკ/ქსკ გაერთიანებასთან“ ერთად ყოფნა „გარყვნილების“ შთაბეჭდილებას დატოვებდა, თავისუფალი დემოკრატებისთვის, როგორც პარტნიორებისთვის, უეჭველად უნდა მიგვენიჭებინა უპირატესობა. მაგრამ: „თუკი თავისუფალ დემოკრატებთან მათივე მიზეზით არ გამოგვივა, მაშინ კიდევ ერთხელ სერიოზულად უნდა განვიხილოთ დიდი კოალიციის საკითხი ... შეიძლება ეს აღმოჩნდეს ერთადერთი შანსი ამ ქვეყანაში ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად“. ყველა რისკის გათვალისწინებით: „სოციალ-დემოკრატიული პარტია არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს გარეთ“.

სანამ სოციალ-დემოკრატების სახელით ჰერბერტ ვენერი და ჰელმუტ შმიდტი და „გაერთიანების“ სახელით კურტ გეორგ კიზინგერი და რაინერ ბარცელი რიგში დგებოდნენ, კულისებში მომავლის განმსაზღვრელი შეხვედრა შედგა. ბრანდტმა ბონში მიმავლინა, რომ ჰანს-დიტრიხ გენშერთან, მაშინ ბუნდესტაგში თავისუფალი დემოკრატების ფრაქციის თავმჯდომარესთან, შესაძლო კოალიციის საკითხი განმეხილა. საუბარი მის კაბინეტში შედგა. იგი ერთმნიშვნელოვნად ემხრობოდა ასეთი კოალიციის შექმნას, მიუხედავად მინიმალური უმრავლესობისა. მაგრამ გენშერს პარტიული მეგობრები ვალტერ შეელი და ვილიამ ბორმი აფრთხილებდნენ, ლიბერალური ფრაქციის ერთიანობა გარანტირებული არ არისო. ამიტომ ეს მცდელობა დასამარდა, მე კი წერილი დავწერე შეელის სახელზე, რომელშიც შეფი მწუხარებას გამოთქვამდა, რომ კავშირი ვერ შედგა: „ამან არ უნდა შეგვიშალოს ხელი ურთიერთობის გაგრძელებაში ... იმედს გამოვთქვამ, რომ ყოველივეს შევინარჩუნებთ“. მთავრობის დამტკიცება 1966 წლის დეკემბრამდე გაჭიანურდა. ჰერბერტ ვენერმა თავის მიზანს მიაღწია.

დიდი კოალიცია ბრანდტს ეჯავრებოდა. ერჩინა, პარტიის თავმჯდომარედ დარჩენილიყო. მაგრამ პარტიის თავმჯდომარე, რომელიც კაბინეტის წევრი არ არის ან ვიცე-კანცლერი, რომელსაც უმნიშვნელო სფერო აბარია, არა მხოლოდ მის სიამაყეს ეწინააღმდეგებოდა, არამედ ძალაუფლების მიმართ მის დამოკიდებულებას და საგარეო უწყების ხიბლსაც.

წინა წლების ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ კამპანიას ღრმა კვალი დაემჩნია მისი სულისთვის. მალე შეგუება მოუწევდა გავრცელებულ სახელწოდებასთან – „შერიგების ფედერალურ მთავრობა“. იგი მთავრობის წევრების ბიოგრაფიებს იცნობდა: ემიგრანტის და ყოფილი მემარცხენე-სოციალისტის – ბრანდტის გვერდით იჯდა კიზინგერი, რომელიც, ეკონომიკის მინისტრის – სოციალ-დემოკრატ კარლ შილერის მსგავსად,

ადრე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი იყო. მაშინ, როცა ყოფილი კომუნისტი ვენერი – ამჯერად საერთო გერმანული საკითხის მინისტრი – მოსკოვის სასტუმრო ლუქსს გადაურჩა, ფინანსთა მინისტრი ფრანც იოზეფ შტრაუსი კი ვერმახტის ოფიცერი გახლდათ.

შტრაუსს ბრანდტი პატივს სცემდა. მას მიაჩნდა, რომ ბავარიელი თავისი უნარებითა და ენერგიით კანცლერადაც ივარგებდა, მიუხედავად იმისა, რომ თავშეუკავებელი ხასიათი ბევრ რამეში ხელს უშლიდა. ქრისტიან-სოციალისტ შტრაუსს დიდ ელექტროსადგურს ადარებდა, რომელსაც პატარა ბოსლის დამცავები აქვს.

კიზინგერი კი, რომელსაც შინაურულად „კიონიგ ზილბერცუნგეს“ ეძახდნენ, ბრანდტს მსუბუქ წონით კატეგორიად მიაჩნდა. მის საზოგადოებაში თავს კარგად ვერ გრძნობდა და მთავრობის მეთაურთან კომუნიკაცია ვენერს გადაულოცა. ფრაქციის თავმჯდომარეები – ჰელმუტ შმიდტი და რაინერ ბარცელი, ჩინებული მენეჯერები, პარლამენტის უპრობლემო მუშაობას უზრუნველყოფდნენ.

## საგარეო უწყებაში

შიონებერგის რატუმის სენატის კანცელარია, ათობით მაღალი რანგის მოხელითა და ალიანსის წევრებთან დამაკავშირებელი სამი ოფიცრით, ისე განსხვავდებოდა საგარეო უწყების აპარატისგან, როგორც კარგად გამართული მცირე სანარმოვერ გაუტოლდება საერთაშორისო კონცერნს, ანდა, ბერლინის პოლიციის პრეზიდენტის უფლებები და ბონის თავდაცვის მინისტრის ძალმოსილება. ფედერალური დონე სხვა თვისებებს მოითხოვდა და ყოველდღიური ინფორმაციისა და მოქმედებების მოცულობა თვით ბერლინის მმართველი მერისთვისაც სხვა განზომილება აღმოჩნდა. ნახტომი შიონებერგის რატუშიდან პირდაპირ კანცლერის აპარატში ბრანდტს არ გამოუვიდოდა.

საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის – ბრანდტისთვის გაკეთებულ ჩანაწერში, ბერლინში შეთვისებული სტილით, ზედმეტად მკაფიოდ გამოვხატე აზრი: რომ უმნიშვნელოვანესი იყო გაგვებათილებინა ადენაუერის მტკიცება, თითქოსდა მთავრობაში სოციალ-დემოკრატთა ყოფნა გერმანიის დასასრულს მოასწავებდა. „დიდი კოალიციის ფსიქოლოგიური სიმტკიცე, მაშასადამე, მრავალი ტაბუ ჯერ კიდევ დასამსხვრევი იყო“. „ტაბუს დამსხვრევას“ ბრანდტმა ხაზი გაუსვა და იქვე მიაწერა: „არა ორიენტაცია, საერთო ნიშნული!“ მაშასადამე, შერიგება ურთიერთთანამშრომლობით, საკოალიციო მშვიდობის ხარჯზე საგარეო პოლიტიკური ტაბუირების დამსხვრევის მაგივრად.

ჩემს ჩანაწერში დასახული ყველა სხვა მიზანი გაითვალისწინა: დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება აღმოსავლეთ ევროპისა და არაბულ ქვეყნებთან, ნატოს რეფორმა, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ჩინეთთანაც კი. მე ვწერდი: „ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე უკეთ და თან მატერიალური დანახარჯის გარეშე გამოკვეთს ფედერაციული რესპუბლიკის სიმნიფეს“. უკან რომ ვიხედები, დიდი კოალიციის საგარეო პოლიტიკური მონაპოვარი საკმაოდ ძრელია: ნაკლები, ვიდრე გვსურდა და მეტი, ვიდრე ველოდით.

ახალ მინისტრს საგარეო უწყებაში პატივს სცემდნენ. ორი კაცი გადაგვიყვანა ბერლინიდან: კლაუს შიუტცი – სახელმწიფო მდივნის რანგში, რომელიც პრაქტიკულ ტვინად მოიაზრებოდა, და მე, როგორც დაგეგმვის შტაბის უფროსი – თეორიული ტვინი. ჩვენ მხოლოდ პარტიულ ჯარისკაცებად არ გვთვლიდნენ. ან გამოჩნდებოდა, როგორ მოერგებოდა ჩვენი სამეული უწყების გუნდურ სულისკვეთებას. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ჩვიდმეტწლიანი სისტემური საკადრო პოლიტიკის შემდეგ, დაუშვებელი იქნებოდა „სოციალისტური გარდაქმნა“, რომლისაც ყველას ეშინოდა. ამ უწყებისთვის სათანადოდ მომზადებული სოციალ-დემოკრატებიც არ ჩანდნენ. ლოიალობასა და შედეგზე ორიენტირებული ჩვენეული პრინციპი თანდათანობით ცვლილებებს ითვალისწინებდა. გარდა ამისა, წმენდის ჩატარება და მაღალი რანგის მოხელეთა გადამოწმება, ხომ არ იყვნენ მათ შორის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრები, არ შეეფერებოდა შერიგებაზე ორიენტირებულ მთავრობას. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ახალი ფედერალური კანცლერი.

უპირველესი ფიქრი, „თაფლობისთვეში“ ჩამერჭო საკუთარი სოლები, მაშინვე უკუუვადე, რეალობას არ შეესაბამებოდა. საგარეო უწყებამაც ვერ აიცილა თავიდან მესამე რაიხის დროს რეჟიმის მორჩილება. კარგად თუ დააკვირდებოდი, მიხვდებო-

დი, რომ მოხელეები არსებითად არ განსხვავდებოდნენ სხვა უწყებებში დასაქმებულთაგან, თუმცა, თვალში გხვდებოდა დიპლომატიური სამსახურის განსაკუთრებული დამლა, რომელსაც საზღვარგარეთ მსახურება განაპირობებდა: ხასიათი, ნიჭი, ოპორტუნუზიზმი, მოკრძალებულობა და წარმომავლობა უნიკალურად შეთვისებოდა ერთმანეთს. ომის შემდეგ საგარეო სამსახურის აღმშენებლობა ითვალისწინებდა შერიგებას და ეს პროცესი გლობკეს სახელს ატარებდა. „ყოფილების“ – ძირითადად ნაციისტური პარტიის წევრების ქსელი – კვლავ სიმტკიცით გამოირჩეოდა.

ერთ-ერთ შეფასებაში, რომელიც 1966 წლის შობის წინ დავეუნერე ბრანდტს, გამოვყავი სამი ფენა: „ძველი“ საგარეო უწყების რეაქტივირებული პერსონალი, „ახლები“ – ძირითადად შპაიერის დიპლომატიური სკოლის კურსდამთავრებულნი და „გარეშენი“. მეორე ჯგუფი მზად იყო თანამშრომლობისთვის და დიდი მოლოდინითაც გამოირჩეოდა. „გარეშეთა“ ჯგუფი უაღრესად ჰეტეროგენული – ხალხი, რომელიც ისეთი უუნარო აღმოჩნდა, ვერც კი მიხვდნენ, რატომ არ უნდა დაეჯილდოვებინათ „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისთვის განუელი კარგი მუშაობისთვის“ და სხვადასხვა მიზეზთა გამო რატომ „დაიჩაგრნენ“.

სწრაფვა, მთელი უწყება სამუშაო რეჟიმში და ინტეგრირებული გყოლოდა, სელექციურ საკადრო პოლიტიკას ვერ აიტანდა: „პარტიული პოლიტიკის ნიშნით ჩატარებული მკაცრი საკადრო წმენდა ქრისტიან-დემოკრატთა პოლიტიკის იერშეცვლილი გაგრძელება იქნებოდა“, ვწერდი ბრანდტს. დასკვნის სახით შეიძლებოდა თქმულიყო, „უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად გვექცია გულმოდგინედ მუშაობა“. ზოგიერთ „ყოფილთან“ თანამშრომლობას გვერდს ვერ ავუვლიდით. ჩვენს „მეგობრებს“, ცხადია, იმედი გაუცრუვდათ. სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გვაკრიტიკებდნენ და მოითხოვდნენ, განსაკუთრებით

ნაგვეხალისებინა ქრისტიან-დემოკრატთა პოლიტიკით დაჩაგრულნი და დაგვეწინაურებინა უნარიანი სოციალ-დემოკრატები. მაგრამ ბრანდტს დასახული მიზნიდან არ გადაუხვევია: ინტეგრაცია კვლავ გამომწვევად რჩებოდა. ბრანდტი მხოლოდ ახალი კაბინეტის შემრიგებლურ ხასიათს კი არ უწევდა ანგარიშს, არამედ მისი ქმედება გამოცდილების და შორსმჭვრეტელობის გამოხატულება აღმოჩნდა.

საგარეო საქმეთა მინისტრს, პოსტზე სამწლიანი ყოფნისას, ბევრი საჩივრის თუ წინადადების განხილვა უხდებოდა. ამ საქმეში კადრების განყოფილების უფროსი გეორგ ფედერერი მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მრჩეველი და დამხმარე იყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი უწყებიდან „ჩვენი პარტიელი“ გახლდათ, არამედ იგი ყველას იცნობდა, ბუზის სპილოსგან გარჩევა იცოდა და ერთგულებდა მინისტრსაც და უწყებასაც.

ჩვენმა პრინციპებმა გაამართლა. მაგალითად, ისევ შევხვდი ფრანც კრაპფს. ჩვენი შემთხვევითი ნაცნობობა მატარებელში დაიწყო, როცა პარიზში გავემგზავრეთ 1950 წელს, შუმანის გეგმაზე მოსალაპარაკებლად. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რომ ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა „სრულიად უცნობი პროფესორი, გვარად ჰალშტაინი“. იმ კრიტიკერიუმების მიხედვით, რომლებიც იოშკა ფიშერმა შემოიღო საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრები უწყების ჟურნალში ოფიციალურ ნეკროლოგებს აღარ იმსახურებდნენ. ფრანც კრაპფი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, ვისაც ეს შეეხო. ოცდაშვიდი წლისამ დაიწყო 1938 წელს საგარეო უწყებაში მუშაობა და 1940 წლიდან 1945 წლამდე ტოკიოში მსახურობდა საელჩოში. 1947 წელს, როდესაც გატარდა ნაციზმისგან განთავისუფლების პროცედურა, მას „ნაციზმისგან თავისუფალი“ პირის სტატუსი მიენიჭა, 1951 წელს ახალშექმნილ საგარეო უწყებაში დაბრუნდა და დაუბრკოლებლად მიავლინეს ჯერ პარიზში და მერე ვაშინგტონში, 1966



წელს ტოკიოში დაინიშნა ელჩად, 1971 წელს კი ბრიუსელში, ნატოში ჩვენი მისიის ხელმძღვანელობა დაეკისრა.

როდესაც ჰაინრიხ ალბერტი ბენო ონეზორგზე განხორციელებული სასიკვდილო გასროლის შემდეგ მმართველი მერის თანამდებობიდან გადადგა, ბრანდტი იძულებული გახდა კლაუს შიუტიცი მიეწვინებინა ბერლინში. ახალ სახელმწიფო მდივნად წარადგინეს გეორგ ფერდინანდ დუკვიტიცი. ამ ძველი სამინისტროს კაცმა, 1932 წლიდან ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრმა, 1943 წელს კოპენჰაგენში ჩვენს წარმომადგენლობაში მუშაობისას გაიგო, რომ ებრაელებს დეპორტაციას უპირებდნენ და ჰანს ჰედტოფტს შეატყობინა; ეს უკანასკნელი, ომის შემდეგ, დანიის პრემიერ-მინისტრი გახდა. თითქმის ყველა ებრაელის გაყვანა და გადარჩენა მოხერხდა ნაგებობით შვედეთში. დუკვიტიცი 1950 წელს დიპლომატიურ სამსახურში დააბრუნეს. რა გასაკვირია, რომ ომის შემდეგ, იგი კოპენჰაგენში ფედერაციული რესპუბლიკის სასურველი და პატივცემული ელჩი გახდა.

ძველ უწყებაში მსახურობდა ჰანს ფონ ჰერვართიცი. იგი 1939 წლამდე მოსკოვში, გერმანიის საელჩოში მუშაობდა და ებრაელმა ბებიამ გადაარჩინა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრობას. ახალი სამინისტროს ჩამოყალიბებისას პროტოკოლის შეფი გახდა, შემდეგ ელჩი ლონდონში და შემდეგ ფედერალური პრეზიდენტის აპარატის უფროსი. ბრანდტმა იგი უკვე პენსიონერი დააბრუნა და საგარეო უწყების რეფორმის შემუშავება დაავალა. ამ გეგმამ ბევრი უწყების პროტესტი გამოიწვია, განსაკუთრებით მათი, ვინც საგარეო პოლიტიკას გემო ბრიუსელში ევროპული უწყების დაარსების წყალობით გაუგო და ახლა საგარეო საქმეებში არათუ მონაწილეობა ენადათ, არამედ გავლენა. კიზინგერი ამართლებდა მეტსახელს „მოხეტიალე უწყებათაშორისი კომიტეტი“, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრს დაუთმო და თავისი კომისია შეაქმნევინა

რეფორმის გასატარებლად. კომისიის საბოლოო ანგარიში 1971 წელს დაიდო, ხოლო შესაბამის კანონს 1990 წელს ეყარა კენჭი ყველა ფრაქციის მონაწილეობით. ბრანდტი, გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე მოესწრო „ჩასახული შვილის“ დაბადებას.

მმართველ მერს მსოფლიოში მოგზაურობისას ჩვენს წარმომადგენლობებში ნამდვილად უზადოდ ხვდებოდნენ და მხარში ედგნენ, თუმცა, სოციალ-დემოკრატებს უცხოეთში არასოდეს გადავყრივართ. ეს გამოცდილება მის მიდგომას ესადაგებოდა: ვინც გადასახლებაში უკეთესი გერმანიისთვის იბრძოდა, უკან დაბრუნებული შურისძიებას და ანგარიშსწორებას ვერ იქადაგებდა. ამიტომაც იბრუნა, რომ როდესაც ალბერტ შპეერი 1966 წელს შპანდაუს ციხიდან გამოუშვეს, გამარჯვებული ძალების უწყების პროცედურა მასზე არ განხორციელებულიყო. ჟურნალისტმა ინგე დოიჩკორნმა ამის გამო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წიგნაკი ჩააბარა და ისრაელის მოქალაქეობაზე შეიტანა განცხადება.

მოკლედ: ბრანდტი იქცა ინტეგრაციის მამად, არა წარსულის შესალამაზებლად ან დასავიწყებლად, არამედ ჩვენი საზოგადოებისთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. იგი იყო პირველი სოციალ-დემოკრატი, რომელიც 36 წლის შემდეგ შევიდა გერმანიის მთავრობაში; თანამშრომლებთან პირველი შეხვედრისთანავე მოითხოვა გერმანული წარსული ხაზით გაემიჯნათ; წინა ფედერალური მთავრობის მონადინებაც, გერმანია აღდგენილიყო 1937 წლამდე არსებულ საზღვრებში, შეუძლებლად მიიჩნია. ომი რომ დამთავრდება, მერე მას იურიდიული ფორმულებით ვედარ მოიგებ. მან მშვიდობისა და ხალხთა შორის თანხმობის სურვილი თავისი მოღვაწეობის მიზნად დაისახა. ბრანდტს არ დავიწყებია უწყების ტრადიცია, რათენაუს და შტრეზემანს ეყრდნობოდა და ხშირად იმონებდა ბისმარკს, რომელიც გმოზდა პოლიტიკას – „ყველაფერი ან არაფერი“.

მის უპირველეს სამოღვაწეო ხმას შემდგომმა მინისტრებმა შეეღმა, გენშერმა, კინკელმა და ფიშერმა ვარიაციები მოუძებნეს. ფიშერის პოზიცია გამორჩეულია, იგი გაბედულად მიუდგა წარსულის გადამუშავების თემას და სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც თავისი ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ დაადგინა, რომ შეუძლებელი იქნებოდა 1966 წელს საგარეო უწყების ხლართებში ადამიანების სათითაოდ გამოკვლევა. სირცხვილია, რომ სამოცი წლის განმავლობაში არ გაჩენილა საჯარო ინტერესი ჩვენი სახელმწიფო უწყებების წარსული გამოკვლეულიყო. მხოლოდ 2010 წლის შემდეგ შებედა ფედერალურმა საინფორმაციო სამსახურმა და ზოგიერთმა სამინისტრომ ამ ამოცანას, რომელიც დღესაც მწვავედ აღიქმება.

## დაგეგმვის შტაბში

უპირველესი, რაც განსაკუთრებით მძენდა თავდაჯერებულობას: პრაქტიკულად, მე გავხდი სამინისტროში ყველაზე ინფორმირებული პირი. შტაბში იგზავნებოდა ჩვენი წარმომადგენლობის ყველა დეპუტა, ზუსტად ისევე, როგორც მინისტრთან და სახელმწიფო მდივნებთან, მაგრამ მათ ყველაფრის ნაკითხვის დრო არ ჰქონდათ. ჩემი თანამშრომლები არჩევდნენ იმ ინფორმაციებს, რომლებიც მე უნდა მცოდნოდა. ბრანდტი კი დაიმედებული იყო – ჩემი ცოდნა მის ცოდნას უდრიდა. მეამაყებოდა, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი აპარატი ჰყავდა და იმის ფუფუნებაც, რომ განსჯაში ფულიც გადაეხადა.

ჩემი წინამორბედი გიუნტერ დილი კანცლერის აპარატში გადავიდა და შტაბის საუკეთესო თანამშრომლებიც თან გაიყოლა. შეფმა მათი შემცვლელების შერჩევა მთლიანად მე მანდო. ყველა მათგანი სათანადო კადრი აღმოჩნდა. და დადგა დროც, ტუტცინგის მონახაზი „გარდაქმნა დაახლოების გზით“ დასრულებულ კონცეფციად მექცია. დილისგან ვისწავლე, საგანგებო დავალებათა ელჩს საგარეო პოლიტიკაში აქტიურობის უფლებაც აქვსო.

რაც არ უნდა დაუჯერებლად გაისმოდეს დღეს: გერმანიის გაერთიანების კონცეფცია არ არსებობდა. ჩემმა კეთილმოსურნე და განსწავლულმა წინამორბედმა ჯერ კიდევ

1966 წლის მარტში მირჩია, შემოიფარგლე განმტკიცებული პოზიციების შენარჩუნებითო; იგი ვერ ხედავდა „ჰალშტაინის დოქტრინაზე“ უარის თქმის აუცილებლობას. როდესაც დაგეგმვის შტაბს დავავალე, გერმანიის გაერთიანების კონცეფციაზე იმუშავეთ-მეთქი, სტანდარტული პასუხი მივიღე, ეს ოთხი გამარჯვებული ძალის კონპეტენციააო. ამოცანა, გამარჯვებული ძალების მუდმივი მოქმედების უფლებების მიუხედავად, გაგვეანალიზებინა გერმანიის ინტერესები და გვეფიქრა წარმოუდგენელზე, კოლეგებს, ალბათ, ილუზიაც მოეჩვენათ და მომხიბვლელადაც. ბრანდტისთვის ცნობილი იყო ახალი ორიენტაციის ამბავი და იზიარებოდა მას. შესათანხმებელი აღარაფერი რჩებოდა.

ჩვენ მიერ შემუშავებული პირველი კვლევა „ევროპის უსაფრთხოების კონცეფციები“ ეხებოდა „გერმანიის უსაფრთხოების და გერმანიისგან უსაფრთხოების“ საგარეო პოლიტიკურ წინაპირობებს. გამონვლილვით შევისწავლეთ ყველა ქვეყნის ინტერესი და ალტერნატივები შევაფასეთ. ვაღიარეთ, რომ გდრ-ის, როგორც სახელმწიფოს თანამონაწილეობა ევროპის ნებისმიერი სახის უსაფრთხოების სისტემაში და ოდერისა და ნაისეს საზღვრის აღიარება გარდაუვალი იქნებოდა. დოკუმენტი 1968 წელს წარუდგინეთ ბრანდტს.

უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ მეორე კვლევა – „მოსაზრებები მომავალი ფედერალური მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ“, რომელიც უკავშირდებოდა გდრ-თან ჩარჩო-ხელშეკრულების დადების კონცეფციას. ბრანდტმა იგი 1969 წლის 18 სექტემბერს ნახა, მაშასადამე, ბუნდესტაგის არჩევნებამდე ათი დღით ადრე და ვაშინგტონისკენ მიმავალმა თვითმფრინავში წაიკითხა. მან აღნიშნა: „არც ისე ცუდია. იმედია, მალე დაგვჭირდება“. არჩევნებს იმედიანად ვუყურებდით, მაგრამ შედეგში დარწმუნებულნი არ ვიყავით. ორივე დოკუმენტი განამტკიცებდა მოსაზრებებს, რომელიც მოგვიანებით მოსკოვ-

თან, პრალასთან და აღმოსავლეთ ბერლინთან დადებულ ორ-მხრივ ხელშეკრულებებში შევიდა. ორივე მათგანი გვიკარნახა ჩვენი ქვეყნის ინტერესებმა და ვარაუდმა, რომ დიდი კოალიცია გაგრძელდებოდა. ბრანდტისგან, რომელსაც სძულდა აღმატებით ხარისხში ლაპარაკი, შენიშვნა „არც ისე ცუდია“, დიდ ქებას ნიშნავდა. სამართლიანადაც შეგვაქო, რადგან საფუძვლიანი და სისტემური შრომის ნაყოფი 1970 წელს მოვიმკე მოსკოვში: საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოს არცერთი ისეთი კითხვა არ დაუსვამს, რომელზეც დაგეგმვის შტაბს ნაფიქრი არ ჰქონოდა, ასე რომ, ყველაფერს მყისიერად ვუპასუხე.

ორივე დოკუმენტი შეიცავდა მოლოდინს, „რომ გდრ მომავალ ოთხ წელიწადში ხალხთაშორის სამართალში გარღვევას მიაღწევდა. ჯერ კიდევ 1962 წლის ზაფხულში მივწერე ბრანდტს წერილი, რომელშიც წუხილს გამოვთქვამდი იმის თაობაზე, რომ „დაიწყო უკანასკნელი თვეები, რომელშიც ზონის დე ფაქტო აღიარება რაღაცის მომტანია“. ეს ტუტცინგამდე ერთი წლით ადრე მოხდა! მაშინ მან მიპასუხა: „მართალი ხარ, მაგრამ რა შეგვიძლია გავაკეთოთ?“ 1969 წლის შემოდგომაზე უკვე ცხადი გახდა, რომ მესამე სამყაროს ბევრი ქვეყანა, მათ შორის, ინდოეთიც, ბონის მიერ დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის მუქარის მიუხედავად, მზად იყვნენ გდრ ხალხთაშორის სამართლის შესაბამისად ელიარებინათ. არალიარების პოლიტიკა ფედერაციულ რესპუბლიკას თვითიზოლაციის საშიშროებას უქმნიდა, მითუმეტეს, რომ მეკავშირეებმაც დაიწყეს დაძაბულობის განმუხტვის საკუთარი ღონისძიებების გადახედვა.

ჩვენ მიერ დაგეგმილი „ჩარჩო-ხელშეკრულება გდრ-თან“ ბევრ უწინდელ ტაბუს ამსხვრევდა და მკაფიოდ აყალიბებდა: გდრ შეძლებს ხალხთაშორისი სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი გახდეს; უნდა შენარჩუნდეს ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის განსაკუთრებული დამოკიდებულება, კერძოდ ის, რომ ერთმანეთისთვის ისინი საზღვარგარეთს კი არ წარმოადგენენ,

არამედ ერთი ერის ორ ნაწილს. მათ შორის, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ ევროპულ სახელმწიფოს შორის საზღვარი უნდა ექვემდებარებოდეს ძალის არგამოყენების ვალდებულებას. აქამდე მოუნესრიგებელი სამოქალაქო მიმოსვლა დასავლეთ ბერლინსა და ფედერაციულ რესპუბლიკას შორის უნდა შეთანხმდეს ხელშეკრულებით. ამით უნდა დაინყოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

ჩარჩო-ხელშეკრულებას მოგვიანებით საბაზისო ხელშეკრულება ეწოდა. სოციალ-ლიბერალური მთავრობა 1969 წელს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ასე მარტივად რომ შეთანხმდა ამ ხელშეკრულებაზე, იმის დამსახურება გახლდათ, რომ, როგორც დაგეგმვის შტაბში ერთმა ჩემმა თანამშრომელმა გამანდო, იგი, როგორც თავისუფალ-ლიბერალების წევრი, თურმე მონაწილეობდა გდრ-თან შესაძლო ხელშეკრულების შესახებ კვლევაში, სადაც გდრ-ის ხალხთაშორისი სამართლის შესაბამისად აღიარებაც კი განიხილებოდა. ჩვენი მოსაზრებით, ეს შეუძლებელი იყო და თავისუფალ-ლიბერალებს ეს პუნქტი ამოვალდებინეთ. ბრანდტმა მაშინ ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და მითხრა, „ხაზს მიჰყევით“. საბოლოო ჯამში, ფედერალური კანცლერის, ბრანდტის სამთავრობო პროგრამის საგარეო პოლიტიკური ნაწილი ისე დავწერე, რომ შეეღმე მხოლოდ გადაიკითხა და შენიშვნების გარეშე მოაწერა ხელი. ამდენად, დიდი კოალიციის წყალობით, მის მემკვიდრეებს იმაზე თავის მტვრევა, რასაც სხვები აღმოსავლეთის პოლიტიკას უწოდებდნენ, აღარ დასჭირვებიათ და შეეძლოთ საქმეს შესდგომოდნენ.

## სინამდვილე

ახლავს ვხვდები, როგორ ღრმად ჩავყვინთე დაგეგმვის შტაბის უზარმაზარი სამუშაოს მორევში. „სამოცდარვანლიანების“ მოძრაობა და მათ მიერ გამოწვეული მღელვარება წესიერად არც აღმიქვამს. კალიფორნიაში ახალგაზრდობის გამოღვიძებამ ევროპაში გადმოინაცვლა და ჩვენამდეც მოაღწია. გამოღვიძების საერთაშორისო ტალღაში გერმანელი ახალგაზრდობის მონანილეობით გამოწვეული სიხარული იყო ერთადერთი განცდა, რომელიც დიდხანს შემოგვრჩა.

ნატოს სახელმწიფოების დაგეგმვის შტაბების ხელმძღვანელები „დაგეგმვის ატლანტიკურ ჯგუფში“ (APAG) ვიკრიბებოდით. ამ ინსტიტუციაში გადაწყვეტილებები არ მიიღებოდა, მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა არაფორმალურ და მეგობრულ ვითარებაში. ადრე, ნორვეგიაშივე განვიხილეთ ნატოს რეფორმების საკითხი აშშ-სა და ევროპის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების ქრილში, დღემდე აქტუალური თემაა რუსეთთან ურთიერთობა. ვაშინგტონში განვამტკიცეთ თავისთავად ცხადი მოსაზრება, რომ სტრატეგიული ატომური იარაღი მხოლოდ ორი სუპერ-სახელმწიფოს საქმედ უნდა დარჩეს და რომ სუბსტრატეგიული საბჭოთა საშუალო მანძილის რაკეტები მხედველობაში არ უნდა მიგვედო. ევროპელი პარტნიორების აზრი, განსაკუთრებით ლონდონსა და პარიზში, ამ შემთხვევაში გადაწყვეტი არ იყო, გინდაც მათ როდესმე მოეხერხებინათ ერთიანი პოზიციის შემუშავება. ეს კარგად მახსოვდა, როდეს



საც რამდენიმე წლის შემდეგ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების საკითხზე ვმსჯელობდით.

სადაც არ ჩავიდოდა საგარეო საქმეთა მინისტრი ბრანდტი, ყველგან იაპონიას, ჩინეთსა და ამერიკას შორის, ძალაუფლების, გავლენისა და ინტერესების კატეგორიებით აზროვნებდნენ. საუდის არაბეთს დასავლეთს მიაკუთვნებდნენ, თუმცა იქ დემოკრატია არ იყო. მთავრობებს უყვართ დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებზე საუბარი, მაგრამ მათ აზროვნებას ძალაუფლების პოლიტიკა და გეოსტრატეგია განსაზღვრავს. თავის მოტყუებას აზრი არ აქვს.

ჩვენი „გეოსტრატეგიული როლის“ შესახებ 1968 წლის ოქტომბერში ნიუ იორკში უფასო გაკვეთილი ჩაგვიტარეს. გერმანიის პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა ბარათი მომანოდა: საბჭოთა კავშირის პრესის ოფიცერმა მითხრა: „If Mr. Brandt wants to talk to Mr. Gromyko, the answer will be positive“.<sup>1</sup> რასაკვირველია, ბრანდტს სურდა. საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი მეგობრული შეხვედრა სიტყვიერ საჩუქარს გვიმზადებდა: – საბჭოთა მთავრობა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ გაუკეთებს რატიფიცირებას, როდესაც მას ფედერალური მთავრობაც მოაწერს ხელსო. ამ ინფორმაციამ ბრანდტი ისე გაახალისა, რომ იხუმრა: „ძალიან მაინტერესებს, ჩემი მთავრობა ამ ამბავს არჩევნებამდე თუ შემატყობინებს“. ქდკ/ქსკ გაერთიანება ხელმონერაზე ჯერ კიდევ დავობდა.

საგანგებო დავალებათა ელჩის რანგში პირველი დავალება ჯერ კიდევ 1967 წელს შევასრულე. ალბანეთის გარდა, ჩეხოსლოვაკია იყო ერთადერთი ევროპული ქვეყანა, სადაც დიპლომატიური წარმომადგენლობა არ გვქონდა. შევთანხმდით

---

<sup>1</sup> (ინგლ.) თუ ბატონ ბრანდტს სურს ბატონ გრომიკოსთან საუბარი, პასუხი დადებითი იქნება.

გენერალური საკონსულოების გახსნაზე, რომელთაც დიპლომატიური უფლებამოსილება ექნებოდათ და პრაქტიკულად ბერლინიც ჩაერთვებოდა. საკონსულოები უნდა „მიგვება“ საგარეო ვაჭრობის სამინისტროებზე და არა საგარეო საქმეთა სამინისტროზე, სადაც ვიზის საკითხი პრაქტიკულად უნდა გადაწყვეტილიყო. შვეიკი ამ საქმეს უკეთესად ვერ მოაგვარებდა. შემდეგ ბუქარესტში გავფრინდი და იქ ბრანდტს შევხვდი, რომელმაც, ჩაუშესკუსთან ერთად, ბეჭედი დაუსვა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას. შემდეგ კი შავი ზღვის სანაპიროზე პომპეზურ სასახლეში აღმოვჩნდი, ასეთივე პომპეზური იყო მისი მბრძანებელიც, რომელიც თავის საგარეო საქმეთა მინისტრს ხელზე მოსამსახურესავით დაარბენინებდა აქეთ-იქით.

1968 წლის აპრილში წინა წლის პარტნიორმა პრადის გაზაფხულის და აღექსანდერ დუბჩეკის გასაოცარი ავტორიტეტის შესახებ მამცნო. შევთანხმდით, რომ სასურველ გარემოში შევხვედროდით და მიუნხენის 1938 წლის ხელშეკრულებაზე გვემსჯელა. ახალი ხელშეკრულება ისე უნდა ჩამოგვეყალიბებინა, რომ ჩეხები და გერმანელები, აგრეთვე, სამშობლოდან გაძევებული სუდეტის გერმანელებიც კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ და პრეტენზია არ გამოეთქვათ. ჩემმა მართლაც საპატივცემულო პარტნიორმა დამშვიდობებისას შვეიკივით ჩამილაპარაკა: „მგელს სახრავი უნდა გადაუგდო, მაგრამ თხა არ უნდა შეაჭმევინო“.

ავვისტოს შუა რიცხვებში ბონში ჩეხოსლოვაკიიდან პატარა დელეგაცია ჩამოვიდა. პრადიდან მოსული ამბები ისე შემაშფოთებული იყო, რომ ნუხილი გამოვხატე, დუბჩეკი ხომ ნამდვილად ფლობს სიტუაციას-მეთქი. პასუხი, ჩვენ რუსების უკეთ გვესმის, ვიდრე თქვენო, ჩვენი მოლაპარაკებების სწრაფ პროგრესს შეესაბამებოდა, მეორე დღეს უკვე საოცარ შედეგს ველოდით. ეს იყო იმ ღამეს, როდესაც ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრენ. მეორე დილას,

21 აგვისტოს, დელეგაცია აცრემლებული დაგვემშვიდობა და ბრანდტს იმისთვის გადაუხადა მადლობა, რის გაკეთებასაც ჩვენ ვაპირებდით.

ფედერალურმა კანცლერმა კიზინგერმა თქვა: „გაგვიმართლა, რომ პრალის ამბავი ერთი წლის წინ დავასრულეთ. ახლა ამას კიდევ დიდხანს ვერ შევძლებდით“. გარდა ამისა, გადაწყვიტა, რომ ფედერალურ მთავრობას უცვლელად გაეგრძელებინა დაძაბულობის განმუხტვის კურსი. უძნელესი ამოცანა, არც მწვადი დაგვეწვა და არც შამფური, მხოლოდ ხუთი წლის თავზე გადაიჭრა, მოსკოვთან, ვარშავასთან და გდრ-თან საბაზისო ხელშეკრულებები გაფორმდა. მიუნხენის ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდა და მას ჩეხოსლოვაკიის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნები არ გამოუწვევია.

შემდეგ გავფრინდი ბუდაპეშტში; პრესას ამის შესახებ არ შეუტყვია. იქ იმ კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკურ მდივანს შევხვდი, რომელმაც 1956 წელს საბჭოთა ჯარების მხარდამხარ ჩაახშო წინააღმდეგობა. მისი სახელია გილა ჰორნი. დავარწმუნე, რომ უნგრეთი, როგორც „სოციალისტური ბანაკის“ ყველაზე პატარა ქვეყანა, სხვებზე უფრო გაბედული უნდა ყოფილიყო. დღეს ჩვენ მეგობრები ვართ. საგარეო საქმეთა მინისტრი რომ გახდა, თავის ავსტრიელ კოლეგასთან, ალოიზ მოკთან ერთად 1989 წლის ზაფხულში გადაჭრა „რკინის ფარდის“ მავთულხლართები, შემდეგ მე შემცვალა შვედეთის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის (SIPRI) გამგებანში, სტოკჰოლმში, ხოლო ბოლოს, 1990 წელს აახენის კარლოს დიდის პრიზით დააჯილდოვეს.

1968 წლის შემოდგომაზე ჟენევაში ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოების დიდი კონფერენცია ჩატარდა. ბრანდტს სურდა, ფედერალური რეპუბლიკისთვის სტრატეგიული პოზიცია განემტკიცებინა ატომური ტექნიკის მშვიდობიანი გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციის გამო. ფასი, რომლის

გადახდასაც ამ მაკოორდინერებელი როლისთვის ვაპირებდით უნდა ყოფილიყო ანონსი, რომ ბონი გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა, რაც შიგნით უკვე გადანყვეტილი გახლდათ. ბრანდტის რეაქციის მოწმე გავხდი, როდესაც კიზინგერმა ფაქსი გამოუგზავნა მითითებით, ჩემი გამოსვლიდან შესაბამისი ადგილი ამოიღეო. ბრანდტი აფეთქდა: „როგორ ვკადრებ საკუთარ თავს, ამ ნაცისტისგან მივიღო მითითებები“. ყველას დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ შეგვეკავებინა, მაშინვე აპირებდა გადადგომას. ბოლოს დაეთანხმა არგუმენტს, რომელიც მე მოვიშველიე: მოსახლეობა ამ მიზეზით გადადგომას ვერ გაიგებს ბუნდესტაგის არჩევნებამდე თორმეტი თვით ადრე-მეთქი. ამ შემთხვევამ განუმტკიცა აზრი: „ერთი ხმით მეტიც რომ მქონდეს, ვეცდები გავხდე კანცლერი“. მისი თავდაპირველი განწყობა, რომ დიდი კოალიცია პოლიტიკურად არაბუნებრივი წარმონაქმნი იყო, არ განელებულა.

ბრანდტს ერთი სული ჰქონდა, როდის დასრულდებოდა დიდი კოალიცია. ვენერი და შმიდტი დიდ კოალიციაში თავს მასზე ბევრად უკეთ გრძნობდნენ. ორმოცი წლის შემდეგაც კი ამტკიცებდა ზოგიერთი, მაშინ დიდი კოალიციის გაგრძელება, როგორც ალტერნატივა, არსებობდაო. მე მიმაჩნია, რომ: ამ შემთხვევაში არ იარსებებდა განმუხტვის პოლიტიკა და, შესაძლოა, არც გერმანია გაერთიანებულიყო.

1969 წლის მარტში გუსტავ ჰაინემანი მესამე ტურში აირჩიეს ფედერალურ პრეზიდენტად თავისუფალი დემოკრატიების ხმებით. ეს ფაქტი, ზოგადად, ხელისუფლების ცვლილების უვერტიურად აღიქმებოდა, მაგრამ მთლად დარწმუნებულიც ვერ ვიქნებოდით. ერთი ხელი ბანქო რომ ვითამაშეთ, „ჩემმა“ სახელმწიფოს მეთაურმა გამაფრთხილა, შენი ვისკი სტუმართა წიგნში შეიტანეო, ამ წიგნს „ფედერალური საგადასახედო ინსპექციისთვის წარსადგენ გამასპინძლების საბუთს“ უწოდებდა. „რა ცუდია, რომ ვილი ბანქოს არ თამაშობს. გადაეცი, ყველაზე დიდი

ფრაქციის წევრს კი არ წარვადგენ ფედერალურ კანცლერად, არამედ იმას, ვინც უმრავლესობას მოიპოვებს. ფედერალური პრეზიდენტი იმისთვის კი არ ვარ, პარლამენტში უარი მივიღო“.

საგარეო უწყებაში მუშაობამ მნიშვნელოვანი ცოდნა შემიძინა. საგარეო უწყება არ ქმნის საგარეო პოლიტიკას, იგი მხოლოდ ახორციელებს მას. და ეს საქმე კარგიდან ჩინებულამდე აჰყავს ხელმძღვანელობის მითითებების მიხედვით, გინდაც ეს მითითებები არასწორი იყოს საკუთარი ინტერპრეტაციით, თუკი ახალი მითითებები არ არსებობს.

როგორც წესი, სხვადასხვა ხარისხის დაძაბულობა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ფედერალური კანცლერის აპარატს შორის სულ არის. ერთნი თავს გრძნობენ გერმანიის საგარეო ინტერესების კარგად ინფორმირებულ მცველებად, მეორენი კი შეჰყურებენ შიდა პოლიტიკური ძალაუფლების წყაროს და ფუნდამენტს – არჩევნებს. „დირექტორთა წრეში“, როგორც ხელმძღვანელი თანამშრომლების ყოველდღიურ შეკრებას უწოდებდნენ, ხშირად მესმოდა მოურიდებელი გინება კანცლერის აპარატის წვრილფეხობის მიმართ, რომლებიც თავს უფლებას აძლევდნენ, მითითებები გაეცათ. საგარეო უწყების მაღალი რანგის მოხელეები, რომლებიც კანცლერის აპარატში გადაიყვანეს სამუშაოდ, მიყვებოდნენ, მხოლოდ იქ მივხვდით, რომ მთავრობის სათავეში მდგარ ერთ ადამიანში იყრის თავს საშინაო, პარტიული და პირადი ინტერესებიც კიო. ეს არის დემოკრატიის ფასი. მაგრამ თუკი კანცლერი ძალაუფლების შენარჩუნებას გამოაცხადებს პრიორიტეტად, მისი მიზანი ლეგიტიმური კი იქნება, მაგრამ ქვეყნისთვის საზიანო აღმოჩნდება.

სახელმწიფო მდივანმა დუკვიტცმა, რომელიც „დილის წირვას“ უძღვებოდა, როგორც დირექტორების შეკრებას ვეძახდით, (ბონში!) გადმომცა ფერადი ლითოგრაფია ბერლინის ხედით და ასე დამემშვიდობა: „თქვენ, როგორც ჩვენი უწყების სანდო წევრი, გადახვალთ მტრული ხაზის იქით სამუშაოდ“.

## ნახტომი მწვერვალზე

კვირას, 1969 წლის 28 სექტემბერს წინა დღეების ფაციფუცი ჩაცხრა. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, დავასრულეთ. მშვიდად ვარ და ვილის ვენუსბერგზე ვხვდები – იქ მდებარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრის სამსახურეობრივი ვილა – მარტო სეირნობს, შემართულია, სერიოზული, ხალისიანი, იმედაღსავსე, უკეთესის მომლოდინე. მართალია, საუბრისას პათეტიკას ვერიდებით, მაგრამ საკუთარი ხმა მესმის: „თუ საქმე საქმეზე მიდგება, ისტორიის ერთ-ერთი ფიგურა კი აღარ იქნები, არამედ ისტორიის შემქმნელი. ამას ველარ შეცვლი, ყოველი დღე მნიშვნელოვანი იქნება. გადაწყვეტილებების მიღება მოგიწევს და იმის დაცვა, რაც სწორად მიგაჩნია და შესაბამისად, ისეთი ძლიერი პოზიცია გექნება პარტიაში, როგორც არასდროს“. უსიტყვოდ გადიოდა წუთები. ხანგძლივი დუმილი სიარულისას უფრო შეუმჩნეველია, ვიდრე ჯდომისას. შემდეგ ჩამოაყალიბა კაბინეტისა და ფრაქციის პერსონალური შემადგენლობის შესახებ ხედვა და მკითხა, შენ რას ისურვებდიო. ვუპასუხე, დიდად არც ახლა მაინტერესებს ტიტული, მხოლოდ ისეთი პოსტი მინდა, რომლის საშუალებითაც ჩვენს საგარეო პოლიტიკაში მოღვაწეობას შევძლებ-მეთქი. მთხოვა, შეელის ტელეფონის ნომერი გამიგეო. საუბარისას თავისუფალი დემოკრატიების

ლიდერი ისე აღარ ომახიანობდა, როგორც, რამდენიმე დღის წინათ, ტელევიზიით გამოსვლისას.

პარტიის ოფისში შემოსული პირველივე შედეგი თავზარდამცემი აღმოჩნდა. 47 პროცენტი – ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას, 40 პროცენტი – სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. დილას ნათქვამი მახსენდება: თავი გავიმასხარავეთ. ვილი განმარტოებას ამჯობინებს და არავის ნახვა არ სურს. არც კი ვიცი, რა ვუთხრა. დამბლადაცემულივით ვარ. ყველაზე ერთგული მეგობარიც კი უძღურია ასეთ მომენტში. არა მხოლოდ ობიექტურად, სუბიექტურადაც ვილი თუ შეძლებდა ასეთ ეგზისტენციალურ მომენტში საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების ბედი გადაენწყვიტა. დასაბუთებული, საქმიანი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად მეტი დრო მჭირდება, ვიდრე ვილის რჩებოდა. თავისი სიძლიერე და გამჭრიახობა ახლა უნდა გამოეჩინა. მე ამდენს ვერ გავუძლებდი. ის განცდები არასოდეს დამავინწყდებოდა. მსგავსი მომენტი აღარასდროს დაგვდგომია.

იმლამინდელი თავყრილობა დღევანდელივით მახსოვს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ელიტა შეკრებილიყო – დარბაისელი, გამოცდილი, ძალაუფლების ფასის მცოდნე, ჭკვიანი ადამიანები. ზოგიერთი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ კანცლერობას შეძლებდა, ბევრს დიდი კოალიციის გაგრძელება ეწადა კანცლერ კიზინგერის ხელმძღვანელობით. შემაშფოთა იმის წარმოდგენამ, რომ განმუხტვისა და აღმოსავლეთის ჩვენული პოლიტიკა თამაშად შეიძლებოდა დარჩენილიყო.

და შემდეგ, როდესაც ტელევიზიით გამარჯვებაში დარწმუნებული კიზინგერი და ალტაცებული ბარცელი აჩვენეს და ნიქსონის მილოცვაც გაახმაურეს, გამოვიდა ბრანდტი, გადამწყვეტი სატელეფონო საუბარი უკვე დასრულებულიყო შეელთან, და განაცხადა, რომ ძალაუფლებაზე ჰქონდა პრეტენზია და ყველა დაემორჩილა ქარიზმატულ ლიდერს. ციებ-ცხელების შემდეგ

სიხარულმა დაისადგურა, ყველა ერთმანეთს ისე ეხვეოდა, თითქოს სხვანაირი შედეგი არც შეიძლებოდა დამდგარიყო.

ფედერალური კანცლერის კაბინეტში მასთან მარტო დარჩენილმა მორიდებულად მიულოცე: „ათლიანი თანამშრომლობის შემდეგ გავიცანი ისეთი ვილი ბრანდტი, როგორის ნახვაც ბევრჯერ მინატრია“. არაფერი უპასუხია. ისე ჩვეულებრივად განახლდა თანამშრომლობა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მე მას ვაწვდი სიტუაციის ანალიზს, როგორსაც ამერიკაში „President elect“-ს უმზადებენ. ფედერალურ რესპუბლიკაში ამის გამოცდილება რახან არ გაგვაჩნდა, შევახსენე: „მომავალ ორ კვირაში მოგინევს გაუკვალავ თოვლზე სიარული. ამერიკის მთელი გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამ პერიოდში მომავალი მეთაურის ნებისმიერი საჯარო გამოსვლა ნებისმიერ საკითხზე რალაც მნიშვნელოვანს შეიცავდეს“. გარდა ამისა, ვურჩიე, – კიზინგერს მისწერე და შეუთვალე, „თავი შეგებულებაში გასულად იგრძენი-თქო!“.

შემდეგ სხვა მთავრობების მეთაურებისთვის უნდა მოგვემზადებინა წერილები, მათთვის, ვინც უკვე მოგვილოცა, მათ შორის, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის, „კოლეგა კოსიგინისთვის“, როგორც წაიხუმრებდა ხოლმე ბრანდტი. მას უთვლიდა „ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მზაობას“.

მეორე დღეს ვურეკავ ნიქსონის მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში, ჰენრი კისინჯერს. რამდენჯერმე მოიბოდიშა, საინფორმაციო ცნობებს დავეყრდენით და გვეგონა, კიზინგერი ისევ აირჩიესო. არც პრეზიდენტს და არც ადმინისტრაციას პრეფერენცია არ გააჩნიაო. ბრანდტის მთავრობასთან მუშაობას მივესალმებითო. მე ვუიოლებ, რაც იყო, დავივინყოთ-მეთქი. კისინჯერი მამცნობს, ოფიციალურად დაგპატიუებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ვაშინგტონშიო.



ბრანდტი ხალისობს. არაფერი უჭირს სუპერ-სახელმწიფოს, ცოტა შეფუცხუნდესო.

ახალ ფედერალურ კანცლერსაც ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამსახური იცავს და არა ჯარი. მისი ორკესტრი მისალმების პრუსიული მარშის შემდეგ ბერლინურ სიმღერას ასრულებს. სანამ ბრანდტი სამხედრო ფორმირებას ჩაუვლის, ნელგამართული და გაქვავებული სახით, ვგრძნობ, არ ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს გარეშე პირდაპირ შიონებერგის რატუშიდან პალე შაუმბურგში ნახტომი არ გამოვიდოდა.

ვერაფერს დაუნუნებ ადენაუერის აპარატის უფროსის, ჰანს გლობკეს კაბინეტს, სადაც ანი მომიწევს მუშაობა. მისაღებისთვის ცალკე შესასვლელი, სამდივნოს გვერდის ავლით; საკუთარი საპირფარეშო, სატელეფონო ხაზი კანცლერთან, რომლითაც მომავალში ის უფრო ხშირად ისარგებლებს, ვიდრე – მე, ცალკე სატელეფონო სისტემა მინისტრებთან და ერთი-ჩვეულებრივი აპარატი. მოლტკეს ლენბახის მიერ შესრულებული ნახატი მთელ სივრცეს იკავებს. პერსონალი ანგარიშს მიწევს და მეკითხება, სხვას ხომ არ ამჯობინებთო? მტკიცედ ვპასუხობ: „რასაკვირველია, არა“. ზედმეტად ხმაურიანი მითქმა-მოთქმა „დიდ მდუმარეს“ საზიანოდ მიაჩნდა, დემოკრატიასში, მითუმეტეს. არც ბრანდტმა ისურვა რაიმე შეეცვალა კანცლერის კაბინეტში. იგი დაჯდა ადენაუერის საწერ მაგიდასთან, და ყველაფერი ხელუხლებლად დაატოვებინა, ნახატების ჩათვლით. ურჩევნია ტრადიციის განმგრძობად აღიქვან.

## დასაწყისი ვაშინგტონში

სწრაფი მიპატიუების წყალობით, სამთავრობო პროგრამის წარდგენამდე კისინჯერმა მიიღო ახალი კოალიციის აღმოსავლეთის პოლიტიკის ღია და ვრცელი დახასიათება. უაღრესად საინტერესო საცდელი გარბენი იყო, რადგან მხარდაჭერის გარეშე, ამერიკელების ჩუმი თანხმობის გარეშე მაინც, პოლიტიკური კურსის შეცვლა სათუო იყო და დიდ რისკს გვიქადდა. ვერ წარმომედგინა, ნიქსონის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში თეთრი სახლის სარდაფის ერთ პატარა ოთახში თუ დამხვდებოდა. ჰენრიმ უნდობლად შეხედა ჩვენს გამონვევას და ბევრი კითხვა დამისვა. განსაკუთრებით დაინტერესდა, სწორად აფასებდნენ თუ არა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები დასახული გეგმების განზომილებას. ასეა თუ ისე, ყოველდღე არ ხდებოდა, რომ გერმანელებს, რუსებთან ერთად, მათ შორის მდებარე ქვეყნების გვერდის ავლით დაეწყოთ მოლაპარაკებები. როდესაც კითხვებს ბოლო აღარ უჩანდა, შევაგებე, კონსულტაციისთვის კი არ მოვსულვარ, ამბის მოსაყოლად მოვედი, ჩვენ ამ გეგმებს უპირობოდ განვახორციელებთ-მეთქი. ეს ახლებურად ლაპარაკს ნიშნავდა.

ბრანდტს რომ ბერლინის კრიზისის დროს ნდობა არ მოეპოვებინა, საბჭოთა კავშირს რომ არ სცოდნოდა, რომ აშშ ჩვენზე თვალყურის დევნას არ მოიშლიდა, კისინჯერი არ გამანდობდა, რომ მას კრემლთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდით

ავლით, ჰქონდა საიდუმლო საკომუნიკაციო არხი და არც იმას შემომთავაზებდა, მზად ვარ, პალე შაუმბურგთანაც გავჭრა ასეთივე პირდაპირი არხიო. მის წინადადებას მაშინვე დავეთანხმე. უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი. ერთმანეთს გავაკონტროლებდით და უნდობლობას აღმოვფხვრავდით. მე მას ბრანდტის მიერ კოსიგინისთვის მიწერილი წერილის შესახებ ვუამბე, აღვნიშნე ისიც, პასუხი წერილზე ჯერ რომ არ გვქონდა. გამომშვიდობისას კი მითხრა: „თქვენი წარმატება ჩვენი წარმატება იქნება“. ბრანდტს აღტაცებულმა ვუამბე, მან შვებით ამოისუნთქა და მანამდე გაუმეტებელი ფრაზით შემაქო: „ძალიან კარგი“. კისინჯერს დღემდე ვემადლიერები. მის გარეშე განმუხტვის პოლიტიკა არ განხორციელდებოდა.

ფედერაციის ახალი რწმუნებულის რანგში გავფრინდი ბერლინში, სადაც ყველა სამინისტროს ჰქონდა წარმომადგენლობა, აღმოვაჩინე, რომ ბერლინში მეტი თანამშრომელი გვყავდა, ვიდრე ბონში, დავათვალიერე ჩემი „რეზიდენცია“ პიუკლერშტრასეზე, სადაც, ადენაუერის მსგავსად, ახლა ბრანდტსაც შეეძლო ღამის გათევა. თანაც, ეს შენობა არასაჯარო საუბრებისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა, განსაკუთრებით, ამერიკის ელჩთან და მის საბჭოთა კოლეგასთან შესახვედრად გამოდგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს ბერლინში რწმუნებები არ გააჩნდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ეს ვილა ფედერალური პრეზიდენტის რეზიდენციად იქცა.

ბონში მივიღე ისრაელის ელჩი აზჰერ ბენ-ნათანი, კურდ იურგენსის უმცროს ძმას ჰგავდა აღნაგობით, თვალისა და თმის ფერით. არჩევნებში გამარჯვება მოგვილოცა და აღნიშნა, აწი ყველაფერი უფრო იოლად მოგვარდებოდა. შევეწინააღმდეგე: უფრო ძნელი იქნება-მეთქი, რადგან ახლა აქ სხედან ადამიანები, რომელთაც მათი წარსულის გამო ვერ დააშანტაჟებ, ისინი თავს გათავისუფლებულად გრძნობენ და არა დამარცხე-

ბულად-მეთქი. ამ მკვეთრი სიტყვების ბაზაზე კარგი თანამშრომლობა განმტკიცდა.

ამასობაში საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა შეელმა თანხმობა განაცხადა, გვემსჯელა ჯერ კიდევ დიდი კოალიციის მიმართ საბჭოთა კავშირის შეთავაზებულ წინადადებაზე ძალის არგამოყენების შესახებ. პაულ ფრანკისგან, საგარეო საქმეთა სამინისტროს მომავალი სახელმწიფო მდივნისგან ვიცოდი, რომ მნიშვნელოვანი მისიების წინ ჯობს თავად ჩამოწერო მიმართულებები, რათა თავიდან აირიდო შეუსრულებელი მოთხოვნები. მე ეს საგულისხმო რჩევა აღარ დამჭირებია; შეელს მიმართულებების განსაზღვრა ზედმეტად მიაჩნდა, მაინც ყველაფერი ზეპირად იცოდ. ასე რომ, ბრანდტმა და შეელმა დამავალეს, ინსტრუქციების გარეშე მოსინჯე გრომიკოსთან, განხორციელების როგორი შანსი აქვს ახალი ფედერალური მთავრობის კონცეფციასო.

მოსკოვში ჩემს გამგზავრებას უვერტიურა უძლოდა. არ მინდოდა, მაგრამ მთავრობის სპიკერის კონრად ალერსის დაჟინებული თხოვნის გამო დავთანხმდი საბჭოთა ჟურნალისტთან შეხვედრაზე. შობის წინა ღამეს, საწერი მაგიდა რომ მივალაგე, მაშინ შედგა ის შეხვედრა. გავიცანი ვალერი ლედნევი, წარმოსადეგი, მელოტი კაცი, თავიდან უბრალო კითხვები დამისვა, მერე კი ერთ წამში მომნუსხა, რადგან ბრანდტის მიერ კოსიგინისთვის მიწერილი წერილის ფრაზები მოიხმო. მთავარი, რაც მითხრა: საბჭოთა მხარე მზად არის დახურულ კარს მიღმა აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის. პოლიტიბიუროს მხოლოდ ხუთმა წევრმა იცის ჩემი დავალების შესახებო. ბონში საბჭოთა საელჩო საქმის კურსში არ არისო. მადლობა გადავუხადე და ვამცნე, იანვრის ბოლოს მოსკოვში ჩამოვალ-მეთქი. აღმითქვა, შევხვდეთ ასეთივე ვითარებაშიო.

საშობაო ნაძვისხის მორთვის დრო სადღა რჩებოდა. ბრანდტს დავურეკე. მადლობა გადამიხადა (რაც იშვიათად ხდებოდა) ამ

მშვენიერი საშობაო საჩუქრისთვის და ჩვენი არხის საშუალებით კისინჯერსაც შეატყობინა. აწი აღარ გვადარდებდა, რას უპასუხებდა ჰაინემანი ულბრიხტს. ამ უკანასკნალმა ფედერალურ პრეზიდენტს, იმისათვის, რომ ბრანდტის სამთავრობო განცხადებაზე მიეტანა იერიში, ხელშეკრულების ისეთი შეთავაზება გაუგზავნა, რომელზე საუბარიც წარმოუდგენელი იყო და ამიტომ უპასუხოდ დარჩა. ულბრიხტი მოსკოვთან ჩვენს კონტაქტს ველარ ჩაშლიდა.

1970 წლის 14 იანვარს, მოსკოვში ჩემს გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე, ბრანდტმა წარადგინა თავისი პირველი მოხსენება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მასში მან ძალის არგამოყენების ვალდებულება გამოაცხადა „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დღეს არსებული პოლიტიკური საკითხების მოგვარების ფუნდამენტად“, რადგან „იმედი არ არსებობს, რომ გერმანელი ერი, როგორც ერთი მთლიანი, უახლოეს ხანში შეძლებს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას“. სხვა სიტყვებით: ჩვენს კონცეფციას განუსაზღვრელი ვადით და ყოვლისმომცველად უნდა მოეგვარებინა ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპასთან, სანამ ეს სამშვიდობო ხელშეკრულებით იქნებოდა შესაძლებელი. მაშინ ფედერაციულ რესპუბლიკაში ეს დიდად სალაპარაკო არ გამხდარა, განსხვავებით საბჭოთა კავშირისგან, სადაც, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლეს. გარდა ამისა, ამასობაში ფედერალურმა მთავრობამ გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რამაც, ალბათ, გრომიკოს, ნიუ იორკში ბრანდტთან შეხვედრა გაახსენა.

## მესამე ნაწილი – ტრიუმფი და ტრაგედია

### მოსკოვში

ელჩი ჰელმუტ ალარდტი აღფრთოვანებით არ შემხვედრია, გასაგებია, თავზე დაასვეს კაცი, რომელიც პირველად იყო მოსკოვში. საუბარი უსიამოვნოდ დაიწყო. მან შეურაცხყოფად მიიღო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის ერთი დაბალი რანგის თანამშრომელი გამოუშვეს ჩვენთან შესახვედრად. მაგრამ მე თავად ვწყვეტი, როდის მეგრძნო თავი არასათანადოდ დაფასებულად.

ალარდტმა იუკადრისა ჩემი ჩატანილი ჩელოს ყუთისთვის მოეკიდა ხელი, ეგონა, ასეთი თვალში მოსახვედრი საჩუქარი მხოლოდ დელეგაციის ხელმძღვანელს მოუვიდოდა თავშიო. ამ დროს, ჩელოს ყუთი, ჩემი სასტუმროს ნომერში რომ მივიტანეთ, აღმოჩნდა საგარეო უწყების სამართლებრივი განყოფილების უფროსის, ბატონი ფონ ტრესკოვის საჩუქარი: ვისკიტა და შესაბამისი ჭიქებით აღჭურვილი ნამდვილი ბარი.

სანამ გერმანიის ტელევიზიისთვის მცირე კომენტარს ვაკეთებდი, ზურგსუკან გადაჭდობილ ხელებში პატარა ბარათი ჩამიდეს, ლედნევი მწერდა, სასტუმროში დაგირეკავო. ჩვენი დელეგაცია სასტუმრო „უკრაინის“ ოცდამეგრევე სართულზე ცხოვრობდა. აციმციმებული ქალაქის შთამბეჭდავი ხედი კრემლის ოქროს გუმბათებამდე სწვდებოდა. ამ ქვეყნის რამდენი მკვდარი და ცოცხალი მოქალაქის ბედი გადაუწყვეტიათ ამ ქალაქში! როგორი გრძნობით დავტოვებდი მას, ეს აზრი

ნამდვილად მთრგუნავდა. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რას გულისხმობდა ჰაინრიხ აბერტცი თავის მემუარებში ამ ჩემს ვიზიტზე: „ბრანდტის ხელდასმით, მაგრამ მაინც მარტო გაეშურა ოფიციალური პოლიტიკის ფრონტზე“.

ლედნევი გამოჩნდა. სასტუმროს რესტორნის ცენტრში პატარა მაგიდისკენ წამიძღვა და მითხრა: „არასოდეს აირჩიო მაგიდა კუთეში ან სვეტებთან. ისმინება“. ეს მხოლოდ ერთ რამეს ცხადყოფდა: იგი კგბ-დან არ იყო. ლეომ, როგორც მალე გავუშინაურდით, მითხრა, საელჩოს ხვალ შევატყობინებთ, რომ ზეგ გრომიკო შეგხვდებაო. თურმე, ლეოს აღაფრთოვანებდა გერმანული ლიტერატურა, სჯეროდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში შეიტანდა წვლილს – სანდო, ნათელი და ერთგული ადამიანი აღმოჩნდა.

მინისტრი, როგორც ვაშინგტონში, ასევე მოსკოვშიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვიდე სართულზე იჯდა. მაგიდას ორთავე მხარეს რვანი შემოსხდომოდნენ. გრომიკო ბოლოს შემოვიდა და ისე მომესალმა, როგორც ნაცნობს ნიუ იორკიდან. სიტყვა მე დამითმო, ეს თავაზიანობა მასაც უქმნიდა ხელსაყრელ მდგომარეობას. მხოლოდ რამდენიმე ჩანანერზე დაყრდნობით, ზეპირად ვილაპარაკე ჩვენ მიერ დაგეგმილი აღმოსავლეთის პოლიტიკის ზოგად კონცეფციასზე. საერთო უნდა გამოგვეძებნა, თუ ნდობის ჩამოყალიბება გვინდოდა. ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები, რუსების მსგავსად, გამალებით იწერდნენ საუბარს, მათაც პირველად ესმოდათ ეს სიტყვები. ნახევარი საათის შემდეგ გრომიკომაც იმავე ხანგრძლივობით ილაპარაკა და გაუკვირდა, მყისიერად რომ ვუპასუხე კრიტიკულ კითხვებზე. დისკუსიამ სამ საათს გასტანა.

ლეოს კომენტარი: გრომიკო ბრეჟნევს ექვსი საათის განმავლობაში აბარებდა ანგარიშს. ანი რა მოხდებოდა, ჯერ გადანყვეტილი არ ჰქონდათ. პერსპექტივები ჯერ კიდევ ბუნდოვანი ჩანდა. მკითხა, ხომ არ ისურვებ პროფესორი გიორგი

არბატოვი გაგაცნო, ამერიკა-კანადის ინსტიტუტის დირექტორიო. რასაკვირველია, თანხმობა განუცხადე. მხოლოდ ოცი წლის მერე გამიმხილა არბატოვმა, კგბ-ს მაშინდელმა შეფმა იური ანდროპოვმა დამავალა, კბილი მოუსინჯეო. იგივე ითქმოდა ოფიციალური შეხვედრების დონეზეც. მეორე შეხვედრისას გრომიკოს გვერდზე ვლადიმირ სემიონოვი იჯდა, ყოფილი უმაღლესი კომისარი გერმანიაში. მან ბონის სახელმწიფო მდივნის შეფასებისას ვალენტინ ფალინის მოსაზრებები განავრცო, ფალინი კერკეტი კაკალი გახლდათ, გერმანიის საკითხი მას ებარა, თუმცა გერმანიაში ნამყოფიც არ იყო. ისევ სამი საათი ვისაუბრეთ; ეს დრო იქცა კვირაში ორჯერ ჩვენი შეხვედრების ფორმატად. უცებ ლაფსუსი აღმოვუჩინე: გრომიკომ არაფერი იცოდა გაეროს ქარტიის 53-ე და 107-ე მუხლების გერმანიაზე გავლენის შესახებ. არ მინდოდა შემერცხვინა და ტაქტიკიანად შევუსწორე, თან საყოველთაოდ ცნობილი მეხსიერება შევუქე. სემიონოვმა და ფალინმა კმაყოფილებით ჩაიციინეს, გრომიკომ კი, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალებს სჩვევიათ, კორექტურა მაშინვე გაითავისა. მივხვდი, რას ნიშნავს შინაგანი სიმშვიდე.

ლეომ „სლავა“ გამაცნო. მხარბეჭიანი, ტანსრული, დიდმუქთვალემა კაცი, ხელს მოგატეხდა, ისეთი მისალმება იცოდა. რა გვარი იყო, დღემდე არ ვიცი. ის უძღვებოდა შეხვედრას, მაშასადამე, უფროსი იყო, მერე ბრანდტთან გამოვთქვი ვარაუდი, ალბათ ორივე გენერალური მდივნის აპარატიდანაა, ყოველ შემთხვევაში, გრომიკოზე ზემდგომნი არიან-მეთქი. ვისადილეთ ჟურნალისტთა კლუბში, სადაც ადრე გორკი ქეიფობდა ხოლმე; სლავამ აღნიშნა, ვალერის ნათქვამი ისე გავიგე, თითქოს კოსიგინთან საუბრის სურვილი გამოგეთქვათო. ნიუ იორკში მიღებული გამოცდილების ნყალობით მაშინვე მივუგე: სწორად გაიგეთ-თქო. „მაშინ ვეცდებით შეგახვედროთ“, შემაგება პასუხად.



სალამოს, სეირნობისას, სლავამ და ლეომ კომპლიმენტებით ამავსეს: – სამი საათი ბჭობდა პოლიტიურო, უნდა მიეღე თუ არა კოსიგინსო. ათწლეულების შემდეგ პირველად ითათბირეს სერიოზულად გერმანიის საკითხზეო. მეორე დილას საელჩოში არავის გასჩენია კითხვა, რას ნიშნავდა კოსიგინის მიწვევა. ნაშუადღევს ლეომ მოულოდნელი დაბრკოლების შესახებ შემატყობინა: „წვერიანმა კაცმა დარეკაო“. ისტერიული რეაქცია ჰქონია ულბრიხტს, როცა გაუგია, კოსიგინს ჩემი ნახვა რომ უნდოდა. „წკიპზე იდგა ეს ამბავი, მაგრამ შეხვედრა შედგებაო“.

შეიძლება საბჭოთა მხარე შეშფოთდა, რადგან ბონიდან ჩემთვის მოცემული ვერანაირი მითითება ვერ მოისმინეს, ვერ გაშიფრეს და ვერ აღმოაჩინეს, ამ დროს მე მართლა ვნერვიულობდი: არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია ჩვენს მრავალრიცხოვან მოხსენებებს, არც შეკითხვა, არც მინიშნება, არც რჩევა. ამიტომაც მეტად დამაინტერესა ამბავმა, რომ ინდოეთში მიმავალი შეელის თვითმფრინავი მოსკოვში დაჯდებოდა. საბჭოთა დიპლომატების ერთი ჯგუფი, სემიონოვის ხელმძღვანელობით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს უხვი საუზმით გაუმასპინძლდა. სემიონოვმა განკარგულება გასცა, – „აირ ინდიას“ თვითმფრინავი მანამ დაყოვნდება, სანამ სტუმარი საუზმობსო. ძალაუფლების საინტერესო დემონსტრაცია იყო. ჩემს შეწუხებულ კითხვაზე შეელმა მშვიდად მიპასუხა: „სანამ ჩვენგან დუმილია, ყველაფერი წესრიგშია. გააგრძელეთ, რასაც აკეთებთ“. ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, კოსიგინთან შესახვედრად ვემზადებოდი. ეს შეხვედრა დაადასტურებდა მოსკოვში ჩემი მისიის წარმატებას თუ წარუმატებლობას.

მეორე დილას კრემლს უნდა ვწვეოდი. მერსედესი უბრალო სათადარიგო კართან გაჩერდა. პროტოკოლის წარმომადგენელი გერმანულად მოგვესალმა; დაცვის ოფიცერი სამხედრო წესით, უსიტყვოდ და ლიფტისკენ მიგვანიშნა. ზევით მედიდური ნაბიჯით მიგვიძლოდა გრძელ დერეფანში. ჩამიჩუმი არ

ისმოდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ოფიცერმა კარი გამოაღო; პროტოკოლის წარმომადგენელმა ორიოდ სიტყვით გვიჩურჩულა, სტალინის სამუშაო ოთახიაო. მაღალი ორფრთიანი კარი გააღეს. კოსიგინმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ, ხელი გამომიწოდა და გამიძღვა გრძელი მაგიდისკენ, რომლის ბოლოს სანერი მაგიდა იდგა, ჩემ წინ დაჯდა, ზურგით ფანჯრისკენ. თარჯიმანმა მისი მისალმება რომ მითარგმნა, გაისმა: „გისმენთ“.

ჩემი ცხოვრების ურთულესი და უსიამოვნო მონოლოგი ნავიკითხე. სანამ საუბრის მაგვარი რამ შედგებოდა, სახეზე ნერვი არ ასტოკებია, გაყინული ლურჯი თვალები მომაპყრო. ფედერალური კანცლერის მოკითხვა გადავეცი და ძალის არგამოყენების გერმანული კონცეფცია გავაცანი. მისი თხუთმეტწუთიანი უემოციობის შემდეგ სიტყვა გავამძაფრე, ჩემ წინ მჯომი კაცი მაინც არ შერყეულა, ბოლოს, პროვოკაციაზე გადავედი და წარმოვთქვი: „დუმილი არ კმარა“. შეეძლო თავის თავზე მიეღო ან საკუთარ საგარეო საქმეთა მინისტრზე. გრომიკოსთან საუბრებში დიდ წინააღმდეგობად გამოიკვეთა ჩვენი პოზიცია, რომ გერმანელ ხალხს გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს გამთლიანების შესაძლებლობა არ უნდა ჩაჰკეტვოდა. რეალისტები ვართ და ვიცით, რომ თქვენთვის უღბრიხტი უფრო ახლობელია, ვიდრე ბრანდტი-მეთქი, დავძინე. მოკავშირეთა არცერთ მხარეს შორის არ უნდა გაჩნდეს უნდობლობა.

როგორც იქნა, ხმა ამოიღო და მიპასუხა, გრძელვადიან მიზნებზე საუბარს ახლა აზრი არ აქვსო. „ჩვენ იარაღს არ ვაჟღარუნებთ“, მაგრამ ბონში თავდაცვის ახალ მინისტრს ბუნდესვერის გაძლიერება სურსო. სხვა ძალები დაინტერესებული არიან, რომ ფედერალური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფარად მოიშველიოთო. ვუპასუხე, გვენდეთ, ჩვენ არ გადავაჭარბებთ ალიანსისთვის შეპირებულ ზედა ზღვარს, რომელიც 495 000 კაცს გულისხმობს-მეთქი, მაგრამ მზად

ვართ, შევამცირით ხიდების სამშენებლო მიმე ტექნიკა-მეთეი. რადგან ევროპის ჩვენს ნაწილში მდინარეები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიედინებიან, ეს იქნება ჩვენი თავდაცვითი პოზიციის გამოვლინება-მეთეი. ასე მოილაპარაკეს ბრანდტმა და თავდაცვის მინისტრმა, გეორგ ლებერმა-მეთეი. ასევე ვა-ვაუქმებთ საველე ლაზარეთებს, რომელთა დანიშნულება თავ-დასხმითი ხასიათის არის-მეთეი. ეს შემდეგ საბჭოთა სამხედრო ექსპერტებმაც დაადასტურეს. მართლაც, ჩვენი განმუხტვის პოლიტიკის სანყის ეტაპზე, ბუნდესვერმა პირადი შემადგენ-ლობის უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, თუმცა ამას არაფერი მოჰყოლია.

კოსიგინმა მისაყვედურა, ფედერალურ რესპუბლიკაში ისევე ითხოვენ გერმანიის გაერთიანებას 1937 წლის საზღვრებში; ვინც ასე აზროვნებს, ის ომს არ გამორიცხავსო. მე მას შე-ვახსენე ბრანდტის სამთავრობო განცხადება, რომელიც ეს-წრაფვოდა ძალის არგამოყენებას ყველა სახელმწიფოს მიერ დღეს არსებულ საზღვრებში, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვურჩიე: „ნუ ენდობით მათ, ვინც გეტყვით, რომ გერმანია გაყოფას შეეგუა; ის ან სულელია, ან მატყუარა“.

კოსიგინმა შემდეგ დასძინა, თანახმა ვარ ფედერალურ კან-ცლერს დახურულ კარს მიღმა შევხვდე საუბრის გასაგრძელებლადო და მკითხა, პარტიულ კონტაქტებზე რას ფიქრობთ, თუ გამოგვადგებაო. რადგან მის ქვეყანაში პარტია მართავ-და სახელმწიფოს, ორივე მხარეს წაადგება-მეთეი – მიუგე. ეს იქცა იდეოლოგიურ საკითხებზე გადასასვლელ ფრაზად, გრომიკოსთან ამას არავითარი როლი არ უთამაშია. შევძე-ლი დამენყნარებინა: მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობა-ზე ვსაუბრობთ-მეთეი; იდეოლოგიური თანაარსებობა ორივე ქვეყანას მოუტანს ზიანს და პარტიებს გაანადგურებს-მეთეი. საბჭოთა კავშირს არ უჭირდა ბიურგერულ პარტიებთან თა-

ნამშრომლობა. ახლა ვარკვევდით, როგორ შეეგუებოდა ახალ რეალობას – სოციალ-დემოკრატიულ ფედერალურ მთავრობას.

როგორც იქნა, ჩემი თანამოსაუბრე მოდუნდა და თავისი ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებზე დაიწყო საუბარი. ჩვენი თანამშრომლობა, შეუსაბამობის გამო, ნაკლებმნიშვნელოვანიაო. კოსიგინი, სინამდვილეში, მსოფლიოს ყველაზე დიდი სანარმოს გენერალური დირექტორი გალდათ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა, მაგრამ ვილი ბრანდტთან პოლიტიკური მოლაპარაკებების პარტნიორად არ გამოდგებოდა. ბოლოს მკითხა, კიდევ რაიმეს თქმა ხომ არ გსურთო. ვთხოვე, კეთილგანწყობით განიხილეთ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ქვეყნიდან გასვლის ნებართვის გაცემა-მეთქი. იკითხა: „რამდენი არიან“. ჰაერიდან დავაბრეხვე ციფრი: „სამოცდაორი“. „ფალინს გადაეცით სია“. სამოცდაორი „საქმე“ 196 პირის სიად იქცა – მოხუცი, ახალგაზრდა, ომის დავინყებული ტყვეები, აღმოსავლეთ პრუსიელები, ბევრ მათგანს მრავალჯერ ჰქონდა გასვლაზე უარი მიღებული. საელჩოს არ სჯეროდა წარმატების, მაგრამ მაინც გულდასმით იმუშავეს სიის შედგენაზე. ფალინმა ჩემს გამგზავრებამდე ჩაიბარა სია, ერთი თვის შემდეგ კი საელჩოს ბალში 196 ბედნიერი ადამიანი ვიხილე. საჯარო ტრიუმფისგან სრულიად შევიკავეთ თავი. ნდობა უნდა შეგვენარჩუნებინა.

შემდეგ ულბრიხტი თავად ჩავიდა მოსკოვში. გართულებების თავიდან ასაცილებლად გრომიკომ მე და ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამშრომელი კარლ-ვერნერ ზანე ლენინგრადში მიგვიპატიჟა. ჩქარი მატარებელი საკმაოდ ნელა მიდიოდა, რომ გათენებამდე არ ჩასულიყო ლენინგრადში, გზაში ჩვენმა თანმხლებმა ლეომ გვიამბო, კოსიგინი კეთილგანწყობით გამოეხმაურა თქვენთან საუბარსო, იმის მიუხედავად, რომ ბევრი ისეთი რამ მითქვამს, რაც მას სრულიად არ მოსწონებია. „წარმოდგენა არ გაქვთ, რა ხდება ხელმძღვანელ ჯგუფში. უნდა გვაცალოთ. ჩვენ უფრო გვიჭირს, ვიდრე – თქვენ. ჩვენ

ჩვენი მეკავშირეები გვყავს. გერმანიის საკითხი რთულია“. ეს არბატოვისგან უკვე მსმენოდა. კაცმა რომ თქვას, ჩვენი პოზიცია საბჭოთა პოლიტიკის ახლებურ ორიენტაციას მოითხოვდა. მოსკოვი ამისთვის უფრო ნაკლებად იყო მზად, ვიდრე მეგონა. თავდაპირველი ვარაუდი, რომ ორ კვირაში გავარკვევდით ჩვენი კონცეფციის ვარგისიანობას, სრულიად არარეალური აღმოჩნდა. რამდენ ხანს გასტანდა ამ უზარმაზარი ტანკერის – საბჭოთა კავშირის შემობრუნება, დროის არანაირ პროგნოზს არ ექვემდებარებოდა.

სლავას და ლეოს ვუმადლოდი, რომ ჩავნვდი, საბჭოთა სისტემა სულაც არ იყო დახურული, იგი ჩაკეტილი იყო. დასავლეთში საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, ამზადებდა გადანყვეტილებებს, რომელთაც, გაცხადებისას, მოულოდნელობის ეფექტი თითქმის აღარ გააჩნდათ. ამგვარი პროცესი შენელებული გვეჩვენებოდა. მოსკოვში კი კიდევ უფრო გაჭიანურებული აღმოჩნდა. იქაც არსებობდა პლურალიზმი: განსხვავებული მოსაზრებები და ინტერესები პოლიტიკის, სამხედროების, საიდუმლო სამსახურების, აპარატებისა, ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის. არ მუშაობდა ბრძანებისა და მორჩილების პრინციპი. მხოლოდ ჩანდა ასე, რადგან გადანყვეტილების მიღების შიდა პროცესი საიდუმლოდ რჩებოდა და მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები ძირითადად, შაბათ-კვირას ცხადდებოდა ხოლმე. უპირატესობა – მოულოდნელობის ეფექტი; ნაკლი – შიშისა და განუჭვრეტელობის გაღვივება. საბჭოთა მენტალობის რელიქტებს დღესაც ვაწყდებით.

სლავამ და ლეომ თავიანთ სისტემაში ჩავგახედეს. შიდა პროცესებს ვცნობდით, ნაწილობრივ ვაფასებდით კიდევ და გავლენის საშუალებაზე კი ვაგვანდეს. ისინი იქცეოდნენ როგორც პატრიოტები, რომელთაც სწამდათ, რომ ამერიკა, როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთადერთი ორიენტირი, საკმარისი არ იყო; რომ ევროპა და გერმანია აუცილებელი

ფაქტორები გახდებოდნენ. მომავალი ათწლეულების განმავლობაში მათ არასდროს მოუწოდებიათ ჩვენთვის ყალბი ინფორმაცია. ხდებოდა, რომ რაღაც არ იცოდნენ ან თქმის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ მათ სიტყვას წყალი არ გაუვიდოდა. ასე განმტკიცდა ნდობა, რომელიც ბრანდტიდან შმიდტზე გადავიდა და შემდეგ კოლზე.

ლენინგრადის ერმიტაჟის გამოგნებელი შთაბეჭდილებები ვერ გაანელებდა ომში თუ შიმშილით დახოცილთა, სნეულთა და გაყინულთა ბედზე წუხილს. დაუვიწყარია მილიონი ადამიანის სასაფლაო... მათ ვერც სმოლნის უზარმაზარი შენობა და ვერც სხვა რევოლუციონერთა დაბადების ქალაქები შეედრებოდა. ოცი მილიონი მსხვერპლი საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის, გერმანელებთან ახალი პოლიტიკის სარწმუნო დამაჯერებელ დასაბუთებას საჭიროებდა. ვალენტინ ფალინმა მთელი ოჯახი ლენინგრადის ბლოკადისას დაკარგა და ჩვენი ისტორია და ენა შეისწავლა, რომ მიმხვდარიყო, როგორ შეეძლო ასეთი კულტურის ერს უსასტიკესი ბარბაროსობა. იგი ჩემი პარტნიორი გახდა, რომელთანაც უფრო ხანგრძლივად და ხშირად ვსაუბრობდი ხოლმე, ვიდრე გრომიკოსთან.

## შევეგუოთ ან გადავლახოთ საზღვრები

გრომიკო თავიდანვე ისე მკაფიოდ გამოხატავდა სათქმელს, უკეთესს ვერ ინატრებდი. „სანამ საზღვრებზე არ შევთანხმებულვართ, არაფერზეც არ შევთანხმებულვართ“. შეთანხმებაში იგი თავის მოკავშირეთა საზღვრებსაც გულისხმობდა. ბევრ ევროპულ მეზობელ ქვეყანას ეშინოდა, რომ მათი გვერდის ავლით შედგებოდა გერმანიასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები, მაგრამ სხვანაირად წარმოუდგენელი იყო, მხოლოდ მოსკოვს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება და მზად იყო საუბრისთვის. მე არაფერი მქონდა სანინალმდეგო, თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარი საუბრისთვის განკუთვნილი დრო მოკლდებოდა, თანაც, აღმოსავლეთის ბლოკის ყველას მიერ აღიარებული წინამძღოლის ძალაუფლებას ჩვენი პოლიტიკის სასიკეთოდ ჩავრთავდით და პასუხისმგებლობასაც დავაკისრებდით.

„საზღვრების“ ძირითადი კომპლექსის გათვალისწინებით განიხილებოდა მოსკოვთან ყოველი მოლაპარაკების შედეგები. მე და ფალინი პირისპირ შეხვედრებისას საათობით, დღეების და კვირების განმავლობაში ვათანხმებდით სიტყვებს. კერძოდ, საბჭოთა კავშირის ინტერესი, რომ შეუცვლელი და დაცული უნდა ყოფილიყო საზღვრები, ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ სწორედ ხელშეუვალი სტატუს კვო გახლდათ ჩვენთვის მიუღებელი. ძირითადი კანონისა და ჩვენი რწმენის თანახმად, გერმანიას

გაერთიანების შანსი არ უნდა დაჰკარგოდა და სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის, მამასადამე, გერმანიის საკითხი ღიად უნდა დაგვეტოვებინა. ამგვარად, მოლაპარაკებების პირველივე წრის მიმდინარეობისას გაჩნდა იდეა მომზადებულიყო წერილი, რომელზეც ზანესთან ერთად ვიმუშავე და რომელიც საბჭოთა მხარეს დაუბრკოლებლად უნდა მიეღო, რადგან ყველა გერმანელის მშვიდობიანი თვითგამორკვევა ჩვენს ხელშეკრულებას არ ეწინააღმდეგებოდა. როგორც იქნა, მივაგენით საჭირო სიტყვას – „შეულახავი“, იგი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ცვლილებას ექვემდებარებოდა, მითუმეტეს, რომ მერე მას დაემატა „წერილი გერმანიის გაერთიანების შესახებ“.

ტერმინი „შეულახავი“ ხუთი წლის შემდეგ ეუთო-ს ჰელსინკის საბოლოო აქტის მიღებამდე შენარჩუნდა. იგი ყველამ აღიარა. ნატოს ქვეყნებმა (აშშ-მაც), ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა და ნეიტრალურმა სახელმწიფოებმაც. ამგვარად გერმანიის თემაზე კამათი დამთავრდა. ვერავინ წარმოიდგენდა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის საზღვრის ურთიერთ შეთანხმებულ, მშვიდობიან გაუქმებას. მხოლოდ ფედერალური მთავრობა განიხილავდა ჰელსინკის, როგორც პროცესს, რომელიც გერმანიის გაერთიანებით უნდა დასრულებულიყო.

მეორე კომპლექსი ჩვენი კომპეტენციის საზღვრებს უკავშირდებოდა. არცერთი გერმანული სახელმწიფო არ იყო სუვერენული. გერმანიის, როგორც მთლიანის განკარგვის ხელშეუვალი უფლება ოთხ გამარჯვებულ ძალას ეპყრა. ჩემი საფუძვლიანი არგუმენტი, საბჭოთა კავშირის ინტერესში ვერ იქნებოდა საკუთარი ძალაუფლების ულბრიხტისთვის გადაცემა, მითუმეტეს, გდრ-თან დადებული ცალკე სამშვიდობო ხელშეკრულებით, გრომიკომ მიიღო, თუმცა არაფერი უთქვამს. ამგვარად, საბჭოთა კავშირსა და გდრ-ს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც 1958 წელს ხრუმჰოვის მიერ წაყენე-



ბული ულტიმატუმის შემდეგ დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, ახლა დასამარდა.

ბერლინის საქმე უფრო რთულად რჩებოდა. იქ ბონს საერთოდ არ გააჩნდა კომპეტენცია, მაგრამ, სამაგიეროდ, სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა. ბერლინის შესახებ საუბარი მსურდა, მაგრამ რაიმეზე შეთანხმება – არა. როდესაც გრომიკო ამას მიმიხვდა, პოზიცია შეცვალა, მხოლოდ დასავლეთის ძალებთან მოინდომა ბერლინზე ლაპარაკი და დამაყენა ამოცანის წინაშე, უზრუნველმეყო ფედერაციული რესპუბლიკის გავლენა ბერლინის შესახებ მოლაპარაკებებზე, რომლის მაგიდასთანაც ჯდომის უფლება არ ჰქონდა.

არაფორმალურ დონეზე შეგვატყობინეს, რომ გდრ-ის პრემიერ-მინისტრი ვილი შტოფი ფედერალურ კანცლერს მოსკოვის გვერდის ავლით შეხვედრას სთავაზობდა. ამბავი, რომ ბრანდტი ამ შეხვედრას ამზადებდა, მოსკოვში ჩემგან უფრო მალე გაიგეს, ვიდრე აღმოსავლეთ ბერლინიდან. მე იქ დავრჩი, რადგან მოსკოვის მიმართ გულწრფელობის დადასტურება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ერფურტის შეხვედრაში მონაწილეობა. მოსკოვმა დახურული სატელეფონო ხაზის მეშვეობით ბონიდან უფრო სწრაფად, კორექტულად და დაწვრილებით მიიღო ინფორმაცია ერფურტში გდრ-ისთვის არასასიამოვნო მოვლენების შესახებ, როგორც იყო ხალხის მიერ ბარიერების გარღვევა შეხვედრის მიმდინარეობისას, ვიდრე აღმოსავლეთ ბერლინიდან. ყურადღებიდან არ გამოჰპარვიათ, რომ ბრანდტი ცდილობდა ერფურტის სასტუმროს ფანჯრიდან დაემოშმინებინა ხალხი, რომელიც „ვილის“ გაჰყვიროდა. ლეომ აღნიშნა: „რაც გინდა თქვი გდრ-ზე, რაიმეს ჩაკეტვა თუ გადაწყვიტეს, აკეთებენ კიდევ“.

გერმანიის ორივე მთავრობის მეთაურის პირველი შეხვედრა მედიისთვის სიახლე იყო. მაგრამ ერფურტის კადრები თავად ლაპარაკობდნენ, რაც აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, ბე-

ვრის გასაკვირად, მოულოდნელი აღმოჩნდა: გერმანელები თუ მიუშვი, გაერთიანებას მოინდომებენო. ერფურტში ძირეული ვერაფერი გადაწყდებოდა, სანამ მოსკოვში არ მივალწევდით რამეს.

იქ კი ჩვენი მუშაობის შედეგი ათ პუნქტად ჩამოვაცალიბეთ. მრავლობით ფორმას ვხმარობ, რადგან ეს ერთობლივი ნამუშევარი გახლდათ. ავტორები – გრომიკო, ფალინი და მე ვიყავით. ხოლო მოგვიანებით „ბარის დოკუმენტი“ რომ დაერქვა, მცდარი და არასამართლიანი გახლდათ. რადგან ფალინს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვოდა მარტივი და დახვეწილი სტილის გამო. სანამ დოკუმენტს ჩვენს მთავრობებს წარვუდგენდით და მოლაპარაკებების დაწყებას ვურჩევდით, გრომიკომ დამტანჯა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი უკვე შეთანხმებული გვექონდა, მაგრძნობინა, გერმანიის გაერთიანების შესახებ წერილს დავეთანხმები, თუკი საზღვრის შესახებ ფორმულირებას – „შეულახავი“ – უფრო მძაფრი სიტყვით შეცვლითო. ვფიქრობ, ზედმეტი მოუვიდა. პირად წერილში დავუსაბუთე, რომ ტექსტი ასე უნდა დარჩენილიყო, რადგან შეესაბამებოდა ჩვენი მთავრობების მიზნებსა და ინტერესებს. „მე ვერ და არ შევიცვლი პოზიციას ჩემი მთავრობის წინაშე, განსაკუთრებით იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც მივიღე ხანგრძლივი დისკუსიების განმავლობაში“. წერილი რომ გავაგზავნე, მხოლოდ მერე შევატყობინე შეელს ჩემი სოლო-გამოსვლის შესახებ.

მეორე დღეს ფალინი მომადგა და მკითხა, შენი წერილი ფედერალური მთავრობის აზრსაც თუ გამოხატავსო. კაკალ-გულში გაარტყა. მე მოვიტყუე, „დიახ!“ . ცოტა ხნის შემდეგ გრომიკო შემოგვიერთდა: ბოლო სხდომის წინ დრო არ მქონდა, თქვენი და ფალინის შემუშავებულ ტექსტს გავცნობოდიო. ამასობაში წავიკითხე და ვეთანხმებო. არ შევიმჩნიე, როგორ მომეშვა გულზე და ვუთხარი, ბონში პოზიტიურ მოხსენებას გავაგზავნი-მეთქი. საელჩოში აღარდტმა შამპანურით მომილოცა. მერე

კი საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშამაც არ დაახანა: გრომიკოსადმი მიწერილ წერილზე დასტურს მაძლევდა და ჩემს პოზიციას იწონებდა. ასე აღმოიფხვრა ტყუილი. არასოდეს დავუვინყებ შეელს ამ დეპეშას.

ბონში მოკავშირეები წარმატებულ გარღვევას გვილოცავდნენ. ათი პუნქტი ყველას მივანოდეთ. მაგრამ ჯერ თავი ქუდში არ გვექონდა; სანამ ეს პუნქტები მხოლოდ ქალაქებზე ეწერა, მოსკოვს არაფერს ავალდებულებდა. ვარშავაში დუკვიტცის ხელმძღვანელობით მოლაპარაკებები დუნედ მიედინებოდა. ახლა ალერდტიც კი გვაჩქარებდა: „მანამ დაჰკარ, სანამ რკინა ცხელია“. შეელს უკვე დაჯავშნილი ჰქონდა მოსკოვის ბილეთი, როცა კონსტიტუციის მინისტრმა, გენშერმა დაადგინა, დოკუმენტს გადამოწმება სჭირდებაო. ბრანდტი ბრდღვინავდა, რომ კონსტიტუციის საკითხებს მისი კომპეტენცია არ სწვდებოდა და უკმეხად ჩაილაპარაკა: „სერ ვალტერმა თავის პარტიულ მეგობართან გაარკვიოსო“.

უხერხული იყო, რომ ბონი შეთავაზებულ და მოსკოვისგან დადასტურებულ შეხვედრას აუქმებდა. შეელმა თავისი ვერ გაიტანა და არც იმან უშველა, კაბინეტის სხდომაზე ფედერალურმა კანცლერმა რომ განმარტა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში გამგზავრება ჩემი ნებართვით ხდებაო. გენშერს უნდოდა ქულა ჩაენერა და ბრანდტს ვუთხარი, შეიძლება მოახერხოს კიდევ-მეთქი. ივნისის შუა რიცხვებში ათი პუნქტი სიტყვა-სიტყვით გამოაქვეყნა ჟურნალმა „ქვიქმა“. დღემდე უცნობია, ვინ მიანოდა მათ ეს დოკუმენტი. ამით მდგომარეობა შეიცვალა. ივლისის ბოლოს შეელი მოსკოვში რომ ჩავიდა, გრომიკომ განუცხადა: რადგან ათი პუნქტი, მიუხედავად ჩვენი შეთანხმებისა, საჯარო გახდა, ტექსტზე საბჭოთა კავშირი ვეღარ მოილაპარაკებსო. ორი კვირის განმავლობაში ორ საგარეო საქმეთა მინისტრს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

მოულოდნელად ლეო გამოჩნდა. შეელმა მყისვე თქვა: „ყველაფერი კარგად იქნება“. ფალინთან და სლავასთან მოთათბირების შემდეგ ყინული დავძარით. მეორე და მესამე მუხლები გადავაბით და დავაკავშირეთ „საზღვრის პატივისცემა“ და „ძალის არგამოყენება“. ბრანდტს პირადი წერილით შევატყობინე, რომ „პოლიტიბურო წინა ღამეს ტექსტს დაეთანხმა“. აღარ მახსოვს, ერთად სეირნობისას რომელმა მოიფიქრა ეს ფორმულირება, გრომიკომ თუ შეელმა. ასეა თუ ისე, საგარეო საქმეთა ორივე მინისტრმა მოიწონა. სამი გამარჯვებული ძალა ცდილობდა ჩვენი მეშვეობით მიეღწია იმისთვის, რაც თავად ვერ შეძლეს და პირიქით, საქმე გაართულეს, მაგრამ შეელმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ვერ შეგვაჩერებდნენ და პარაფირება შეათანხმა. წინა საღამოს სანე და მე ლეომ დავგვაპატიჟა თავის ოროთახიან ბინაში, მისი მეუღლე ლიდია ბლინებით გაგვიმასპინძლდა. ლეომ გვითხრა: „ნამდვილად არ ვიცი, შეძლებთ თუ არა როდესმე გაერთიანებას, მაგრამ თუ ეს უნდა მოხდეს, იცოდეთ, ხვალ დგამთ ამ გზაზე პირველ ნაბიჯსო“.

\*

ფედერალური კანცლერის პირველი ვიზიტი ვაშინგტონში თავბრუდამხვევად წარმატებული იყო. ვერტმფრენით გამგზავრება კემპ დევიდში, CIA-ს შეფის მოხსენება კოსმოსიდან ფოტოს გადაღების შესაძლებლობაზე – ლენინის მავზოლეუმის წინ რიგში „პრავდას“ სათაური იკითხებოდა. ფეოდალებით მიგვიღეს „ბლესარ ჰაუსში“, პრეზიდენტის ოფიციალური სტუმრების რეზიდენციაში. როგორც იქნა, მარტო დავრჩით, ბრანდტმა ნიქსონზე ქილიკი დაიწყო, რა უსიმპათიო კაციაო. გავაფრთხილე: არ გვისმენდნენ-მეთქი. დამამშვიდა: მოსკოვში კი არ ვართო.

სალამოს, თეთრ სახლში დიდი მიღების დროს, თავს მეგობრების წრეში ვგრძნობდით, არა იმიტომ, რომ ნიქსონი ბრანდტის კისინჯერს მეძახდა, არამედ იმიტომ, რომ არც კი მიუნიშნებიათ, თქვენს აღმოსავლეთის პოლიტიკას გავაკრიტიკებთ ან შევაფერხებთო. წარმატების მაუწყებელი იყო ასეთი გულითადი ურთიერთგაგება.

კარგა მოგვიანებით შევიტყვე კისინჯერისგან: რასაკვირველია, გვისმენდნენ. ნიქსონს უთქვამს, ბრანდტი არ მესიმპათიურება, თანაც ლოთიაო. კიდევ უარესი: ჰენრიც დასთანხმებია! მერე მთხოვა, ნუ გენყინებაო და გამომიტყდა, ბევრ რამეზე მივდიოდი, ნიქსონზე, ამ რთულ კაცზე გავლენა რომ მქონოდაო. მე მსგავსი არაფერი გამომიცდია.

\*

ფედერალური კანცლერის დასახვედრად კოსიგინი და გრომიკო მოვიდნენ აეროპორტში. მოსკოვში ეროვნული ჰიმნის მოსმენისას ტანში ჟრუანტელმა დამიარა. კრემლისკენ გამგზავრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მოძრაობა გაეჩერებინათ. შუქნიშნები მწვანეზე ჩაერთოთ, რომ სვლა არ შეფერხებულიყო. მეგობარმა ხელი ჩამავლო და დიდხანს მაგრად მიჭერდა, ვიდრე ფიქრებს ჩაღრმავებოდა, თითქოს უინტერესო მზერა გარე სამყაროსკენ მიეპყრო.

კრემლის პროტოკოლმა დარბაზის ორივე მხარეს კარი ერთდროულად გააღო, რომ ბრანდტი და ბრეჟნევი ერთდროულად შესულიყვნენ და ერთანეთს მისალმებოდნენ. გრომიკომ ბრეჟნევთან წარმადგინა, იგი უყურებდა, როგორ აწერდნენ ხელს მთავრობის მეთაურები და მათი საგარეო საქმეთა მინისტრები ხელშეკრულებას.

გენერალურ მდივანსა და კანცლერს შორის პირისპირ საუბარი ოთხ საათს გაგრძელდა. სინამდვილეში, ეს იყო ოთხი გრძელი მონოლოგი, ერთადერთი შედეგი – ორივე მიხვდა, რომ მეტი დრო სჭირდებოდათ და ერთმანეთით დაინტერესდნენ. კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ გაუგო ბრანდტს, რომ ბერლინის ორგანიზაციას ვერ გარდაქმნიდა დამოუკიდებელ პარტიად. ამით ამოიწურა საბჭოთა პოლიტიკის იდეა „დასავლეთ ბერლინის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის“ შესახებ. საბოლოოდ ორივენი შეთანხმდნენ, რომ ყოველწლიურად შეხვდებოდნენ და გადანყვიტეს სანდო „არხი“ შეექმნათ, ვაშინგტონთან არსებული „საიდუმლო არხის“ მსგავსად. მომცეს ტელეფონის ნომერი და შემედლო ლეო ბონში გამომეძახა. შეელმა და გენშერმა უსიტყვოდ მისცეს ერთწლიანი ვიზა. სლავას მხოლოდ დასავლეთ ბერლინამდე შეედლო ჩამოსვლა, დასავლეთ ბერლინში უვიზო მიმოსვლა იყო მთელი მსოფლიოსთვის. არა მხოლოდ ბერლინის საკითხის შემდგომი მოგვარებისას, საერთოდ, ორივე მათგანი შეუცვლელი აღმოჩნდა.

ბრეჟნევისთვის ბრანდტი იყო პირველი დასავლელი სახელმწიფო ლიდერი, რომელსაც იგი შეხვდა. ჭკუაში დაუჯდა სანდო ინფორმაციის მიღება საგარეო საქმეთა მინისტრის გვერდის ავლით. მათ შორის „ქიმი“ აშკარად მუშაობდა. ორივეს უყვარდა ღვინო, ქალები და სიმღერა. ხოლო ექიმის რჩევას, თავს მოუფრთხილდითო, ორივემ შეთანხმებულებივით უპასუხა, სიმღერას შევეშვებითო.

წლების განმავლობაში ორივე არხმა – როგორც ვაშინგტონის, ასევე მოსკოვისამ, ინსტიტუციური ხასიათი შეიძინა. მხოლოდ უმაღლეს დონეზე კი არ იცვლებოდა წერილები, არამედ თანამშრომლების დონეზეც. ვაშინგტონიდანაც და მოსკოვიდანაც გვაფრთხილებდნენ ტერორისტულ აქტებზე, ამ არხების საშუალებით ვითხოვდი პასუხს ისრაელის არაფორმალურ შეკითხვაზე მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების

დამყარების თაობაზე, თუმცა, ეს უფლება ბრეჟნევის კომპეტენციაში სულაც არ შედიოდა.

ბრანდტი ისეთი სიმპათიით განიმსჭვავლა ბრეჟნევის მიმართ, ნიქსონისადმი მსგავსი გრძნობა არ გასჩენია. ბრეჟნევისაც რომ არ ჰქონოდა ბრანდტის მიმართ იგივე დამოკიდებულება, ულბრიხტს და შემდეგ ჰონეკერს არ გააცურებდა. საბჭოთა მეთაური ისეთ ინფორმაციებს იღებდა, მისი ვერცერთი სამსახური ვერ მიაწვდიდა. ორივე დედაქალაქი დარწმუნებული იყო, რომ იცოდნენ, რას ფიქრობდა ბონი. ბრანდტის პიროვნული ნდობის წყალობით ორივე არხი გუგუნებდა. ვაშინგტონთან ისეთი ინტენსივობის ურთიერთობა ჩამოყალიბდა, როგორც მომავალში აღარ განმეორებულა. მოსკოვთან ურთიერთობაც სასიამოვნო იყო, სანამ ბრანდტი და ბრეჟნევი აგებდნენ ამაზე პასუხს.

ამის წინაპირობა: არხებიდან ინფორმაციას არ უნდა გაეყონა. ასეც მოხდა. ბრანდტის გადადგომის შემდეგ ჰელმუტ შმიდტს კრემლთან არსებული არხის და მისი თავისებურების შესახებ შევატყობინე, მან კი მთხოვა, პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ამელო და შემდეგ ბერლინში ფედერალური რწმუნებულის რანგში გამეგრძელებინა. მისი გადადგომის შემდეგ, არც მისთვის მიკითხავს და არც ბრანდტისთვის, საქმის კურსში ჩავაყენე ჰელმუტ კოლი, რომელმაც ერთი ღამე იფიქრა, მერე დამირეკა და მწვანე შუქი ამინთო საქმის გასაგრძელებლად: „რა იცით, რა ხდება. დეტალებზე ტელჩიკს დაელაპარაკეთ“. მოსკოველ პარტნიორთან ერთად გადავეცით არხი ყველა ფორმლობის დაცვით. სანამ კოალიციის ახალი პარტნიორები, ერთი სართულით ქვევით, საგარეო პოლიტიკაზე საუბარს დაიწყებდნენ, კოლმა უკვე მიაჭედა ერთი ლურსმანი, როგორც ღიმილით აღნიშნა კანცლერის აპარატის ახალმა უფროსმა ჰორსტ ტელჩიკმა. ვილის გავაგებინე: ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკა საიმედო ხელში რომ აღმოჩნდა.

## მაშ, იმოქმედე

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქმის გაგრძელებას ვესწრაფვოდით. უპირველესად, დღის წესრიგში იდგა ხელშეკრულება პოლონეთთან, ასევე, ბერლინის საკითხის მოგვარება ოთხი გამარჯვებული ძალის მიერ. ბონში რომ დაებრუნდით, CIA-ს ჩვენზე „პასუხისმგებელმა“ მოხელემ მომაკითხა (ყველა პარტიაზე იყო მიმადრეხული „მსგავსი“ მოხელე). „ვაშინგტონში ჩვენებს აინტერესებთ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ ბერლინში. ჩვენი პოზიცია ხომ მტკიცე ვერ იქნება“, მითხრა მან. დავამშვიდე და დავარწმუნე, ზუსტად ვიცი, საქმის ვითარება და მალე შეგატყობინებ-მეთქი. სასწრაფოდ უნდა დავლაპარაკებოდი ბრანდტს. შინ დავპატიჟე. მის საყვარელ კერძს, კარტოფილის ნამცხვარს ვერ შევთავაზებდი, სუფრის ხშირად განახლება დაგვჭირდებოდა. ამიტომ ბარდის წვნიანი მოვუმზადეთ. გლეხური საჭმელები უყვარდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მოსკოვში კოვზებით ეგემნა ხიზილალა.

აქ ერთი საგულისხმო განმარტებაა აუცილებელი: 1991 წლამდე ყველა წარმოდგენა აღმოსავლეთის პოლიტიკის სფეროში, ყველა გეგმა და იდეა ემყარებოდა ვარაუდს, რომ საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება მუდამ იარსებებდა. 1991 წლის მოვლენები, რომელმაც მსოფლიო შეძრა და ვარშავის ხელშეკრულების დასასრული გამოიწვია, დასავლეთს არ განუჭვრეტია. მოლოდინები და იმედები მიმართული იყო



გარკვეულწილად, სისტემის ლიბერალიზაციაზე, მშვიდობიან თანაარსებობაზე და კონსტრუქტიულ თანამშრომლობაზე; ამასთან, არსებული იდეოლოგიური განსხვავებები, მშვიდობის ერთობლივი მიზნის მისაღწევად, უნდა დამორჩილებოდა კამათის გარკვეულ კულტურას. არც ბრანდტს და არც მე არ შეგვეძლო განმუხტვის პოლიტიკის გავლენის წინასწარმეტყველება ან დაგეგმვა.

ჩვეულებრივად ვსაუბრობდით. „ვაშინგტონსა და მოსკოვში ჩვენს მეგობრებთან შედარებით“, როგორც ბრანდტმა აღნიშნა, ყველა მონაწილეს ვუსწრებდით, რადგან ვიცოდით ბერლინის საჭიროებები და მისი მოქალაქეების ფსიქოლოგია. ამიტომ არ გაგვჭირვებია მოლაპარაკებების ძირითად მიმართულებებზე შეთანხმება. ვფიქრობდით, რომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, ფრთხილად უნდა ჩაგვეჭიდა ხელი ოთხივე გამარჯვებული ძალისთვის და წინ გავძლოლოდით. ვილიმ მირჩია, გონივრულად და თავშეკავებულად მოიქეციო. ჩვენმა საუბარმა მანამდე არარსებული და არც არასდროს განცდილი სივრცე და სიღრმე შეიძინა.

ჩვენი გაყოფილი მსოფლიოს, მათ შორის, საკუთარი გახლეჩილი ქვეყნის ყურებისას, ძნელად თუ უარყოფდი, რომ მთელი ეს უბედურება გერმანიამ გამოიწვია. მარქსმა და ენგელსმა მსოფლიო გავლენა მოიპოვეს, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად, ომის ჩათვლით, რომელიც საოცარი პოლიტიკური სამართლიანობის წყლობით ისევ გერმანიას შემოუბრუნდა. ალბათ უცნაური არ უნდა იყოს, რომ ამ გაყოფილი სამყაროს შუაგულში უფრო მონადინებული ხდები, იპოვო გახლეჩის შემსუბუქების და დაძლევის გზები. განმუხტვის პოლიტიკა შეიძლებოდა გამხდარიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სახიფათო დაპირისპირების გადალახვის საშუალება. თავისი მნიშვნელობით ეს გაუტოლდებოდა „კომუნიზმის ე. წ. სნეულების“ შემსუბუქებას. თითქმის გერმანელების ისტო-

რიულ პასუხისმგებლობად შეიძლება მიჩნეულიყო ეს საქმე. ბრანდტმა მოითხოვა, ამ საკითხზე არასდროს ილაპარაკო. „ყალბანდებად მოგვნათლავენ“. სიტყვების კომბინაცია „გერმანელი“ და „წინამძღოლობა“ ძალიან საშიშიაო.

მეორე მხრივ, დამამშვიდა, არც კი ვიცით, გამოგვივა თუ არა ბერლინის საკითხის მოგვარებაო. ბრანდტი მაშინაც მყარად იდგა მინაზე, როცა შორეულ ჰორიზონტს გასცქეროდა. ალბათ, ერთადერთხელ აღმოჩნდება გერმანია ასეთ გადამწყვეტ მდგომარეობაში, ვერც კი წარმომიდგენია ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელობის პოზიცია კიდევ განმეორდესო. ხოლო „ხელის ჩაჭიდების“ გამო გამაფრთხილა, ზედმეტი არ მოგივიდესო და მაშინვე მწვანე შუქი ამინთო: „მიდი, გააკეთე!“.

## უპასუხოდ დარჩენილი მონდომება: პოლონეთი

სწორედ მოსკოვში მიღებული კარგი გამოცდილების გამო გამანდო ბრანდტმა: „მძიმე მოგზაურობა გველის“. პოლონეთს, შიტლერის პირველ მსხვერპლს, გახლეჩილს, დასავლეთისკენ ჩაჩოჩებულს, ამპუტირებულს, დამარცხებულს გამარჯვებულთა შორის, თავი ისევ შეურაცხყოფილად არ უნდა ეგრძნო. მან ფირმა „კრუპის“ შეფს, ბერტჰოლდ ბაიტცს სთხოვა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ იოზეფ ჩირანკიევიჩისთვის გადაეცა წერილი. ბაიტცს, რომელმაც ომის დროს პოლონელი ებრაელები გადაარჩინა, ვარშავაში დიდ პატივს სცემდნენ და ალბათ ერთადერთი „ფოსტალიონი“ იყო, ვისაც გზავნილი საკუთარი თვითმფრინავით შეეძლო ჩაეტანა. ბრანდტმა ეს წერილი ჯერ კიდევ 1969 წლის დეკემბერში დაწერა, მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ ეცოდინებოდა, როდის მოუწევდა მოსკოვში ჩასვლა, წერილში მოთმინებით გაგებას ითხოვდა: ნუ დამაჩქარებთ, აუცილებელი არ არის, მოსკოვში უნდა დავიწყოთ ჯერ და შემდეგ ერთობლივად განვიხილავთ ყველა პოლიტიკურ საკითხსო.

ბრანდტის კეთილგანწყობას პოლონეთის მიმართ წინაისტორია უძღოდა. 1968 წლის დასაწყისში ჰანსიაკობ შტელემ, რომელიც მაშინ „ცაიტის“ კორესპონდენტი იყო ვენაში, პოლონეთის საელჩოს მრჩეველთან შესახვედრად დამპატიჟა. ჟერზი რაცკოვსკის, რომელსაც ბერლინიდან ვიცნობდი, „მისი მთავრობის დავალების გარეშე“ სურდა შემხვედროდა. ბრანდტმა ნება

მომცა, ამ შეხვედრაზე განმუხტვის პოლიტიკის ჩვენი მთელი კონცეფცია განმემარტა. ამგვარად, პოლონეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ჩვენი გეგმების შესახებ გაიგო. ჩემი შეხვედრის ჩანაწერის გაცნობიდან ორ დღეში, ბრანდტმა, მაშინ ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, რაინ-რურის კლუბში „საქმიანი საუბრის ახალ სანყისზე“ ილაპარაკა. ეს მინიშნება მისი პოლონელი კოლეგის, ადამ რაპაჩკის მისამართით იყო ნაგულისხმევი. ამ უკანასკნელმა წარადგინა ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნის საინტერესო გეგმა. 1968 წლის მარტში ნიურნბერგის ყრილობაზე ბრანდტმა პირველად ახსენა „სამშვიდობო ხელშეკრულებით დარეგულირებამდე ოდერისა და ნაისეს ხაზის აღიარების ან პატივისცემის“ პერსპექტივა. იმ ფორმის, გარკვეულწილად, სახელმწიფოებრივი დადასტურება, რომელიც ვენაში ჩემი და რაცკოვსკის შეხვედრაზე გამოიკვეთა და გამოსხაურების გარეშე დარჩა. როდესაც ვარშავა გაისუსა და ქვეყნის შიგნით ბრანდტს პრობლემები შეექმნა, დაასკვნა: „ან არ უნდათ, ან არ შეუძლიათ, ან უფლება არ აქვთ“.

მხოლოდ ერთი წლის თავზე განაცხადა უცებ პარტიის თავმჯდომარემ, ვლადისლავ გომულკამ, ბრანდტის მიერ ნიურნბერგის ყრილობაზე ჩამოყალიბებული ფორმულა საუბრისკენ გადადგმული ნაბიჯიაო. რატომ დაიგვიანა ასე რეაქციამ? ეს გამოცანა შტელემ ამოხსნა. 1969 წლის დასაწყისში ბოლონიაში იტალიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე გომულკას უშუალო თანამშრომელს, ზენონ კლიჩკოს შეხვედროდა. მას სინანულით აღუნიშნავს, გომულკას გამოსხაურებას ბრანდტის გამოსვლაზე ბონიდან რეაქცია არ მოჰყოლიაო. ვენაში პოლონელი დიპლომატის ჩანაწერი პირდაპირ საქმეში მოხვედრილა. კლიჩკოს მოუძებნია და გომულკასთვის გადაუცია. 1970 წლის 7 დეკემბერს შტელესთან ხელი-ხელ გაყრილი მივუახლოვდი გერმანელი ჟურნალისტების ჯგუფს და გავიგონე კლიჩკოს

სიტყვები: „შტელეს მაშინ, ბოლონიაში რომ არ ეხსენებინა თქვენი საუბარი – ვინ იცის, დღეს აქ, ვარშავაში ვისხდებოდით თუ არა ერთად“. ცივი ომის დროს ხანდახან გროტესკული შემთხვევითობები წყვეტდა, მიაღწევდა თუ არა მეორე მხარემდე საუბრის მზაობის ამბავი სწორ დროს.

1970 წლის 6 დეკემბერს ჩირანკივიჩი კანცლერს პროტოკოლის შესაბამისად დახვდა ვარშავის აეროპორტში. მოგვიანებით ბოდიში მოიხადა თავისი უხეირო გერმანულის გამო: ჰაბსბურგის იმპერიის ქვეშევრდომად დავიბადეო. ჩუმად ესაუბრებოდა ბრანდტს დიდ სოციალისტურ ოჯახზე. ამ პოლონელებს გრძნობების კორიანტელის დაყენება სჩვეოდათ. ხელშეკრულებაზე მომლაპარაკებელი დელეგაციის ხელმძღვანელმა პოლონელების მხრიდან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ჟოზეფ ვინიევიჩმა თავისი უზადო გერმანული ასე ახსნა: – მე რომ დავიბადე, პოლონეთის სახელმწიფო არ არსებობდა; გერმანული ენა გერმანულ სკოლაში ვისწავლე და არც ლონდონში გადასახლებისას დამვიწყებია და არც ვაშინგტონში, საელჩოში მუშაობისასო. მე მას ჩემი შლეზიელი ნათესავების შესახებ ვუამბე, ჩემი ბებიის აღმოსავლეთ პრუსიულ მოგონებებზე, ვესტფალიისკენ პირუტყვების გადასაყვანი ვაგონით მგზავრობას რომ გაუძლო; იგი ომში დაღუპულ თავისი ოჯახის წევრებზე მომიყვა. როდესაც გდრ-ის მომლაპარაკებელ მიხაილ კოლთან რთულ საუბრებზე ვუამბობდი, მოკლედ მომიჭრა: გდრ-ს არასრულფასოვნების კომპლექსი ტანჯავსო. ბონი ფრანგებისთვისაც კი უზომოდ დიდია, მითუმეტეს უშუალო აღმოსავლელი მეზობლებისთვისო. მეტი დიდსულოვნება გვმართებს და ადენაუერს ძეგლი უნდა ავუგოთ, რომ გერმანიის გაყოფის გარანტია მოგვცაო. „გამოტყდით, ხომ ასე ჯობს ყველასთვისო“. მისი გაზვიადებული შეხედულების მიმართ, პროტესტის ნაცვლად, თანაგრნობით განვიმსჭვალე: მოსკოვის ხელმძღვა-

ნელობის ძალაუფლების რეალობა ჩვენ სასიკეთოდ გამოვიყენეთ, ვარშავა მას უნდა დამორჩილებოდა.

ბრანდტის სატელევიზიო გამოსვლა, რომელსაც ვარშავიდან გერმანიაში გადასცემდნენ, თითქმის იმავე წონის იყო, როგორც ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლითაც ოდერისა და ნაისეს საზღვარს ადგენდა და ტერიტორიაზე პრეტენზიას არ აცხადებდა. სიტყვის სრულყოფაში გდანსკელი გიუნტერ გრასი და აღმოსავლეთ პრუსიელი ზიგფრიდ ლენცი დაეხმარნენ. კანცლერმა იცოდა: არავინ დაანებებდა გერმანიას გაერთიანებას, თუკი ამ ტერიტორიებზე განაცხადებდა პრეტენზიას. ეს ოცი წლის შემდეგ, „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებების დროსაც დადასტურდა. მაგრამ ლტოლვილებისთვის იმედის დაკარგვას ვერ შეამსუბუქებდა ის ამბავი, რომ ეს დანაკარგი დიდი ხნის ნალოლიავებ ილუზიებს ეწირებოდა. ხოლო ბრანდტისთვის შიდა პოლიტიკური რისკი არ შეუმცირებია იმას, რომ პოლონეთმა რეალობის დადასტურება მოგვიანობით მაინც მიიღო.

ბრანდტი დაჩოქილი მე არ მინახავს. ბაიტცი და მე მანქანაში ვსაუბრობდით ჩვენს შთაბეჭდილებებზე და შემდეგ გეტოს მემორიალისკენ მივსეირნობდით, ჩვენ წინ ჟურნალისტებს აღემართათ ცოცხალი კედელი, უცებ სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. რა ხდება-თქო, ვიკითხეთ, პასუხად ერთმა ჩაიჩურჩულა: „დაიჩოქა“. საღამოს, ჩემს მეგობართან მარტო რომ დავრჩი, გავბედე და ვთქვი: „მაგარი იყო“. ბრანდტმა მიპასუხა: „ვიგრძენი, რომ მარტო თავის დახრა არ კმაროდა“. კაცმა, რომელსაც პიროვნულად არანაირი ბრალი არ მიუძღოდა, თავისი ხალხის ისტორიული დანაშაული აღიარა. მეტი სათქმელი აღარაფერი იყო.

კლიჩკოს მიმამაგრეს, მან ძველი ქალაქი დამათვალიერებინა, თანამედროვე მხატვრობის გამოფენა, ასეთს ვერც მოსკოვში ნახავდი და ვერც ბერლინში, და შემდეგ რესტორანში დამპატიჟა, სადაც თბილად გვიმასპინძლეს. არც არავინ გვახლდა

და არც არავინ გვითვალთვალებდა, სტუმრებს შევერიეთ. „წარმოგიდგენიათ ქალაქში ასე ხეტიალი სუსლოვთან ან აქსენთან ერთად?“ მართალია, მოსკოვის და აღმოსავლეთ ბერლინის მთავარ იდეოლოგებს არ ვიცნობდი, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა. ევროპის უსაფრთხოების ხედვის შესახებ მშვიდად უნდა გვესაუბრა. ამიტომ საშობაოდ მაზურიაში დამპატიყა.

მოლაპარაკებების მაგიდასთან ბრანდტმა განმარტა თავისი განზრახვა, პოლონეთთან ურთიერთობისთვის ისეთივე წონა მიენიჭებინა, როგორც იყო საფრანგეთთან. მის ნათქვამს გამომხაურება არ მოჰყოლია. არც მის წინადადებას მოჰყოლია პასუხი გერმანულ-პოლონური ახალგაზრდული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე. ოცდაოთხი წლის შემდეგ, რიხარდ ფონ ვაიცზეკერი ჩავიდა თავისი ბოლო სახელმწიფო ვიზიტით ვარშავაში. სანამ ის პრეზიდენტ ლეხ ვალეზას ესაუბრებოდა, პრემიერ-მინისტრმა თადეუშ მაზოვიცკიმ ფედერალური კანცლერი კოლი შეაქო ოდერისა და ნაისეს ხაზის სახელმწიფო ხელშეკრულების ისტორიული აქტისთვის. გამიკვირდა, რადგან კოლი აიძულეს ეს ხელშეკრულება დაედო და ერთი მილიმეტრითაც არ შეუცვლია საზღვარი. შემდეგ მაზოვიცკიმ კოლს ხოტბა შეასხა, პოლონეთთან ურთიერთობა საფრანგეთის დონეზე აიყვანე და პოლონურ-გერმანული ახალგაზრდული ორგანიზაცია შექმენიო. ვილი ბრანდტის სახელი არც უხსენებიათ. თავი ვერ შევიკავე და საჯაროდ გამოვხატე განცვიფრება. მაზოვიცკიმ ბოდიში მოიხადა სიტყვებით, ბრანდტის დაჩოქება დაუფიქნარიანო. ამან იმედგაცრუება გამოორმაგა.

ოჯახის გამთლიანების თემა გროტესკად იქცა. „სავარაუდოდ 40000“ კაცის ქვეყნიდან გაშვებას შეგვპირდა პოლონეთი. სამი წლის შემდეგ კიდევ 120 ათასის ნებართვას ვცდილობდი. პოლონეთი ერთ მილიარდ გერმანულ მარკას ითხოვდა, მაგრამ ეს თანხა ქვეყნიდან გასვლასთან კავშირში არ უნდა ყოფილიყო. როდესაც ზანემ და მე მოლაპარაკებებისას 560 მილიონ-

ნამდებ შევამცირეთ, ბრანდტმა დამავალა, ფინანსთა მინისტრს დაელაპარაკეო. შმიდტმა უხეშად მომიშორა თავიდან. მერიდე-ბოდა პოლონეთისთვის ამის შეტყობინება. შეთავაზებას დუმილით უპასუხეს, თანხა ეცოტავათ. შმიდტს კანცლერობისას მათთვის ერთი მილიარდ გერმანულ მარკაზე მეტის გამოყოფა მოუწია – პირდაპირი კავშირის გარეშე – 100 ათასი ადამიანის მოსაპოვებლად. საბოლოოდ, პოლონეთის ელჩმა გაიკვირვა, მას მერე რაც ჰელმუტ კოლი გახდა კანცლერი: „ადრე ფულს იმაში გვიხდიდით, რომ ხალხი წასულიყო, ახლა იმაში გვაძლევთ, რომ პირიქით, დარჩნენ“. ეს გახლავთ ევროპაში თავისუფალი გადაადგილების გერმანიის მოთხოვნის ისტორიის მოკლე ვერსია.

შეხვედრებით დახუნძლული ორი დღის შემდეგ ჩირანკიევიჩმა აეროპორტში ხელკავით გამიხმო და იმედიანად მითხრა: – ჩვენი ევროპული საუბარი უნდა გავაგრძელოთ! მანაც დამპატიყა საშობაოდ მაზურიაში. თუმცა, დღემდე არ ვარ იქ ნამყოფი, რადგან ორი კვირის თავზე გუმუელკა და მისი გუნდი შეიცვალა. ფასების მკვეთრ ზრდას მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ოდერისა და ნაისეს ხაზს. უკანა გზაზე ჩემი მეგობარი იმედგაცრუებული, მელანქოლიური, უკმაყოფილო ჩანდა: მეტს ველოდიო...



## ბერლინის ხელშეკრულება – ხელოვნების ნიმუში

ის-ის იყო, ბონში დავბრუნდით, რომ ბრანდტმა ბრძანა: – ახლა ბერლინს უნდა მიხედო. გარდა ამისა, გდრ-თან მოლაპარაკებების წარსამართად მოემზადე! განსაკუთრებულად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი – კანცლერის აპარატის მანდატის გარდა ფედერალური რწმუნებულებაც ვიყავი ბერლინში. ბრანდტმა გაამყარა ჩემი პოზიცია – ეგონ ფრანკე მოზომილად დაარწმუნა, რომ მისი სამინისტრო, რომელსაც საერთო გერმანული ერქვა და გერმანიის შიდა საქმეთა სამინისტრო ეწოდა, აღმოსავლეთ ბერლინში ისევ პროვოკაციად აღიქმებოდა. ფრანკეს უწყებას დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა ერგო. შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ტრანსპორტის, აგრეთვე საგარეო უწყების წარმომადგენლები აძლიერებდნენ დელეგაციას.

კანცლერმა დააზუსტა, „ღრმად პატივცემული კოლეგა ბარი“ ოფიციალური რწმუნებებით აღჭურვა: „თქვენ, როგორც საგანგებო დავალებათა ფედერალურ მინისტრს განდობთ გდრ-თან ურთიერთობების განვითარების საკითხების დამუშავებას და ფედერალური მთავრობის რწმუნებულის რანგში ბერლინში მოღვაწეობას. ამ სფეროში კაბინეტისათვის წინადადებების წარდგენას გთხოვთ შესაბამის უწყებებთან კოორდინაციაში... მეგობრული საღმით, თქვენი ვილი ბრანდტი“.

მოსკოვის მოლაპარაკებებზე გამარჯვებული ძალების გავლენის არეალი ბერლინის საკითხში გამოიკვეთა. ჩვენ დელიკატური ამოცანის წინაშე დავდექით, გაგვეფანტა შთაბეჭდილება, რომ წამყვან როლს ვესწრაფვოდით, თუმცა, ჩვენი მხრიდან, ფარული წინამძღოლობა აუცილებლობად მიგვაჩნდა, რადგან ამერიკელები, საბჭოელები, ბრიტანელები და ფრანგები არ ჩქარობდნენ ბერლინის შეთანხმებისთვის მიეღწიათ. 1970 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული იკრიბებოდნენ მათი ელჩები თვეში ერთხელ ბერლინის კლასტის პარკში მდებარე კონტროლის საბჭოს შენობაში და ერთმანეთს ოთხი ძალის სტატუსის შესახებ თავიანთ განსხვავებულ პოზიციებს უზიარებდნენ. ეს შეიძლებოდა წლობით გაგრძელებულიყო. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა.

მას შემდეგ, რაც მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიცირების წინაპირობად ბერლინის შესახებ დამაკმაყოფილებელი რეგულაცია გამოვაცხადეთ, ოთხი ძალაც დაინტერესდა ეს წინაპირობა შეესრულებინა. ვაშინგტონს სურდა ბრანდტისთვის შეპირებული დახმარება აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხში საბჭოელების მხრიდან ბერლინის თემაზე დათმობის ზენოლისთვის გადაება. ამ ვითარებაში ფედერალურმა კანცლერმა ამერიკის პრეზიდენტს შესთავაზა, ოთხი ელჩის არარეგულარული შეხვედრები „მუდმივი კონფერენციის“ რეჟიმში გადაეყვანა. ჰენრიმ შემატყობინა, პრეზიდენტი წინადადებას დასთანხმდაო; სასწრაფოდ უნდა შევხვედროდით. მოწვევა გამოგიგზავნე 1971 წლის 31 იანვარს კეიპ კენედიზე აპოლო 14-ის სტარტზე დასასწრებადო.

ვაშინგტონში ვიცე-პრეზიდენტ სპირო აგნეუსთან წარმადგინეს, რომელიც საკმაოდ უსიმპატიო მომეჩვენა, მერე მასთან ერთად გავფრინდი ზაფხულის ფლორიდაში, ჰენრის ხელი დავუქნიე და დავესწარი ხომალდის გამაყრუებელ სტარტს, მიწა ზანზარებდა. კვლავ შევხვდი ჰენრის პატარა თვითმფრინავის

ბორტზე კირკ დუგლასთან ერთად. იგი ზუსტად ისეთი იყო, როგორც მახსოვდა „სპარტაკით“ აღფრთოვანებულს. ჰენ-რის შვილებს მიუჯდა და პირისპირ ლაპარაკი გვაცალა. შედეგი: ჰენრი ქვეითი საიდუმლო სამსახურის წარმომადგენელს მიავლენდა ფრანკფურტში, რადგან CIA-ს ბოლომდე არ ენდობოდა და ასე დაამყარებდა პირდაპირ კონტაქტს სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდის ავლით ელჩთან, კენ რაშთან. საბჭოელებთან შესათანხმებლად ქალაქი მოგვთხოვა. ვილი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ჩემს ორ საბჭოთა თანამეინახეს, სლავას და ლეოს ბერლინის რეგულაციის სტრუქტურაზე რომ მოვეთათბირე, მივხვდი, რომ ამ საქმისთვის საჭირო პროფესიული ცოდნა აკლდათ. ამიტომ ფალინი ჩამოვიყვანეთ ბერლინში. ჩვენი ერთობლივი საზრუნავი: გდრ-მა ამის შესახებ არაფერი უნდა გაიგოს. ორი დღის განმავლობაში 18 საათი ვიმუშავეთ. შემდეგ ფალინმა მითხრა, მოსკოვი ფარულ მოლაპარაკებებს დასთანხმდა და ვაშინგტონმა განაცხადა, აშშ-ს კონტროლის საბჭოში დელეგაციისთვის მიცემულ ოფიციალურ ინსტრუქციებს სერიოზულად ნუ შეხედავთ. კენ რაში პირდაპირ ვაშინგტონს ჩააბარებდა ანგარიშს, ფალინი – მოსკოვს, მე კი – კანცლერს. ეს უთქმელად ნიშნავდა შემდეგს: პარიზს და ლონდონს საქმის ვითარებას მხოლოდ მას შემდეგ შევატყობინებდით, როდესაც ჩვენს შედეგებს კონტროლის საბჭოს წარუდგენდით, ოღონდ აღმოსავლეთ ბერლინისთვის ოთხი გამარჯვებული ძალის წარმატებული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ. ეს დროის დამზოგავი კონსტრუქცია პირდაპირი არხების მეშვეობით საზრდოობდა და მას წარმატების ერთობლივი სურვილი აკავშირებდა.

მანამდეც აუცილებელი იყო ბრანდტის, ნიქსონისა და ბრეჟნევის მხარდაჭერა. ახლა კი ვილი და მე უკვე შინაარსზე ვმსჯელობდით. მონაწილეთაგან ვერცერთს ექნებოდა ზუსტი წარ-

მოდგენა მოლაპარაკებების შედეგზე. ხელშეკრულების ბირთვი უნდა გამხდარიყო რუსების მიერ გარანტირებული რეგულაცია მოქალაქეთა გადაადგილების შესახებ. და გზიდან უნდა ჩამოგვეცილებინა გადამწყვეტი ბარიერი: ოთხი გამარჯვებული ძალის ამაო ძალისხმევა, შეთანხმებულიყვნენ მთელი ბერლინის ხალხთაშორის სამართლებრივ სტატუსზე. ნიმუშად გამოდგებოდა საზღვრის გადაკვეთის მონმობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდა სალვატორულ დათქმას, რომ უწყებების, ადგილების და სამსახურების დასახელებების პუნქტში შეთანხმება ვერ მოხერხდა. ეს საკმარისი იყო ძირითადის – საზღვრის გადაკვეთის მონმობების მოსანესრიგებლად. მსგავსი კონსტრუქციის მისაღებად უპირველეს ყოვლისა, ამერიკელების თანხმობა გვჭირდებოდა.

ჰენრიმ ჩემთვის ბილდერბერგის კონფერენციაზე მოწვევა გამოაგზავნინა, რომელიც ამჯერად ვუდსტოკში (ვერმონტის შტატში), პომპეზურ მამულში იმართებოდა. ნაკლებად მაინტერესებდა მონაწილეთა მყვირალა სახელები – პოლიტიკოსი, სამხედრო სფეროს და განსაკუთრებით ინდუსტრიის წარმომადგენლები, რომლებიც ათასობით მილიარდ დოლარს, ფუნტსა და გერმანულ მარკას განასახიერებდნენ. ჰენრის ჩემი წინადადება მოეწონა და მეორე დღეს, პრეზიდენტთან სავალდებულო შეთანხმების შემდეგ, „გენიალურიც“ კი უწოდა. ჩვენ ფოკუსში მოვაქცევდით სამ დასავლურ სექტორს, მათ დამოკიდებულებას ბონთან და დაუბრკოლებელ მიმოსვლას. არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ ოთხ გამარჯვებულ ძალას ჰქონდა ამ საკითხების მოგვარების კომპეტენცია, მაგრამ ორ გერმანულ მთავრობას რომ სატრანზიტო შეთანხმებისთვის უნდა მიეღწია, რომელიც ოთხ გამარჯვებულ ძალას ერთდროულად უნდა აემოქმედებინა, ესეც ცხადი გახლდათ.

სალამოს ჰენრიმ ვიეტნამზე წამოიწყო საუბარი. ბრანდტმა რომ საჯაროდ ვნებები ჩააცხრო, რაც სულაც არ იყო იოლი

კამბოჯის ხალხთაშორისი სამართლის დარღვევით დაბომბვის ფონზე, ვაშინგტონს არ გამოჰპარვია. – ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწეა! – თქვა. მე მხოლოდ თავი დავუქნიე, თანხმობის ნიშნად.

ფრაზა „მთელი ბერლინი“ ოთხი გამარჯვებული ძალის ხელშეკრულებაში არ უნდა ხსენებულყო და უნდა შეეცვალა ფორმულას „შესაბამის ნაწილში“. ჰენრიმ დაასკვნა: „ეს იქნება ყველაზე გიჟური მოლაპარაკებები, რაც საერთოდ მსმენია“. გულზე მომეშვა. მიუხედავად იმისა, რომ ტემპს და მიმართულებას ჩვენ ვკარნახობდით, ყველაზე ვინრო წრეშიც კი კრინტი არ დაგვიძრავს გერმანიის წამყვანი როლის შესახებ. ამერიკის ელჩი კენ რაში უფრო იოლად უყურებდა ამ საკითხს: „უპირველეს ყოვლისა, თქვენს ინტერესებზეა საუბარი. ამიტომ უნდა გვიხელმძღვანელოს კანცლერმა“.

მართლაც დიდი შვება იყო, რომ 1971 წლის დასაწყისში ფალინი რაინის პირას ელჩად მოავლინეს. ჩვენი შეხვედრები მონაცვლეობით იმართებოდა ამერიკის და საბჭოთა კავშირის რეზიდენციებში. ელჩების კანცლერის აპარატში მოსვლა თვალში მოსახვედრი იქნებოდა. მხოლოდ ერთხელ შევძელი მათთვის საპასუხო პატივისცემა ფედერალური რწმუნებულის სახელმწიფო ვილაში, დალემში, პიუკლერმტრასეზე. CIA-ს არ გამოჰპარვია და მეორე დილას რაში ააფორიაქეს, ფედერალურ რწმუნებულს ფალინი სტუმრობდაო. რაშმა უპასუხა – მეც იქ ვიყავიო, მაგრამ როგორც მეგობარმა, გამაფრთხილა: „ეგონ, ფრთხილად იყავი, გითვალთვალებენ“.

ჩვენ გაცნობიერებული გვექონდა პასუხისმგებლობა, რომ ის რთული ტექსტები, რომელთაც გერმანულად ვწერდი, ინგლისურ ენაზე უნდა შეგვეთანხმებინა, არც ფალინმა და არც მე ინგლისური კარგად არ ვიცოდით. რაშმაც ისევე არ იცოდა რუსული, როგორც მე, თუმცა გერმანულში ინაფებოდა კვირიდან კვირამდე, მაგრამ ფალინის დონისთვის არ მიუღწევია. ამერი-

კელები თითოეულ გერმანულ სიტყვას უამრავ სინონიმს უძებნიდნენ, ეს გვეხმარებოდა, მაგრამ ფალინმა და მე ვიცოდით, რომ წარსულით დატვირთული ეს სიტყვები ბონისა და მოსკოვისთვის, უპირველეს ყოვლისა კი ვაშინგტონისთვის, მიუღებელი იქნებოდა. ერთმანეთს ვაფრთხილებდით, სად გველოდა უფსკრულში გადაჩეხა, ეს კი ჩვენ შორის ნდობას აღრმავებდა. მალე სახელებით მივმართავდით ერთმანეთს და შინაურულ მიმართვაზე გადავედით.

დასავლეთ ბერლინისა და ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განსაზღვრა ძნელი საქმე აღმოჩნდა. საბჭოელებმა „დასავლეთ ბერლინის დამოუკიდებელი ერთეულის“ მოთხოვნაზე კი თქვეს უარი, მაგრამ მათთვის დისკუსიას არ ექვემდებარებოდა კონსტიტუციით გამაგრებული შეთავაზება, ბერლინს ნოდებოდა ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი მიწა. არცერთ ჩვენს წინადადებას მოსკოვი არ დაეთანხმა. ზანემ ძველი საბუთები გადაქექა და მართლაც აღმოაჩინა, რომ სამ გამარჯვებულ ძალას (საფრანგეთის გამოკლებით) ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე გადაენწყვიტა, ბერლინი არ გამხდარიყო ახალი სახელმწიფოს „კონსტიტუციური ნაწილი“. კენმა მომავალი დოკუმენტი ამ სიტყვებით ჩამოაყალიბა: „რჩება ფედერაციული რესპუბლიკის არაკონსტიტუციურ ნაწილად“. ფალინს თავისი მინისტრი გაახსენდა და განავრცო: „... და არც მისგან იქნება მართული“. მე კი საკონსტიტუციო სასამართლო გამახსენდა: „...და არც მომავალში იქნება მისგან მართული“. ის, რაც ჩვენ შევათანხმეთ, ოთხ გამარჯვებულ ძალას თავიანთი საელჩოების მრჩევლების ხელით დაუდეს მაგიდაზე ამერიკელებმა და საბჭოელებმა.

ერთდროულად რამდენიმე დონისთვის უნდა გაგვეწია ანგარიში: შიდა ბირთვი კენისა და ვალენტინის სახით, ფარული არხები ვაშინგტონთან და მოსკოვთან, კენჭისყრა ბერლინის სენატში და პარტიების შიგნით, ბონში, და არ უნდა დაგვეწყ-

ებოდა გდრ. ყველაგან ვაწყდებოდით განსხვავებულ ინტერესებს, ვნებებს, ბოლო წუთში თავიდან აცილებულ ჩავარდნებსა და მღელვარებას, რომელთაც ბრანდტი „წვრილმანებს“ უწოდებდა. ეს ყველაფერი ისტორიის ნაწილია. ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორ მაჩქარებდა ხოლმე. – არ მინდა, სულ ვიტყუებოდე, როცა შენზე მეკითხებიან, სად არისო. თან ბრაზობდა: „ამ წყეულმა გამარჯვებულებმა კეთილი ინებონ და ყველაფრისგან საიდუმლოს ნუ ქმნიანო“. ეს მახალისებდა, რადგან ჰენრის თხოვნით ნიქსონის ადმინისტრაციას დაეხმარა, როცა ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკული ჯარის შემცირების წინააღმდეგ ილაპარაკა. ბრეჟნევს მისწერა, ოპოზიციის შემოტევის მიუხედავად, უკან არ დავიხევო და შეახსენა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რომ დასავლეთ ბერლინელებისთვის ფედერაციის პასპორტების გაცემა შეგვძლებოდა.

ამასობაში ულბრიხტი ჰონეკერმა შეცვალა. ფალინმა შემატყობინა, – ახალი კაცი მოსკოვისთვის უფრო სასურველი პარტნიორიაო, შიდა გერმანული მოლაპარაკებები გართულდებაო... გარდა ამისა, კანცლერის მეორე შეხვედრა უნდა მოგვემზადებინა ბრეჟნევთან. მათ სურდათ სექტემბერში ყირიმში შეხვედროდნენ ერთმანეთს სამი დღით, რათა კონვენციური შეიარაღების შემცირების საინტერესო თემაზე ესაუბრათ.

გვიან გამახსენდა, რომ ჩვენი ხელშეკრულება სამ ენაზე – ინგლისურად, ფრანგულად და რუსულად შევიდოდა ძალაში, მაგრამ გერმანული ვარიანტიც საჭირო იყო, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოსთვის ყოფილიყო სავალდებულო. გერმანულ-გერმანულმა პატარა სამუშაო ჯგუფმა თითქმის ასი განსხვავება აღმოაჩინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიერ შესრულებულ თარგმანებში. ოთხმა ძალამ უხალისოდ გადადო პარაფირება, მაგრამ მაინც ასე ერჩივნათ, მერე მუდმივად მათი მოსაგვარებელი გახდებოდა გაუგებრობები. გერმანელები ორი პუნქტის გარდა, ყველაფერზე შეთანხმდნენ: გდრ-მა დაიჟინა,

მთელ ამ ამბავს „ოთხმხრივი შეთანხმება“ დავარქვათო, ჩვენი მხარე კი „ოთხი გამარჯვებული ძალის შეთანხმებაზე“ ლაპარაკობდა. გართულდა ინგლისური „ties“ და რუსული „связи“-ს თარგმანი. ორივე ცნება შეიძლებოდა გვეთარგმნა როგორც „ბმა“ ან „კავშირი“. აზრი გამოვთქვი, „უწყებრივი ბმა“ და „ქალთან კავშირი“ სხვადასხვაა-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ. პრაქტიკაში ორივე ვარიანტმა იმუშავა: დასავლეთ ბერლინი ისევე ფედერაციისთან „ბმაში“ ცხოვრობდა, ხოლო გდრ-ისთვის ეს იყო საბჭოთა კავშირის მიერ გარანტირებული „კავშირი“.

დასკვნითი ფაზის ალიაქოთში კენი ფასდაუდებელი აღმოჩნდა, იგი სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებებს არად დაგიდევდათ: თეთრ სახლს და მე უკეთ გვესმის, რა იგულისხმება შეერთებული შტატების ინტერესებშიო. ანდა, როდესაც ქრისტიან-დემოკრატიულ ფრაქციას უხსნიდა, როგორი წარმატება ხვდებოდა წილად შეთანხმებას, ვინც მხარს არ დაუჭერს, ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკას დაუპირისპირდებაო. მოსკოვმაც გამოიჩინა სისხარტე: გრომიკო ინკოგნიტოდ ჩამოვიდა ბერლინში, როგორც ჩემი არხიდან შევიტყვე, არ უნდოდა, მაგრამ მაინც დაეთანხმა დასავლეთ ბერლინელებისთვის ფედერალური პასპორტების გაცემას. გერმანელებმა, რაც წარმოგვედგინა, მთლიანობაში, გავიტანეთ. სამაგიეროდ, საბჭოთა სურვილი დავაკმაყოფილეთ დასავლეთ ბერლინში გენერალური საკონსულოს გახსნის თაობაზე.

კენმა ბრანდტს ნიქსონის, ამ არცთუ მარტივი კაცის სიტყვები გადასცა: „ამ კაცს შეგიძლია ენდო“. ანი თქვენს ჯგუფს „სამ მუშკეტერს“ ვუნოდებო, ჩვეული სტილით კონვენციური იარაღის შემცირებასაც მიაღწევთო. ამიტომაც ვუთხარი კანცლერს მოგვიანებით, 1974 წლის აპრილს, მომავალი წლის ბოლომდე უნდა შევთანხმოთ ჯარის დაშლის პირველი ხელშეკრულება-მეთქი, იმის რწმენით, რომ ისტორიას განსაზღვრავს საჭირო ადამიანის ყოფნა საჭირო დროს და საჭირო ადგილას.



როდესაც ოთხმა ძალამ სამუშაოს დასრულებისას ერთხმად შესძახა – „ბოლო კეთილია“ – ეს იყო საბჭოთა კოლეგის, პიოტრ აბრასიმოვის ერთადერთი წვლილი ამ საქმეში.

დაიწყო ზეიმი. წამოვიდა მილოცვები მთელი მსოფლიოდან. ექვს თვეში მეტს მივალწიეთ, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა. ყველა ისე იქცეოდა, თითქოს საქმე დასრულებული ყოფილიყო. არადა, ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი გვქონდა გდრ-თან ტრანზიტიული მიმოსვლის შეთანხმების დეტალები, რისთვისაც წამოვიწყეთ მთელი ეს ამბავი. გასაოცრად უჩვეულო იყო ნდობა, რომელიც უცებ ჩემს აღმოსავლეთ გერმანელ პარტნიორს მიხაელ კოლს და მე გამოგვიცხადეს. და ვილიმ მაშინ პირველად ისარგებლა შიდა გერმანული მრავლობითი ფორმით: „თქვენ ამას მოახერხებთ!“.

## გერმანელების გარეშე არაფერი გამოვა (სატრანზიტო შეთანხმება)

ნდობა, რომელიც ორ დიდ სახელმწიფოს შორის ბერლინის მოლაპარაკებათა დროს ჩამოყალიბდა, ბონისა და აღმოსავლეთ ბერლინის ურთიერთობაზეც აისახა. საბჭოელები და ამერიკელები ზრუნავდნენ, გერმანელებს ტრანზიტის საკითხებზე ესაუბრათ, სწორედ მაშინ, როცა ოთხი ძალის კონტროლის საბჭო ანი უნდა შეკრებილიყო. ჩემთვის ეს ხელსაყრელი აღმოჩნდა, მიხედავ კოლი გავიცანი. ჰაინრიხ ჰაინეშტრასეზე დასავლელებისთვის განკუთვნილი გადასასვლელით ვსარგებლობდი, თუმცა მხოლოდ ჩემი დასავლეთ ბერლინული პირადობის მონმობა მქონდა. ოფიცერმა გადანყვიტა, უკან გავებრუნებინე, ვურჩიე, სახელმწიფო მდივან კოლს დაურეკე-მეთქი. კოლი გაცოფდა, პროვოკაციააო, სანამ არ ვუთხარი, ფედერალურ კანცლერსაც დასავლეთ ბერლინული პირადობის მონმობა აქვს-მეთქი. ნეტავ როგორ მიუდგებოდნენ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო ვიზიტს აღმოსავლეთ ბერლინში? თანაც, მე ფედერაციის რწმუნებული ვიყავი ბერლინში და მისი მთავრობის შეხედულებით, უკანონო უწყების ხელმძღვანელი. შემდეგ შეხვედრაზე კოლმა პატარა პირადობის მონმობა გადმომცა, გდრ-ის მინისტრთა საბჭოს მიერ გაცემული, ნომრით 000001, რომელიც ყველა სამსახურს უთითებდა, მისი მფლობელის-

ვის დახმარება გაეწიათ. თუმცა არასდროს დამჭირვებია, ჩემი მანქანა აღარც შეუმონებიათ.

მიხაელ კოლი და მე იმთავითვე კმაყოფილნი ვიყავით იმის გამო, რომ „ოთხთა ძალაუფლება“ ჩვენს წარმატებას უნდა დალოდებოდა. გარდა ამისა, ფალინმა თავისი შეხედულება გამიზიარა, შენი პარტნიორი „ნესიერი კაციაო“. გდრ-ის საუკეთესო წარმომადგენელი გავიცანი: ჭკვიანი, თავისი საქმის ზედმინევნით მცოდნე. თუმცა თავდაპირველად შებოჭილი და დაეჭვებული. არც იმან უშველა, ჩემი ნათქვამი რომ მიუტანეს, მასთან შედარებით გრომიკო პლეიბოია-მეთქი.

დელეგაციები კვირაში ორ-სამ დღეს მუშაობდნენ, ხანდახან შაბათ-კვირასაც და გვიან ღამემდე. თავიდან, საღამოობით, დასავლეთ ბერლინში ვბრუნდებოდი, კოლს ეს არ სიამოვნებდა, მერე ვიღიმ მითხრა, დამალობანას თამაშს შეეშვიო. ხშირად უნტერ დენ ლინდენზე მემკვიდრე პრინციის სასახლის ფანჯრიდან არა მარტო ქალაქის შესანიშნავი ხედით ვტკბებოდი, არამედ ბრანდენბურგის კარიბჭესაც გავცქეროდი ხოლმე დასავლეთისკენ. ღამის ცისკენ მიწვდენილი რეკლამების ანარეკლი ალბათ ასეთივე წარმოდგენას იწვევდა აქ, აღმოსავლეთში, როგორიც ომის შემდეგ შვეიცარიის მონახულებისას დაეუფლებოდა კაცს: გაჩახჩახებული, მდიდრული სანახაობებით აღტაცება. როდესაც ულრიხ ზამი, ქალაქის დემოკრატიულად არჩეული უკანასკნელი მერის ვაჟი და მე უნტერ დენ ლინდენზე ვსეირნობდით, ვიტყოდით ხოლმე, ბერლინი დედაქალაქად დაგვმშვენდებაო. აქ თავს შინ ვგრძნობდი, კოლი კი ტიურინგიიდან ჩამოსული იყო.

მოლაპარაკებებში გდრ თანამშრომლობის სულისკვეთებას ავლენდა, სანამ იმ პუნქტამდე არ მივედით, რომელიც ტრანზიტის ბოროტად სარგებლობას განსაზღვრავდა. ჰქონდათ შპრინგერს და შტრაუსს ამ პუნქტით სარგებლობის უფლება? ან მათ, ვინც გდრ-ის შეხედულებით, აქაურობა არალეგალუ-

რად დატოვა? არცერთი ქვეყანა არ ამბობს უარს დეზერტირების დაჭერაზე, აღშფოთება გამოხატა კოლმა. დასავლეთის ძალების წარმომადგენელთა აზრით, ომის დამნაშავეების მიერ სატრანზიტო გზით გამოყენებას გდრ-ს ვერ შეჰკადრებდნენ. დიდი ხანი დაგვჭირდა, სანამ შედეგს მივალნიეთ: ტრანზიტულ ზონაში ვინც აღმოჩნდებოდა, მისი დატოვების უფლებაც უნდა ჰქონოდა. ვისაც უკან არ გააბრუნებდნენ, დაუბრკოლებლად გააგრძელებდნენ გზას. დეზერტირს გდრ-ის უწყებები საერთოდ არ შეუშვებდნენ. ცოტა მოგვიანებით „რესპუბლიკიდან გაქცეულებსაც“ კი მისცეს ტრანზიტით სარგებლობის თავისუფლება. სანამ ჩვენი შეთანხმება მუშაობდა, მაშასადამე, გერმანიის გაერთიანებამდე, არცერთხელ არ გამხდარა ოთხი ძალის გამოძახება საჭირო, რათა ორ გერმანულ მთავრობას შორის დაპირისპირება მოეგვარებინათ.

მონაცვლეობით ვთათბირობდით სამინისტროების შენობაში და კანცლერის აპარატში და ყველის ვაჭრებივით ვდაობდით, რა უნდა ყოფილიყო სატრანზიტო გადასახადის ერთჯერადი საფასური, რომ მერე აღარავინ შეეჩერებინათ, შეემონმებინათ და იქვე გადახდაც არ მოეთხოვათ. შევთანხმდით ყოველწლიურად 234,9 მილიონ გერმანულ მარკაზე. კოლი მართალი აღმოჩნდა, მიმოსვლა გაიზრდებო: გიუნტერ გაუზს 400 მილიონის გადახდა მოუნია, ჰელმუტ კოლს კი 800 მილიონი გერმანული მარკის.

მიხაელ კოლთან და ზამთან ბონში ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს შემატყობინეს, რომ ბრანდტს ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში. ჟან მონემ წარადგინაო. როგორც კი გავაცნობიერე, რამხელა ამბავი იყო, მომინდა მეგობრისთვის მიმელოცა. კაბინეტის წევრები კანცლერის აპარატში შეკრებილიყვნენ. შილერმა რამდენიმე საქებარი სიტყვა წარმოთქვა. ბრანდტი მის წინ იდგა. დამაგვიანდა, თან არასწორი კარიდან შევედი და ბრანდტის ზურგს უკან აღმოვჩნდი, განუნყვეტლივ ითვლიდა ცერათი დანარჩენ ოთხ თითს. კანცლერის კაბინეტში

გადამეხვია და მითხრა: „ამ პრემიაში წვლილი გაქვს და ოსლოში უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთადო“.

სატრანზიტო მოლაპარაკებების პარალელურად მიმდინარე რთული სპეციალური მოლაპარაკებები დასავლეთ ბერლინის სენატსა და გდრ-ს შორის, მათ შორის, დასავლეთ ბერლინელების მიერ „მოსაზღვრე ადგილების“ მონახულების თემაზე, სულ ცოტა, კოორდინაციას მოითხოვდა. ნობელის პრემიის გადაცემის დღეს, 10 დეკემბერს, ოსლოდან ნორვეგიელმა მეგობრებმა იკითხეს, მეორე დღეს ბერლინში პარაფირება თუ მოხერხდებაო. ვახშმისას მივიღეთ ცნობა და ამოვისუნთქეთ: სენატი დაინიშნა ათ საათზე. კოლს დავუკავშირდი და თერთმეტზე დავუთქვი შეხვედრა. ვილიმაც შეება იგრძნო და მომილოცა. მეორე დილას ლუფტვაფეს თვითმფრინავით ჩავედით შიონეფელდში. სამინისტროების შენობაში მოხდა პარაფირება. შემდეგ დასავლეთ ბერლინში პრესკონფერენცია მმართველ მერთან, შიუტცთან ერთად. დავბრუნდით აღმოსავლეთ ბერლინში. ლუფტვაფეს ეკიპაჟი აღფრთოვანებული დაგვხვდა: სამოქალაქო ტანსაცმელში ჩვენი უცხო დედაქალაქი დაეთვალე რებიანათ. გავფრინდით ბონში, პრეს-კონფერენციაზე, ვერტმფრენით წავედით კიოლნ-ვანში, გადავფრინდით სტოკჰოლმში, გავემგზავრეთ სასტუმროში და რვას ნუთილა უკლდა, როცა სმოკინგებში გამონყობილებმა, ჩვეული სიზუსტით, შევაბიჯეთ ფედერალური კანცლერისადმი მიძღვნილ გალა-ვახშამზე. 1971 წლის 11 დეკემბერი მართლაც საოცრად დატვირთული დღე აღმოჩნდა.

მიხაელ კოლმა და მე თვითონვე გამოვცადეთ პირადი „გარდაქმნა დაახლოების გზით“ და ძალიანაც გვსიამოვნებდა. პატარა ამბავი არ იყო, რომ ომის შემდეგ, პირველად შევძელით დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინს შორის სამოქალაქო მიმოსვლის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. სკანდალურად მიმაჩნდა ფაქტი, რომ დასავლეთს ათწლეულების

განმავლობაში არცერთხელ არ მოუთხოვია ეს. შვეათანხმეთ ჩვენ-ჩვენი მთავრობების წერილები, რომლითაც თითოეულ მეკავშირეს ეცნობებოდა მოლაპარაკების შედეგი, რათა იგი ძალაში შეეყვანათ. როცა ოთხი ძალის მისამართით წერილებს ვაყალიბებდით, რომლითაც ორივე გერმანული სახელმწიფო გაეროში მიღებას ითხოვდა, ორივეს გვეცინებოდა, რადგან, ყველა განსხვავების მიუხედავად, ვერცერთი ქვეყანა სუვერენული ვერ გახდა, არამედ აღიარებდნენ, რომ ოთხი გამარჯვებული ძალის ხელშეუვალი უფლებები ისევ მოქმედებდა. მაგრამ არ გამკვირვებია, რომ დამარცხებულებს, გამარჯვებულებთან ერთად, გადაწყვეტილების მიღება შეგვეძლო, როგორც ეს ენერა ამერიკელების რწმუნებათა წერილში.

1971 წლის შობის დღეებში, როდესაც დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს შორის მიმოსვლა შეფერხდა, კოლს ავუხსენი, გდრ-ის მთავრობა ამაზე პასუხისმგებელი არ არის-მეთქი. მან შემომითვალა, ჰონეკერი დარწმუნდა, რომ ხისტი, მაგრამ სამართლიანი ხარო. ლეომ მოსკოვს დაუდასტურა ჰონეკერის ეს ნათქვამი, რაც მომავალში სასარგებლო აღმოჩნდა. ბედნიერი ვიყავი, რომ დასავლეთ ბერლინის კუნძული „ხმელეთს“ მიუახლოვდა და მისი მოსახლეობა დაუბრკოლებლად იმოგზაურებდა. ბრანდტმა შეასრულა დანაპირები, ბონიდან ბერლინისთვის მეტის გაკეთებას შევძლებო.

უპირველეს ყოვლისა, ორივე ვაცნობიერებდით: ომის შემდგომ ისტორიაში გარდამტეხი ნიშნული დავსვით. გერმანიის მნიშვნელოვან საკითხებზე ოთხი გამარჯვებული ძალა ორი გერმანიის მთავრობების გარეშე ველარაფერს გადაწყვეტდა. მაშინ დაიბადა მოდელი „ოთხი პლუს ორი“, რომლიდანაც ოცი წლის შემდეგ იშვა „ორი პლუს ოთხი“. კოლი და მე ვთანხმდებოდით, რომ ოთხი ძალა ისევ აუცილებელი გახდებოდა, როდესაც საქმე სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მიდგებოდა. ჩვენ აღარ ვიყავით სხვათა ხელის შემყურენი, შეგვეძლო ჩვენი ინ-

ტერესებისთვის გვემუშავა. მოკლედ: საქმეში ჩავერთეთ. ასევე ვეთანხმებოდი კოლის თვალსაზრისს, რომ უნდა დაგვემთავრებინა ცივი ომი ბუნდევერსა და გდრ-ის ეროვნულ არმიას შორის: ჯარის რადიოსადგური, საზღვარზე განთავსებული რეპროდუქტორები თუ პროკლამაციებით დახუნძლული საჰაერო ბურთები 1972 წლის 1 ივლისის შემდეგ აღარ არსებობდა – ყოველგვარი წერილობითი შეთანხმების გარეშე. მოლაპარაკება არცერთ მხარეს არ დაურღვევია.

ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, რომლის მონაპოვარიც იყო შემდეგ სატრანზიტო შეთანხმების და რომლის პარაფირება 1971 წლის 17 დეკემბერს მოხდა, დავთქვით, რომ მუშაობას გავაგრძელებდით სატრანსპორტო ხელშეკრულებაზე და 1972 წლის 20 იანვარს ისევე შევხვდებოდით. ყოველივე ამის შესახებ ბრანდტის კომენტარი: „შეგვიძლია კმაყოფილები ვიყოთ, გაერთიანების საქმეში შეტანილი ჩვენი წვლილის გამო“. შორსმჭვრეტელ ბრანდტს ჩვენი საბოლოო მიზანი თვალწინ ედგა.

## ყველაფერი ან არაფერი

ალბათ ნყალობაა, რომ ადამიანებს არ ძალუძთ თავიანთი მომავლის განჭვრეტა. თავისუფლებას ვერ დაგეგმავ, მაშინვე მიანყდები გადაულახავ ზღვარს, როცა შემდეგი დღის განსაზღვრას შეეცდები. მომავალი თაობის გულუბრყვილო თავდაჯერებაა, უკან მიხედვისას შეცდომებს რომ აღმოაჩინს წარსულში, რომელსაც ველარ შეცვლი, არადა, ამ შეცდომებს თავადაც დღენიდაგ იმეორებს. ბუნებამ დაგვწყევლა, რომ არ შეგვიძლია გამოცდილება მემკვიდრეობად გადავცეთ.

ბრანდტმა 1962 წელს ჰარვარდის ლექციებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის გარდაუვალ თანაარსებობას „იძულებითი გაბედულება“ უწოდა. სწორედ ასეთად იქცა მისთვის 1972 წელი. კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმის წინააღმდეგ კანცლერობის შენარჩუნებას უმრავლესობის დაკარგვა მოჰყვა, არჩევნებში გამარჯვების ტრიუმფს – პირადი მარცხი. ამ გამონვევების ფონზე მხოლოდ მას შეეძლო გადარჩენა, ვისაც ბრძოლის კატაკლიზმებში ორიენტაცია არ დაუკარგავს და ეყო ძალა, უდრეკად მიჰყოლოდა საკუთარ რწმენას. ეს იყო წელიწადი, რომლის განმავლობაშიც გერმანიის ფედერალური კანცლერი საერთაშორისო წუხილის ცენტრში იდგა, ვაშინგტონიდან მოსკოვამდე, ჰონეკერის ჩათვლით, შეინარჩუნებდა თუ არა პოსტს და როგორ შეიძლებოდა დახმარებოდნენ.

ამ საბედინერო წლის დასაწყისში მნიშვნელოვანი იყო ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების პროექტი,



რომელიც პირველ რატიფიკაციას ელოდა. სატრანსპორტო ხელშეკრულებას ყველა გერმანელისთვის უნდა გაეიოლებინა მოგზაურობა, დასავლეთ ბერლინელების ჩათვლით. ჩვენ ამ ხელშეკრულებას ვუყურებდით როგორც მოდელს, რომლის მიხედვითაც გდრ აღიქმებოდა როგორც სახელმწიფო, თავისი განსაკუთრებული ურთიერთობებით ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ამავე დროს, გვაეჭვებდა, საერთოდ მოახერხებდა თუ არა ფედერალური მთავრობა მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებების რატიფიცირებას, რადგან ბუნდესტაგში უმრავლესობას წყალი შესდგომოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ბუნდესტაგში კენჭისყრა ოპოზიციის მიერ უნდობლობის გამოცხადების თაობაზე, მით უფრო იცვლიდა ჯერ კიდევ დაუსრულებელი სატრანსპორტო ხელშეკრულება პოლიტიკურ ელფერს: ხომ არ გადაიქცეოდა იგი მიმოსვლის მოსალოდნელი გამარტივების გამო ინსტრუმენტად, რომელიც აღმოსავლეთის ხელშეკრულებებს და ოთხი გამარჯვებული ძალის შეთანხმებებს საპარლამენტო ბარიერების გადალახვას გაუიოლებდა?

სლავა და ლეო ლელავდნენ. ბრეჟნევის პრესტიჟი და ბონის მიმართ მისი ახალი პოლიტიკა იდგა გამოცდის წინ. მრავალი კვირის განმავლობაში ვანვდიდი მათ მდგომარეობის რეალურ სურათს და რატიფიცირების შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე ვაფასებდი. ბრეჟნევმა რუსეთის გერმანელების დიდ ჯგუფს მისცა ქვეყნიდან გასვლის უფლება, მაგრამ ქდკ/ქსკ გაერთიანების არცერთი დეპუტატისთვის არ ქცეულა ეს ფაქტი პოზიციის შეცვლის საბაბად. კოლი უხეშად შეეწინააღმდეგა ჩემს წინადადებას, სატრანზიტო შეთანხმება საცდელი ვადით აგვემოქმედებინა: „არც კი მოვიაზრებთ, ახალ ფედერალურ კანცლერ ბარცელს ასეთი ძღვენი მივართვათ, მაგრამ თუ ყველაფერი ჩაიშლება, „გამყინვარება“ გველოდება. მერე კი ისევ შეგვიძლია გულთ შევიგინოთ“. თუმცა, დამეთანხმა, რომ შეთანხმების „დროებითი გამოყენება“ შესაძლებელია მიუღწე-

ველი „ძალაში შეყვანის“ სანაცვლოდ. შემდეგ მკითხა, ჰონეკერთან ხომ არ გინდა საუბარიო. ნიუ იორკისა და მოსკოვის შემდეგ, მესამედ გამოვცადე რიტორიკული კითხვის მეთოდი.

მოსამზადებლად იმ ერთადერთ კაცს მივადექი ბონში, ვინც ჰონეკერს ომის წინა პერიოდის ზაარლანდიდან იცნობდა. ჰერბერტ ვენერმა მოკლედ მომიჭრა: „ხელზე სისხლი არ სცხია“. ამ შეფასებას დავეყრდენი და არც მინანია. აღმოსავლეთ ბერლინში შევხვდი ჩია კაცს, ჩემზე დაბალი იყო, ფერმკრთალი, გადაჭიმული სახის კანით და ფხიზელი მზერით. ყავა რომ დამისხა, უხერხულობა გაუქრა. ამოვისუნთქე, რადგან არ უკითხავს, ხვალ ბუნდესტაგში რა მოხდებაო. მაშინვე საქმეზე გადავიდა და დამეთანხმა, „როცა საჭირო იქნება“, ბერლინი სატრანსპორტო ხელშეკრულებაში ჩაერთვებაო, რასაც კოლი ენინააღმდეგებოდა. ის კი არა, უკეთესი ფორმულაც კი შემომთავაზა, მაგრამ უარი განვუცხადე. კოლმა მოგვიანებით აღნიშნა: „ამას ყოველთვის დაგიფასებთ“.

ჰონეკერთან საუბარს მოჰყვა დიდი გარდატეხა. დასავლეთ გერმანელებს არა მხოლოდ ნათესავეების, არამედ ნაცნობების მონახულებაც უნდა შესძლებოდათ. საჩუქრებისთვის დაწესებული ზღვარიც გაიზარდა. ნებადართული გახდა ტურისტული მოგზაურობები, მათ შორის, საკუთარი ავტომობილითაც. გადაუდებელ შემთხვევებში იოლდებოდა, ასაკის ზღვარის მიუხედავად, ოჯახების გამთლიანების შესაძლებლობა. ჯერ ვერ ბედავდა, დასავლეთში წამსვლელთა ასაკობრივი ზღვარი დაენია. ჩვენი საუბარი იყო წყარო, რომელიც ხან ფართოვდებოდა, ხან ვიწროვდებოდა, მაგრამ მილიონობით ადამიანის ნაკადად იქცა.

„ჩვენ მზად ვართ, ამ გზას დავადგეთ“, დამეთანხმა ჰონეკერი, „გვსურს, ისევე დავძრათ საქმე, როგორც პოლონეთის და ჩეხეთის შემთხვევაში, არ მივაბათ ვიზიტის უფლება გარკვეულ ოლქებს, გავზარდოთ სასტუმროების მოცულობა თქვენი მოქალაქეებისთვის“. მისი მხრიდან ასევე დასძინა – პროცესი

კონტროლს უნდა ექვემდებარებოდესო. ჩემთვის ცხადი იყო ყველაფერი, მაგრამ ვერც მიმოსვლის შეზღუდვა და ვერც საექვო კამპანიები გათიშვის შესახებ, ვერ შეაჩერებდა გდრ-ის მოქალაქეების ლტოლვას დასავლეთისაკენ.

თუ ყველაფერი კარგად იქნა, მზად ვარ, ორ სახელმწიფოს შორის პრინციპული ურთიერთობები მოვაგვაროთო, შემპირდა ჰონეკერი. ამიტომ გთხოვთ გვწვეოდით, რომ ეს გვეცნობებინა თქვენთვისო. ეს ნათქვამი მთელი დარჩენილი წლისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სომხურ კონიაკს ვსვამდით... ბრანდტთან და ვერნერთან მოკითხვა დამაბარა.

არც სატრანსპორტო ხელშეკრულებას და არც ჰონეკერის დაპირებებს ბონში ძალაუფლებისთვის გაჩაღებული მხურვალე ბრძოლისთვის მნიშვნელობა არ შეუძენია. ბრანდტის თავდაჯერებული პოზიცია, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან კეთილგანწყობილთა დახმარებას მივიღებდით, გამართლდა. მოგებული კენჭისყრის დღეს ბევრმა მიულოცა. ვაშინგტონისა და მოსკოვის მხარდაჭერა კი სოლიდური და სანდო აღმოჩნდა. 1972 წლის გაზაფხულზევე გამოიკვეთა საერთაშორისო მზაობა, შენარჩუნებულიყო სოციალ-ლიბერალური კოალიცია და გრძელვადიან პერსპექტივაში ეთანამშრომლათ მასთან.

ახლა უმთავრესი აღმოსავლეთის ხელშეკრულებების რატიფიცირება გახლდათ. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხში ოპოზიციის ფრაქციის მიერ თავის შეკავებას ბრანდტმა ირონიულად „სინდისისგან თავის შეკავება“ უწოდა. ოპოზიციის ლიდერის, რაინერ ბარცელის ტრაგედიაა, რომ სწორედ მისი ფრაქციის თავშეკავებამ მოუტანა ხმათა უმრავლესობა ამ საკითხს და გზა გაუხსნა მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებების, აგრეთვე, სატრანსპორტო ხელშეკრულების რატიფიცირებას, რაც დაუბრკოლებლად განხორციელდა 17 და 26 მაისს. ოთხი გამარჯვებული ძალის ხელმოწერით სატრანზიტო შეთანხმება ძალაში შევიდა. მაგრამ კანცლერის აპარატში

მაცნე არასასურველი განწყობა სუფევდა. მას შემდეგ, რაც თავისუფალი დემოკრატიების სამი და სოციალ-დემოკრატიების ერთი წევრი ქდკ/ქსკ გაერთიანების ბანაკში გადაბარგდნენ, კოალიციამ უმრავლესობა დაკარგა. ბრანდტი ნდობის ვოტუმის დაყენებას ფიქრობდა. ემკე ემხრობოდა, მე – არა. „კანცლერი, რომელსაც ბიუჯეტს არ დაუმტკიცებენ, სამსჯავროზე უნდა წარდგეს“, დაიჟინა ბრანდტმა. მე სხვა არგუმენტებით დაგუსაბუთე: „ბარცელი ეს-ესაა ძირს გაიშოტა. შენ რატომ უნდა მიჰყვე მას?“ პატის მდგომარეობის შემთხვევაში, მთავრობას ჭიდაობა არ უნდა დაეწყო. სალამოს, კაბინეტის სხდომაზე ბრანდტმა გაიცინა: „ყველა ქვეყანას სჭირდება მთავრობა. ამ ქვეყანას ჰყავს მთავრობა. მშვენიერია“. ასე გაიკვალა გზა ვადამდელი არჩევნებისკენ.

1972 წლის ივლისში გადმოგვცეს ბრეჟნევის ვრცელი წერილი ბრანდტისადმი, მინიშნებით, რომ გდრ ცდილობდა მოსკოვთან ჩვენი ურთიერთობები გაერთულებინა. წერილი ერთ საინტერესო ინფორმაციას შეიცავდა: „ბარცელი და შტრაუსი ითხოვენ კონტაქტს. შტრაუსს უარი ეთქვა, სანამ პოზიციას საჯაროდ არ შეიცვლის. ბარცელი კი, რომელიც ხაზგასმით ადასტურებდა, პატიოსნად ვეცადე ხელშეკრულება მიღებული ყოფილიყო, მაგრამ ჩემს ძალებს აღემატებოდაო, შვებულების დაწყებამდე ითხოვდა შეხვედრას. არ დავეთანხმეთ. ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევაში კონტაქტი ვერ შედგება. ჩემი აზრით, ამ არგუმენტს იგი ვერ მოედავება“. წამყვანი ოპოზიციური ლიდერების პოზიციის ასე მოულოდნელი ცვლილება, ჩავარდნილი ნდობის ვოტუმიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ, ნამდვილად საკვირველი იყო.

ოპოზიციის საეჭვო პოზიციის მიუხედავად, არჩევნების შედეგი ღია იყო. რამდენიმე სოციალ-დემოკრატიმა დაიჟინა, აღმოსავლეთის პოლიტიკის რადიკალურობამ და სულსწრაფობამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდეო; ორივე უნდა შევანელოთო.

მაგრამ კოალიციას თითქმის მისიონერულად სჯეროდა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო და საჭირო საქმეს აკეთებდა. ამ რწმენას ყველა იზიარებდა – შეელის, ვენერის და ემკეს ჩათვლით. ამ პოზიციას პატივს სცემდნენ ადამიანები, მაშინ, როცა საზოგადოება თანხმდებოდა, რომ ეს კოალიცია არჩევნებს ველარ მოიგებდა. ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ კარგი სახელის მქონე ეკონომიკის მინისტრი შილერიც „გადახტა“ და ქილიკის საბაბი მისცა მონინაალმდეგეს, ნეტავ რამდენი ამომრჩეველი ნაჰყვება შილერსო.

კანცლერის კაბინეტში ბრანდტი, ვენერი და მე გდრ-თან მოლაპარაკებების გაგრძელებაზე ვმსჯელობდით. ვენერმა წინადადება წამოჭრა, სატრანსპორტო ხელშეკრულების მოდელის მიხედვით თვიდან თვემდე სხვა ხელშეკრულებებიც დავდოთ სხვადასხვა სფეროში და ოპოზიცია ყოველ ჯერზე დავაყენოთ არჩევანის წინაშე. მე საბაზისო ხელშეკრულებას ვემხრობოდი, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობას სრულყოფდა. ვილიმ მისთვის ჩვეული მანერით თქვა: „გააგრძელეთ მსჯელობა“. მისი მანქანისკენ რომ გავემართეთ, „ბიძას“ ავუსხენი, რომ მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ მუდმივი ინფორმაცია უფრო ეფექტურად გამოჩნდებოდა საზოგადოებაში. ამან გადაარწმუნა: „ეგრე ვქნათ. უთხარი ვილის“.

კოალიცია შეთანხმდა, რომ 19 ნოემბერს ჩატარდებოდა ბუნდესტაგის ვადამდელი არჩევნები. კოლი და მე მივხვდით, რომ ყოვლისმომცველი საბაზისო ხელშეკრულება, რომელიც ფოსტის საკითხიდან კულტურამდე ყველაფერს მოაწესრიგებდა, ორივე მხარისთვის სასურველ ვადებში შეუძლებელი იყო მოგვესწრო. ასე და ამგვარად იქცა საბაზისო ხელშეკრულება საბაზისო პრინციპების ხელშეკრულებად, რომელიც ორი სახელმწიფოს თანაარსებობის ჩარჩოს მოაწესრიგებდა, სანამ ეს სახელმწიფოები იარსებებდნენ.

## მეგობრის განსაცდელი

მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, ატირებულმა რუთმა რომ დამირეკა და მითხრა: ვილი ისეა, ველარ დაელაპარაკებო. ნოემბერში იცოდა ხოლმე, თავს ცოტა ხნით განმარტოების უფლებას მისცემდა, რომ დაწყნარებულიყო და ძალები მოეკრიბა. მუდმივი წნეხისგან უნდა გათავისუფლებულიყო. მერე მთელი წელი სრული დატვირთვით მუშაობდა შემდეგ ნოემბრამდე. ამ მოვლენას დეპრესიულ ფაზად აფასებდნენ და, ნაწილობრივ, ასეც იყო. მაგრამ ბრანდტი დეპრესიული ადამიანი არ ყოფილა, პირიქით. ვისაც განსაკუთრებით მაღალ თანამდებობაზე უმუშავია ინდუსტრიის, კულტურის და პოლიტიკის დარგში და სრულად არ გაუხეშებულა, მისთვის ნაცნობია ჩუმი, მღრღნელი თვითგამოკვლევის ფაზა. ბრანდტისნაირ მგრძნობიარე ადამიანზე ეს განსაკუთრებით ითქმის. მის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ძალების სწრაფი აღდგენის უნარი. მაგრამ ჯერ ზაფხული იდგა და ამიტომ იყო ეს ამბავი საგანგაშო.

ვილი ჩაბნელებულ ოთახში იწვა. „არაფრის ხალისი აღარ მაქვს“. ცუდი ნიშანია, როცა პასუხისმგებლობით მოქმედებ და და ტვირთს ხალისით ველარ ატარებ. მის ლაპარაკში ფარხმლის დაყრა სიბრაზეს ერწყმოდა. ვარაუდობდა, რომ ემკე იყო ამბის გატანის წყარო, რაზეც ვენერი და შმიდტი საყვედურობდნენ. ვენერთან არაფერი გამოდის, შმიდტმა კი ვითომ

მეგობრული და თან საზიზღარი წერილი მომწერაო. ფრაქციაში უკმაყოფილება სუფევს, რადგან ლიდერის როლს ვერ ვასრულებო. ემკე, როგორც კანცლერის აპარატის უფროსი, ისე იქცევა, თითქოს თავადაა მთავარი და კანცლერის არსებობას ითმენსო. პარტიას ქვეყნის მართვის უნარი აღარ აქვსო. შეელი კი მისი სამინისტროს დანვრღმანების გამო უკვე გავაფრთხილე, კრემლი საოლქო სასამართლო ხომ არ გონია-მეთქი. თავს ვანებებ ყველაფერსო: „არ გაამართლა ჩემმა მეთოდმა, რომ ბრძანებებს არ გავცემ და ადამიანებს ისე ვეპყრობი, როგორც ადამიანებს“. მისი სურვილი, „დავამთავრო და ყველაფერი მივყარო“, საბედნიეროდ, ვერ შესრულდებოდა, რადგან ფედერალური პრეზიდენტი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ვაკვირდებოდი რა ბრანდტის ცხოვრების გზას, ვხედავდი ადამიანს, რომელიც მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ეს ვრცელდებოდა ახალგაზრდა ბრანდტზეც და ემიგრანტ ბრანდტზეც. და მითუმეტეს დეპუტატზე, მმართველ მერზე, პარტიის თავმჯდომარეზე და კანცლერობის მრავალგზის კანდიდატზე, საგარეო საქმეთა მინისტრზე და ბოლოს ფედერალურ კანცლერზე. პასუხისმგებლობასთან ერთად ემატებოდა უნარი, გაეძლო წნეხისთვის. მაგრამ თითოეული უფრო დიდი და ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობა აიძულებდა შესაძლებლობების სულ ახალ-ახალ ზღვარს მიახლოებოდა და მთლიანად გადაწვდომოდა კიდეც. როდის, როგორ და სად უნდა განტვირთულიყო მუდმივი დაძაბულობისგან?

ამ მწვავე კითხვას მივყავდი მარტივ პასუხამდე, რომ უნდა დაესვენა. ჩვენი თანამშრომლობის დანყებიდან ძალიან მალე მთელი ერთი კვირა გავატარეთ ტუნისის კუნძულ ჯერბაზე, ნანგრევებში რომაულ მონეტებს ვეძებდით, დავათვალიერეთ ქვეყნის ყველაზე ძველი სინაგოგა და უზომოდ ბევრი ვჭამეთ გუბერნატორის სადილზე. სანაპიროზე სეირნობისას ვილიმ

უცებ გაიხადა და ვიკინგივით გადაეშვა წყალში. ჩემთვის წყალი ცივი იყო. ასეთი უდარდელი მომენტები სამოციანი წლების დასაწყისშიც განვიცადეთ მექსიკის ყურეში. ვილის, ჩრდილოეთ გერმანიის და სკანდინავიის წყლებში რომ ესწავლა თევზაობა, იქაც მოუნდა. შუა ზღვაში ანკესის გადაგდება არ იცოდა. ჩვენმა თანმხლებმა პირებმა მაშინვე წამოიყვირეს, თოკს ხელი გაუშვი, თორემ თითებს წაგანყვეტს, თევზი თუ წამოეგოო. როგორც ახალბედამ, ყველაზე დიდი თევზი მე დავიჭირე და ვილის დავუთმე, მაშინვე ფოტო გადაიღო. პატარა ბიჭებივით გავლადით. იცოდა, რომ პრობლემებით არ შევანუხებდი. სხვათა შორის, არც ხანმოკლე შესვენებების დროს და არც სამუშაოს დამთავრების შემდეგ შემინუხებია რაიმეთი, მაგალითად, როცა გერჰარდ ცვერენცის წიგნზე „პატარა კაცი ომსა და მშვიდობაში“ ვლაპარაკობდით და ვხალისობდით.

შვებულებისას არ ვნახულობდი, თუმცა, კანცლერის შვებულება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო ადგილის სხვაგან გადატანას ნიშნავდა. ჩემი მეგობრის ცხოვრების არსი პოლიტიკა გახლდათ. არ დავინტერესებულვარ, ოჯახთან გატარებული დრო მოკლე ინტერვალებისგან შედგებოდა თუ ხანგრძლივი პერიოდებისგან. არც ესია მოვინებოდა ასეთი კითხვები. გვექონდა სალალობო წუთებიც, მაგალითად, როცა ბრანდტი კაბინეტის სხდომის შემდეგ შეგვეკითხებოდა ხოლმე განტვირთვის მიზნით: „ვინ იცის კარგი ანეკდოტი?“

1972 წელს რომ ეს კრიზისი დადგა, სხვათა შორის, ვერცერთმა გარეშე პირმა ვერ იგრძნო. ბრანდტს ძალა და პრინციპულობა იმ მშფოთვარე წლის ბოლომდე ეყო. მტკიცე ხასიათი ჰქონდა. იცოდა თავისი არაჩვეულებრივი უნარების შესახებ და უწყოდა საკუთარი მნიშვნელობა ჩვენი ერის წინაშე ამ ალბათ განსაკუთრებულ ისტორიულ სიტუაციაში. ამ ცნობიერების, მოკრძალებულობის და სიამაყის გამო ისურვა, რომ მისი საფლავის ქვაზე წაენერათ: „იგი ეცადა“.



## დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნდობის ზრდა

სექტემბრის დასაწყისში ჰენრი კისინჯერი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩამოვიდა, რომ კანცლერს შეხვედროდა. ჩვენს ურთიერთობას თითქმის გულითადს უწოდებდით. ყველაფერზე ოპერატიულად და ზუსტად გვაყენებდნენ საქმის კურსში – იქნებოდა ეს მოსკოვში შეხვედრები, ნიქსონთან ერთად პეკინში ვიზიტი თუ ამერიკული ჯარის ვიეტნამიდან გაყვანის სტატუსი. მიუნხენში არ გვეგულებოდა ოთახი, სადაც მოსმენას ვერ შეძლებდნენ, ამიტომ ამერიკელებმა ჰენრის სასტუმრო ოთახი საგულდაგულოდ აღჭურვეს და სანდოდ მიიჩნიეს. შედეგად, გერმანიის კანცლერი, უსაფრთხოების საკითხებში ამერიკელ მრჩეველს იქით ეახლა. ჰენრიმ ბრანდტს გაუზიარა გეგმა, რომლის მიხედვითაც ნიქსონს და ბრეჟნევს ვლადივოსტოკში ხელშეკრულება უნდა დაედოთ ერთმანეთის წინააღმდეგ ატომური იარაღის არგამოყენებაზე, შესაბამისად, საკუთარი ტერიტორიების დაცვაზე. ეს არ ეხებოდა ჩინეთს, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას. ბრანდტი და მე უკვე დიდი ხანია ვვარაუდობდით, რომ ორივე სუპერ-სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესი, ხელშეუხებელი გაეხადათ მათთვის წმინდა ტერიტორიები და, შესაბამისად, გადარჩენილიყვნენ, საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, ევროპას გადააქცევდა მცირე ატომური იარაღის საცდელ პოლიგონად. ახლა კი ეს სცენარი

ხელშეკრულებად უნდა ქცეულიყო, რათა უფრო მასშტაბური ატომური საფრთხე შეემცირებინათ, რაც ნამდვილად დადებითად აისახება ევროპაზეცო.

ჰენრის გერმანიის კანცლერის რეაქციის მოსინჯვა უნდოდა. ბრანდტი დაეთანხმა, თუკი ნატოს ვალდებულებები უცვლელი დარჩებაო. ხაზგასმით გამოკვეთა თავისი მოსაზრება, გადარჩენის ერთადერთი შანსი მშვიდობიანი თანაცხოვრებააო. ამ რეალობის პარაგრაფებში მოსაქცევად ფედერალური რესპუბლიკა აშშ-ს მხარს დაუჭერსო. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების განმუხტვა გერმანიისთვისაც ხელსაყრელიაო. ნდობა შენარჩუნდა. „არხით კომუნიკაციისასაც“ კი არ ხსენებულა არასდროს კისინჯერსა და ბრანდტს შორის დამუშავებული საკითხი, არამედ ყოველთვის მივანიშნებდით „მხოლოდ კანცლერისთვის განკუთვნილ ინფორმაციაზე“.

ამ განზომილების პირისპირ გერმანულ-გერმანული საკითხები ერთი ციციქნა ჩანდა, მაგრამ ჩვენთვის, ბუნებრივია, ეს ასე არ იყო. ბრანდტი მიუნხენში დარჩა, როცა „შავმა სექტემბერმა“ ისრაელის გუნდზე თავდასხმით ბოლო მოუღო მხიარულ თამაშებს. მან ფედერალურ პრეზიდენტ ჰაინემანთან ერთად მიიღო ოლიმპიური თამაშების გაგრძელების გადაწყვეტილება.

ბონში ჰონეკერის პირადი გზავნილი მივიღე. მთავაზობდა, მიუხედავად სიძნელეებისა, დავაჩქაროთ მოლაპარაკებებიო და მამცნობდა მზაობას, კიდევ ერთხელ შევხვდეთ პირისპირო. ბრანდტთან შესათანხმებელი დრო აღარ მრჩებოდა. გავფრინდი ბერლინში და გზაში სტენოგრაფიულად ჩამოვწერე ხუთი პუნქტი, რომელსაც ჰონეკერს წარვუდგენდი, როგორც კანცლერის გზავნილს. როდესაც შემდეგ საღამოს ვილის მისი სახელით ნათქვამი ეს პუნქტები მიუნხენში წავუკითხე, გაიცინა: „მადლობა ღმერთს, ასე გითქვამს. ასე მძაფრად მე ვერ ვიტყვოდიო“.

პირისპირ შეხვედრა შედგა არსებით საკითხებზე, რამაც, ორი თვის შემდეგ, საბაზისო პრინციპების ხელშეკრულების დამთავრება გააიოლა. თანამემამულეს საინტერესო ემანსიპირებულ ჟესტად ჩავუთვალე შენიშვნა, რომ საჰაერო კორიდორებს დაიცავდა და მომავალში გერმანულ-გერმანულ საჰაერო მიმოსვლაზე დავდებდით ხელშეკრულებას. ამაზე ადრე მეც მიფიქრია. თუმცა საქმე რომ არ გამოვიდა, არც გდრ-ის ბრალი იყო და არც გრომიკოსი, არამედ დასავლეთის სამი ძალის საჰაერო ატაშეების, რომელთაც ჩვენს გეგმას მათი მონოპოლისტი კომპანიების ინტერესების გამო მხარი არ დაუჭირეს.

არცერთ სხვა თემაზე არ გამოუხატავს ჰონეკერს თავისი აზრი ასე დანვრილებით და მრავალნახნაგოვნად, როგორც ერის საკითხზე. „ხელი არ მოეწერება არცერთ ხელშეკრულებას, სადაც ეწერება „ერის ერთობა“ ან „ქვეყნის გაერთიანება“, აღნიშნა მან. არცერთი ჩვენი მოკავშირე არ ემხრობა გერმანიის გაერთიანებასო. ორივე მხარეს „ანევენ ხელს, ეს სიტყვები თუ გაიგონესო“. ორივე სახელმწიფო ერთად ეკონომიკურად ზედმეტად გაძლიერდებაო. შემდეგ მამცნო, „ყველა მონყობილობას დავშლი, რომლებიც აქამდე გფრ-ის შიდა საქმეებში ერეოდაო“. იმავეს ვერ მოითხოვდა ბონისგან – მან იცოდა კონსტიტუციით დადგენილი საზღვრები – მაგრამ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვას „ჩაურევლობა“, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ელემენტარულ პრინციპს გულისხმობდა“. „სამშვიდობო ხელშეკრულების“ თემა „დროებით“ დავივიწყოთ მოლაპარაკებებისასო: „სამშვიდობო ხელშეკრულება არ გაფორმდება. ეს უკვე ვიცით, იქნებ ბოლოში ჩავწეროთ ეს ფრაზა. – არ ვიცი“.

ჰონეკერმა გამჭრიახობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი და მეტი კომპეტენცია გამოავლინა, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენმა მაღალჩინოსანმა ბონში. მის გარეშე შიდაგერმანული დაახლოება ვერ განხორციელდებოდა. გასაოცარია, როგორ შეცდა,

რომ ეგონა, საზღვრების გავლება და დაახლოება ერთდროულად აღსრულდებოდა. როგორც მას მოექცნენ გაერთიანების შემდეგ, ნამდვილად არ არის საამაყო.

გამომშვიდობებისას ბრანდტთან და ვენერთან დამაბარა მოკითხვა და დასძინა, ზაარლანდში ვენერის ქვეშევრდომი ვიყავიო; სიამოვნებით შევხვდებოდი კიდეც ერთხელ „მის ველზე“. ბონში „ბიძამ“ ამოისუნთქა და ვილისავით გაიხარა, აწი მოლაპარაკებების ბოლომდე მიყვანას რომ შევძლებდით.

მინისტრთა კაბინეტში შმიდტი ერთ ამბავში იყო, გვეყოფა ბარის ამდენი ქებაო; მას, როგორც მოხელეს, ისედაც ზომაზე მეტად აქცევს ყურადღებას პრესა და ტელევიზიამ. არ ვიცი, ეს კრიტიკა იყო თუ არა ვილის მოულოდნელი შემოთავაზების მიზეზი, როდესაც მითხრა, ბუნდესტაგის მანდატისთვის უნდა იბრძოლო: „შენი მეგობარი ჰელმუტი ფიქრობს, რომ პარტიაში შენი დანიინაურებაა საჭირო“. გარდა ამისა, მანდატი არ განყენს, თუ არჩევნებს წავაგებთო. შმიდტის შენიშვნა ეხებოდა ჩემს მიზნად დასახულ შედეგს, რომლითაც ვენერს ვარწმუნებდი, პირდაპირ საბაზისო ხელშეკრულებაზე გადავიდეთ-მეთქი. კოლთან შეხვედრებმა სამოცს გადააჭარბა და საქმეს ბოლო ჯერ კიდეც არ უჩანდა.

კოალიციის სათავეში მოქცეულ ჯგუფში ურთიერთობა მეგობრული გახლდათ. შეელმა ემკეს თანდასწრებით მოსწრებულად შენიშნა: „კოლეგა ემკე თითქმის ყველა პრობლემას ჭრის, რომელთაც თავად ქმნის“. კანცლერის აპარატის შეფი, ჭკვიანი და ეფექტური თანამშრომელი, თავგანწირვით უშვერდა მკერდს კანცლერისათვის განკუთვნილ ისრებს... გარდა ამისა, იგი მეთვალყურეობდა საიდუმლო სამსახურებს. ჰორსტს რომ მაინცდამაინც ჩეხი ქალი შეუყვარდა, სასიხარულო და პიკანტური ამბავი იყო. მაგრამ ღამღამობითაც ხომ უნდა დაგვესვენა, ეს კი ჩემი ხელშეწყობით ხდებოდა. ერთმანეთს ვცვლიდით

ხოლმე და შეთანხმებულები ვიყავით, რომელიმეს თუ გაგვიტაცებდნენ (მაშინ მოსალოდნელი იყო), პირდაპირ მივაჭრიდით მეგობართან. ალტაცებული ვიყავი, როგორ თავდაუზოგავად შეეძლო მუშაობა ჰოტეს, როგორც მას ვეძახდით. გავეცანი იმ უზარმაზარ სამუშაოს, რომელიც ჩემი საგარეო პოლიტიკური საქმიანობის მიღმა არსებობდა. კოალიციის შიდა პოლიტიკური ნარმატებები არ იყო ისე გახმაურებული, როგორადაც ეკუთვნოდა. კანცლერის აპარატისადმი გამოვლენილი შური გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო.

როდესაც ბუნდესტაგის მანდატისთვის ბრძოლაზე თანხმობა განვაცხადე, ვილიმ იოხენ შტეფენთან გამიშვა. შლეზვიგ-ჰოლშტაინის თავმჯდომარე სულით ხორცამდე მემარცხენე დემოკრატი გახლდათ, რომელიც ვერანაირ კომუნისტურად შეფერილ ტენდენციას ვერ გუობდა, როგორსაც, მაგალითად, ჰამბურგში ვაწყებოდით. მისი სიტყვები „ასეთი კვერცხისთავა გვჭირდება“ კმაროდა, რომ ფედერალურ მიწაზე სიის პირველ ნომრად ავერჩიე. უკვე მიმდინარე მოლაპარაკებებსა და შეხვედრებს ორშაბათობით ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში საარჩევნო ოლქში ვიზიტებიც დაემატა. მადლობელი ვიყავი, რომ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას ჩემი და ჩემი ბონური საქმეების ესმოდა, მათი ნაწილი ხომ ნამდვილად არ გამოხატავდა მკაფიო მემარცხენე პოზიციას. „ნითელმა იოხენმა“ ამიხსნა, რომ ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენება ბოლოს და ბოლოს გზას გაუხსნის ენერგეტიკის პრობლემების სუფთად გადაჭრის პერსპექტივასო. ამგვარად აღმოვჩნდით პროგრესის სათავეში. მაშინ ვისწავლე ის, რაც მთელი ცხოვრება მემახსოვრება: პოლიტიკა კვალში უდგას მეცნიერებას, მაშინაც, როცა ის ახალ საფრთხეებს აღმოაჩენს, მაგალითად ჩერნობილის ან ფუკუშიმას შემდეგ გამოსხივებიანი ნარჩენების გატანისას. განახლებადი ენერჯის შემთხვევაშიც

ასე იქნება. პოლიტიკის კეთილი განზრახვა, თან პრევენციული და თან უწყვეტი გავლენა იქონიოს, გულუბრყვილოდ ჩანს. იგი მომავალშიც გაჰყვება ტექნიკის ნებისმიერ გარდამტეხ სიახლეს. ხოლო მეცნიერების გაფრთხილება გლობალური რესურსების ამონურვის შესახებ ეჯახება პოლიტიკას, რომელიც მხოლოდ თავისი საკანონმდებლო ვადის ფარგლებში აზროვნებს.

## ფინიშის სწორს

მოლაპარაკებებისას მიხაელ კოლი და მე შევთანხმდით ბალტიის ზღვასა და ბიომერის ტყის რეგიონში მცირე სასაზღვრო მიმოსვლაზე. ეს რეგიონი, რომელიც 110 ოლქს მოიცავს, ოთხი ახალი სასაზღვრო პუნქტით აღიჭურვა. დამატებით ოთხზე კოლმა უარი მითხრა: „ახლა მეტი არ შემიძლია“. ბერლინის საზღვრის გადაკვეთის პირველი დოკუმენტის შემოღება რომ მახსენდებოდა, დიდ ტალღას ველოდი. კოლი შემპირდა, თუ ასე მოხდა, დაუყენებლივ შევხვდეთ და ახალ პუნქტებზე მოვილაპარაკოთ. დიდი იმედგაცრუება მელოდა: ხალხი პუნქტებს არ მონყდომია. უფრო დიდი იმედგაცრუება – 1990 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ ძველ სამშობლოში დაბრუნების დიდი ტალღაც არ ყოფილა, დასავლეთში მიღებული მდიდარი გამოცდილების ხალხი უკან არ დაბრუნებულა. როგორც ერს, ბედმა გაგვიღიმა. კორეული ტრაგიზმი, რომ ხალხი მართლა შეიძლება გაყო, თუკი დიდი ხნით დააშორებ ერთმანეთს, ჩვენ აგვცდა.

მოლაპარაკებების დასკვნით ეტაპზე ბრანდტმა გადაწყვიტა ბრეჟნევისთვის ეთხოვა გდრ-ზე ზემოქმედება, შემხვედრი ნაბიჯები გადმოედგათ სამშვიდობო ხელშეკრულების და ერის პრინციპული საკითხების მოლაპარაკებების გზაზე. ხელშეკრულება რომ ყველა მხარისთვის მისაღები ყოფილიყო, მასში უნდა შესულიყო დებულება, რომ „ორი გერმანული სახელმწიფოს შემთხვევაში საქმე ეხება ერთ ერს. შესაბამისი

ფორმულირების გარეშე ხელშეკრულების პოლიტიკურად გატანა ვერ მოხერხდებოდა, მას საკონსტიტუციო სასამართლოც ბათილად ცნობდა“. ასე გულახდილი საუბარი არ გაძნელებულა, რადგან ბრანდტი და ბრეჟნევი 1971 წლის შემოდგომაზე, ყირიმში მეორე შეხვედრისას ერთმანეთს დაუახლოვდნენ, მათ შორის ნდობა დამყარდა და მერე ხშირი მიმოწერა ჰქონდათ. ასეთი არადიპლომატიური ქმედება არა მარტო გაბედული ნაბიჯი იყო, ცოტათი თავხედურიც, დიდ ძმას სთხოვდა გდრ-ზე გავლენა იქონიეო.

რამდენიმედღიანი დუმილის შემდეგ „ჩვენმა არხმა“ მიჩნია, პირდაპირ ბრეჟნევთან მოსინჯეო. „მას უყვარხარ“, ჯერ კიდევ ყირიმში მითხრა ბრანდტმა. ვვარაუდობდით, რომ გდრ ჩემი ვიზიტის შესახებ შეიტყობდა, რადგან კოლთან შეხვედრის გაუქმება მომინევდა, ეს კი პარაფირებამდე დარჩენილ საბოლოო ეტაპზე უარყოფითად იმოქმედებდა. ვილიმ რისკზე წასვლა გადაწყვიტა.

მოსკოვში საათობით ველაპარაკებოდი გრომიკოს, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძარი. მეორე დილას, 1972 წლის 10 ოქტომბერს, ბრეჟნევი გულითადად მომესალმა. „თქვენ ისევე გელაპარაკებით, როგორც კანცლერს“. საუბარი თანამდებობისთვის შეუფერებელი ანექდოტებით დაიწყო. მოგვიანებით ბრანდტი გავართე ამ ანექდოტებით, ძირითადი პუნქტები ჩავინერე – „ოთხი ქალი“, „ლოგიკის ამბავი“ და „ჩვიდმეტი წლის ბიჭი“. ამასობაში ეს ანექდოტები დამავიწყდა. ჩვენი მოლაპარაკებების ძირითადი პუნქტების შესახებ კი აღნიშნა, ურთულესი საკითხია და საფუძვლიან აწონ-დაწონას მოითხოვსო. როცა ჩიბუხის შალითა გავხსენი და ჩიბუხის დატენვას შევუდექი, მხოლოდ მაშინ მოდუნდა, რადგან შეამჩნია, რომ ხმის ჩამწერი არ მქონდა. მანაც ამოიღო ჯიბიდან კოლოფი, სიგარეტს მოუკიდა და ექიმებზე დაიჩვილა, რალაცა უქნეს ამ კოლოფს, მხოლოდ ნახევარ საათში ერთხელ იხსნებაო. მკითხა, საარ-



ჩვენო კამპანია როგორ მიდისო. ოთხი საათის შემდეგ ისე დავასრულეთ საუბარი, იმ ორი პუნქტის შესახებ არაფერი დაუდგენია, რისთვისაც ჩავედი. შაჰი ენდა მიელო. რა გავლენა მოახდინა შემდეგ აღმოსავლეთ ბერლინელ ამხანაგებზე, კანცლერისთვის გაგზავნილ ცნობაშიც არ გამოვლენილა: „ძალიან კმაყოფილი ვარ ბატონ ბართან საუბრით. მას ველაპარაკებოდი და თქვენი ხმა მესმოდა. ხანდახან ორივე ჩვენგანი გამოვხატავდით განსხვავებულ პოზიციებს, მაგრამ ეს არ გახდებოდა იმედგაცრუების მიზეზი ... ჩვენ მზად ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ თქვენს დასახმარებლად“.

ჩემი მოხსენების შემდეგ ვილიმ და მე დავასკვნით ის, რომ ჰონეკერმა სამართლიანად მიგვანიშნა, არავინ იცის, შედგება თუ არა სამშვიდობო ხელშეკრულება და როდისო. წერილი გერმანიის გაერთიანების შესახებ, რომელიც მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერისას გადავეცით, გდრ-ის წინამძღვრს საკმარისი იქნებოდა. კაბინეტის ვინრო წრეში განვიხილეთ ერის ჩართვის საკითხი. მხოლოდ ვენერი შემეპასუხა: „ამას არ უნდა შევწიროთ ხელშეკრულება“. მაგრამ ვენერი უფლებამოსილი არ იყო ჩემთვის მითითები მოეცა.

შემდეგ, შესაძლოა ბოლო სხდომაზე, კოლს ავუხსენი, რომ პრეამბულაში მაინც თუ არ იქნებოდა ნახსენები ერი, პარაფირებას ვერ შევპირდებოდი. სხდომა შეწყვიტა და ნახევარ საათში დაბრუნდა ჰონეკერისგან უფლებამოსილი, ჩემი ფორმულირებით გვემუშავა. ჩვენი ხელმოწერით დასრულდა მოლაპარაკებები. ახლა ორივე მთავრობას უნდა გადაეწყვიტა თანხმობა მოეცა ხელმოწერაზე.

პარაფირება განხორციელდა 8 ნოემბერს, ხელშეკრულების ტექსტის გამოქვეყნების პარალელურად. მოსახლეობას 19 ნოემბრის არჩევნებზე ამ საბაზისო პრინციპების ხელშეკრულებისთვისაც უნდა ეყარა კენჭი; ახალ მთავრობას ხელ-ფეხი უნდა

გახსნოდა ან თავიდან დაეწყო მოლაპარაკებები, ან საერთოდ არ გაემართა.

პარაფირების შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა მიხაელ კოლი მიიღო. თვითონაც არ გვჯეროდა ჩვენი ბედნიერებისა, ისეთი დაღლილები ვისხედით კანცლერის ბუნგალოში, სიხარულის თავიც აღარ გვქონდა, რომ ამხელა საქმე მართლა გავაკეთეთ. არჩევნებში გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ხელშეკრულების ხელმოწერა 21 დეკემბერს. მანამდე კი შევთანხმდით, რომ მხარს დავუჭერდით გდრ-ის განცხადებას პარიზში იუნესკოს წევრობაზე, ორი კვირით ადრე ამაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა.

არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის უდიდესმა წარმატებამ იგი ბუნდესტაგის ყველაზე ძლიერ პარტიად აქცია. „ვირჩევთ ვილის!“ აღმოჩნდა ყველაზე ძვირფასი არგუმენტი. როდის შევძლებთ პლაკატებზე ისევ დავწეროთ: „გერმანელებო, შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ქვეყნით“. ეს იყო მწვერვალი, რომელზეც ვერავინ მოკალათდება.

ვილიმ თითქმის საზეიმოდ გადამიხადა მადლობა საბაზისო პრინციპების ხელშეკრულებისთვის. „ეს შენი პირმშოა. დაიმსახურე, რომ თავად მოაწერო ხელი შენს ხელშეკრულებას“. ისევ შემომთავაზე კანცლერის აპარატში ემკეს მოვალეობა ჩამებარებინა. როცა ისევ ვიუარე, მითხრა: „მაშინ ბუნდესტაგის მანდატი მაინც უნდა აიღო“. შემდეგ სიერა ლეონეში ხანმოკლე შევბუღებით გამგზავრების ნება დამართო. რომ დავბრუნდი, გათამაშებული სიხარულით მამცნო, კოალიციამ შენ და ვერნერ მაიჰოფერი განსაკუთრებულ დავალებათა ფედერალურ მინისტრებად წარგადგინათო. ჰორსტ გრაბერტი სახელმწიფო მდივნის რანგში გაუძღვებოდა კანცლერის აპარატს. მან, როგორც ფედერალურმა სენატორმა, კარგად იცოდა როგორც ბერლინის, ასევე ბონის პრობლემები. პიროვნულად სასიამოვნ-

ნო, ჭკვიანი და, ემკესთან შედარებით, წყნარი კაცი იყო. ემკემ სამეცნიერო კვლევისა და ტექნოლოგიის სფერო ჩაიბარა.

შვებულებაში ყოფნის გამო სინდისი მქენჯნიდა, მთელი წლის ალიაქოთით დაღლილ მეგობარს რომ ვუყურებდი. ხრინწიანი ხმა ჰქონდა, სახმო სიმები უნდა გავათლევინოო და უხაროდა მთლიანი ნარკოზი რომ ელოდა და მერე ორი კვირა ვერ ილაპარაკებდა, თანაც კაბინეტის შექმნის დავიდარაბას თავიდან აიცილებდა. პრაქტიკულად მხოლოდ კანცლერის აპარატის ნაწილი ჰქონდა მოგვარებული. მაგრამ ვენერს მოსაზრებების გრძელი სია გადასცა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ; მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ ეს სია ამ უკანასკნელს პორტფელში „დავიწყნოდა“. ამგვარად, კოალიციამ ბრანდტის სურვილის გათვალისწინების გარეშე გადანყვიტა ახალი კაბინეტის თარგი და შემადგენლობა, რასაც სახელმწიფო გადატრიალებას ვერ დაარქმევდი, მაგრამ ფედერალური კანცლერის წინააღმდეგ ნამდვილად იყო მიმართული. მოგვიანებით მიყვებოდა, ოპერაციის შემდეგ ლაპარაკი და მოწვევა აკრძალული რომ მქონდა, ყოველდღე ორ შეცდომას ვუშვებდი და ვერცერთი ავიცილე თავიდანო. შენ მაინც არ შეწყვიტო უცებ მოწვევო, გამაფრთხილა. საბედისწერო წელს ჩემი მეგობარი გამოფიტული და დასუსტებული დაემშვიდობა.

## გაჭიანურებული სტარტი

ახალი წელი ვალტერ შეელმა საერთო განწყობის აღწერით დაახასიათა: „ბატონო ფედერალური კანცლერო, 1973 წელმა მეტი სიმშვიდე უნდა მოგვიტანოს, ვიდრე სიახლე. უპირველეს ყოვლისა, მეტი დრო უნდა დავუთმოთ იმას, რომ მოსახლეობას განვუმარტოთ, რაც აქამდე გავაკეთეთ“. საგულისხმო რჩევა იყო, რადგან საკუთარ პარტიაშიც იგრძნობოდა, რომ განმუხტვის პოლიტიკა და აღმოსავლეთის ხელშეკრულებების სულისკვეთება საზოგადოდ ცნობილი არ იყო, რაც უმნიშვნელო წინააღმდეგობის დროსაც იჩენდა ხოლმე თავს.

საახალწლო უქმეები საკმარისი არ აღმოჩნდა მეგობარს ძალები აღედგინა. გაუქრა ის ენთუზიაზმი, რომლითაც 1969 წელს პირველ სამთავრობო პროგრამაზე მუშაობდა. მეორე მოხსენება სამინისტროების მიერ მონოდებული მონახაზებისგან შეკონინდა. გამოსვლის ტექსტებს პოპულარული მწერლის შემომატებამაც ვერ უშველა. კლაუს ჰარპრეხტის საოცარი ოსტატობით დაწერილი თომას მანის ბიოგრაფია მოგვიანებით ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე, თუმცა ლიტერატურაში უკეთ ერკვეოდა, ვიდრე პოლიტიკაში. მისი შემოთავაზება, სიტყვა „compassion“ გვექცია მთავარ ცნებად, ვილის მოენონა, მე კი სისუსტის გამოვლინებად მივიჩნიე და ხარკის გადახდად იმგვარი განათლებისთვის, რომლის მიღების საშუალებაც მას ცხოვრებაში არ მიეცა. რა საჭირო იყო გერმანიის კანცლერის

გამოსვლაში ისეთი ინგლისური სიტყვა, რომელსაც მშობლიურ ენაში ზუსტი შესატყვისი არ მოეძებნებოდა? მაგრამ ვიღიმ ასე დაიჟინა და ვერ შეეკამათებოდი. ის იყო ძალაგამოცლილი სული, რომელმაც ჩაანაცვლა შექმნის ნადილით ნასაზრდოები ეიფორია.

ცოტა დაგვიანებით მეც მომეძალა მოლაპარაკებებით გადატვირთული წინა სამი წლის დაღლილობა. 1973 წლის მარტის დასაწყისში თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და კლინიკაში წავედი. ექიმს უნდოდა, იქვე დავეტოვებინე. მაგრამ მეორე დღეს პარიზში უნდა გავმგზავრებულიყავი – თუ სიკვდილი გინდათ, მოკვდით, მე რა მენალვლებაო. – დამადევნა მწყრაღად. ადრენალინი სრულიად ამომენურა. ახალ გერმანულ ენაზე ამას „ბერნაუტი“ ჰქვია. ოთხი კვირა ვინექი. მთელი არსებით ყველასა და ყველაფრის მიმართ აქამდე უცნობ გულგრილობის რეჟიმზე გადავერთე. აღარც გაზეთები მაინტერესებდა და აღარც რადიო და ტელევიზორი, ვილის ზარიც კი. ოთხი კვირის შემდეგ ძლივს ავდექი, ტეგერნის ტბაზე გადამიყვანეს სანატორიუმში და შემოფოთებული ვცდილობდი არტიკულაციის უნარი დამბრუნებოდა. ვილი მზრუნველად კითხულობდა ჩემი გამოჯანმრთელების ამბებს. ჰანს-იოხენ ფოგელმა მოულოდნელად მომინახულა, მისი მუდამ მადლიერი დავრჩები.

მაისმა განწყობა გამომიკეთა. ბრეჟნევი ფედერალურ რესპუბლიკაში თავისი პირველი ვიზიტის დროს, კანცლერის რეზიდენციის წინ, ვედარ შეეღია რუთის ხელზე კოცნას. ურთიერთსიმპატია ნამდვილად იგრძნობოდა. საგარეო უწყებამ უარი თქვა სტუმრის საპატივცემლოდ ოცდაერთი ზალპის გასროლაზე, როგორც ეს პარიზში მოუწყვეს, სახელმწიფოს მეთაური არ არისო. მაგრამ ბოლოს პროტოკოლს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ბრეჟნევს ხელი მოეწერა დოკუმენტებზე, რისი უფლება „საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით“ მას საერთოდ არ ჰქონდა.

გენერალურმა მდივანმა და კანცლერმა გრომიკოს და მე კომუნიკეს მომზადება დაგვაავალეს. ერთმანეთს მართლა დავეჯახეთ. გრომიკო ამბობდა, ბერლინის შესახებ გადაწყვეტილება ოთხმა გამარჯვებულმა ძალამ მიიღო. ფედერაციული რესპუბლიკა არაფერ შუაშია და ამ ვიზიტის კომუნიკეშიც არ უნდა შევიდესო. ჩემმა კატეგორიულმა პასუხმა: „ბერლინის გარეშე კომუნიკე საერთოდ არ იქნება!“. სამარისებული სიჩუმე გაახანგრძლივა, სანამ ფალინი შეეცდებოდა ვითარების გამოსწორებას. მან თქვა, ვეცდები ბართან დალაპარაკებასო. ბუზლუნით დაეთანხმნენ სასაცილო შედეგს, რომელიც გამოიხატებოდა ფრაზით – ოთხი გამარჯვებული ძალის ხელშეკრულების „განუხრელი დაცვა და სრული გამოყენება“. მეორე დილას ყველა თანახმა იყო, მე კი ვისწავლე, რას ნიშნავს „სოლომონური“ გადაწყვეტილება.

სალამოს ბრანდტმა ორივე დელეგაციის საპატივცემოდ თავის რეზიდენციაში ვახშამი გამართა. ბუზის გაფრენას გაიგონებდით, როდესაც გენერალური მდივანი – ომში წითელი არმიის პოლიტკომისარი და ვერმახტის უფროსი ლეიტენანტი ჰელმუტ შმიდტი ბრძოლების და რუსეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ყვებოდნენ, მითუმეტეს როცა გაირკვა, რომ ფრონტის ერთსა და იმავე მონაკვეთზე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. აღელვება ლეონიდ ილიჩსაც დაეტყო. სხვა არც ერთ ორ ხალხს არ მიუყენებია ერთმანეთისთვის ასეთი ღრმა ჭრილობა. შიში და პატივისცემა იგრძნობოდა.

აეროპორტში, გამომშვიდობებისას ბრეჟნევმა მხარზე ხელი დამადო და მკითხა, უკმაყოფილო სახე რატომ გაქვსო. ევროპის უსაფრთხოების შესახებ არასაკმარისად ვილაპარაკეთ-მეთქი, მივუგე. დამეთანხმა; მაგრამ დამაიმედა, პესიმისტურად ნუ განენყოფი, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ოთხი დღის თავზე ბავარიის მიწის მთავრობამ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა განცხადება – საბა-

ზისო პრინციპების ხელშეკრულების დაუყონებლივ შეჩერების თაობაზე, მისი აკრძალვის მიზნით. კარლსრუეში ზეპირ მოსმენაზე მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როდესაც ვიგრძენი, გონება და მეტყველება ჩვეულებისამებრ აღმიდგა. ზავარიის წინააღმდეგ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ყველა ხელშეკრულება, როგორც იქნა, ძალაში შევიდა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ადვოკატებისა და ევანგელისტური ეკლესიის დახმარებით დაწესდა ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოსვლის მსურველთა მიღების სანაცვლოდ გდრ-ისთვის ფულის გადახდის პრაქტიკა. არცერთი მთავრობა ამით არ ამაყობდა. დასავლეთ გერმანიის მედიამ იცოდა, მაგრამ „გამოსყიდულთა“ ინტერესებს იცავდა და ამ შემთხვევებს ოცი წლის განმავლობაში არ ახმაურებდა. ამ საქმეების მოგვარება ვოლფგანგ ფოგელს, გდრ-ის ნდობით აღჭურვილ ადვოკატს ევალებოდა.

საბაზისო პრინციპების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს გამართულ საუბარში გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამიხსნა: „ადვოკატის არხი შეგვიძლია დავხუროთ. ან იხომ გვექნება საკონსულო სამსახურები“. მეც იმავეს ვფიქრობდი. მაგრამ აღმოსავლეთ ბერლინმა მოულოდნელი საახალწლო საჩუქარი მოგვიმზადა და გამგზავრების უფლების გაცემა საერთოდ შეწყვიტა, ამით შექმნა ე. წ. „ჩემოდნის საქმეები“ – ადამიანები, რომლებიც ნებადართულ გამგზავრებას ელოდნენ. მართალია, ყველას ვაფრთხილებდი, გერმანულ-გერმანული თაფლობისთვის ეიფორიას ნუ აყვებით-მეთქი, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი, რომ ნაცრისფერი რეალობა ასე ჩქარა დადგებოდა.

ბრანდტის ნებართვით კოლს ველაპარაკე ამ ორივე მხარისთვის უღირს ქმედებაზე. ადამიანებით ამგვარი ვაჭრობა უნდა დამთავრდეს და ორ სახელმწიფოს შორის ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით სასურველ დონეზე უნდა ავიდეს-მეთქი.

კოლს შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნდა და ბერლინთან კონსულტაციის შემდეგ პოლიტიკურს ნევრ პაულ ვერნერთან შეხვედრა შემომთავაზა. პაულ ვერნერს ჩემი მოსაზრებები რომ წარვუდგინე, მითხრა: თქვენ ჩემი დარწმუნება შეძელით და ფედერალურ კანცლერს ასე გადაეცითო. დეტალებზე კი კოლთან მოითათბირეთო.

გახარებულმა შეფმა ბონში მომილოცა წარმატება. მოგვიანებით ვენერი შემოგვიერთდა და მასაც მიახარა კარგი ამბავი, ის კი აფეთქდა: ეს საშინელებაა, აწი ყველაფერი გაიყინებაო. ყველაფერს დაბლოკავენ და „ჩემოდნის საქმეები“ მოიმატებსო. ორ დღეში დამიდასტურა კოლმა, შეგვიძლია დეტალებზე „ამხანაგ ვერნერთან თქვენი საუბრის შესაბამისად“ მოვილაპარაკოთო. ვილი: „ხომ ხედავ, გამოდის!“ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე კოლმა მიზეზის დასახელების გარეშე გააუქმა შეხვედრა. ვენერს რამდენიმე დღე დასჭირდა, რომ მოსალოდნელი შეთანხმება აღეკვეთა.

რუტინა გრძელდებოდა. ჰანოვერშტრასეზე ჩვენი ახლად შექმნილი მუდმივი წარმომადგენლობისთვის შენობა შევარჩიე და გიუნტერ გაუსი დავითანხმე, სტილის დამამკვიდრებელ ყინულმჭრელად ემუშავა. მაგრამ მანამ ვერ დავიყოლიეთ, სანამ ვილიმ არ დაარწმუნა, რა მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი საქმიანობა და მისი რჩევა კანცლერის აპარატისთვის. აღმოსავლეთ ბერლინიდან ხმა მოგვივიდა, გრომიკო მუდმივი წარმომადგენლობის გახსნის მოლაპარაკებებზე ხელის შეშლას აპირებსო. მოსკოვის ჩარევა ერთნაირ გაჯანჯლებად დაგვიჯდა და თან დავინახეთ, რომ გდრ ამ უმნიშვნელო საკითხის გადანყვეტაშიც არ იყო დამოუკიდებელი. ჩვენ კი ისე უნდა დაგვჭირა თავი, თითქოს მისი დამოუკიდებლობის გვჯეროდა.



## ვენერი

ამ ამბის წინაპირობა ერთ-ერთი საუბარია, რომელიც ბრანდტს, ვენერსა და ჩემს შორის შედგა. „ჩემოდნის საქმეები“ ჩემი სამსახურში არყოფნის დროსაც ვერ გადაიჭრა. ვენერმა გვაცნობა, ჰონეკერმა მიმინვია ქვეყნიდან გასვლის უფლებაზე სამსჯელოდო. ვიფიქრე, ვოლფგანგ მიშნიკს წავიყოლებ (ისიც მასავით დრეზდენელი იყო), თავისუფალი დემოკრატების ფრაქციის თავმჯდომარეს, პოლიტიკური რისკის შესამცირებლადო. ვშიშობდი, არ გაუჭირდებოდა ავარია მომიწყო. მე ვუთხარი, პირველი კაცი თუ გპატიჟებს, ისევე უსაფრთხოდ იქნები, როგორც აბრაამის კალთაში-მეთქი. შემაშინა მისმა კატეგორიულმა და ხისტმა პასუხმა: „თქვენ არ გესმით! არსებობს რაღაცეები, რასაც არ პატიობენ და არ ივინყებენო“. არ თამაშობდა, მართლა ძალიან ეშინოდა. შემდეგ ტექნიკური სამზადისის დეტალები გავიარეთ, ცუდი არაფერი გვიფიქრია და ყურადღება არ მიგვიქცევია, რომ მიშნიკის მონვევა მისი აღმოსავლელ ბერლინელი ლიბერალ-დემოკრატიული მეგობრისგან დროულად მოსულიყო. ვილიმაც შენიშნა, რომ ვენერი მრავლობითში გველაპარაკებოდა. სოციალ-დემოკრატები იმთავითვე მიაბიტიები ვართ კომუნისტებთან შედარებით. „თქვენ“-ში შენც გიგულისხმა“, მითხრა ვილიმ, „და ჩვენთან ხაზგასმით დაიჭირა დისტანციას“.

„ჩემოდნის საქმეები“ გადაიჭრა. ვენერმა 30 მაისს ჰონეკერთან პირისპირ შეხვედრისას შეათანხმა ქვეყნიდან გასვლის აკრძალვის შეჩერება; ამ უკანასკნელმა კი მაშინვე მიუთითა შტაზის შეფს ერის მილკეს. მიშნიკი ერთი დღით გვიან ჩაერთო მოლაპარაკებებში. საუბრის ჩანაწერი არ მიგვიღია, კიდევ რა ითქვა, არ ვიცით. კოლთან ოფიციალურ მოლაპარაკებებში არაფერი შეცვლილა. მაგრამ ზაფხულში მოსკოვის არხმა მრავალჯერ შეგვატყობინა, რომ ვენერმა გდრ-ის კონტაქტებთან კრიტიკული და უპატივცემლო კომენტარებით მოიხსენია ბრანდტი. ბრანდტმა ამ ინფორმაციის მოწოდებისთვის წყაროს მადლობა შეუთვალა. დღემდე უპატიებელია ჩვენი გულუბრყვილობა.

დიდი კოალიციის დროს ვენერი ფედერალური მინისტრის რანგში ხელმძღვანელობდა საერთო გერმანული საკითხების ფარგლებში „ადამიანების მდგომარეობის შემსუბუქების“ თემას, ანუ ადვოკატ ვოლფგანგ ფოგელის ძალისხმევით გამოსყიდული მოქალაქეების საკითხს. ფედერალური მთავრობის წევრობა მისთვის ნიშნავდა, რომ ქდკ/ქსკ გაერთიანებამ აშკარად აპატია წარსული. პატიების განწყობა მაშინ დასრულდა, როცა 1969 წელს სოციალ-ლიბერალურ კოალიციაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე გახდა. ქვეყნიდან გასვლის კომპეტენცია ისევ სამინისტროს დარჩა, ამდენად, მთელ ამ კომპლექსში იგი არავითარ როლს აღარ თამაშობდა.

1973 წლის ბოლოს ვენერი ბუნდესტაგის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში – ეს იყო ბრანდტის განმუხტვის პოლიტიკის დაგვიანებული საჩუქარი. კანცლერის აპარატში ყველა ვთანხმდებოდით, რომ „ბიძას“ ეს მოგზაურობა წარსულთან შერიგებაში დაეხმარებოდა. ვიზიტის კულმინაციას წარმოადგენდა შეხვედრა მის ყოფილ უფროსთან, ბორის პონომარეოვთან. ამ შეხვედრაზე კიდევ უფრო აუგად მოუხსენებია ბრანდტი, ვიდრე ჟურნალისტების წინაშე, როგორც არხმა შეგვატყობინა,

უთქვამს: „ის მოლაღატეაო“. სააგენტოები კი იუნყებოდნენ: „ბრანდტი საქმეებს ვერ უძღვება. უნიათოა. მთავრობაც უნიათოაო“. ბრანდტმა ეს ამბავი მაინცდამაინც მაშინ გაიგო, როცა ფედერაციული რესპუბლიკის გაეროში განწვერიანების გამო ნიუ იორკში სიტყვით გამოვიდა. ვიზიტი შეწყვიტა.

ვილი ბრაზისგან ბოხოქრობდა. „უკვე კმარა. ან – ის, ან – მე“. ჰორსტ გრაბერმა მაშინვე იზრუნა თვითმფრინავზე. უნდოდა მოსკოვში ჩაეკითხა ვენერისთვის, რათა მასთან ერთად ჩამოფრენილიყო ბონში და ტრაპიდან ჩამოსვლისთანავე გაეკეთებინებინა გადადგომის განცხადება. ვილის ვურჩიე, ვენერს პირადად დაელაპარაკე-მეთქი. ამ დაპირისპირებას ნამდვილად მოიგებდა, მაგრამ მისი ენერგია სხვა საქმეებს უფრო სჭირდებოდა. ამიტომ თვითმფრინავის შეკვეთა გავაუქმეთ. მათი საუბარი ვენერის თხოვნით ასე დასრულდა: „მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ“. დღემდე დარდად მანევს და თავს ვიდანაშაულებ, რომ მეგობარს არასწორი რჩევა მივეცი. ვილის ამის გამო არასოდეს უსაყვედურია.

\*

ვილი ბრანდტი სანიმუშო მაგალითი იყო იმისა, რომ აუცილებელი არაა პოლიტიკამ ადამიანი გარყვნას. ჰერბერტ ვენერი ძალაუფლების მოტრფიალე კაცი გახლდათ, რომელსაც სინდისი არ ანუხებდა, და ადამიანებს ჭადრაკის ფიგურებივით ათამაშებდა. ბრანდტმა თავისი პიროვნული თვისებები შეურწყა საზოგადოების შეცვლის ფართო პოლიტიკურ ხედვას. ვენერი საოცრად გადამეტებული წარმოდგენის იყო საკუთარ თავზე, ხოლო თავისი პოზიციის გასამაგრებლად და იმის გასატანად, რაც საჭიროდ მიაჩნდა, ყველაფერს კადრულობდა. ბრანდტი თავს ძლიერად ხალხის სამსახურში გრძნობდა, ვენერს კი,

საკუთარი წარსულით დამძიმებულს, მხოლოდ უკანა რიგიდან, თანამდებობის გარეშე უნდა წარმოეჩინა თავისი უპირატესობა. ბრანდტს არავისი არ შურდა, მხოლოდ სხვისი აკადემიური განათლება შეიძლებოდა შეშურებოდა. ვენერს კი ბრანდტის შურდა, ბრანდტს შეეძლო სიცილით დაემტკიცებინა, რომ პოლიტიკა მხოლოდ სერიოზული და სასტიკი საქმე არ არის. ბრანდტისთვის ვენერი უსიამოვნო ადამიანი იყო, მაგრამ არა საშიში. ვენერს ბრანდტი სუსტ პიროვნებად მიაჩნდა.

ამ ორი ლიდერის პიროვნული და ბიოგრაფიული სხვადასხვაობანი იმდენად დიდი გახლდათ, რომ არ შეიძლებოდა შექსპირისეული დრამატიზმით არ დაჯახებოდნენ ერთმანეთს. დემოკრატიაში სანამლაგითა და ხანჯლით არ კლავენ. მაგრამ არსებობენ გამარჯვებულები და დამარცხებულები. გამარჯვება ჯერ ვენერის მხარეს იყო, რადგან ბრანდტს ვერ წარმოედგინა მისი უსაზღვრო უსინდისობა. საბოლოოდ ვენერი განადგურდა, როცა ტვინმა, მისმა ყველაზე ძლიერმა იარაღმა უმტყუნა და აღარ ემორჩილებოდა.

1973 წლის ოქტომბერში ვილი ენდო ვენერის არაგულწრფელ ბოდიშს მოსკოვში გამოსვლის გამო და გაიზიარა მისი თხოვნა, კიდევ ერთხელ ვცადოთო. ექვსი კვირაც არ იყო გასული, რომ ვენერმა პირობა დაარღვია და დაწერა დოკუმენტი, რომელშიც გერმანიის პოლიტიკის შესახებ ჰონეკერისადმი მიმართულ რჩევებს აყალიბებდა. დოკუმენტი იყო მისი პირადი ხელშეკრულება გდრ-ის პირველ კაცთან და ამით პოლიტიკური ცენტრი კანცლერის აპარატიდან ვენერ/ჰონეკერის გადაწყვეტილებების დონეზე ინაცვლებდა. ჩემს მეგობარს არასოდეს შეუტყვია ის შეურაცხყოფა, რომელიც მას ამ ქალღლით მიაყენეს. მას არც ის გაუგია, რომ ვენერი ჰონეკერს ბარდებოდა, რადგან თავის დაწერილ დოკუმენტს „პოლიტიკურ ანდერძს“ უწოდებდა, რადგან „ბედს კაცისა, რომელიც პოლიტიკის წინა ფლანგზე მოღვაწეობს, სხვები განსაზღვრავენ“, თუკი ამ დოკუმენტს შესაბამისად გამოიყენებენ.

„მოსაზრებებში“, როგორც უნოდებდა თავის ჩანაწერებს, ბრანდტი საერთოდ აღარ ფიგურირებდა. ხოლო მოკლე ვერსია, რომელიც ვენერმა 1974 წელს მოუშადა ჰელმუტ შმიდტს, აღარ შეიცავდა სახელწოდებას „პოლიტიკური ანდერძი“. მთლიანობაში ეს იყო თითქმის ალტაცებაში მომყვანი შედეგრი ინტრიგისა, რომლითაც ვენერი ახალ ფედერალურ კანცლერს თავს ნარუდგენდა ისეთ კაცად, რომელიც ყველაფერს მართავს. თუმცა, შმიდტი იმასაც მიხვდა ამ დოკუმენტიდან, რომ ვენერი ბრანდტის ზურგს უკან მოქმედებდა და ჰონეკერთან კონტაქტების შესახებ ინფორმაციას არ აწვდიდა. ამგვარად, ვენერი შმიდტს ჩაბარდა და ახალ კანცლერთან მჭიდრო კავშირი დაამყარა. მთელი ეს ამბავი მაშინ გაცხადდა, როცა გრეტა ვენერმა – მისმა გერმა და შემდეგ კი ცოლმა, ოცი წლის თავზე ეს დოკუმენტები გამოაქვეყნა. ჩვენ არაფერი ვიცოდით, მაგრამ ბრანდტს და მე ხშირად გვილაპარაკია, როდის და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, რაც მერე ლალატში გადაიზარდა. ჩვენთვის „ბიძა“ აღარ არსებობდა.

ჯერ კიდევ ბონში, ჟურნალისტობის დროს, გავიცანი ახლოს ვენერი. მაშინ გადმომცა თავისი „აღსარების“ ასლი მოსკოვში გადასახლებაში ყოფნის პერიოდზე; კურტ შუმახერისთვისაც ჰქონდა მიცემული. კომუნისტების მშთანთქავად ცნობილმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ კომუნიტური პარტიის და კომინტერნის ფუნქციონერი მაშინ გაათავისუფლა ეჭვისგან, ფარულად ისევ ძველ რწმენას ატარებდა. ორმოცდაათი წლის შემდეგაც ვერ ამიხსნია, რას ელოდა ვენერი, როცა თავისი აღსარება გადმომცა. შესაძლოა, ფიქრობდა, რომ ამერიკელების სამსახურში ვიდექი და მის ნაწერს მათ გადავცემდი, რომ ჩემს უფროსებს მასზე ეჭვი გაჰფანტოდათ. მართლა ასე თუ ფიქრობდა, ადამიანები ვერ სცნობია.

ბრანდტი და მე არ გამოვრიცხავდით, რომ სიკვდილის მუქარის ქვეშ მყოფ ვენერს თავად გაეწირა ადამიანები მოსკოვში.

ერთ რამეში ვთანხმდებოდით: მხოლოდ იმას აქვს უფლება, გააკრიტიკოს ვენერისნაირი ადამიანი, ვინც მზადაა, თავად გაიაროს მონამებრივი გზა ასეთ სიტუაციაში. გარდა ამისა, ვენდობოდით შუმახერის შეფასებას, რომ ვენერის გარდაქმნა სოციალ-დემოკრატად დამაჯერებელი იყო.

ბერლინში ბრანდტმა ჯერ კიდევ 1960 წელს მიაბო ვენერის მიმართ შინაგანი გაუცხოების შესახებ. მას სოციალ-დემოკრატიული პარტიის უიღბლო თავმჯდომარეზე ერიპ ოლენჰაუერზე უთქვამს: „ეგ უნდა ნავიდეს“. თუკი ვენერს ბრანდტისთვის კბილის მოსინჯვა უნდოდა, მაშინ დაასკვნოდა, სუსტიაო. ერთხელ როდესაც შევნიშნე, ვენერი ანგარიშიანია და „ასე უსწავლია“-მეთქი, დავიტუქსე, ზედმეტი მოგდისო.

1960 წლის 30 ივნისს ბუნდესტაგში გამოსვლისას ვენერმა სოციალ-დემოკრატიული პარტია ადენაუერის მიერ დადებული ხელშეკრულებების პოზიციაზე დააყენა. ბრანდტი აღშფოთდა, „ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს არ შეესაბამებაო“. ერთი წლის წინათ გამოქვეყნებული „გერმანიის გეგმა“ მაკულატურად გვიქცია. „უარესი: არც შეუთანხმებია ჩემთან“. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტს მართლაც არ უმსჯელია ამ შორსმიმავალ ნაბიჯზე. „ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ იგი მართალია“. ამ ეპოქალური გამოსვლით ვენერმა შექმნა დიდი კოალიციის წინაპირობები. მისმა გამოსვლამ დაამტკიცა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მხოლოდ ფედერალური მიწის დონეზე როდი შეუძლია მართვა. მაგრამ ვენერს არასოდეს ჩამოუყალიბებია საკუთარი კონცეფციები, არც გერმანიის გაერთიანების და არც სხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ვენერი ხელმძღვანელობდა, ბრანდტი კი მიჰყვებოდა. ეს აღარ უნდა განმეორებულყო. მოგვიანებით, როცა ბრანდტმა კანცლერობაზე განაცხადა პრეტენზია, ვენერი დაემორჩილა. ახალ კოალიციას ბრანდტი ვენერისგან გათავისუფლებად აღიქვამდა. ვენერი ალბათ მიხვდა, სახელი და გავლენა რომ

დაკარგა. არა მგონია, რომ ეს დამარცხება ვილის როდესმე დაუფინყა. გარკვეულწილად ლეთარგიას ჰგავს, რომ ბრანდტმა უყურადღებოდ დატოვა, როცა მეორე კაბინეტის ჩამოყალიბების მითითებები ვენერს პორტფელში „დაავინყდა“ და ჰელმუტ შმიდტისთვისაც არ გადაუცია, ეს მითითებები შმიდტისთვის იყო განკუთვნილი.

ბრანდტი და მე ერთნაირად ვფიქრობდით, საბაზისო პრინციპების ხელშეკრულების დამთავრებამდე არ შეიძლებოდა ვენერს ოპერატიული კონტაქტი ჰქონოდა ჰონეკერთან. მაშინ ეს უკანასკნელი მე აღარ ჩამთვლიდა უფლებამოსილად. პრემიულაში ჰონეკერისთვის ასე მძიმედ გადასატანი „ერის“ გარეშეც დაიდებოდა ეს ხელშეკრულება. იგივე ითქმის ქვეყნიდან გასვლის ნებართვაზეც. ვენერის ჰონეკერთან პირველ შეხვედრამდე ოპერატიული გავლენა არ იგრძნობოდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მეორე მხარესთან მუშაობა, ოლონდ, უფრო საკუთარი თავისთვის. მისი კონცეფციის მთავარი იდეა იყო, ჰონეკერთან ერთად, მიეღწია გერმანიის გაყოფის დაუბრკოლებლად შენარჩუნებისთვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ვენერის პირველი შეხვედრა ჰონეკერთან, 1973 წლის 30 მაისს, იყო დასაწყისი იმისა, რაც მათ შორის ბრანდტის გადადგომამდე გათამაშდა ამ უკანასკნელის ზურგს უკან.

დღემდე საკვირველია, როგორ არ გავითვალისწინეთ მოსკოვიდან განმეორებით მიღებული ცნობები, ვენერი ბრანდტის შესახებ უდიერად ლაპარაკობსო. ამ ყველაფერს, კომუნისტურად მოაზროვნეები, ალბათ ბონის სათავეში მოსვლისთვის ბრძოლად აფასებდნენ. „ახლა ვერაფერს გავანყობთ“, ამბობდა ბრანდტი. ჰანს-იურგენ ვიშნევსკიმ მიაბო, ბერლინში, ვენერის ბინაში შემთხვევით მოვისმინე ჰონეკერს ტელეფონზე რასაც ეუბნებოდაო და ამის გამო სულ ნუხდა: „მას შემდეგ, როგორც ბიძამ ილაპარაკა, უკვე აღარ ვიცი, არის თუ არა იგი ერთგული“.

\*

შემოდგომა მტანჯველი და უღიმღამო გამოდგა. ახლადშექმილმა გარემოს ფედერალურმა სამსახურმა გაითვალისწინა მთელი რიგი ქალაქებისა, მაგრამ ბერლინი არ გახსენებია. ოთხი გამარჯვებული ძალის შეთანხმების „განუხრელი დაცვისა და სრულად გამოყენების“ გათვალისწინებით, უმჯობესად მიმაჩნდა, რომ ეს სამსახური ბერლინში განთავსებულიყო. ნინასწარ, რასაკვირველია, მოსკოვისა და აღმოსავლეთ ბერლინის თანხმობა დაგვჭირდებოდა. არ მეგონა, გენშერი კაბინეტის შესაბამის გადაწყვეტილებას მაშინვე თუ გაასაჯაროებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოსავლეთ ბერლინმა საშინელი აღშფოთებით გვიპასუხა. მოსკოვმა უფრო შეიკავა თავი. ბრეჟნევმა შემოგვითვალა: „ადრე მოგივიდათ გასროლაო“. ამას დროში დაემთხვა საჯარო სამსახურის პროფკავშირების მოთხოვნა ხელფასების ორნიშნა ციფრით მომატების შესახებ, რომელიც ანგარიშგაუწუნებლად დააყენეს და ბრანდტმა ჩაილაპარაკა: „მოსკოვი, აღმოსავლეთ ბერლინიც კი შეიძლება უფრო გამოგადგეს, ვიდრე შენი საკუთარი ხალხი“. მაგრამ უგულოდ იბრძოდა. ფედერალური სამსახური მაინც გადავიტანეთ ბერლინში. მაგრამ ხალისი უკვე დაგვკარგვოდა.

გული გაგვინათა კანცლერის გადაწყვეტილებამ, შეგვეფარებინა სოლჟენიცინი, მიუხედავად მოსკოვის მუქარისა, რომ მოქალაქეობას ჩამოართმევდა. გემო ჩავატანეთ, რუსებივით ფორმალობებისა და კონტროლის გარეშე რომ გამოვიყვანეთ აეროპორტიდან და პირდაპირ ჰაინრიხ ბიოლთან მივაბრძანეთ. საელჩომ უზრუნველყო მისი ნაწერების ტრანსპორტირება, რადგან მათ გარეშე ვერ იმუშავებდა.

ნავთობის ფასის პირველი აფეთქება მოულოდნელად დავატყდა თავს. კაბინეტში ვილიმ დაუფიქრებლად ჰკითხა ეკონომიკის მინისტრს, ჰანს ფრიდრიხს, როგორ რეგულირდება ნა-



ვთობის ფასიო. მანაც ნაჩქარევად უპასუხა, არ ვიცი, მაგრამ შემდეგი სხდომისთვის გავიგებო. მერე კი აღიარა, ეს ნავთობის დიდი მწარმოებლების საქმეა და აბსოლუტურად გაუმჭვირვალეო. მეც არ დავახანე და გამოვაცხადე, პრობლემა არ არის, კისინჯერს დავურეკავ-მეთქი. კისინჯერმა რამდენიმე დღეში მაცნობა პასუხი, რომელიც ჩვენი ეკონომიკის მინისტრის ცნობას ემთხვეოდა. ამერიკის მთავრობაც კი ვერ ჭვრეტდა გლობალური კონცერნების გლობალური ნედლეულის გლობალური მართვის პორცესს. გამაოგნებელი იყო, რომ გერმანიის მთავრობამ სამ კვირაში შეცვალა კანონები და მანქანებისგან თავისუფალი ოთხი კვირა დღე გამოაცხადა. მულტინაციონალური საზოგადოებების ძალაუფლება ბადებდა ეჭვს დაპირისპირებული ძალის არსებობის შესახებ, რაც ორმოცი წლის შემდეგაც უპასუხოდ დარჩა.

„შპიგელმა“ ჩვენი მდგომარეობა 1973 წლის დეკემბრის მონინავე სტატიაში ძალიან დამთრგუნველად, მაგრამ სწორად შეაფასა: „მონუმენტი ირყევა“. მიხაროდა, რომ ეს უსიხარულო წელი იწურებოდა და ბრანდტს ვკითხე, რას განიცდი, სამოცი წელი რომ გისრულდება-მეთქი. თბილად გამიღიმა და მიპასუხა: „მნიშვნელოვანს არაფერს!“.

## დაცემა

ახალი სტარტის აღების გადანყვეტილებით დაბრუნდა შეფი 1974 წლის 24 აპრილს ეგვიპტიდან, სადაც სახელმწიფოს პრეზიდენტს ანვერ ას-სადათს შეხვდა. ფრენის დროს კაბინეტის გადახალისებაზე ვისაუბრეთ. გამხნევდა და 1976 წლის მომავალ არჩევნებამდე სახავდა გეგმებს. კიოლნ-ბონის აეროპორტში დაშვებამდე ბრანდტმა თავი გადაიქნია, „რამდენი ხალხი გვეგებება, არადა ასეთი წარმატებისთვისაც არ მიგვიღწევიაო“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენშერმა მისალმებისას აცნობა: „ამ დილით გიიომი დავაპატიმრეთ. უკვე აღიარა“. ეს ახალი ამბავი კანცლერის აპარატის უფროსის, გრაბერტისგან გავიგე და მაშინვე გამახსენდა ბარათი, რომელიც მის წინამორბედს ემკეს დავუნერე, როცა დამეკითხა, გეორგ ლებერი და ჰერბერტ ერენბერგი ვინმე გიუნტერ გიიომის დანიშვნას მთხოვენ, მიუხედავად იმისა, რომ გდრ-იდან არისო. რასაკვირველია, არ ვურჩიე: „შეიძლება უსამართლოდ ვექცევით ამ კაცს, მაგრამ კანცლერის აპარატისთვის შეუფერებელია“, ემკეს აღარაფერი უთქვამს. საბაზისო პრინციპების ხელშეკრულების მოლაპარაკებების დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე გიიომი ჩემს კაბინეტში გამომეცხადა. საიდუმლოებებს ველარ გასცემდა. ჩემი ბარათი საქმეში იდო, როგორც საქმის კეთილსინდისიერ წარმოებას შეეფერება. როდესაც ემკეს ეს ამბავი შევახსენე, მიპასუხა, შენი გაფრთხილების მიხედვით გიიომი ჩვენს სამ-

სახურებს, როგორც ჯერ არავინ, ყველანაირად შევამოწმებინე, რადგან უარყოფითი ვერაფერი ვერ უპოვეს, მიზეზი აღარ მქონდა, რატომ არ უნდა დამენიშნაო.

ბრანდტი და მისი გარემოცვა, ეტყობოდათ, სერიოზულად არ აღიქვამდნენ ამ საქმეს. მომდევნო დღეებში, ჩვეულებისამებრ იმართებოდა შეხვედრები. ჩვენ ამ ამბავს სენსაციად უფრო აღვიქვამდით, შესაძლოა, სკანდალად, მაგრამ არც საშიშროებად და არც კრიზისად. დღეების განმავლობაში არ გამოთქმულა სიტყვა „გადადგომა“. როდესაც იუსტიციის მინისტრმა გერჰარდ იანმა ბრანდტს ძიების შედეგები შეატყობინა და უთხრა, გიიომი ამბობს, მასთან ქალები მიმყავდაო, ბრანდტი მა გაიხუმრა: „ნეტავ რა გონიათ, რამდენი შემიძლიაო“. თვით საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, გიუნტერ ნოლაუს, ვენერის ნდობით აღჭურვილი პირის და იმასავით დრეზდენელის, ძიების შედეგებზეც, მხოლოდ აღშფოთდა და იკითხა, კიდევ რას შეიძლება მოველოდეთ ამ ქვეყანაშიო. ამასობაში ჯაშუშობაში კი აღარ იყო საქმე, რომლის წინააღმდეგაც ჯერ არაფერი ჰქონდათ, რაც სასამართლოში გამოდგებოდა, არამედ მთავრობის მეთაურის პირადი ცხოვრების კვლევაზე. მას კი ლეთარგია მოსძალებოდა და მოგვიანებით გაკეთებულ „ჩანაწერებში“ ამ ამბის გამო თავს იმუნათებდა.

ბრანდტის კაბინეტში შეელთან ერთად განვიხილეთ ვითარება. „ბატონო ფედერალური კანცლერო, ჯაშუშობის ამბავს ცალი ხელით ავლავმავთ“. თავისუფალი დემოკრატები თქვენ გვერდით არიან. ახლა მეორე ხელიც გვჭირდება. ვილის ვურჩიე, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვენერის უღალატო მხარდაჭერაში დარწმუნებული ვიქნებით თუ არა და ჯერ ეს გავარკვიოთ-მეთქი. საკუთარი ფრაქციის უპირობო მხარდაჭერის გარეშე კანცლერობას ვერ შეინარჩუნებდა. ეს კი მაისის დასაწყისში მიუნსტერაიფელში გადაწყდებოდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმაღლესი დონის შეხვე-

დრაზე პროფკავშირების ხელმძღვანელებთან. წინა საღამოს გაუსი და მე შეფს კაბინეტის გადახალისებაზე და აღმოსავლეთ ბერლინში მუდმივი წარმომადგენლობის გახსნაზე ვესაუბრეთ. მოგვიანებით ქუჩაში გავისეირნეთ და ყოველგვარი ხელსაჭიდი მიზეზის გარეშე ვიგრძენით, რომ ვილი დანებებას აპირებდა.

მიუნსტერაიფელში დაპირისპირებულთა შეხვედრას მონაწილეები არ ჰყოლია. სარწმუნო მხარდაჭერის სიტყვები ბრანდტს ვენერისგან არ მოუსმენია. არასასურველმა შედეგმა იმ ღამესვე გადადგომა გადააწყვეტინა. ფედერალური პრეზიდენტის სახელზე გადადგომის წერილი შინ დანერა და წაუკითხა რუთს, რომელმაც მოუწონა: „სწორია. ვინმემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა“. პირველი, რაც 6 მაისს მითხრა თავის კაბინეტში: „ყველაფერი დამთავრდა!“.

ვენერთან საუბრის ბოლოს ვილიმ დასძინა, ჯერ თქვენ მიდით ფრაქციაშიო. გზაში ვფიქრობდი, ვენერი რომ არა, ჩემი მეგობარი ისევ იმ ადგილას იქნებოდა-მეთქი. მოულოდნელად მკლავზე ვენერი შემეხო: „ახლა მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ, კარგად დაფიქრდი, ჩვენი საერთო საქმის გამო“. მომეჩვენა, რომ უძირო უფსკრულში ვიყურებოდი. „ნუთუ თავისი უსინდისობის თანამზრახველად უნდა რომ გამხადოს?“ როდესაც ვილი ფრაქციის დარბაზში შემოვიდა, ვენერი, როგორც ასეთ დროს იციან ხოლმე, ყვავილების თაიგულით მიესალმა და დაიყვირა: „ჩვენ ყველას გვიყვარს ის!“. ცრემლი ველარ შევიკავე ამ ნაძირლობის და ფარისევლობის შემყურემ. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გავიგე, როგორ მივრცელებდა ტყუილებსა და ცილისწამებას ვენერი ჰონეკერთან. ეს, ალბათ, მაშინაც მშვენივრად ახსოვდა, როცა „ჩვენს საერთო საქმეში“ მჭიდრო თანამშრომლობა შემომთავაზა.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღმოჩნდა ზოგიერთი, რომელთაც ვითომ თუ მართლა უნდოდათ ვილისთვის აზრი შეეცვლევინებინათ. ვიცოდი, რომ ეპოქა მთავრდებოდა. მეგობ-

რისადმი სიყვარულმა გადაწონა სახელმწიფოს წინაშე მოვალეობა. ვურჩიე, გადადგომის გადაწყვეტილებას ნუ შეცვლი-  
მეთქი. ახლა მის ხელში იყო ყველაფერი. სხვა შემთხვევაში არ  
მოასვენებდნენ, კუთხეში მიიმწყვდევდნენ, გაანადგურებდნენ.  
არ მიეცემოდა ამოსუნთქვის საშუალება. იმისგან გათავისუ-  
ფლება, რასაც ორი წლის შემდეგ, „თვითკასტრირება“ უწოდა,  
უპირისპირდებოდა ფიქრს, რომ ვენერმა აჯობა. გადადგომი-  
დან რამდენიმე დღის შემდეგ მოინადინა შეეტყო, სინამდვილე-  
ში რა როლი ითამაშა ვენერმა. ეს ჩანს მის „ჩანაწერებში გ.-ს  
საქმის შესახებ“.

ჯერ კიდევ მაისის ბოლოს დაიწყო ვილიმ ჩანაწერების  
მონესრიგება, რომელიც შემდეგ განავრცო. ამ ჩანაწერების  
ორმოც გვერდზე მეტი ადასტურებს, როგორ დაჟინებით ცდი-  
ლობდა გაერკვია, რამ გამოიწვია კანცლერობის იძულებითი  
დასასრული. გიომის დაპატიმრებას იგი უყურებდა როგორც  
უწინდელი შეცდომების გამოაშკარავების მიზეზს. თვითკრი-  
ტიკულად აღიარებდა, რომ გამოეპარა და არაფერი იღონა  
გენშერის გროტესკულ თავხედობაზე, რომელმაც გიომის  
დაპატიმრებამდე თითქმის ერთი წლის განმავლობაში ფედერა-  
ლური კანცლერი სატყუარად გამოიყენა. ვერაფრით იეჭვებდა  
საფუძვლიანად იმ კაცზე, რომლის გვარი „გ“-თი იწყებოდა,  
თანაც, როცა მასზე თვეების განმავლობაში არაფერი სიახლე  
არ მოუხსენებიათ. უსაფრთხოების სამსახურების გაუგონარ  
შეცდომას, აღარ ეთვალთვალათ ეჭვმიტანილისთვის, დაემატა  
თვით გიომის აღიარება, დაპატიმრებისას რომ გამოაცხადა,  
გდრ-ის ეროვნული არმიის ოფიცერი ვარო. მტკიცებულებები  
მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას არ ეყოფოდა.

ბრანდტის „ჩანაწერები“ უმთავრესად უტრიალებს ეჭვს,  
იცოდა თუ არა ვენერმა ჰონეკერთან ამალების დღესასწაულ-  
ზე შეხვედრისას გიომის შესახებ, რაც სავარაუდოდ ველარ  
დამტკიცდებოდა. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ვენერს

და ჰონეკერს, 24 აპრილს გიომის სტატუსის გამოაშკარავების შემდეგ და ბრანდტის გადადგომამდე, მთელი ორი კვირის განმავლობაში, გახშირებული საუბრებისას არ ეხსენებინოთ ჯაშუში. უპასუხოდ რჩება კითხვაც, როდიდან იცოდნენ და არ გაუმხილეს ბრანდტს გენშერმა, ნოლაუმ და ვენერმა სახელი „გიომი“.

ვილის გადადგომის მეორე დღეს ბრეჟნევმა სლავას დაარეკინა ჩემთან. გენერალურ მდივანს ლამის პირად შეურაცხყოფად მიუჩინევია, რომ ჰონეკერმა კრემლსა და ბონს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შემდეგ ჯაშუში არ მოიშორა. ამას არ აპატიებსო. ბრეჟნევმა საკუთარი ბინიდან, ღია სატელეფონო ხაზზე აგინა ჰონეკერსო. ბრანდტის გადადგომა მისთვისაც მძიმე დარტყმააო. ეს ევროპულ პოლიტიკას გაართულებსო. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომ დაგროვილი ნდობის კაპიტალი დაუდევრად მოვისროლოთო. ვილიმ ლაკონიურად უპასუხა, ამ უმძიმესი მდგომარეობის ყოველ წამს მჯეროდა „თქვენი კეთილგანწყობისო“ და ანიც ვიმეგობროთო.

ერთი კვირის შემდეგ ბრეჟნევმა დაუდასტურა, „ახალმა სიტუაციამ არ უნდა შეცვალოს ჩვენ ორს შორის არსებული კეთილი ურთიერთობები“. მას შემდეგ, რაც ორმა ქვეყანამ ბევრი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრის საერთო გზა გამოიხატა, იმედი მაქვს, ახალი ფედერალური მთავრობა იმავე ღირებულებების ერთგული დარჩებაო. ბრანდტმა დროებით შეწყვიტა მასთან მიწერ-მონერა და დაარწმუნა, ფარ-ხმალს არ დავყრი და თავს არ დავიშურებ, რომ ჩემმა მემკვიდრემ უკლებლივ მიიღოს ყველა საუკეთესო გამოცდილებაო. გადადგომა „სამწუხაროდ, აუცილებელი იყო“. ეს არის ბრანდტის პირველი წერილობითი თვითშეფასება მარცხის შემდეგ. მაგრამ 1974 წლის მაისსა და სექტემბერს შორის გაკეთებული მისი „ჩანაწერები გ.-საქმეზე“ საპირისპიროსაც ცხადყოფს: რომ გადადგომა აუცილებელი არ იყო და ობიექტურად, მისი თავიდან აცილება შეიძლებოდა.

ბრანდტს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიაჩნდა, რომ ისტორია არ იცნობდა იძულებით გამოწვეულ შედეგს, და რომ

ყველაფერი ადამიანების ქმედებაზე იყო დამოკიდებული. ის, რომ ნამდვილად არსებულ შეთავაზებებს შორის ყველაფერზე პასუხისმგებელი კანცლერის როლი აირჩია, იცოდა, რომ მხოლოდ გადადგომამდე მიიყვანდა. რეალურად ეს არასწორი იყო, ქვეყნის ინტერესებისთვის არანაირად აუცილებელი და ევროპის ისტორიისთვის უსარგებლო.

ვამჩნევდი, როგორ ხანგრძლივად აწვალებდა ეს პრობლემა ამ თვითკრიტიკულ ადამიანს, როცა წლების შემდეგ, მარკუს ვოლფის, გდრ-ის ჯაშუშური ქსელის შეფის წერილი მივიღე. იგი აღწერდა, რომ მას არასდროს ჰქონია უფლება ჰონეკერისთვის გიიომის პრობლემის შესახებ მოეხსენებინა. ეს მილკეს პრივილეგია იყო. გიიომი მისთვის, ვოლფისთვის, წარმოადგენდა ყველაზე დიდ მარცხს, რომლის გამოც ძალიან წუხდა. მე მომანდო, მეთქვა ბრანდტთან მის აღსარებაზე. ვილის რეაქცია ასეთი იყო: „ახლა ეს აღარაფერში გამომადგება“.

კიდევ უფრო მოგვიანებით – უკვე ჰამბურგის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორად რომ ვმუშაობდი – ფალინმა მკითხა, რომელიც 1992 წელს, ჩემი მოწვევით, ორი სემესტრის განმავლობაში მუშაობდა ინსტიტუტში და აუგშტაინის ბინაში ცხოვრობდა, მარკუს ვოლფთან შეხვედრა ხომ არ გინდაო. მინდოდა; თუნდაც იმიტომ, რომ გამეგო, ჰონეკერმა იცოდა თუ არა გიიომის შესახებ. „ეს მეც მაინტერესებს“, იყო ბრანდტის რეაქცია. ფალინმა მითხრა, სტალინიდან გორბაჩოვამდე (!) ყველა გენერალური მდივანი პირადად ზრუნავდა მაღალი კატეგორიის ჯაშუშების ბედზეო. რადგანაც მილკეს აპარატი კვბ-ს შექმნილი და შვილობილი იყო, დავასკვენი, რომ ჰონეკერმა მოიტყუა, როცა მერე განაცხადა, გიიომის შესახებ არაფერი ვიცოდიო.

ვილიმ თავისი „ჩანაწერები“ მოულოდნელად ასეთი შენიშვნით დაასრულა: „შეხვედრა შორფჰაიდელში 1973 წლის მაისის ბოლოს: ვენერი, ჰონეკერი, მიშნიკი“. სწორ გზაზე იდგა.

რაც ვოლფმა მიაბო, ბრანდტს აღარ გაუგია. ვიიომი, ნორვეგიიდან უკან რომ ბრუნდებოდა, სადაც ვილის გაჰყვა შვებულეებაში პირადი რეფერენტის რანგში და სადაც მოიპოვა წვდომა საიდუმლო დოკუმენტებზე, ჯგუფს დაშორდა და დოკუმენტების ასლებით სავსე ჩემოდანი კურიერს გადასცა. კურიერი მიხვდა, რომ უთვალთვალდნენ და ჩემოდანი მდინარე რაინში ჩააგდო. მასში არსებული საიდუმლოებები აღმოსავლეთ ბერლინმა და დანარჩენმა მსოფლიომ მხოლოდ დიუსელდორფის მინის სასამართლო პროცესზე გაიგო, რომლის დროსაც ბრალდებული ვიიომი დუმდა. ანექდოტი: სასამართლომ უნებურად გასცა საიდუმლოება.

\*

ვილის 1978 წელს სისხლის მიმოქცევის კოლაფსი დაემართა და საავადმყოფოში მოათავსეს. როგორც რუთი მიყვებოდა, ექიმი ანალიზებზე დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ ნოემბრის დასაწყისში, ამერიკაში მოგზაურობისას, შესაძლებელია, ინფარქტი გადაეტანა ფეხზე. საავადმყოფო ძალიან თავშეკავებულად და ტაქტიანად აგვარებდა ლოჯისტიკურ პრობლემებს, რომელიც ვილისა და ბრიგიტე ზეებახის მჭიდრო მეგობრობას ახლდა თან. მოგვიანებით ბრიგიტესთან ერთად გაემგზავრა საფრანგეთის სამხრეთში დასასვენებლად. იქ შევხვდი, შეფერთხილს და გარუჯულს. სეირნობისას მომცა წერილი რუთისთვის და მთხოვა, გადაეციო. განქორწინება არ სურდა და რუთს სთხოვდა, უარი არ ეთქვა. რუთმა წერილი წაიკითხა და მკითხა, თუ იცი, რა მომწერაო და როგორც კი ვუპასუხე, ვიცი-მეთქი, მაშინვე მტკიცედ და გადაჭრით თქვა: „არა, მე მას გავეყრები“.



## შმიდტი და ბრანდტი

1974 წლის შობაზე ვილიმ მომწერა: „საშინლად რთული წელიწადი გვექონდა, შენ ერთ-ერთი უმცირესთაგანი ხარ, ვინც დაახლოებით იცი, ჩემთვის რას ნიშნავდა ეს წელი – სრულად მგონი ჯერ თვითონაც რომ ვერ აღმიქვამს“.

ახალი კანცლერი ბრანდტის, ვენერის და შმიდტის სამეულში ყველაზე უმცროსი გახლდათ. ვერცერთი ვერ იტანდა დასახელებას „ტროიკა“ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სამკუთხედის ურთიერთობები ყოველთვის რთულია. თითოეული მათგანი ძლიერი, განუმეორებელი პიროვნება იყო. მათ ერთმანეთთან პარტიისადმი ერთგულება აერთიანებდათ. ამ სამი ადამიანის გარეშე ქვეყანაში და ქვეყნისათვის ძალაუფლება ვერც გაიზრდებოდა და ვერც შენარჩუნდებოდა.

სამივე მათგანი სუფთა სინდისით იხედებოდა უკან, საკუთარი წარსულისკენ, თუმცა ვენერსა და ბრანდტს სამარცხვინო, შიდა პოლიტიკით მოტივირებული თავდასხმები არ დაჰკლებიათ, რის თავიდან აცილებასაც შმიდტი ცდილობდა. ებრაელი ბაბუა რომ ჰყოლია, პირველად მისი მეგობრის, ჟისკარდ ესტენისგან გავიგეთ. იგი თავის მოგონებებში ყვებოდა იმ ხანმოკლე კოლაფსის შესახებ, შმიდტს პარიზში რომ დაემართა. შეეშინდა, ვკვდებო და საფრანგეთის პრეზიდენტს გული გადაუშალა. შმიდტის თანხმობით ჟისკარის მიერ ამ ამბის გახმაურებას ჩვენთან დიდი რეზონანსი არ გამოუწვევია. კან-

ცლერსაც არ ენდომებოდა თავისი ბიოგრაფიის დაკავშირება ანტისემიტიზმთან, ამ უსასრულო თემასთან.

1974 წელს ბრანდტის გადადგომით დასრულდა სტრუქტურა, რომელიც პარტიის თავმჯდომარეობას და მთავრობის მეთაურობას ერთ პიროვნებაში აერთიანებდა. გაყოფილი ფუნქციები განსხვავებულ პასუხისმგებლობას ქმნიდა. ნონასწორობის შენარჩუნების ხელოვნების ათვისება ბრანდტსა და შმიდტს ჯერ წინ ჰქონდათ. თავმჯდომარე პარტიის საქმეებს უძღვნიდა მთელ თავის ძალისხმევას, უძველეს პარტიას ნებისმიერ მთავრობაზე დიდხანს უნდა ეარსება. ფედერალური კანცლერი კი ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებზე ზრუნავდა – არჩევნებში მთავარი კანცლერია. ორივე მართალი იყო და, აქედან გამომდინარე, დაძაბულობის დაბალანსება ყოველთვის არ გამოსდიოდათ.

საგარეო პოლიტიკის სფეროში ეს შედარებით იოლი აღმოჩნდა. შმიდტმა თავისებური, მისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა ჩამოაყალიბა მოსკოვთან. ბრეჟნეევს წერილებს თვითონვე სწერდა და ლეოსაც უშუალოდ ესაუბრებოდა. შედეგად, ლეო შმიდტს უფრო დიდხანს ელაპარაკებოდა ხოლმე, ვიდრე ბრანდტს. ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, როდესაც, ერთ-ერთი შეხვედრისას, შმიდტმა უცებ იკითხა, თანახმაა თუ არა მოსკოვი, რომ ფედერაციულმა რესპუბლიკამ თავისი სავალუტო რეზერვების ნაწილი ნიუ იორკიდან მოსკოვში გადაიტანოსო. მანამდე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისთვის ასეთი მოუმიზანდებელი კითხვები არ დაგვისვამს. შმიდტი დასტურს მოელოდა, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე უპასუხეს, ჯერ ადრეაო. მარტო რომ დავრჩით, ვკითხე, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ფედერალური ბანკის პრეზიდენტის, კარლ ოტო პიოლის უკითხავად თუ შეიძლებოდა-მეთქი. შმიდტმა დამამშვიდა, ამაზე არ ილელვოო. მხოლოდ ორი შეხვედრის შემდეგ გადმომცა ლეომ გენერალური მდივნის შეკითხვა, თუ დაგეთანხმებით,

რას უნდა ველოდეთ, მე არ დამიძალებია კანცლერისთვის ამ კითხვის დასმას. ამის თაობაზე შემდგომში არცერთ მხარეს აღარ ულაპარაკია.

1978 წელს ბონში მეორე ვიზიტისას, ბრეჟნევს უკვე აშკარად ეტყობოდა ფიზიკური და ენობრივი შეზღუდვები. იგი დაეთანხმა შმიდტის მეგობრულ მიპატიჟებას ჰამბურგში, მის მყუდრო სახლში. საუბრისას შმიდტმა აღნიშნა, თქვენ არასოდეს მომიტყუებინათო. კეთილი განზრახვა ჰქონდა და მოსკოვისთვის ექვის გაფანტვას ისახავდა მიზნად, მათ აინტერესებდათ, მართლა აპირებდა თუ არა კანცლერი აღეკვეთა ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განთავსება. მაგრამ სიტყვა „მოტყუებას“ ბრანდტის დროს არასდროს არ ვიხმარდით, გაფაცვიცებულ რუსებს ეს არ გამოჰპარვიათ.

ბრანდტისა და ბრეჟნევის კარგი ურთიერთობები „ხელს არავის უშლიდა“. ნდობის ატმოსფერო ისევ სუფევდა მათ შორის, ვილი კმაყოფილი იყო, კანცლერის „არხს“ ისევ მე რომ წარვმართავდი. შმიდტი დაარწმუნა, ჩემთვის გადმოებარებინა განვითარების დახმარების სამინისტრო. „საქმეს არ ავნებს, თუ ზრდასრული ადამიანი ჩაიბარებსო“. 1976 წელს, როდესაც ჰოლგერ ბოირნერი ვისბადენში გაამწესეს, პარტიის თავმჯდომარე და კანცლერი შეთანხმდნენ: მე უნდა გავმხდარიყავი ფედერაციის საქმეთა მწარმოებელი. უხალისოდ დავემორჩილე, თუმცა, მათ გამოცდილებაზე მეტყველებდა, რომ ჩემს ერთგულებას ენდობოდნენ. 1980 წლამდე საკანონმდებლო ვადის საარჩევნო კამპანიის მომზადება გადავიბარე. მერე კი, ის სამინისტრო აირჩიე, რომელიც გინდაო, შემპირდა შმიდტი. ასე აღმოვჩნდი მე, უბრალო კაცი, ორ წინასწარმეტყველს შორის. კანცლერის აპარატში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე რეკომენდაცია ჰანს-იურგენ ვიშნევსკის გავუწიე, რათა თავიდან ამეცილებინა პარტიასა და მთავრობას შორის დაძაბულობა, თუმცა ყოველთვის არ ხერხდებოდა.

საგარეო პოლიტიკის სფეროში, ყველგან, სადაც საშინაო და საგარეო პოლიტიკა იკვეთებოდა და სხვადასხვა ინტერესები ეჯახებოდა ერთმანეთს, იშვიათი არ იყო გალიზიანება და კონფლიქტები. შემთხვევით არ ხდებოდა, რომ პარტიის თავმჯდომარესა და კანცლერს განსხვავებული პრიორიტეტები ჰქონდათ. ამას ემატებოდა საკოალიციო პარტნიორის ფაქტორი. ჰანს-დიტრიხ გენშერს სურდა გამხდარიყო პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ოპოზიციაც დაუჭერდა მხარს. მოგვიანებით, როცა „ქდკ/ქსკ გაერთიანებასთან იყო კოალიციაში, მაშინაც ამას ცდილობდა. ჩვენ კი „განმუხტვის რეალისტური პოლიტიკის“ აუცილებლობაზე გვესაუბრებოდა, „გაერთიანების“ პარტნიორი რომ გახდა, მერე „განმუხტვის პოლიტიკის განგრძობითობას“ უსვამდა ხაზს.

1981 წლის აპრილში, როდესაც კანცლერი საუდის არაბეთიდან დაბრუნდა, კოალიციის ვინრო წრეში ითქვა, რომ შმიდტი საუდის არაბეთისთვის, სხვა იარაღთან ერთად, ლეოპარდის ტიპის ტანკების მიყიდვის ვალდებულებას გრძნობდა. გენშერს არც კი უთქვამს და არც – არა. მე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილებები შევახსენე, რომელიც დაძაბულობის რეგიონებში იარაღის მიწოდებას კრძალავდა. გენშერმა აღნიშნა, ეს საქმე გადავდოთ, სანამ სოციალ-დემოკრატი მეგობრები შიგნით გარკვეულანო. ბწყინვალედ ვიმოქმედეთ: კანცლერისთვის არ გვინყენინებია, ისე დავასრულეთ საუბარი და დავასამარეთ თემა. გენშერი შმიდტთან მიმართებაში არა მხოლოდ ტაქტიკურ უპირატესობას ავლენდა, არამედ დიდ დიპლომატიურ ნიჭსაც, რაც ქვეყანას გაერთიანების წინა პერიოდში ძალიან წაადგა. ადრევე მიხვდა, გორბაჩოვს უნდა ვენდოთ და მხარი უნდა დაუჭიროთო, მერე დასავლეთში ამ პოზიციას აგდებით „გენშერიზმი“ უწოდეს. გენშერის ფაქტორი მეტს იწონიდა, ვიდრე მისი პარტია.

უსაფრთხოების თემაშიც ძალთა მსგავსი გადანაწილება წარმოიშვა. ბრანდტი უშურველად აღიარებდა შმიდტის უპირატესობას სტრატეგიულ საკითხებში. როდესაც შმიდტი 1979 წლის დასაწყისში გვადალუბის არაფორმალური სამიტიდან დაბრუნდა და ვინრო წრეში იქ განხილული ნატოს ორმაგი გადანყვეტილება განმარტა, სკეპტიკურად განწყობილმა პარტიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, წინაპირობად საბჭოთა კავშირთან გულახდილი მოლაპარაკებები არ დაგვაგინყდეს, სანამ კანცლერი გერმანიის მიწაზე ამერიკის საშუალო მანძილის რაკეტების განლაგების თანხმობას განაცხადებსო. ეს უკვე სულ სხვა ამბავია, რომ გენშერმა 1982 წლის შემოდგომაზე ისე იმოქმედა, თითქოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კანცლერისთვის შეიარაღების საქმეში მხარდაჭერა არ გამოეცხადებინოს, მაშინ, როცა სინამდვილეში თავის ახლო მეგობარ ჰელმუტ კოლთან ერთად უკვე შეთანხმებული იყო ახალ კოალიციაზე. შმიდტი გენშერს ყოველთვის უყურებდა, როგორც ბრანდტის არცთუ სასიამოვნო დანატოვარს.

ბრანდტს შეეძლო პარტიის თავმჯდომარეობის პარალელურად კანცლერიც ყოფილიყო; შმიდტმა იცოდა, რომ პარტიის თავმჯდომარის რანგში ერთობას ვერ შეინარჩუნებდა. ჩემი თანდასწრებით დაადასტურა, როდესაც ვილი კანცლერის ახალ აპარატში ეწვია. ბრანდტის მკაცრი სტილის გამო ბევრი ჩიოდა, ამიტომ მასაც მოუწია დაფიქრება დისციპლინის შერბილებაზე. ბრანდტი უყვარდათ, შმიდტს პატივს სცემდნენ.

ფედერაციის საქმეთა მწარმოებლის რანგში პროგრამა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი მოთხოვნით განვამტკიცე. თითველ ადამიანს უნდა შეეძლოს თავისი უნარების ღირსეული განვითარება. კმაყოფილი ვიყავი; ამ დროს წავიკითხე ტელეგრაფის ცნობა, ნატომ ნეიტრონის ბომბის შემოღება გადაწყვიტაო. ეს ბომბი ადამიანებს დახოცავდა, მაგრამ ხიდებსა და შენობებს არ დააზიანებდა. ეს ადამიანურ

ღირსებას ეწინააღმდეგებოდა. ჟურნალ „ფორვერტსისთვის“ დავწერე და აღშფოთება გამოვხატე სტატიასი – „აზროვნების გარყვნილება“, რომელიც ბრანდტს ვაჩვენე. მითხრა, ხვალამდე მოიცადეო. როდესაც სტატია გამოქვეყნდა, ფედერალურმა პრეზიდენტმა შეელმა დამირეკა და მირჩია, აზრს ნუ შეიცვლი, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს მიაღწევო. კანცლერისთვის ამას უსიამოვნება უნდა მოეტანა. მაგრამ შემდეგ პრეზიდენტმა კარტერმა დაგეგმილ ნეიტრონულ იარაღზე ხელი აიღო, რამაც მის მიმართ შმიდტის კრიტიკული განწყობა დამატებითი არგუმენტებით გაამყარა. ჩემი სტატიის გამო კანცლერს საყვედური არასოდეს გამოუთქვამს.

კაბინეტის წევრი რომ გავხდი, შმიდტსა და ბრანდტს შორის განსხვავებები აღმოვაჩინე ხელმძღვანელობის სტილში. შმიდტი ცალკეული თემების მიმართ თავის პოზიციას გამოხატავდა და მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო, როცა გენშერის ელევანტურობის წყალობით შეცვლა უწევდა – ასეთი იყო მისი მართვის სტილი. კაბინეტის სოციალ-დემოკრატი წევრები თავს გრძობდნენ სახელმწიფო მდივნის როლში, მათ კოლეგებს თავისუფალი დემოკრატების პარტიიდან კი სრულფასოვანი მინისტრებივით ექცეოდნენ. სხდომები ნელ-ნელა შემოკლდა. შმიდტიც, ბრანდტივით, ბოლოში იკითხავდა ხოლმე, კარგი ანეკდოტი ვინ იცითო. ბრანდტი კოლეგებს ალაპარაკებდა და ბოლოს ავლენდა თავის განსაცვიფრებელ უნარს, ჩამოეყალიბებინა დასკვნა, რომელსაც მერე ყველა ეთანხმებოდა, როგორც გადანყვეტილებას. ეს იყო მისი ხელოვნება – ინტეგრაცია ძალდაუტანებელი მართვის გზით.

პარტიის გამგეობის სხდომებზე შმიდტი სქელი საქალაქდებით ცხადდებოდა, დოკუმენტებს ამუშავებდა და „მოსაწყენ ლაქლაქში“ არ ერეოდა. როდესაც 1983 წელს, არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ბრანდტმა პარტიის ახალი პროგრამის მომზადების იდეა გაიტანა, შმიდტმა ეს ზედმეტად მიიჩნია. „გაერ-

თანებისა“ და თავისუფალი დემოკრატიებისგან განსხვავებით, რომელთაც პროგრამა საერთოდ არ სჭირდებოდათ, დისკუსიის პროცესი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ინტეგრაციისა და საკუთარ თავში დასარწმუნებლად აუცილებლად ესაჭიროებოდა. შედეგი გაცხადდა 1989 წელს, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, ქვეყნის სრულიად შეცვლილ ვითარებაში.

1979 წლის ბოლოს სლავამ დამირეკა, კანცლერისთვის მნიშვნელოვანი და სასწრაფო ამბავი მაქვსო; შმიდტს ბრამის ტბაზე, აგარაკზე მივაგენი. შობის წინა დღეები იყო და მწყრალად შემხვდა. ლეოს ფლენსბურგში დავხვდი და შმიდტთან მივიყვანე. იქ გვიამბო: „ავლანეთში შევედი. ერთი ერთეული დაეშვა აეროდრომზე და სასახლეზე მიიტანა იერიში. უკვე ყველაფერი მომთავრებულია. ხელისუფალი ამინი მკვდარია. მემკვიდრე უკვე დანიშნულია. ამერიკელებმა ალბათ უკვე დიდი ხანია იციან“. შმიდტმა უპასუხა, კარგა ხანი დასჭირდება, სანამ ვითარება ჩაცხრება და გამოჩნდება, რა მდგომარეობაშია მსოფლიო. ბრეჟნევს ჩვენი არხით მადლობა შეუთვალა დროული შეტყობინებისთვის. როდესაც მარტო დავრჩით, აშკარად დაძაბულმა მითხრა: „ჩვენი მეგობრებისგან არაფერი შემიტყვია. ვნახოთ, ერთი, როდის გამოჩნდებიან“. რამდენიმე კვირის შემდეგ, სახელმწიფო დეპარტამენტში სტუმრობისას, თავიანთი უცნაური ქცევა ამერიკელებს სულაც არ აუხსნიათ. ამაზე ვილის კომენტარი: „მიკვირს, რომ გიკვირს“.

წესით, საარჩევნო კამპანია პარტიის ცენტრალური ოფისიდან უნდა იმართებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება კანცლერის აპარატში გარდაუვალი იყო. 1980 წელს არჩევანი შმიდტსა და შტრაუსს შორის მაინცდამაინც ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენი სტრატეგიის პირველი საყრდენი იყო ჰელმუტ შმიდტი. მეორე საყრდენად შეგვეძლო გველიარებინა ცოდნა, თუ როგორ ხორციელდება განმუხტვის პოლიტიკა. მაგრამ შემდეგ, პოლონეთში დაძაბული მდ-

გომარეობის გამო, კანცლერმა ჰონეკერთან შეთანხმებული შეხვედრა გააუქმა. რადიოთი შევიტყვე ამის შესახებ. შტრაუსმა ყიჟინა დასცა და განმუხტვის ეიფორიის მარცხი გვამცნო. პირველი საყრდენი 0,3 პროცენტით მეტს თუ მოგვიტანდა წინა არჩევნებთან შედარებით.

არჩევნების დღემდე ორი კვირით ადრე ვილის სამგვერდიანი ხელნაწერი მივიღე, იგი თავს გარიყულად გრძნობდა: „თავმჯდომარისა და შენი მონაწილეობით დაგეგმილი პრესკონფერენცია რომ კანცლერისა და შენი გამოსვლით შეიცვალა, საარჩევნო კამპანიის შტაბის ჩანაწერიდან გავიგე“. კაცი, რომელსაც არჩევნები ერთხელ უკვე მოეგო, თავს დავინყებულად გრძნობდა, პლაკატებსა და სატელევიზიო რეკლამებშიც. „5 ოქტომბრის შემდეგ პარტიამ უნდა გადაწყვიტოს, მოხელეს ან რეფერენტს მეტი უფლება აქვს თუ თავმჯდომარეს. თუ საჭირო გახდა, პარტია გაარკვევს ... ძვირფასო ეგონ, რომ არ მეთქვა, არ შემეძლო, შენი ვ.“. ჩემმა მეგობარმა მთელი უკმაყოფილება ჩემზე გადმოანთხია. აბა რა უნდა ექნა? ეს წერილი აღარასდროს უხსენებია. ასეთი იყო ვილი: ემოციური, კორექტული ბოლმას გულში რომ არ ჩაიხვევდა.

1981 წელს ჰელმუტს მსუბუქი კოლაფსი დაემართა. შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება მოვინდომე. დიდი და დამფრთხალი თვალებით მიყურებდა. რამდენიმე წუთი უგონოდ ვიყავი, მოკლე მეხსიერების აღსადგენად საბუთებს ვკითხულობ და თავიდან ვსწავლობო. მაშინვე ვილის შევატყობინე და დავძინე: „თუკი პასუხისმგებლობით აღსავსე ჰელმუტი ამას ვერ დაძლევს, გადადგება“. ვილიმ მიპასუხა: „ვნახოთ, უქმეების მერე გამოჩნდება“.

ჩემმა მეგობარმა გიუნტერ ფერჰოიგენმა, ამჟამად დასუსტებული თავისუფალ-დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა, შენუხებულმა მითხრა, ჩვენი პარტიების თავმჯდომარეებმა თავიანთი გართულებული ურთიერთობა



აუცილებლად უნდა მოაგვარონო. „თუ ვერ მოახერხებენ, კოალიცია დაიშლება“. დავამშვიდე, ახალი წლის დღეები უშფოთველად გადავიღის და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. თუმცა ამაზე ლაპარაკი საჭირო აღარ აღმოჩნდა. 1982 წლის სექტემბერში კოალიცია დაიშალა.

წლების მერე გაირკვა, რომ ბრანდტი თავის მოგონებებზე მუშაობდა. შმიდტისგან მიიღო წერილი, რომელიც ნამაკითხა. „უნდა, რომ ჩემთან კინკლაობა მოამთავროსო“, იხუმრა. მართლაც უნდოდა. ვილის სიკვდილის შემდეგ ფრიდრიხ ებერტის ფონდი დიდხანს ეხვეწებოდა უკვე ოთხმოცდაათს მიღწეულ შმიდტს ბრანდტთან მის ურთიერთობაზე ელაპარაკა. იგი პასუხობდა, საამისო ძალა აღარ შემწევსო, მაგრამ მზად ვარ ამ თემაზე გამოცდილების მქონე რომელიმე პიროვნებას ვესაუბროო და ჩემი გვარი დაუსახელებია. ლიუბეკში ჩატარებული ღონისძიება ისტორიულზე მეტად სახალისო გაკვეთილად იქცა, არც ნატოს ორმაგ გადანყვეტილებაზე დაგვიხუჭავს თვალი. „We agree to disagree“ – შეიძლება ითქვას დასკვნის სახით. ჩვენ ისევ შეგვეძლო თვალი გაგვესწორებინა ერთმანეთისთვის.

როდესაც ვილიმ საბოლოოდ მიგვატოვა, ჰელმუტ კოლინსადმი ჩემი პატივიცემის მიუხედავად, ჰელმუტ შმიდტი გახდა გერმანიაში „დიდად აღიარებული სახელმწიფო მოღვაწე“, რომელსაც არა მარტო პატივს სცემდნენ, არამედ შეიყვარეს კიდევ.

## მეოთხე ნაწილი – რწმენა

### ახალი დასაწყისი

ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალურ მინისტრად რომ წარმადგინა, ახალმა კანცლერმა დიდსულოვნად მიიჩნია: „რაც გინდა, ის აკეთე, ოღონდ არ გამაბრაზო“. განვითარების მინისტრს, როგორც მას შემოკლებით უწოდებდნენ, თანამდებობით ეკუთვნის მსოფლიო ბანკის მმართველი საბჭოს წევრობა. მსოფლიო ბანკის შეფი რობერტ მაკნამარა ბოლოს სამოციან წლებში ვნახე, ვილისთან ერთად, პენტაგონში. მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ოპტიმისტურად დაგვიხატა ვიეტნამში ამერიკელების სტრატეგია. ახლა პოზიცია შეეცვალა და დამაჯერებლად ზრუნავდა ყველა ღარიბ განვითარებად ქვეყანაში მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. მსოფლიო ბანკის ყრილობის ფარგლებში შევხვდი რობერტ მაკნამარას. ჯერ ჰიმალაიში დაუვიწყარი მოგზაურობის შესახებ მიაბო, მერე კი თავისი იდეა გამაცნო: გაეროს დამოუკიდებელი კომისიის შექმნას ვგეგმავ, რომელმაც სიღარიბის დაძლევის კონცეფცია უნდა შეიმუშავოს, სულ ცოტა, მსოფლიოს ამ დაუძლეველი პრობლემის გადაჭრის საორიენტაციო გზაზე. ამ კომისიის საუკეთესო თავმჯდომარედ ვილი ბრანდტი მესახებაო. ნეტა თუ დათანხმდებაო?

ბონში რომ დავბრუნდი და ვილის ვაცნობე, დიდად არ გახარებია, რადგან საქმეში საკმარისად გარკვეული არ იყო. ვუთხარი, მთელი ჩემი სამინისტროს კომპეტენცია შეგიძლია გამოიყენო-მეთქი და ასე გაუუქარწყლე ეჭვები. მისი თანხმობა ერთმანეთის შემავსებელ ორ მოსაზრებას ეყრდობოდა. ერთი

მხრივ, სულაც არ იყო მიმზიდველი, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის რანგში უკანა ხაზიდან გაეძლიერებინა კანცლერი და მეორე მხრივ, მომხიბვლელად ესახებოდა, ემოგზაურა მესამე სამყაროს ქვეყნებში და ახალ პრობლემებსა და ადამიანებს გასცნობოდა.

ჩრდილოეთ-სამხრეთის კომისიამ ბრანდტი მესამე სამყაროს მხურვალე ადვოკატად აქცია. ნევრებს უნდა მოეგვარებინათ ჩრდილოეთსა და სამხრეთში მათი წარმომადგენლების ინტერესებს შორის დაპირისპირება. დასავლეთს, სხვათა გვერდით, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ედვარდ ჰეთი და შვედი ოლოფ პალმე წარმომადგენდნენ. კომისიაში ამერიკელებიც მონაწილეობდნენ, საბჭოთა კავშირი კი გაემიჯნა. ბრანდტმა ბრეჟნევთან თავისი კონტაქტების წყალობით მიაღწია, რომ მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილ ინსტიტუტს კომისიის ექსპერტები მაინც მიეღო. საბჭოთა მეცნიერები საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილეობას იღებდნენ და ხშირად გამოხატავდნენ ნუხილს, რომ მათი მთავრობა თანამედროვე მიღწევების უკან მიჩანჩალებდა. მხოლოდ 1980 წელს უსაფრთხოებისა და განიარაღების თემაზე შექმნილ პალმეს კომისიაში მიავლინა მოსკოვმა მონაწილეები.

ჩრდილოეთ-სამხრეთის კომისიის სხდომებში, რომელთაც მე სტუმრის სტატუსით ვესწრებოდი, შეიარაღებაზე გამოყოფილი უზარმაზარი თანხების შემხედვარე სამხრეთის წარმომადგენლები პრიორიტეტად სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებას ითხოვდნენ. დიდი ძალისხმევა დასჭირდა მათ დარწმუნებას, რომ მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება უფრო დიდი პრიორიტეტი იყო. მხოლოდ მაშინ შეძლებდა ჩრდილოეთი მთელი ძალა სიღარიბის დასაძლევად მიემართა. დღესაც მრცხვენია, რომ ცივი ომის დასასრულის შემდეგ არც მდიდარ ინდუსტრიულ და არც განვითარებად ქვეყნებს თავიანთი დანაპირები არ გახსენებიათ.

ბრანდტის კომისიის ყველა წევრს, როგორც მას მალე ენო-და, აერთიანებდათ თავმჯდომარის ავტორიტეტისა და შორს-მჭვრეტელობის პატივისცემა. ბრანდტის მიერ 1980 წელს წარდგენილ მოხსენებაში, „უზრუნველვყოთ გადარჩენა“ განიხილებოდა ისეთი გლობალური პრობლემები, როგორცაა შიმშილი, მოსახლეობის ზრდა, ენერჯია, ნედლეული, ვაჭრობა, ვალუტა, ინვესტიციები და ორგანიზაციები – რასაკვირველია, მშვიდობიან დროში, აგრეთვე ღარიბსა და მდიდარს შორის სოლიდარობის პირობებში. არავის მოხვედრია თვალში, რომ ნაკლებად მცირედ მოიხსენიებოდა დემოკრატია და საერთოდ არ იყო საუბარი ადამიანის უფლებებზე.

ფედერაციულ რესპუბლიკაში მოხსენება მემარცხენეობის გამოხატულებად აღიქვეს და გააკრიტიკეს კიდევ. უსაფრთხოებაზე ამერიკელები ზრუნავდნენ და მიიჩნევდნენ, რომ მოსახლეობის უმეტესობას მზარდი კეთილდღეობა უფრო აინტერესებს, ვიდრე ლატაკთა მიმართ სოლიდარობის ზრდაო. 1985 წელს ვილი ბრანდტმა გაეროს შტაბ-ბინაში მესამე მსოფლიოს პრემია მიიღო. საპრემიო თანხით ბონში შექმნა განვითარებისა და მშვიდობის ფონდი, რომლის ავტორიტეტსაც დღესაც პატივს სცემენ და აფასებენ. კომისიაში მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ, ბრანდტი პოლიტიკურად და იდეურად უფრო მარცხნივ გადაიხარა, ვიდრე მანამდე.

## უსაფრთხოება ვისთვის?

ბერლინის კედლის აღმართვით მიღებული დამთრგუნავი განცედა, რომ შენზე ძლევამოსილთა გავლენის ობიექტი ხარ, გაიძულებს საკუთარ ინტერესებს სუსტის პოზიციიდან შეხედო. ბრანდტისათვის და ცხადია, ჩემთვისაც ფრანგი გენერლის, შარლ დე გოლის დიდებული პიროვნება იყო საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ რას შეიძლება მიაღწიოს სამი კიდეე უფრო ძლიერის გაერთიანებამ – ვაშინგტონმა, ლონდონმა და მოსკოვმა. ამავე დროს, მისი როლი გაფრთხილებად უნდა მიგველო: მასშტაბური აღიარებისთვის, რომელსაც მისი პოლიტიკური ავტორიტეტი ნამდვილად შეესაბამებოდა, საფრანგეთი მცირე ასპარეზი იყო. საკუთარი ძალების მართებულ გამოყენებაზე იყო დამოკიდებული, ამპარტავნობა ტრაგიკულ მარცხამდე მიიყვანდა თუ რეალიზმი – მოულოდნელ წარმატებამდე უფრო ძლიერს დასჭიდებოდა. ეს წარმოადგენდა ბრანდტსა და ჩემ შორის მრავალჯერ გამართული საუბრის ამოსავალს, გერმანიისათვის და გერმანიისგან უსაფრთხოების კომპლექსის განხილვისას.

ბრანდტმა 1964 წელს Foreign Policy Association-ში სიტყვით გამოსვლისას პატივისცემით მოიხსენია დე გოლი და თანაც რიტორიკულად იკითხა: „მანც რატომ სულ ის?“ აღლევებულს ამ კითხვისთვის პასუხი არ გაუცია, უსიამოვნებას მოერიდა. გენერალს ვუმაღლოდით სამშობლოების ევროპულ იდეას და

აქედან გამომდინარეობდა, რომ ფედერალური რესპუბლიკაც შეიძლებოდა საკუთარი მოთხოვნებისა და საკუთარი ინტერესების მიმდევრად დარჩენილიყო და ამავე დროს, ალიანსის ერთგულიც. კიდევ უფრო შორს თუ წავალთ: ერი ევროპაში რომ არ შთაინთქა და ამერიკის ქვეშევრდომებიც რომ არ ვიყავით.

გენერლის კომენტარი ატომურ იარაღზე დღემდე ძალაშია: არცერთი ქვეყანა არ უზიარებს სხვას ამ იარაღის თაობაზე გადანყვეტილებას, არც თავის საუკეთესო მეგობარს, რადგან ამ იარაღის გამოყენება განსაზღვრავს საკუთარი ერის ბედს, ხოლო ასეთი გადანყვეტილების სხვა ქვეყნისთან გაზიარება, გამორიცხულია. ეს ელემენტარული შეხედულება ელემენტარული იარაღის მიმართ, რაც არტილერიის განვითარებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ბრანდტმა პოლიტიკურად ასე გაშიფრა: „ოთხ გამარჯვებულ ძალას შეუძლია მომავალშიც იკამათოს 999 საკითხზე. მაგრამ ერთში თანხმდებიან: გერმანელები არასდროს არ უნდა ფლობდნენ ატომურ იარაღს“.

ამ შეხედულებას იზიარებდა ბრანდტი 1962 წელს კენედისთან საუბარშიც. უაზრობაა დაგეგმილი მულტილატერალური ატომური ძალის გაშვება ზღვაში, ბირთვული მონანილეობის შთაბეჭდილების შესაქმნელადო. ეს ალიანსსაც კი აზიანებს, რადგან კაპიტანი ამერიკელი უნდა იყოს და ატომური იარაღიც ამერიკელებმა უნდა გამოიყენონო. ალიანსის სხვა წევრები მზარეულების, ცეცხლფარეშების და მეზღვაურების როლს უნდა დასჯერდნენო. კენედიმ ამოისუნთქა. ორივემ, ასე რომ ვთქვათ, ფლოტი მანამ ჩაძირა, სანამ ზღვაში გავიდოდა და სხვებსაც და საკუთარ თავსაც სერიოზული უსიამოვნება ააცილა თავიდან.

ბრანდტმა ბერლინის კედლის აღმართვის მაგალითიდან გამოიტანა დასკვნები. არც ბერლინისთვის იომებდა ორი დიდი ძალა, როგორც კენედიმ მოსწერა. სიცოცხლის ბოლომდე არ

დასჭირვებია აზრი შეეცვალა: ორივე სუპერ-სახელმწიფოს თავისი ინტერკონტინენტური ატომური იარაღით ჰქონდა ძალაუფლება და პასუხისმგებლობა და ისინი ვერავინ ჩაითრია ატომურ კონფლიქტში, რადგან კლასიკური გაგებით „გამარჯვებას“ ვერცერთი მოიპოვებდა. რისკი ძალიან დიდი იქნებოდა. მათ ურთიერთ შორის აღმართეს ატომური ფარი, რომელმაც თავად ისინი, მათი მოკავშირენი და ყველა დანარჩენი დაიცვა. დღეს ვიცით, რომ მან გერმანიის გაერთიანებასაც კი გაუძლო. ეს ატომური ფარი აკავშირებდა დრომოქმულ ნუხილს. ამასობაში, სამხედრო თვალსაზრისით არარელევანტურ გერმანიასა და გერმანიის უსაფრთხოებაზე საფრანგეთის ატომურ სუვერენულობასთან ერთად, მან მაშინაც განაპირობა, რომ ევროპაში ატომურ ძალას არ ეარსება. ევროპის თვითდამკვიდრება დღესაც კონვენციური ჯარის დონით იფარგლება.

ბრანდტს პრინციპულად სჯეროდა, რომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საქმე ვაშინგტონისა და მოსკოვის გარეშე არ გამოვიდოდა. ეს გეოსტრატეგიული რწმენა ათწლეულობით გაჰყვა და ვერ შეარყია ვერანაირმა მწვავე მოვლენამ, ვერც ნატოს ორმაგი ხელშეკრულების გამო დაპირისპირებამ ოთხმოციანი წლების დასაწყისში. ბრანდტს არასოდეს შეშინებია, რომ ორი დიდი ძალა მოვლენების განივითარებაზე კონტროლს დაკარგავდა. მსოფლიო პოლიტიკურ რეალობაზე ორიენტაცია დამაჯერებლობას მატებდა მის ხედვას.

ერთი მაგალითი: ჯონ მაკკლოიმ, აშშ-ს ყოფილმა მაღალი რანგის კომისარმა ფედერაციულ რესპუბლიკაში, სამოციანი წლების დასაწყისში ერთხელ ვინრო ნრეში ვახშამზე დაგვპატიჟა. ეს ის დრო იყო, როცა დე გოლმა ინგლისს უარი უთხრა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში მიღებაზე და ალიანსის სამხედრო ორგანიზაციიდან გასვლას ფიქრობდა. მაკკლოი გვარწმუნებდა, გერმანელებმა უნდა შეაჩეროთო და

დაგვემუქრა: „თუ ამას არ იზამთ, აქედან ჯარს გავიყვანთ“. ბრანდტმა მშვიდად მიუგო: „არ მჯერა“.

ბრანდტმა იცოდა, რომ უსაფრთხოების საკითხში აღმატებული, უპირატესი პოზიცია ეკავა. „რაკეტების დასათვლელად, მათი მოქმედების მანძილის განსასაზღვრად და მუქარის თეორიებისთვის არსებობენ თავდაცვის მინისტრები და ექსპერტები“. შმიდტსა და მეც გვგულისხმობდა. „მათზე თუ მიდგა საქმე, ესე იგი, პოლიტიკამ ჩაისვარა. პოლიტიკამ უნდა შეძლოს, რომ მათი ნუხილი და თეორიები არასოდეს გამოვცადოთ“. შეიძლება ქედმაღლური მოგჩვენებოდათ მისი ნათქვამი, მაგრამ მართალი აღმოჩნდა: ომი არ დაგვტეხია თავს. რალა აზრი აქვს იმაზე მსჯელობას, რა დაუჯდათ სახელმწიფოებს სამხედრო-ტექნიკური აღჭურვა. ჩვენ, ევროპელები სწორად მოვიქცეთ, რომ პოლიტიკური გონიერება დავაყენეთ სამხედრო საქმეზე წინ.

ბრანდტს ყოველთვის აინტერესებდა პოლიტიკურ-სტრატეგიული საკითხები. ამის საუკეთესო მაგალითია ბრეჟნევთან შეხვედრა ყირიმში 1971 წელს. მოსკოვის ხელშეკრულების გზით, პოლიტიკური ჩარჩოს დაგეგმვის შემდეგ, უნდა გვეპოვა ჭარბი ჩვეულებრივი იარაღის შემცირების გზა და ამგვარად მეტი უსაფრთხოებისთვის მიგვეღწია ორივე მხარესთვის, თანაც ისე, რომ არცერთი არ დაზარალებულიყო. საათობით ვუპირკიტებდით შესატყვის ფრაზებს ჩვენი მიზნის მისაღწევად. ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას შემდეგ ეწოდა MBFR – ურთიერთშეთანხმებული შემცირება. სამხედრო საქმეზე პასუხისმგებელთა ჩაკეტილ წრეშივე ჩაიხშობოდა, გორბაჩოვს რომ არ გადაერჩინა. ვარშავის ხელშეკრულებას სახელმწიფოები მაშინაც იცავდნენ, როცა იგი აღარ არსებობდა. შეთანხმება ყველა მონაწილის ინტერესებს შეესაბამებოდა.

1981 წლის ზაფხულში ბრანდტმა მოსკოვური შთაბეჭდილებების კვალდაკვალ გაგვიზიარა მოსაზრება, რომ ორ მხარეს



შორის ნულოვანი გადაწყვეტილება გააქრობს შესაბამის ამერიკულ და საბჭოთა რაკეტებს ფრანგულისა და ბრიტანულის ხელშეუხებლად. ბონში ამ იდეას „არარეალური“ უწოდეს და მხარი არ დაუჭირეს. როდესაც რონალდ რეიგანმა გორბაჩოვთან ზუსტად ეს მოილაპარაკა, გერმანიამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ბრანდტის პოლიტიკურ-სტრატეგიული ჭვრეტის უნარი, სამწუხაროდ, მისი გადადგომის შემდეგ, გამოუყენებელი დარჩა.

\*

ჰენრი კისინჯერმა ბრანდტსა და შმიდტს გამორჩეული პიროვნებები უწოდა. მათ შორის მსგავსებაც ისეთივე საოცარია, როგორც განსხვავებაც. როდესაც 1970 წელს ბრანდტს შევატყობინე, რომ შმიდტმა თავის ამერიკელ კოლეგასთან, მელვინ ლერდთან ერთად აღკვეთა ბალტიის ზღვიდან ბომის ტყემდე ასობით ამერიკული ატომური ნაღმის გადატანა, პასუხმაც არ დააყოვნა: „ერთი საზრუნავით ნაკლები გვექნება“. და შეგვაქო, რომ ეს სანიმუშო ქმედება არ გასაჯაროვდა, არ იყო საჭირო, ხალხი ზედმეტად შეგვეშინებინა ატომური საფრთხით. მოგვიანებით დაეთანხმა ჩვენს მცდელობას, რომელიც შმიდტმა და მე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წამოვიწყეთ – აღგვეკვეთა ამერიკული რაკეტების მიწაზე განთავსება, ამერიკული წყალქვეშა ნავების და ფრთიანი რაკეტების აღჭურვის მოთხოვნით. ამერიკელები ამბობდნენ, ტექნიკურად შეუძლებელიაო. როდესაც ეს პროცესი ახალი საშუალო მანძილის რაკეტების მიწაზე განლაგებისას შესაძლებელი აღმოჩნდა, თავი მოტყუებულად ვიგრძენით.

კისინჯერის ერთ-ერთი ვიზიტისას, რომელიც ამასობაში საგარეო საქმეთა მინისტრი გამხდარიყო, სტრატეგიული იარა-

ლის შემცირების შესახებ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების მდგომარეობით დავინტერესდი. როდესაც ჰენრიმ დეტალურად დაიწყო მოყოლა, შევანწყვეტინე: „ამდენი წვრილმანი რა საჭიროა. მე ის მაინტერესებს, იქნება თუ არა შედეგი და როდის. აბსოლუტურად გვჯერა, რომ დასავლეთის ინტერესების გათვალისწინებით, შეცდომას არ დაუშვებთ“. შმიდტს რომ ვუყვებოდი ამ საუბრის შესახებ, ომახიანად და ხმამაღლა შემანწყვეტინა: „არასწორად მოქცეულხარ! დეტალები უნდა გამოგეკითხა ჰენრისთვის. ძალიან გვაინტერესებს, სასიცოცხლოდაც კი“. ბრანდტიმ თავი გაიქნია: ეჭვი მეპარება, რომ გერმანიას რამე გავლენა ექნება საკითხზე, რომელსაც მხოლოდ ამერიკელები და რუსები ნყვებენო. იგი ხედავდა ჩვენი შესაძლებლობების და ძალაუფლების საზღვრებს.

ამასთან, იგი ხედავდა და აღიარებდა, რომ 1980 წელს მოსკოვის სამხედრო ხელმძღვანელობასთან შმიდტის საუბრების შედეგად, ბონს, როგორც პარტნიორს სტრატეგიულ საკითხებში, ანგარიშს უწევდნენ. მაგრამ ბოლოს მაინც ვაშინგტონი და მოსკოვი გადანყვეტდნენ ყველაფერს. ჩვენ მათი გადანყვეტილების ობიექტი ვიქნებოდით – იქნებოდა ეს ორივე გერმანულ სახელმწიფოში რაკეტების განლაგება თუ მათი შემდგომი გადანყვეტილება რაკეტების ისევ გატანის თაობაზე. ბრანდტის განსხვავებული შეხედულების მიუხედავად, მას კარგად ესმოდა კანცლერის იმედგაცრუება, როცა იგი არც საქმის კურსში ჩააყენეს და არც არაფერი შეუთანხმეს, როცა ამერიკელმა და საბჭოთა მომლაპარაკებლებმა პოლ ნიტცემ და იული კვიჩინსკიმ ჟენევის მახლობლად ტყეში ცნობილი სეირნობის დროს მიაღწიეს მოლაპარაკებების შედეგს, რომელიც შმიდტისთვისაც სრულიად მისაღები აღმოჩნდა.

ბრანდტი შმიდტის იმ მიდგომასაც ეთანხმებოდა, რომ გადამწყვეტ მომენტში ბუნდესვერისთვის უკანასკნელი ბრძანების გაცემის უფლება მას ჰქონდა: არ დამორჩილებოდნენ ამე-

რიკელების მიერ ატომური იარაღის გამოყენების ბრძანებას, რომელთათვისაც გათვალისწინებული იყო ლანცის რაკეტებით გერმანული დანაყოფების აღჭურვა. ლიუბეკამდე და ჰამბურგამდე წვდომის უნარით ყველაფერს გაანადგურებდნენ, რაც დაუცავი იქნებოდა. ბრანდტი შმიდტს ეთანხმებოდა, რომ ზარალი გერმანელი ხალხისთვის უნდა აეცილებინათ, შესაბამისად, გერმანელი ხალხის კეთილდღეობა უფრო მაღლა უნდა დაგვეყენებინა, ვიდრე ნატოსი.

და მაინც, პარტიის თავმჯდომარე ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა: ერთის მხრივ უნდა გაემაგრებინა კანცლერის პოზიცია, მეორე მხრივ – შეენარჩუნებინა პარტიის ერთობა და თან არ უნდა დაეკარგა გავლენა სამშვიდობო მოძრაობაზე. კონფლიქტი დაპროგრამირებული იყო მას შემდეგ, რაც შმიდტი კანცლერობით შემოიფარგლა და პარტიის მომავალი ბრანდტს გადაულოცა, ნებსით თუ უნებლიეთ, სიამოვნებით თუ პირიქით.

რაკეტებმა საკუთარი დინამიკა განავითარეს. ორივე გერმანული სახელმწიფო მათი მფლობელების ძძველებად იქცა. პერშინგებს შვიდი წუთი სჭირდებოდათ მოსკოვამდე, გდრ-ში განლაგებულ საბჭოთა რაკეტებს მაქსიმუმ ორი წუთი, რომ ამერიკული რაკეტები გასროლამდე გაენადგურებინათ. არც ადამიანს და არც ტექნიკას არ ჰქონდათ შეცდომის დაშვების უფლება. შმიდტი ვერ აღუდგებოდა ფედერაციული რესპუბლიკის, როგორც მიზნის სინგულარიზაციას. კვიჩინსკიმ მოსკოვში დამიდასტურა: „რამდენიც გინდათ, იმდენი პერშინგი განლაგეთ. ჩვენ მათი მოგერიებისთვის მზად ვართ“. ვინც პირველი დააჭერს თითოს ღილაკს, უპირატესობაც მას ექნება.

ფედერალურმა კანცლერმა პერშინგის რაკეტების განლაგებაზე თანხმობა წარმატებულ მოლაპარაკებებს დაუკავშირა და ამით შეინარჩუნა წნეხი მოსკოვსა და ვაშინგტონზე. ჩემი ვარაუდი, რომ ამერიკელებს სულაც არ უნდოდათ დადებითი შედეგის მიღწევა, მოგვიანებით სტრობ ტალბოტმა დაადასტურა

თავის წიგნში „რაკეტები საჭადრაკო დაფაზე“, იგი ამ საკითხში კარგად ერკვეოდა, თანაც კლინტონის ადმინისტრაციაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდათ. მათ ჩვენი გაცურება სურდათ. კოლის წყალობით ეს აღარ დასჭირდათ, მან გერმანიის მოთხოვნები მოხსნა. ბედმა გაგვიღიმა.

რაკეტების საკითხში პარტიის და ფედერალური მთავრობის წინაშე, აგრეთვე, დასავლელი და აღმოსავლელი პარტნიორების წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობდი: ჩემს მიდგომას რაკეტების განლაგება შეეძლო შეეფერხებინა. რაკეტები სინდისის საკითხად იქცა; მათი შეკავება უკვე შეუძლებელი იყო. მე, როგორც ფედერაციის საქმეთა მწარმოებელი ვერ განვაცხადებდი ჩემი რწმენის საპირისპიროს. 1981 წლის ბოლოს გადავდექი და ფედერალურ კანცლერს შევატყობინე, მომავალში „ჩემი მთავარი საზრუნავი იქნება შეიარაღების შემცირების პოლიტიკური მხარე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს იქნება მომავალი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, სხვათა შორის, პარტიისთვისაც“. ბრანდტს ჩემი გადარწმუნება არც უცდია. დაინტერესდა, ან რას აპირებო. ვუპასუხე, განიარაღებისთვის ვიბრძოლებ-მეთქი. ჩაილაპარაკა: „მთელი დარჩენილი სიცოცხლე დასჭირდება მაგ საქმეს“. მართალი აღმოჩნდა.

## პარტნიორი – ამერიკა

მიუხედავად პასუხისმგებლობის განსხვავებული სფეროებისა, ბრანდტი და შმიდტი ერთ საკითხში თანხმდებოდნენ: ამერიკის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ორივემ იცოდა: 1953 წლის 17 ივნისის საჰაერო ხიდი, აღმოსავლეთის ხელშეკრულებები, ოთხი გამარჯვებული ძალის ხელშეკრულება ბერლინის შესახებ და საბაზისო პრინციპების ხელშეკრულება, ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტი და 1991 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, ასე არ უწოდებდნენ – ამერიკის მხარდაჭერის გარეშე ისტორია სხვანაირად განვითარდებოდა. ღიად დარჩებოდა, როდის და როგორ დაიბრუნებდა გერმანია 1945 წელს რაიხის მიერ დაკარგულ შეუზღუდავ სუვერენიტეტს, ან საერთოდ დაიბრუნებდა თუ არა შეერთებული შტატების თანადგომის გარეშე. ნატოს არსებობის აუცილებლობას ცივი ომის დასრულების შემდეგაც, ორივე აღიარებდა. ამერიკელების ინტერესები რომ არ შეიზღუდებოდა, მარშალის გეგმისას უკვე გამოჩნდა.

უაღრესად მჭიდრო ატლანტიკური კავშირების, მათი ისტორიული და ეკონომიკური ფესვების და საერთო ღირებულებების შეფასებაშიც ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. ალიანსი თავის წევრებს ჰპირდებოდა უსაფრთხოების ორგანიზაციას, მართვას და კოორდინაციას გარეთ და სტაბილურობას შიგნით, თუ გერ-

მანია უფლებებს გადააჭარბებდა, რაც იმ ქაოსში, რომელსაც ევროკავშირი ეწოდება, წარმოუდგენელი იყო და არის.

„ნატო ამერიკის საკუთრება არ არის“ – შმიდტის ეს საკმაოდ ხმამაღალი განსაზღვრება, რომელშიც თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა, ამერიკისგან ემანსიპაციაც გამოსჭვივდა, ბრანდტს არასოდეს მოადგებოდა პირზე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხთაშორისი სამართლის მიხედვით სწორი, მაგრამ პოლიტიკურად არასწორი იყო, არამედ იმიტომ, რომ რეალობას მაინც ვერ შეცვლიდა. ამ დროს, კაცმა რომ თქვას, ისიც იმავეს ფიქრობდა; მაგალითად, როცა ამბობდა: „ევროპაში ფედერაციულ რესპუბლიკას ნათესავები ჰყავს, ამერიკაში – პარტნიორები. ვისაც ევროპის თვითგამორკვევა სურს, ვაშინგტონს არ უნდა გადაულოცოს ეს საქმე. ამერიკას, ევროპის ძიძას, ათწლეულების მანძილზე, ეს უნდა შეეცნო. ეს შეესაბამებოდა „ევროპის ევროპეიზაციის“ ფორმულას, რომელიც ჩემმა უფროსმა მეგობარმა, პეტერ ბენდერმა დაამკვიდრა. მაგრამ ულტიმატუმის ენით ლაპარაკი, რომელიც დაპირისპირების საბაბს იძლევა და რეალობას მაინც ვერ შეცვლის, ბრანდტს არ ახასიათებდა. მის საგარეო პოლიტიკურ მსოფლმხედველობას უფრო შეესაბამებოდა ფორმულა – ისიც და ისიც. ამ მიდგომით თავს ისე მყარად გრძნობდა, რომ აქა-იქ თუ ვინმე დასცინებდა, არც აღელვებდა და არც აზრს შეაცვლევინებდა.

წარმოდგენა, რომ ბრანდტის მეგობრული გრძნობები ამერიკის მიმართ არაკრიტიკული იყო, მათმებლური ან უპრობლემო, აბსოლუტურად არასწორია. ნიუ იორკში ჯერ ნამყოფიც არ ვიყავი, როცა ჩემი უსაზღვრო აღტაცება ამ ქალაქის მიმართ საფუძვლიანად შეირყა. სამოციანი წლების დასაწყისში „ვალდორფ-ასტორიას“ მიმდებარე ქუჩებში დავსეირნობდით, ამ სასტუმროში ვცხოვრობდით, როდესაც ბრანდტმა ამიხსნა, რატომ ვერ გრძნობდა თავს აქ კარგად: „ეს არის ამპარტავნობის და აროგანტულობის ნიშანი, მთელი ეს ცათამბჯენები ადა-

მიანის გაზვიადებული წარმოდგენის გამოხატულებაა. აქ რომ რამე მოხდეს!“ ბრანდტი ყოველთვის ადამიანური განზომილების ერთგული იყო.

რობერტ მაკნამარამ სარწმუნოდ აგვიხსნა, რატომ მოიგებდა ამერიკა ომს ვიეტნამში. შემდეგ ბრანდტს გავენდე, ამერიკის თავდაცვის მინისტრი ვალტერ ჰალშტაინს მახსენებს, მისი გღრ-ის მიმართ ერთადერთი წარმომადგენლის დოქტრინის გამო-მეთქი: შენობა შთაბეჭდილებას ახდენს, სანამ არ მიხვდები, რომ შეუფერებელ ადგილას დგას. ვილიმ მიპასუხა, ამ წუთას ტიპიური ამერიკული ამპარტავნობის მაგალითი მოვისმინეთ, მატერიალური და ტექნიკური სწრაფვის გამო ადამიანებს არასათანადოდ აფასებენ, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ „ჩამორჩენილებს“ განვითარებადი ქვეყნებიდან. ერთნაირად ვფიქრობდით, რომ ამერიკა ვიეტნამში ომს წააგებდა. მხოლოდ ის არ ვიცოდით, როდის და როგორ. ბრანდტმა ხაზი გაავლო კორეასა და კუბის წინააღმდეგ „ღორების ყურეში“ წარუმატებელ ოპერაციას შორის და ორმაგ ფსიქოლოგიურ ტვირთზე მიუთითა, რომელიც წარმატებით განებივრებულ ქვეყანას დაანებებოდა: როგორ გადაამუშავებდა წაგებასა და ტვირთს, თუკი დემოკრატიული სუპერ-სახელმწიფოც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო დამნაშავე? ამის გაცნობიერებამ მას თავისი ქვეყნის შიგნითაც ჩამოუყალიბა პოზიცია, ამერიკის მიმართ კრიტიკული აზრი, არასოდეს გამოეთქვა რაოდენ პოპულარული არ უნდა ყოფილიყო. „გაჭირვებაში ჩავარდნილ მეგობარს უნდა დაეხმარო“. პოლიტიკურ ვაშინგტონს ეს დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ნიუ იორკში სეირნობისას ვილის არ გამოჰპარვია ცივი, მტრული მზერა, რომლითაც ფერადკანიანები ხვდებოდნენ ქუჩაში. თვალებს ჭუტავდა, როცა მძლოლი ღილაკით გვიკეტავდა მანქანის კარებს ისეთ კვარტლებში, სადაც თითქოს არცერთი თეთრკანიანი არ ცხოვრობდა. ქვეყნის რეგენერაციის გასაოცა-

რი ძალის მიუხედავად, ფერადკანიან და თეთრ სახელმწიფოებს შორის დაძაბულობას არ გამოორიციხავდა – შეფასება, რომელიც მოგვიანებით შეარბილა. ამ წინააღმდეგობებით აღსავსე კონტინენტის, სახელად აშშ-ს მიმართ დიდი კეთილგანწყობის მიუხედავად, სადაც თვალსაჩინოა ცივილიზაციის მიღწევები, უხვადაა არაჩვეულებრივი ფონდები და, მეორე მხრივ, ძნელად გასაგები კანონები იარაღის შესახებ და სიკვდილით დასჯა – ევროპელი ბრანდტისთვის ეს ქვეყანა გაუცხოებულად დარჩა. იქ თავს შინ ვერ გრძნობდა. მაგრამ ამერიკის როლი უცვლელი რჩებოდა.



## სატრფო, რომელსაც სასონარკვეთამდე მიჰყავხარ (ევროპა)

ახალი ფედერალური კანცლერის, ვილი ბრანდტის პირველი საგარეო პოლიტიკური ქმედება ევროპას ეძღვნებოდა. უფრო ზუსტად: ამაცობდა, რომ 1969 წლის დეკემბერში ჰააგაში საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუსთან და ოთხი სხვა ქვეყნის მთავრობების მეთაურებთან ერთად მწვანე შუქი აუნთო ინგლისის გაერთიანებას ევროპულ თანამეგობრობაში, რასაც დიდხანს ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთი. დემოკრატიის სამშობლოს და სკანდინავიური ელემენტის გარეშე – მას ევროპა ძნელად თუ წარმოედგინა. ის, რომ საფრანგეთი ინგლისის გვერდით თავს უკეთ იგრძნობდა, როდესაც გერმანელები აღმოსავლეთის მიმართულებით გაააქტიურებდნენ განმუხტვის პოლიტიკის გატარებას, არ აღელვებდა. წლების შემდეგ ამოვიკითხე ჯორჯ კენანის მოგონებებში: – როცა 1949 წელს ვიმოგზაურე ევროპაში, მივხვდი, რომ ევროპული გაერთიანების ყველა წარმოდგენა მარცხით დამთავრდებოდა, რომელიც კონტინენტზე ინგლისის საბოლოოდ მიბმას გადაწყვეტდაო; ბრიტანეთის განსაკუთრებული ურთიერთობები აშშ-სთან ყოველთვის პრიორიტეტული დარჩებაო. – ოთხმოციანი წლების დასაწყისში გავუმახვილე ყურადღება ვილის კენანის პროგნოზზე, რომელიც ამასობაში ბევრჯერ გამართლდა. მისი ჩვეული ფრაზა მოვისმინე: „ეგ ადრე უნდა გეთქვა“.

ამას მაშინ უნდა მივმხვდარიყავით, როცა ბრანდტი 1962 წელს ლონდონში სიტყვით გამოვიდა და ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეთა შორის ევროპის მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილმა ჰიუ გეიტსკელმა წესიერად არც კი მოუხმინა. ბრანდტის მიერ გამოთქმული რწმენა, ინგლისი ევროპის ნაწილიაო, ხმამაღალი შეძახილებით მიიღეს. გაიტსკელი მიკროფონს მივარდა და სიჩუმე მოითხოვა „ჩვენი წყალგალმა მეგობრებისთვის“. ეს ხუმრობა არ იყო. არა მარტო ლა მანშზე ჩამონოლილი სქელი ნისლის დროს აღიქმებოდა ბრიტანეთის კუნძულზე ევროპა უცხო კონტინენტად – ეს განწყობა ჰქონდა ყველა პარტიას და შეესაბამებოდა საზოგადოების საერთო განწყობასაც.

1970 წლის თებერვალში ერთხელ, სადილობის შემდეგ, უეცრად მკითხა გრომიკომ: „როდის იქნება, რომ ევროპა ერთი ხმით ილაპარაკებს?“ ამ წუხილის მიზეზი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას მოსკოვისთვის ერთხელ უკვე მიეცა. მე ვუპასუხე: „ოც წელიწადში თავიდან მკითხეთ“ ის კი დაეჭვებული ჩამეძია: „მართლა ასე ფიქრობთ?“

კანცლერს რომ ვუამბე და თან დავარწმუნე, რომ მართლა ასე ვფიქრობდი, მისმა რეაქციამაც არ დააყოვნა: „გამოუსწორებელი დეფეტივისტი ხარ“. ვერ წარმოედგინა, რომ ეს პროცესი ამდენ ხანს გაჭიანურდებოდა. რასაკვირველია, წამით არ უფიქრია, რომ გერმანიის გაერთიანებას უფრო სწრაფად მივალწვედით ვიდრე ევროპის ქმედითუნარიანობას საერთაშორისო სარბიელზე. ორმოცი წლის შემდეგ დარწმუნებით ისევ ძნელი სათქმელია, როდის მივალწვეთ ერთი ხმით ლაპარაკის გაცხადებულ მიზანს.

ერთხელ ვილიმ მისაყვედურა, სათანადოდ არ გაინტერესებს ევროპაო, ვუპასუხე, ექვსი დედაქალაქიდან თითოეულში ზის სულ ცოტა ექვსი უაღრესად გონიერი ადამიანი, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ. ჰოდა, არავის ავნებს, მე აღმოსავლეთ ევროპას თუ მივხვდავ-მეთქი.

რასაკვირველია, ბრანდტმა დიდად გაიხარა, განმუხტვის პოლიტიკამ ისეთი შედეგი რომ გამოიღო, რომელმაც ევროპა შეცვალა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ქვევიდან განხორციელებული წნეხის საშუალებით ეცადა, ევროპა მეტად დაეფრთიანებინა. კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე ისევ იმაზე ვმსჯელობდით, როგორ მოგვეხერხებინა, რომ ევროპული საბჭოს შემდეგი სხდომა ცოტა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო გაგვეხადა. აღარ მახსოვს, ვის მოაფიქრდა პირველს ევროპული არჩევნების ჩატარების იდეა. ამ იდეამ მოგვრუსხა და აღგვაფრთოვანა. ბრანდტმა მაშინვე გააქარწყლა საწინააღმდეგო არგუმენტი, ევროპის პარლამენტს კონპეტენცია საერთოდ არ გააჩნიაო: „პარლამენტი თავად მოიპოვებს საჭირო უფლებებს“. ასე ჩატარდა 1979 წელს ევროპული პარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები. ბრანდტი იყო სიის პირველი ნომერი, თავის შეცდომაში დარწმუნებას მოესწრო. ევროპის გაერთიანება გამოფხიზლების ნელ გზას დაადგა, რომელიც დღესაც არ დასრულებულა.

ბრიტანეთის პოლიტიკამ დაამუხრუჭა და მატარებელს შეახტა, უფრო ეფექტური დამუხრუჭების საშუალება რომ მოეპოვებინა; უკეთესი კონტროლისთვის ბრიუსელშიც კი ჩავიდა და მეგი თეტჩერმა ბოლოს უკან მოითხოვა „თავისი ფული“. კისინჯერი ჩიოდა, ევროპას რომელ ტელეფონზე დავურეკო, არ ვიციო, თუმცა დიდად ეს ამბავი არ აღელვებდა. ბრანდტი საკმაოდ ჭკვიანი იყო იმის მისახვედრად, რომ ევროპის გარეთ დიდ ქვეყნებს მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ, სხვანაირად ვერც იქნებოდა. საერთაშორისო თანამეგობრობა ევროპას კეთილ სურვილებს უგზავნიდა, მაგრამ აღარ სჯეროდა, რომ იგი ათწლეულების წინ დადებულ ფიცს შეასრულებდა.

ამ თემაზე ეჭვის გამოთქმა არ შეიძლებოდა: ვერავინ უარყოფდა, რომ ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ნატვრა აახდინა. ფაქტიურად, წარმოუდგენელი გახდა ევროპულ სახელმწიფოებს

შორის ომები, მათი მჭიდრო კავშირების გამო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეული ეს დიდი წარმატება ეროვნული სუვერენიტეტის ევროპაზე გადანაწილებას მოითხოვდა. ეს რთული არ აღმოჩნდა, რადგან აღმოსავლეთის საფრთხის წინააღმდეგ უსაფრთხოების გარანტიას ამერიკა იძლეოდა ნატოს საშუალებით. როდესაც 1969 წელს დე გოლმა თანამდებობა დატოვა ინგლისის, ნორვეგიის, დანიის და ირლანდიის გაერთიანებაში შესვლას წინ არაფერი ედგა (მხოლოდ ვილის ნორვეგიელებმა თქვეს უარი პლებისციტის გზით), ევროპულ გაერთიანებას 1973 წლის პირველ იანვარს სამი ახალი წევრი შეუერთდა. ბრანდტი იმედით აღივსო, როდესაც ჩრდილოეთ-სამხრეთის კომისიის წევრი და ინგლისის ისტორიაში ევროპისადმი ყველაზე კეთილგანწყობილი კონსერვატორი პოლიტიკოსი ედვარდ ჰეთი ბრიტანეთის მთავრობის სათავეში მოვიდა. მისი მარცხის შემდეგ ისეთი იმედგაცრუებულები აღარ ვყოფილვართ, როცა შემდგომმა ლეიბორისტულმა მთავრობებმა აშშ-სთან განსაკუთრებული ურთიერთობების პრიორიტეტი შეინარჩუნეს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი დასასრულის შემდეგ აღმოსავლეთიდან სამხედრო მუქარა აღარ ისმოდა. ახლა უპრიანი იქნებოდა, ევროკავშირზე ნაციონალური სუვერენიტეტის გადატანა გაგრძელებულიყო, მითუმეტეს, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გზა გაკვალა. მაგრამ აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი მუქარის გარეშე და კონტინენტზე ამერიკის შემდგომი დარჩენის იმედით, ევროპის სახელმწიფოთა ნაწილს ეგონა, რომ პატარ-პატარა ომების წარმოების ფუფუნება ექნებოდათ, თანაც, რისკის გარეშე. მაასტრიხტს 1992 წელს, ვილი ბრანდტის გარდაცვალების წელს, თორმეტმა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. ასე აღსრულდა მისი ზრუნვა ევროპაზე, რომელიც მას ასე უყვარდა.

ათი წლის შემდეგ შემოვიღეთ საერთო ვალუტა, ინგლისის გარეშე. ბრიტანული ინტერესების შესაბამისად, გაერთიანება გაფართოვდა, მაგრამ არ გაღრმავებულა. ამასობაში ევროკავშირს ოცდაშვილი წევრი ჰყავს, კიდევ სამი „კარზე აკაკუნებს“. ყოველი ახალი წევრის შემომატებით უფრო ძნელდება მისი მართვა.

ამერიკას შეუძლია წყნარად იყოს: ინგლისი ვაშინგტონს აძლევს გარანტიას, რომ ევროპული სახელმწიფოების მძლავრი გაერთიანების მაგივრად, შეუძლია ბევრ ქვეყანას ელაპარაკოს. ამასობაში მწიფდება აზრი, რომ ევროპის თვითგამორკვევა მხოლოდ ევროს ვალუტის მქონე ქვეყნების ჯგუფში არის შესაძლებელი, მაშასადამე, დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის სხვა ქვეყნების გამოკლებით. აუცილებლად უნდა გადაილახოს ევროპის აღმოსავლეთად და დასავლეთად დაყოფის ძველი სქემა და პოლონეთი მაინც, ალბათ ჩეხეთიც, უნდა შეუერთდნენ ევროს ზონას. ბრანდტი იმედგაცრუებით შეაფასებდა დღევანდელ პროცესს თუ პრაგმატულად, ვერ გეტყვით. მგონია, რომ ევროზონასა და ევროკავშირს შორის გადაუჭრელ დაძაბულობას ვერ წარმოიდგენდა.

მაჰათმა განდის ძალადობაზე უარის თქმის პოლიტიკამ ინდოეთის კონტინენტს დიდი ბრიტანეთისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუტანა. ევროპის თვითგამორკვევა, ამერიკის უსაფრთხოების პროტექტორატის რანგში, უცვლელად გრძელდება. თუკი ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ მოახერხებენ ერთობლივად მოიგერიონ რაკეტები, შეიძლება შედეგად ევროპა ხელახლა გადაიარაღდეს, მათ შორის, გერმანიაც. შესაძლებელია განმუხტვის პოლიტიკის დასასრული დადგეს, რასაც ბრანდტი ვერც კი წარმოიდგენდა.

## შეიცან თავი შენი

ბევრჯერ უთქვამთ, ბრანდტის გამონათქვამები წინასწარმეტყველებას ჰგავსო. „შეიცან თავი შენი“ – კუნძულ დელფიზე აპოლონის ტაძრის წარწერა, ვილი ბრანდტის, როგორც ადამიანის შესაცნობადაც გამოდგება.

თუკი ცხოვრებამ რაიმე გაკვეთილი ჩაუტარა, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ მბრძანებლობის უნარი არ გააჩნდა. თავს თავისუფალ ადამიანად გრძნობდა, უფრო თავისუფლად, ვიდრე ქვეყანა, რომელშიც იგი დაბრუნდა. და მაინც უწევდა შეგუებოდა დაუძლეველ გარემოებებს. სახეობათა შესახებ მოძღვრებაში შეგუება წარმატების რეცეპტია გადარჩენისთვის ბრძოლაში. ბრანდტმა ეს მეთოდი მანამ გაითავისა, სანამ ბერლინის მმართველი მერი გახდებოდა. უნდოდა დამაჯერებელი ყოფილიყო და არაფერს დაგიდევდათ, რომ ბერლინის კონსტიტუცია მიმართულების განსაზღვრის კომპეტენციას არ ანიჭებდა. კონსენსუსის გზით გამარჯვების მიღწევა იქცა მის ძლიერ მხარედ; ეს თვისება ფედერალური კანცლერობის დროსაც გამოავლინა. ჰორსტ ემკემ მოსწრებულად შენიშნა: „უფროსის როლში ყოფნა არ უყვარს“. დიდხანს გრძნობდა თავს სხვათა და გარემოებათა „გავლენის ქვეშ“. ხანდახან მინატრია, ვილის მეტი სიმტკიცე გამოეჩინა პარტიის შიგნით მასთან დაპირისპირებულთა წინაშე. როცა სათანადო რჩევას შევთავაზებდი, მოჭრით მპასუხობდა: „ეს მე არ ვარ. ეს არ მინდა“.

როცა ერთხელ დანანებით ვუთხარი, მიმართულების განსაზღვრის კომპეტენციის ძალაუფლებრივ ინსტრუმენტებს არ იყენებ-მეთქი, თავი აარიდა პირდაპირ პასუხს: ეს მხოლოდ ერთხელ შეიძლება გამოიყენო, კერძოდ, კოალიციის დასასრულებლად. „მიმართულების განსაზღვრის კომპეტენცია ამონურულია, როცა პარტნიორი მას არ ემორჩილება“. ერთი პირობა, გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე, ფიქრობდა, შინაგან საქმეთა მინისტრი გენშერი ხომ არ გავათავისუფლოო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ამით კოალიციაც დაიშლებოდა. მახსენდება, ანგელა მერკელმა როგორ გადაყლაპა ზეეპოფერის მუქარები და რიოსლერის შანტაჟი – დარწმუნებული ვარ, არ დავინყებია. ვერცერთს ვერ მოხსნიდა, თუ კანცლერად დარჩენა უნდოდა. ნორბერტ რიოტგენი კი მარტივად ჩაანაცვლა პეტერ ალტმაიერთ.

ჩრდილოეთ-სამხრეთის კომისიაში შემავალი ოცდაერთი პიროვნება – ინდუსტრიული, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები, მითითებების გაცემას მიჩვეულები იყვნენ, მითითებების მიღებას კი – არა. განსხვავებული ინტერესების და შეუთავსებელი პოზიციების მქონე ადამიანების გაერთიანება მხოლოდ ერთი საერთო საქმის ირგვლივ შეიძლებოდა. გლობალური კომისიის კრახს გამოიწვევდა საკითხების კენჭისყრაზე დაყენების მცდელობა. ვილი ბრანდტს ჰქონდა ავტორიტეტი და დამაჯერებლობა, გრძელი და მომქანცველი დებატების ბოლოს მაინც ახერხებდა საერთო მიზნის ჩამოყალიბებას. რაც სამართლიანია, ყველასთვის მისაღებია.

ეს თვისებები, რომელთაც ბრანდტი განასახიერებდა, ქმნის იმის ნაწილს, რასაც ქარიზმას უწოდებენ. ქარიზმას ფულით ვერ იყიდი. ვერც პარლამენტი ან სახელმწიფოს მეთაური მოგანიჭებს მას ორდენივით. არც სიღარიბე ან სიმდიდრე განაპირობებს მას; თუმცა, გარკვეული სახის სიმტკიცეს აუცილებლად მოითხოვს. არავინ იცის, რამდენმა ადამიანმა ჩაიტანა

საფლავში გამოუვლინებელი ქარიზმა, რადგან ახალგაზრდობის სიძნელეებმა გატეხა. შესაბამისად, ბედმაც უნდა გაგილიმოს. და ბრანდტს ბედის გაღიმება ხშირად სჭირდებოდა, რათა დაბრკოლებებს არ გაეტეხა, ანდა „რაიხში“ არალეგალური ვიზიტებისას არ „ჩაევლოთ“. ქარიზმას გამბედაობაც სჭირდება, რაც ასევე ხშირად გამოუვლენია, და კიდევ ძალა, დამარცხებისას ფეხზე ნამოდგომის ძალა. და მაინც, რომ შეიძლებოდა ამ თვისებების ერთმანეთში ისე აღრევა, რომ ან მეფისტოფელი მივიღოთ და ან ფაუსტი, ქარიზმა ექნება თუ არა, კაცმა არ იცის.

ინტუიციაც საჭიროა – როცა გონება უეცრად გაგიბრწყინდება და მიხვდები, რომ მარტო გვირგვინის დადება არ კმარა, უნდა დაიჩოქო და ამას აკეთებ კიდევ. ვარშავამ პირდაპირ მიიყვანა მშვიდობის ნობელის პრემიამდე. ეს პრემია ბრანდტისთვის, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მთავარს – მის „მესთან“ ჩვეულებრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ნიშნავდა. ჯერ კიდევ ბერლინში ვაკვირდებოდით ალბერტი და მე, როგორ უჭირდა ბრანდტს „მე“-ს თქმა. ან „ჩვენ“-ს ამბობდა, ან ცდილობდა უპირო და სხვა გრამატიკული ფორმებით ესარგებლა იმის სათქმელად, რაც „აუცილებელი“ ან „სასურველი“ იყო. ახალგაზრდობაში და ემიგრაციაში ესწავლა აზრების ფრთხილი და მშრალი ჩამოყალიბება. „მე“ ჯობდა არ ეხსენებინა. ეს მმართველი მერის და შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის სტილს ბუნდოვანს, არამკაფიოს ხდიდა. გვინდოდა მკაფიოდ დაგვენახა მართვის სადავეები. რაც არ უნდა ვთქვათ, „სასურველიას“ ყოველთვის სჯობს „მე ვისურვებდი“ ან სულაც „მე მინდა“.

სიტყვა, რომელიც ნობელის პრემიის გადაცემაზე წარმოთქვა, მისი მეტყველების სტილის საოცარ გარდაქმნას მოასწავებდა. ბედნიერი ვიყავი, უცებ როგორ თავდაჯერებულად ამბობდა „მე“-ს. „და თუკი უფლებას მომცემთ დავამატო: ჩემ-



თვის რამდენს ნიშნავს გერმანელი ხალხის სახელით ჩემი საქმიანობის დაფასება. რომ წილად მხვდა წარსულის წარუშლელი ძრწოლების და მშვიდობის ნების ერთმანეთთან შეთავსება“. ნობელის პრემიით დააჯილდოვეს ადამიანი, რომლის ბიოგრაფიასაც წუნს ვერ დაუდებდი და მისი სამშობლო. ამით შეეძლო ეამაყა და ამაყობდა კიდევ ყოველგვარი ამპარტავნობის გარეშე. ნობელის პრემიამ ჩემს მეგობარს საკუთარი ღირსების რწმენა შემატა, თუმცა მას ეს ჰქონდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა.

„უკანაღში მეტი ინტუიცია აქვს, ვიდრე ზოგიერთს – თავში“ – ამ ცოტა უხამს გამოთქმას დღესაც უცვლელად ვიზიარებ. მაგრამ ინტუიციის აუცილებელი ნიჭი საკმარისად ვერ ხსნის მისი სრულყოფილი ქარიზმის ფენომენს. კაცმა რომ თქვას, ბრანდტს თავისუფლად შეეძლო თავისი წარსულით ეამაყა. თვითნაბადი იყო ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, საკუთარი ძალით მიაღწია ყველაფერს, დამოუკიდებელი, არავის ვალი არ ჰქონდა არც ფინანსების მხრივ და არც პროფესიულ კარიერაში ემართა ვისმესი. თავად იყო საკუთარი თავის პატრონი და ისწავლა გრძნობების მართვა, იმედების მოთოკვა, განცდების დამალვა. ინტროვერტულ პიროვნებად იქცა და არავის იკარებდა ახლოს. ვინც რუთის და მისი ვაჟების მოგონებებს ნაიკითხავს, ვერ აღმოაჩენს უდარდელ, თბილ, მხიარულ ოჯახურ ატმოსფეროს. ვილი თავის სამყაროში ცხოვრობდა – ემოციებით აღსავსე და თავად მგრძნობიარე.

სამყარო მას სულ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე აყენებდა და აეჭვებდა, ვაითუ ვერ დავძლიოო. არ არსებობს პროფესიული განათლება, რომელიც გასწავლის მმართველ მერობას, საგარეო საქმეთა მინისტრობას ან ფედერალურ კანცლერობას. მხოლოდ მაშინ, როცა ყოველივე ამას მიაღწევდა ხოლმე, გამოიკვეთებოდა დროდადრო, შეძლებდა თუ არა თანამდებობის და ამოცანების თავისგართმევას და კვალის დატოვებას. თავად უნდა ეპოვა საკუთარი გზა სამყაროში. არ მახსენდება, რო-

დესმე გვესაუბროს ჩვენ მაქსიმაზე „შეიცან თავი შენი“. მაგრამ სწორედ ეს იყო მისი ამოცანა – საკუთარი თავის რწმენა ჰქონოდა და არ შემდრკალიყო უმთავრეს დაბრკოლებათა წინაშე, მიჰყოლოდა თავის პრინციპულ მრწამსს, ალბათ ხედვასაც და თან მყარად მდგარიყო მინაზე. ვილი იყო მიწიერი მეოცნებე. თავის შინაგან კომპასს ენდობოდა. საკუთარი თავის ასეთი რწმენა კი იშვიათია, ამას ჰქვია „მე“-ს სუვერენიტეტი. მრავალი განსხვავების მიუხედავად, ასეთი თავდაჯერება მხოლოდ ადენაუერისა და კოლისთვის შემიმჩნევია.

ბოროტი და მდაბიური განზრახვით 1961 წელს ადენაუერმა რომ ბრანდტის უკანონო შვილობა, გვარის შეცვლა და ემიგრაცია აიგდო მასხრად და თან ამტკიცებდა, საბჭოთა კავშირმა კედელი ბრანდტის დასახმარებლად აღმართაო, ლაპარაკის უნარი დააკარგვინა ბრანდტს. სიძულვილსა და სიმართლეში გაზავებულმა შხამმა დაუცველი გახადა. შეურაცხვეს მისი ბიოგრაფია, რომლითაც ამაყობდა. ეს ჭრილობა არ მოშუშება, არც ათი წლის შემდეგ, ოსლოში „მე“-ს გათავისუფლების შემდეგ.

აუცილებელია ძალაუფლების წყურვილი, თუ გინდა რომ მართო. ეს არც ეკონომიკაში, მეცნიერებასა თუ კულტურის სფეროშია პრინციპულად განსხვავებული, ვიდრე პოლიტიკაში. ბრანდტს ყველა თანამდებობაზე ჰქონდა მართვის სურვილი, სადაც კი მინახავს: ბერლინში, პარტიაში, საგარეო უწყებაში, სოციალისტურ ინტერნაციონალში, რომელიც ევროპული ორგანიზაციიდან გლობალურ ორგანიზაციად აქცია, ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე და ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარეობისას. თითოეული ეს პოსტი მართვის მეთოდების განსხვავებულ მოთხოვნას საჭიროებდა. დიქტატორის ტიპს არაფერი გამოუვიდოდა, გინდაც დემოკრატიის საბურველში გახვეულიყო.

ჰერმან ჰიოხერლმა, რომელმაც შემოგვინახა შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრისთვის ნიშანდობლივი გამონათქვამი, მთელი დღე ვერ ვირბენ ილლიაში კოსტიტუციამორჩილიო, ერთხელ დანანებით და მონინებით თქვა, ბრანდტი ამ ხისტი საქმისთვის ძალიან რბილიაო. მარტო იგი არ შემცდარა. სწორედ იმიტომ შეძლო ბრანდტმა სხვადასხვა ამოცანისთვის მართვის სხვადასხვა მოდელი მოერგო, რომ ჯერ კიდევ ემიგრაციაში ისწავლა მოქნილობა. მისი ანტენები ბევრ სიგნალს ისე ამუშავებდა, რომ ამ მგრძნობიარე კაცს თავისი მიზანისთვის არასოდეს უღალატია. ბევრი ვერ აფასებდა სათანადოდ და ეგონათ, იოლად ვმართავთო. ვინც მას „ღრუბელ ვილის“ ეძახდა, ბოლოს სულელი აღმოჩნდა. ბრანდტი ვერავინ გადაიყვანა იმ გზიდან, რომელსაც თავისი შინაგანი კომპასი უჩვენებდა.

ვინც თითქმის ოცდახუთი წელი – უფრო დიდხანს, ვიდრე ვინმე ბებელის შემდეგ – სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, კარგად იცნობდა მის ორგანიზაციას და მექანიზმებს, მან იცოდა, როდის და ვისთვის უნდა დაერეკა. ეჭვი არაა: ბრანდტს უყვარდა ძალაუფლება. იქ ვიყავი, როდესაც შმიდტი პირველად მოინახულა კანცლერის ახალ აპარატში. შმიდტმა უთხრა: „ვილი, პატიება უნდა გთხოვო. თავს ძლივს ვართმევ მხოლოდ ამ საქმეს და სიმართლე გითხრა, აზრზე არა ვარ, როგორ ახერხებდი თან პარტიის მართვასაც. მე ამას ვერ შევძლებდი“. ვილის ასეთი სიტყვები სიამოვნებდა. სანყენად კი დაურჩა, როცა მოგვიანებით ენა მიუტანეს, შმიდტი ნანობს და შეცდომად მიაჩნია, რომ პარტიის თავმჯდომარეობაც არ მოინდომაო. ბრანდტს აბრაზებდა, მეტიც, გულს სტკენდა შმიდტის კრიტიკული და უპატივცემლო გამონათქვამები, თუმცა ძალაუფლების სიყვარულს არ უნებლებდა. მან ასე იცოდა თქმა, „რომ მოვინდომო, ჰელმუტი ორ კვირაში კანცლერი აღარ იქნება“.

ბრანდტის მიერ ძალაუფლების სიყვარული იმ გამოცდილებიდან საზრდოობდა, რომ ის იყო სოციალ-დემოკრატიული

პარტიის ბოლო თავმჯდომარე, რომელიც მუშათა მოძრაობიდან მოდიოდა. ალბათ მომავალი მრავალი წლის განმავლობაშიც ერთადერთია, ვინც პარტია არჩევნებში დიდ წარმატებამდე მიიყვანა. იგი პასუხისმგებლობას გრძნობდა თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მისი მომავლის წინაშე და ეს პასუხისმგებლობა მის მიერ შექმნილი კოალიციის შემდგომ პერიოდსაც სწვდებოდა. თავმჯდომარეს უფრო წინ უნდა გაეხედა, ვიდრე ფედერალურ კანცლერს, რომლის მთავარ ამოცანას კოალიციის შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენდა. შმიდტს შეეძლო თავისთვის უფლება მიეცა და მწვანეებზე ექილიკა. ბრანდტს კი უნდოდა მწვანეები შესაძლო პარტიორებად შეენარჩუნებინა. ვერ დაეთანხმებოდა კანცლერის განზრახვას, შეეკავებინა ერჰარდ ეპლერი, რომელიც ბონში დიდ სამშვიდობო დემონსტრაციაზე სიტყვით გამოსვლას აპირებდა. მას არ უნდოდა და არც ჰქონდა უფლება, დაეფრთხო ახალგაზრდა თაობა და თანაც მთავრობის მეთაურს უნდა დადგომოდა გვერდში.

პარტიის თავმჯდომარისა და კანცლერის ერთ პიროვნებაში გაერთიანებას უეჭველად აქვს უპირატესობა, რადგან ფუნქციების გადანაწილება რთულია და ორ მმართველ ფიგურას შორის პიროვნულად უპრობლემო ურთიერთობის დროსაც კი წამოიჭრება გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება, რომელიც ამ ფუნქციების განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარეობს. ბრანდტის შემთხვევაში ბედნიერება იყო, რომ მისი „ისიც და ისიც“ მის ბუნებას შეესაბამებოდა. მართალია, ამ მიდგომისთვის მას აკრიტიკებდნენ, მაგრამ რწმენაგანმტკიცებელი ვილი არასდროს იბნეოდა. მისი ცხოვრების გზამ და შინაგანმა კომპასმა ერთი მარადიული რამ ასწავლა: „ან-ან“, „მეგობარი და მტერი“ უფრო ეფექტურია და დიქტატორული, მაგრამ უპირობო კაპიტულაციის პირობებშიც არ ამართლებს.

და მითუმეტეს, თუ სოლიდური დემოკრატიული წარმატების მიღწევას ელტვი.

თავს უფლებას მივცემ, უბრალოდ ვთქვა: ბრანდტის პოლიტიკა ითვალისწინებდა „ისიც და ისიც“ მიდგომის მრავალმხრივ გამოყენებას. ბრანდტს არასდროს სჯეროდა, რომ ისტორიაში რალაცების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. იმის თქმა, რომ ესა თუ ის გადანყვეტილება უალტერნატივოა, პოლიტიკურ კრახად მიაჩნდა. გონითა და ფანტაზიით დაჯილდოვებული ადამიანები ყოველთვის იპოვიან გამოსავალს, თუკი წარმატება სწყურიათ. კომპრომისი დემოკრატიის წესია, თუკი საქმე სინდისს არ ეხება.

ამ მიდგომითაა დალდასმული სოციალ-დემოკრატიული პარტიის და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის 1987 წლის ერთობლივი დოკუმენტი, რომლის უმთავრესი ინტერესი მშვიდობის შენარჩუნებაა. განმუხტვის მთელი პოლიტიკა ეყრდნობოდა პრინციპს, შეგვენარჩუნებინა სტაბილურობა ევროპაში და არ გვეცადა ერთმანეთის იდეოლოგიურად გადამბირება. არავის უცდია მოსკოვში კომუნისტად ვექციე და არც მე მიცდია ვინმეს შემოტრიალება დემოკრატიისკენ. და ბრანდტიც წყნარად, მშვიდად ინარჩუნებდა პოზიციას, რომ იდეოლოგიური განსხვავებები მეორეხარისხოვანია. ისტორია მიიღებდა საზღვრების შესახებ გადანყვეტილებას, თუკი ძალადობისგან თავისუფალი ქმედება უმალლესი პრინციპი იქნებოდა.

არსებობს სასხვათაშორისო „ისიც და ისიც“, რომელსაც ბრანდტი იზიარებდა. სოციალ-ლიბერალური კოალიცია არასოდეს შენინააღმდეგებია ბონის პოზიციას, რომელიც მიიჩნევდა, რომ ჯერ გერმანია უნდა გაერთიანებულიყო და შემდეგ შეიძლებოდა განმუხტვის პოლიტიკაზე საუბარი, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოდ იმოქმედა. მას ფორმალურად არასოდეს უარუყვია გერმანიის გაერთიანების შესახებ ბონის ძველი მოთხოვნა, რომელიც 1937 წლამდე არსებულ საზღვრე-

ბში გაერთიანებას გულისხმობდა, მაგრამ პრაქტიკულად, გამოორიცხა ოდერისა და ნაისეს ხაზის აღმოსავლეთით ტერიტორიული მოთხოვნების დაყენება. და არც საბჭოთა კავშირი არ შეინანა აღმდეგებია ოდესმე ვარშავის ხელშეკრულების გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც დაუშვებელი იყო ბონთან ხელშეკრულებების დადება, სანამ ფედერაციული რესპუბლიკა ხალხთაშორისი სამართლის სუბიექტად არ აღიარებდა გდრ-ს, თუმცა პრაქტიკულად საბჭოთა კავშირიც გვერდს უვლიდა მას.

ჩვენი განმუხტვის პოლიტიკა ესწრაფვოდა ელიარებინა რეალობა და, ამავე დროს, შეეცვალა იგი. რამდენად წარმატებულად შეეცვლიდა რეალობას ბერლინში, გერმანიასა და ევროპაში, ვერავინ განჭვრეტდა, როდესაც კედლის აღმართვის შემდეგ პატარ-პატარა ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ბევრი ადამიანი და ფაქტორი, უკვე ნახსენები ბედიც უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს ამ შედეგისთვის. ერთ-ერთი ფაქტორი ბრანდტის პიროვნებაც გახლდათ. ძალაუფლების სურვილი არ აკლდა; მაგრამ მის მაცდურ ძალას არასოდეს დამორჩილებია, არასოდეს ამცირებდა და არ ანადგურებდა ადამიანებს. მას დიდად არაფრად მიაჩნდა გადაწყვეტილებები მსოფლიოს შეცვლის შესახებ. პარტიის, მთავრობისა თუ შემდეგი საკანონმდებლო პერიოდის ამოცანების მისაღწევად იგი ამჯობინებდა „ისიც და ისიც“ – პოზიციის სანდო გზას, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს ორიენტაციას. მისი შინაგანი კომპასი ფართო ჰორიზონტსაც ისევე აჩვენებდა, როგორც უახლოეს მიზნებს, რომელთა მიღწევასაც იგი ესწრაფვოდა.

რა იყო მისი შინაგანი კომპასი? რასაკვირველია, უფრო სამართლიანი საზოგადოება. ერთნი მას სოციალიზმს უწოდებდნენ, მეორენი სოციალ-დემოკრატიზმს. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ ზუსტ სახელდებას გაურბოდა, რადგან თავად ზუსტი სახელი არ ეგულებოდა. არანაკლებ გასაკვირია, რომ არ არსებობდა ერთიანი კონცეფცია, რომელსაც „ბრანდტის გეგმას“

დაარქმევდი. არც არავის მოუსაკლისებია და უკითხავს, გეგმა სად არისო. ბრანდტის საყრდენს წარმოადგენდა ადამიანების ნდობა მის მიმართ, ის, რომ მას ჰქონდა ორიენტაცია, რომელსაც შეიძლებოდა გაჰყოლოდი. ესეც ქარიზმაა.

ნაცისტების რაიხის მიმართ უზადო წინააღმდეგობა, დასავლეთ ბერლინის ინტერესების დასაცავად მკაფიო სიმტკიცე და მისი განმუხტვის პოლიტიკის დამაჯერებლობა: ამ თვისებების ერთობლიობით მოიპოვა ბრანდტმა ნდობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მისი სიმტკიცე გადალახულ დაეჭვებას ეფუძნებოდა. გამოცდილება კარნახობდა – მხოლოდ სინამდვილით გამონვეული აღშფოთება წარმოქმნის ენერგიას, რომელმაც ახალი სინამდვილე უნდა შექმნას. მისი ცხოვრების გზა ნათელი იყო: არ დავრჩეთ პასიურნი, არამედ შევძლოთ „მე“-ს თვითგამორკვევა; შემდეგ საკუთარი ქვეყნის თვითგამორკვევა და ბოლოს ევროპის თვითგამორკვევა.

მოცემულ სიტუაციაში მისი კალიბრის გერმანელი მეორე არ არსებობდა. ამიტომ იყო იგი ბედნიერი მონაპოვარი ქვეყნისთვის, ევროპისთვისაც, მის გარეშე ისტორია სხვანაირად წარიმართებოდა. ვალენტინ ფალინმა – იგი დიდხანს გახლდათ ბონში საბჭოთა კავშირის ელჩი და ხელშეკრულებების მოლაპარაკებების მონაწილე, ერთხელ ასეთი რამ თქვა: – ბრანდტის განმუხტვის პოლიტიკა რომ არა, გორბაჩოვი კრემლში პირველი კაცი ვერ გახდებოდა. გორბაჩოვის გარეშე კი გერმანია ვერ გაერთიანდებოდაო.

ვილის ერთი გამონათქვამი ჩამრჩა მეხსიერებაში, ოღონდ აღარ მახსოვს, როდინდელია და ვის უთხრა: „შეიძლება ეგონს გული წყდება, რომ დიდხანს სრულფასოვნად არ აღიქვამდნენ“. იგივე შეეძლო დიდი ხნის აუხდენელ თავის მოლოდინზეც ეთქვა – როდის მიიღებდა მას საკუთარი ქვეყანა. ჩემს შემთხვევაში ეს ეხებოდა ვერმახტის პერიოდს – მაოცებდა, რომ მაშინ ვერავინ შეამჩნია ჩემი ებრაელი ბებიის არსებობა.

ჩვენი ბიოგრაფიიდან ბევრი მსგავსება მოგხვდებოდათ თვალში. დედამისთან სახლში არასდროს ახსენებდნენ მამას. ჩემი მშობლების სახლში არასოდეს ახსენებდნენ ებრაელ ბებიას, თუმცა, ვიცოდი, რომ მამაჩემი თავის საყვარელ პროფესიას – მასწავლებლობას ჩამოაშორეს, რადგან მეუღლესთან გაყრაზე უარი თქვა. სიტყვა „ებრაელი“ ან „ებრაული“ არასოდეს გამოთქმულა. შობას ყოველთვის ბერლინში, ბებიასთან აღვნიშნავდით, მისი შვიდივე შვილი და მათი მეუღლეები იკრიბებოდნენ. ბიძაჩემი ფრიტცი ბრაზილიაში გაიქცა, მეორე ბიძას – კურტს კი მამაჩემთან ერთად შევხვდი ანჰალტერის სადგურზე 1934 წლის ერთ საღამოს – თავი გადაპარსული ჰქონდა და ორივე ოქროს კბილი ამოეგლიჯათ ორანიენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში. „არაფერი მკითხოთ!“ იყო ერთადერთი, რაც მატარებელში ასვლამდე გვითხრა და იტალიის გავლით გაემგზავრა შანხაიში.

ბრანდტსა და ჩემ შორის ასაკობრივ განსხვავებას წარმომავლობის ტაბუსთვის მნიშვნელობა არ ჰქონია: მან ემიგრაციაში გვარი შეიცვალა; მე ვერმახტის ტაბუ შევინარჩუნე. ჩვენი ნაცნობობისა და დაახლოების ათწლეულების განმავლობაში არასდროს გვისაუბრია ამ მემკვიდრეობაზე. სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი გულახდილ საუბარს არ წამოიწყებდა, მეორე კითხვებს არასოდეს სვამდა. ამ ურთიერთპატივისცემაში იფურჩქნე-



ბოდა მეგობრობა, რომელიც აკავშირებდა დიდ პოლიტიკურ ერთსულოვნობას და სხვადასხვა პიროვნულ თვისებებს.

შმიდტის ებრაელი ბაბუის შესახებ, რაც ჟისკარ დ'ესტენისგან გავიგეთ, ვილის და მე არასოდეს გვისაუბრია. არც ჰელმუტს და მე. მესმოდა, რომ არაფრით არ უნდოდა, მისი სახელი ამ კუთხით გახმაურებულიყო. გულში კი მიფიქრია, რომ იგი იყო მესამე, ვის ოჯახშიც სხვანაირი სახის, მაგრამ მაინც არსებობდა ტაბუ.

\*

მუსიკოსობაზე თორგაუში გატარებული ბავშვობის წლებიდან ვოცნებობდი. მუსიკალური აღზრდა მივიღე იოჰან ვალეტის გუნდში, ორატორიებს ვასრულებდი, რაც აბსოლუტურ სმენას და ფორტეპიანოზე დახვეწილად დაკვრას მოითხოვდა, ვიოლინოზე კი სკოლის ორკესტრის მეორე ვიოლინოს იქით ვერ წავედი.

სხვანაირად გამოვიდა: 1974 წელს ვცადე ლევ კოპელევი ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩამომეყვანა. მას სურდა აღენერა გერმანელი ექიმის, ფრიდრიხ იოზეფ ჰაასის ისტორია; ეს უკანასკნელი წარმოშობით მიუნსტერის აიფელიდან იყო და 1825 წელს დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ „გადასახლებულთა ანგელოზად“ მონათლეს. მიუნსტერის აიფელზე პასუხისმგებელი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის დეპუტატი ალოის მერტესი გახლდათ, განმუხტვის პოლიტიკის დაუფარავი მოწინააღმდეგე, რომელსაც ვერ დაევიწყებინა „გაერთიანების“ სასტიკი დამარცხება, ორი წლის წინათ, ნდობის ვოტუმის კენჭისყრაში. მას ვთხოვე კოპელევს დახმარებოდა და ცოტა ქარაფშუტულად ვუთხარი: „კაცმა რომ თქვას, მუსიკა მინდოდა მესწავლა, მაგრამ ფიურერმა არ დამანება“. მშრალად მომიგო: „აფსუს! აი, ჰიტლერის კიდევ ერთი შეცდომა“.

მუსიკის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა. საშინლად განვიცადე, როცა ვერმახტში გატარებული ორი წლის შემდეგ ფორტეპიანოს სწავლას იქ ველარ გავაგრძელებდი, სადაც შევწყვიტე. ამიტომაც აღმაფრთოვანებდა ხოლმე ჰელმუტ შმიდტის საკონცერტო ნიჭი. ბრანდტი მუსიკის სფეროში დილექტანტი იყო. როდესაც მოგზაურობისას მასპინძლებს ეგონათ ხოლმე, რომ ხალხური მუსიკით სიამოვნებას მიანიჭებდნენ, ზრდილობიანად კი უსმენდა, მაგრამ ინტერესს არ ავლენდა. სავალდებულო ვაიბერფასტნახტის დროსაც კი არ ჩნდებოდა ხოლმე, როცა „შერეკილები“ ბონში პარტიის ცენტრალურ ოფისში გვაცხრებოდნენ თავს. მხოლოდ ერთხელ ვნახე გასაოცარი აკუსტიკის მქონე ბერლინის ფილარმონიაში – დარბაზის გახსნაზე. ოპერის, თეატრის ან გამოფენების მიმართ ინტერესი არ შემიტყვია. იმ ღონისძიებებზე, სადაც მიდიოდა, როგორც წესი, სიტყვით გამოსვლა უწევდა. იშვიათად ეძლეოდა შესაძლებლობა, შინ წყნარად ეკითხა; ამიტომ, გასაგებია, რომ ნაკლებად ხიბლავდა სხვების მოსმენა.

შმიდტთან ჭადრაკის თამაში შემედლო, საბედნიეროდ, თითქმის ერთ დონეზე ვთამაშობდით. წარმოუდგენელი იყო, მასთან ერთად ცოტა გაბედულ ანეკდოტზე გაგცინებოდა. ვილი და მე ერთმანეთს სულ ახალ-ახალ ანეკდოტებს ვუყვებოდით. როცა ვინრო წრეში ვილი ყვებოდა, ყველაზე მეტად თავად ხალისობდა.

ბრანდტს სერიოზული საუბრები მწერლებთან, მაგალითად ჯგუფი 47-ის წევრებთან, ძალიან სიამოვნებდა. ამ საუბრებიდან ისრუტავდა არგუმენტებს, მოსაზრებებს, გაფრთხილებებს და იდეებს, რომელთაც თავის პოლიტიკურ ყოველდღიურობაში ვერსად გაიგონებდა და ამდიდრებდა საკუთარ სამყაროს და საკუთარ ორიენტაციას, სადაც თავს მყარად გრძნობდა. გამორიცხულია, როდესმე თავში მოსვლოდა ფრაზა, რომელსაც შმიდტი ხშირად ხმარობდა: ისტორიის სქოლიო ვარო. გინდაც

მოსალოდნელი წინააღმდეგობის გამომწვევ თავმდაბლობად მიგველო ეს გამონათქვამი, საკუთარ თავში მსგავსი დაეჭვებისგან ბრანდტი ემანსიპირებული იყო. სამაგიეროდ, შმიდტი შესაშური აქტიურობით მონაწილეობდა კულტურულ ცხოვრებაში და ფილოსოფიურ დებატებში და ისეთი ფართო სულიერი დიაპაზონი გამოიმუშავა, ბრანდტს რომ არასოდეს მოუნდომებია.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ამ ორ კაცს ერთი რამ აკავშირებდა – ორივეს დამოუკიდებლად მიეღწია თავ-თავიანთი აღმავლობისთვის. არც ემიგრაციიდან დაბრუნებულისთვის და არც ვერმახტის ყოფილი ოფიცრისთვის არ წაუკრავს ვინმეს ისე ხელი, რომ ვალში ყოფილიყვნენ. ორივე ალფა-ცხოველმა საკუთარ გზაზე იარა. მათ განსხვავებულ ხასიათს, ინტერესებსა და ნიჭს, – პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე საერთო საქმეში გამოვლენილი დისციპლინა რომ არა, – შეიძლებოდა შეუქცევად კონფლიქტებამდე მივეყვანეთ.

სახელი, რომელიც მე მომანიჭეს – „განმუხტვის პოლიტიკის არქიტექტორი“ – შესაფერად მიმაჩნია: მშენებლობის დამკვეთი ბრანდტი გახლდათ. იგი მაძლევდა მითითებებს და იცოდა, სად და როდის უნდა დაგკითხოდი მას. მშენებლობის დამკვეთის გარეშე არქიტექტორი ვერ გავხდებოდი. სამართლიანად უკავშირდება გერმანიასა და ევროპაში ბევრი შენობა ბრანდტის სახელს, მათი არქიტექტორების სახელი კი გაფერმკრთალდა და მხოლოდ ექსპერტებმა და დამფასებლებმა თუ იციან. ჩვენს ნაწერებსაც იგივე ბედი ეწევა. მე ბევრი რამ გამოვაქვეყნე ბრანდტის სახელით და არასდროს მომიწონებია ამით თავი. რასაც ის ცვლიდა, ასწორებდა ან მიიღებდა შეთანხმებულად თუ შეთანხმების გარეშე, უკვე მისი საკუთრება ხდებოდა. უბრალოდ, უჩვეულო იყო, როგორ გამოგვდიოდა ეს ამბავი!

მომეცა შესაძლებლობა, მესწავლა ბერძნული, ამ პრივილეგიას დღემდე უაღრესად ვაფასებ. არც ბრანდტს და არც შმიდტს არ დასჭირვებიათ ამ ენის სწავლა, რომ ჩანვდომოდნენ ანტიკურ სიბრძნეს: „შეიცან თავი შენი“ და მის მიხედვით ეცხოვრათ. ერთობლივი საქმისთვის საჭირო დისციპლინამ მათთვის თვითშეცნობა ხასიათის ნაწილად აქცია.

„როდესაც ვილი ბრანდტი 1961 და 1965 წლებში კანცლერობის კანდიდატად წარვადგინეთ, საჯაროდ არავის უთქვამს, მე უკეთესი კანდიდატი ვარო“. შმიდტის ეს მოგვიანებით ნათქვამი სამი წლით ადრე გარდაცვლილ ბრანდტს აღარ წაუკითხავს. გაახალისებდა, რადგან თავადაც ასე ფიქრობდა. მათ ერთმანეთისთვის არასოდეს გაუმხელიათ, რას ფიქრობდნენ ერთმანეთზე. პატივისცემა და აღიარება სუბიექტურ, ერთის მიერ მეორის სისუსტეების შესახებ საკმაოდ გამყარებულ შეფასებას ამარცხებდა. „საკუთარი ტყავიდან ვერავინ გამოძვრება“, მისწერა ერთხელ ბრანდტმა შმიდტს. შმიდტსაც თავისუფლად შეეძლო იგივე მიეწერა ბრანდტისთვის.

## „რაც უფრო ვბერდები, მით უფრო მემარცხენე ვხდები“

ბონში, პარტიის თავმჯდომარის კაბინეტში როზა ლუქსემბურგის პორტრეტი ეკიდა. მთავარ ოფისს ბონის პერიოდის დასაწყისიდანვე „ბარაკებს“ ეძახდნენ, თუმცა, ამასობაში, საკმაოდ წარმომადგენლობით და სოლიდურ შენობად იქცა, რადგან არ ვიცოდით, რამდენ ხანს შენარჩუნდებოდა გერმანიის გაყოფა. რეფორმატორი კომუნისტის პორტრეტი, რომელიც ნებისმიერ მომსვლელს თვალში ხვდებოდა იმ „დუნე“ სოციალ-დემოკრატიის კაბინეტში ეკიდა, ვინც ჯერ აერჩიათ და მერე გადაერჩიათ. ამის თაობაზე ერთხელ ბრანდტმა თქვა, მაოცებს ამ ქალის სიმტკიცე: „სოციალიზმი არ არსებობს დემოკრატიის გარეშე, მაგრამ არც დემოკრატია არსებობს სოციალიზმის გარეშე“.

როდესაც 1981 წელს ფრანსუა მიტერანი საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს, ვილი ალფრთოვანებას გამოხატავდა და მიესალმა მის განზრახვას, კომუნისტები შეეყვანა მთავრობაში. მე კი, ომგამოვლილსა და ცივი ომის მომსწრეს, ეს, ცოტა არ იყოს, მაფიქრიანებდა. ვილიმ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში დაიწყო პოლიტიკური აზროვნება და ისეთი რამ გადაეტანა, რაც მე არ გამომიცდია. „მოიცადე“, დამარიგა ჭკუა, „ამით შეიძლება კომუნისტების მარგინალიზაცია მივიღოთ“. რამდენიმე წლის შემდეგ მივხვდი, რომ ბრანდტმა და მიტერანმა ზუსტად გათვალეს და სწორად იმოქმედეს.

როდესაც ვილი ემიგრაციის პერიოდზე ჰყვებოდა, სიამოვნებით იხსენებდა ხოლმე პარიზში ჰაინრიხ მანთან შეხვედრას. ეს ის დრო იყო, როცა კომუნისტები ერთნაირად ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატებსა და ნაცისტებს. ფრანგი სოციალ-დემოკრატები კი სახალხო ფრონტზე მემარცხენე ძალების თანამშრომლობას უწყობდნენ ხელს, რაც ბრანდტს მოსწონდა. მაშინ გაიცნო კომუნისტი ჰერმან აქსენი, მოგვიანებით იგი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი გახდა; მასთან შევათანხმე ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში პარტიულ დონეზე ცენტრალურ ევროპაში ატომური და ქიმიური იარაღისგან თავისუფალი ზონის საკითხი. ბონში ერთ-ერთი ვიზიტისას აქსენმა სურვილი გამოთქვა ვილი ბრანდტისთვის ხელი ჩამოერთმია. ვილი უკვე დიდი კაცი იყო. ბრანდტი სიამოვნებით შეხვდა, შინაურულად მიმართა პარიზის მერე თითქმის ორმოცდაათი წლის უნახავ მორიდებულ ჰერმანს, რომელიც ისეთი აღელვებული იყო ამ შეხვედრით, რომ მისდაუნებურად თქვენობით ელაპარაკა ბრანდტს და მერე საკუთარ თავს იმუნათებდა, ვაითუ ვილიმ არასწორად გაიგო.

აქსენი ჰონეკერის შვებულებიდან დაბრუნებას დაელოდა, რათა ეგონ კრანცისგან ჩემი და ჩემი ცოლის დარსზე დაპატიჟების ნებართვა მიეღო. პოლიტბიურომ მას იქ დასაბინავებლად მშვენიერი, მაგრამ არცთუ დიდი სახლი გამოუყო. ბერლინში რომ ვბრუნდებოდით, გზაში უფრო თამამად ლაპარაკობდა, იცოდა, რომ არ უსმენდნენ და ბონში ვილისთან შეხვედრა გაიხსენა გულაჩუყებულმა. მხოლოდ სამი წლით უმცროსი იყო ბრანდტზე და თავს მუშათა მოძრაობის პირმშოს უწოდებდა. პარიზის შემდეგ თან სდევდა აზრი, რომ მემარცხენე მოძრაობის გახლეჩამ საშინელი ზარალი გამოიწვია და ნაწილობრივ მაინც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ყველა იმ კატასტროფაზე, რაც შემდეგ მოხდა. ღირდა ოფლისღვრად ამ გახლეჩის გადალახვა. მას, როგორც პატრიოტს, სურდა, რომ ეს მიზანი დაესახა ჩვე-

ნი ქვეყანისთვის და საერთოდაც, არაფერია საწინააღმდეგო, როდესაც პარტიული ჯარისკაცი ასეთ ხედვაზე დაუფარავად ყველგან ვერ ლაპარაკობსო. როდესაც ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესახებ ვანარმოებდით მოლაპარაკებებს, თავის თანამშრომლებს აფრთხილებდა, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს დასავლეთგერმანელები კლასობრივი მტრები არიანო. მე მას გაგებით ვეკიდებოდი და შევძელი დამერწმუნებინა, მეც შენსავით ვაფრთხილებდი ჩემს თანამშრომლებს, კოლეგებისგან დაახლოების ყალბ მცდელობას ნუ წამოეგებით-მეთქი.

ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად, მშვიდობის შენარჩუნებას პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭეს. „კამათის კულტურა გულისხმობს ღია დისკუსიას სისტემების შეჯიბრის შესახებ“ – ამ თეზისს გდრ-ის პარტიის ზედა ეშელონებში მეტი წინააღმდეგობა მოჰყვა, ვიდრე სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ.

\*

ვილიმ საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს მთხოვა შევხვედროდი მის მეგობარს, ლეო ბაუერს, რომელსაც ახლო ურთიერთობები ჰქონდა იტალიასთან და სერჯიო სეგრეს – იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, რათა მათთვის განმემარტა ჩვენი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. მიზანი ეს იყო: მოსკოვს ამ გზით უნდა მიეღო ჩვენი მოსაზრებები პირველი ხელიდან და მარტო ულბრიხტის შემოკლებულ და არასწორ ინფორმაციას არ უნდა დაყრდნობოდა. სეგრესთან ხანგრძლივი საუბარი იმ დღის წინა საღამოს შედგა, როდესაც მე რაინჰარდ გელენთან უნდა მივსულიყავი

ფედერალურ საინფორმაციო სამსახურში. გელენმა ამიხსნა ფედერალური საინფორმაციო სამსახურის სტრუქტურა და სიტყვა არ დაუძრავს იმის შესახებ, რომ მიუნხენის ერთ-ერთ სასტუმროში სეგრეს, ბაუერისა და ჩემი საუბარი მოისმინეს და ფედერალურ კანცლერს მოახსენეს. კიზინგერი ჩემი ზეპირი განმარტებით დაკმაყოფილდა.

ლეო ბაუერი გავიცანი, როგორც მემარცხენე სოციალისტი. იგი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ვილი ბრანდტიც და ჰერბერტ ვენერიც მეგობრად მიიჩნევდნენ. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა მის თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებაზე. „ყოველთვის სოციალისტი ვიყავი, ოღონდ არასწორ ძალას მივენდე“. – ამ ლოზუნგით შევიდა 1932 წელს ახალგაზრდა იმედგაცრუებული სოციალ-დემოკრატი გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. ნაცისტების „დაცვის მიზნით პატიმრობისგან“ რომ გაათავისუფლეს, 1933 წელს პრალის გავლით გაიქცა პარიზში, იქ დაჰყო 1939 წლამდე, გადასახლებაში მყოფი კომუნისტური პარტიის მმართველობაში, 1940 წელს საფრანგეთში პატიმრობას თავი დააღწია და შვეიცარიაში გაიქცა, იქ 1942 წელს ისევ დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, 1945 წელს გაათავისუფლეს და გერმანიაში გაუშვეს, შემდეგ გახდა ჰესენის კომუნისტური პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე, იყო აღმოსავლეთ ბერლინში გერმანიის რადიოს მთავარი რედაქტორი, 1950 წელს ისევ დააპატიმრეს და საბჭოთა(!) სამხედრო ტრიბუნალმა ჯაშუშობის ბრალდებით სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ოცდახუთი წლით გააციმბირეს და 1955 წელს იყო ერთ-ერთი იმ 10 000 გერმანელ ტყვეთაგან, რომლებიც ადენაუერმა მოსკოვში ვიზიტისას გამოიხსნა და საბედნიეროდ, ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოუშვეს და არა გდრ-ში. შემდეგ შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და როდესაც ნანენს უარი ვუთხარი ჟურნალ „შტერნში“ მუშაობაზე, მან ჩაიბარა „შტერნის“ პოლიტიკურ



გამოცემად ჩამოყალიბების საქმე. ბოლოს გახდა „ნოიე გე-ზელშაფტის“ მთავარი რედაქტორი და თანმდებობისა და ტიტულის გარეშეც ითავსებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის ურთიერთობების წარმომადგენლისა და მოტორის ფუნქციას. 1972 წელს, ვილის ისტორიულ არჩევნებამდე ზუსტად ორი თვით ადრე, გარდაიცვალა განსაკუთრებით აგრესიული კიბოთი.

ამ მემარცხენე სოციალისტზე ნაკლებად მზაკვრულ ეჭვებს როდი ავრცელებდნენ, ვიდრე ბრანდტზე და ვენერზე. მე მისდამი მეგობრულად ვიყავი განწყობილი და ვაფასებდი როგორც მგრძნობიარე, ინტელიგენტ და სიმპატიურ ადამიანს, რომლის ცხოვრების გზამაც განსაზღვრა მისი ცნობიერება და ბრანდტისა და ვენერის წინაშე საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება შეაძლებინა.

„განზე მდგომის კარიერა – ლეო ბაუერი კომუნიზმსა და სოციალ-დემოკრატიას შორის“ ჰქვია ამასობაში თითქმის დავიწყებული ადამიანის ბიოგრაფიას, რომელიც 1983 წელს გამოიცა. წიგნის ბოლოს სათაურით – „სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტრადიციისა და იდენტობის შესახებ“ დაბეჭდილია ინტერვიუ ვილი ბრანდტთან, რომელშიც მას კითხვებს უსვამენ „დღევანდელი პერსპექტივიდან“, მაგრამ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდიდან დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. „ჩემთვის ვაიმარიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა გახლავთ ის, რომ უაზროდ კამათობდნენ იმის თაობაზე, დემოკრატიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა თუ სოციალიზმს“, იწყებს ბრანდტი. „ორივე მათგანის ისტორიული მარცხი – ანდა სამივე მათგანის – მუშათა ძველი მოძრაობის ძირითადი მიმართულებები იმაში მდგომარეობს, რომ ომის შემდეგ დემოკრატია საკმარისად არ განმტკიცდა. მე კვლავაც მწამს, რომ ჰიტლერის შეკავება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა განხეთქილება მუშათა მოძრაობაში. ამისათვის ისტორიუ-

ლი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მძიმედ ეკისრება გერმანიის კომუნისტურ პარტიას და მოსკოვის ჰეგემონიას. მუშათა მოძრაობას მთლიანობაში არ გააჩნდა საკმარისად განვითარებული ურთიერთობა დემოკრატიულ ხელისუფლებასთან“.

როდესაც ბრანდტს „გამოცდილების საერთო ჰორიზონტი“ უხსენეს, განაგრძო: „თაობისთვის დამახასიათებელ ფონს მთლიანობაში სერიოზულად უნდა შევხედოთ. არა მხოლოდ ლეო და ჩემსავით მემარცხენე სოციალისტები და ყოფილი კომუნისტები, არამედ ჩვენი თანატოლების უმრავლესობაც, რომლებიც სოციალ-დემოკრატებად დარჩნენ, ჩვენს დროში თავს გრძნობდნენ მუშათა იმ მოძრაობის მემკვიდრეებად, რომელიც მსოფლიო ომის დროს გაიხლიჩა და ყველა იმედოვნებდა ისევ გამთლიანებას“.

მრავლისმეტყველია, რომ ყოფილი კომუნისტი ვენერი ამ განსჯისას არ უხსენებია. ვენერი ბაუერზე ექვსი წლით უფროსი გახლდათ, ეს უკანასკნელი კი ზუსტად ერთი წლით უფროსი იყო ბრანდტზე. ასეა თუ ისე, ბრანდტმა 1983 წელს ამ ინტერვიუთი დაამტკიცა, რომ მკაფიოდ ახსოვდა ომისა და მისი შემდგომი პერიოდი. და გამოამჟღავნა აზროვნების საოცარი თანმიმდევრობა – 1946 წელს, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის შვედეთის ჯგუფის წამყვანი წევრი იყო, თავის შვედ მეგობრებს შეუთვალა: „ფაქტია, რომ ერთიანი მუშათა მოძრაობის შექმნის შანსი გერმანიაში უშუალოდ ჰიტლერის რეჟიმის დაცემის შემდეგ არსებობდა და ეს შანსი არ გამოყენებულა“. ასე წერდა, როცა ბერლინში ადმინისტრაციულად მზადდებოდა გერმანიის კომუნისტური პარტიის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შერწყმა. 1983 წელს მიცემულ ინტერვიუში სინანული გამოხატა, რომ მათი რიცხვი მცირდება, ვინც ჯერ კიდევ „ბაბელის დროინდელი პარტიის“ წევრებს იცნობდა. მაშინ რომ ვინმეს ეთქვა, მხოლოდ რამდენიმე წელი გავა და კომუნისტების პაპი მოსკოვში მხარს დაგიჭერს მუშათა მოძრაობის გახლეჩვის დაძლევაშიო, ალბათ გიჟად შერაცხავდა.

\*

1985 წელს მიხეილ გორბაჩოვი შევიდა კრემლში როგორც სკკპ-ს გენერალური მდივანი. მას და ბრანდტს შორის სამი შეხვედრა 1985, 1988 და 1989 წლებში შედგა. ეს შეხვედრები სოციალ-დემოკრატიებსა და კომუნისტებს შორის ურთიერთობების ამაღლებელ და დაუმთავრებელ მონაკვეთს წარმოადგენს. პირველი შეხვედრა მარტივად წარიმართა, ბრანდტის და პალმეს კომისიების მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაეთმო. ორივე დოკუმენტი ერთნაირად აფასებდა ახლად წარმოქმნილ გლობალურ სოციალურ საკითხებს, ორივე მათგანი სოციალ-დემოკრატიების შედგენილი იყო. ამიტომ, ბრანდტმა შეხვედრისას სიფრთხილე გამოიჩინა. მას არ გამოჰპარვია, რომ გორბაჩოვს თავისი პარტიისთვის ახალი მიმზიდველობის მინიჭება და სტალინის მიერ ჩადენილი დანაშაულების შემდეგ ლენინის იდეების გაცოცხლება სურდა. ბრანდტს მისი ხედვა სულაც არ მოსჩვენებია მიმზიდველად.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ აღელვებულმა მივირბინე ვილისთან და გორბაჩოვის ბოლო განცხადების ნაწყვეტი წავუკითხე: „დემოკრატია ისევე გვჭირდება, როგორც ჰაერი სუნთქვისთვის“. ამით გადაწყდება ისტორიული ბრძოლა ევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურას შორის-მეთქი. ბრანდტმა გამაფრთხილა, საჯაროდ არაფერი თქვაო: „ნუ გავურთულებთ გორბაჩოვს ისედაც რთულ საქმეს“.

მეორე შეხვედრისას გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა, არაფერი მაქვს სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობის საწინააღმდეგო, გინდაც პარტიებს განსხვავებული პოზიციები ჰქონდეთ და თვით საზღვრავდნენ თავიანთ გზასო. წინადადებით გამოვიდა, ორივე პარტიიდან რამდენიმე ახალგაზრდამ სცადოს და მუშათა მოძრაობის განხეთქილების საკითხი დაამუშაოსო. ეს წინადადება მომხიბვლელიც გახლდათ და თან უაღრესად

საშიშიც. ერთის მხრივ ვგრძნობდი, როცა ვილის ვუყურებდი, როგორ წონიდა პასუხს – მისი გაუმხელელი ოცნებები გადამდები ხდებოდა. მეორე მხრივ კი, ქვეყნის შიგნით, ჰაერშივე გაგებრდღვნიდნენ. უკვე წარმოვიდგინე, როგორ დაბეჭდავდნენ თავიდან აღენაურერის სიძულვილით აღსავსე პლაკატს: „სოციალიზმის ყველა გზას მოსკოვში მივყავართ“. როგორც ყოველთვის, უსიტყვოდ გავუგეთ ერთმანეთს. ვილიმ ჩაილაპარაკა: „ეგონი ძალიან ნერვიულად წრიალებს სკამზე, მგონი რალაცის თქმა უნდა“. ჩემი წინადადება, ჯერ შეიარაღების კონკრეტულ შემცირებაზე და ევროპული სახლის მოწყობაზე გვეყარა კენჭი, ორივეს მოეწონა.

გორბაჩოვმა მაინც გადაწყვიტა, დისკუსიაზე მარქსისტულ-ლენინისტური ელიტა გამოეყვანა, რომელსაც სოციალისტური ინტერნაციონალის „რევიზიონისტი“ თავმჯდომარე უხელმძღვანელებდა. ბრანდტმა აღიარა, „კაპიტალი“ ბოლომდე არ წამიკითხავსო. მარქსმა ვერც ელექტროძრავი იწინასწამეტყველა და ვერც ატომის ბირთვის გახლეჩაო. დიდი მოაზროვნე იყო და იქნებო, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმატება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დახურული სისტემა არ აქვთ, ყოველთვის ცდილობენ აუცილებელი შესაძლებლად აქციონო. ფეხი არ მოიცვალა ევოლუციის პრინციპიდან. გამოხმაურება ვერ მიიღო. იდეოლოგიური ელიტის წევრები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ.

მესამე შეხვედრისთვის ბრანდტმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის სათაურები ათარგმნინა. გორბაჩოვმა წაიკითხა და აღფრთოვანებულმა უპასუხა: „ეს ჩემი თემებია“. ბრანდტმა ამჯერად უფრო ცხადად გაუმხილა თავისი იმედი და ხედვა: სოციალიზმის დასასრულის შესახებ ლაპარაკის მაგივრად, ერთხელ უნდა ითქვას, რომ დედამიწის ერთ დიდ ნაწილში ახლა იგი თავიდან იწყებაო. გორბაჩოვმა შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „დაახლოების პროცესი უნდა განვი-

თარდეს. 1914 წელს მომხდარი გახლეჩვის დაძლევა შესაძლებელია“.

მოსკოვიდან რომ ვბრუნდებოდით, ბრანდტი გზაში ჩაფიქრებული იყო. მიხეილ სერგეევიჩ გორბაჩოვის სახით იგი შეხვდა კაცს, რომელიც, მის მსგავსად, გაბედულად ცდილობდა „ახალი აზროვნების“ გარისკვას, და თან ჰქონდა ძალაუფლება, რომელიც თვითონ არასოდეს ექნებოდა. მასში სოციალისტმა გაიღვიძა: „იდეა ვერ მოკვდება, სანამ ბავშვები შიმშილით იხოცებიან“.

არა მხოლოდ კომისიის შედეგებმა გადასწია მისი პოზიცია მარცხნივ, არამედ მის შესახებ დისკუსიამაც, მათ შორის კონსერვატორული მთავრობების და ინდუსტრიის წარმომადგენლების მხრიდან, რასაც ბრანდტი დაცინვად აღიქვამდა. „ერთობლივი უსაფრთხოების“ იდეა და საშინელ უსამართლობაზე მინიშნება, რომ შეიარაღებაზე გიჟური თანხები იხარჯებოდა და ამავე დროს თითქმის არაფერი სიღარიბის დასაძლევად, მას მეოცნებობად ჩამოართვეს. აწყენინეს, მაგრამ ვერ შეადრკეს. ქარიზმატულ გორბაჩოვთან ერთად მას ახალი იმედი ჩაესახა: „ეს შორს წაგვიყვანს“. ორგანიზებული სიგიჟე ორგანიზებულ გონიერებაში გადაიზრდებოდა, მის საკუთარ ქვეყანაშიც კი. მან მკითხა: „რას იტყვიან შენი ძმები აღმოსავლეთ ბერლინში?“ ვუპასუხე: „მათთვის სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ ეს გზა სოციალ-დემოკრატიული და ერთიანი სოციალისტური პარტიების ერთობლივ დოკუმენტში მონიშნულია“. ბრანდტის მოლოდინმა ისტორიული განზომილება შეიძინა: „თუკი კომუნისტები მარჯვნივ გაიწევიან, სოციალ-დემოკრატებს შეხვდებიან. ეს კი სოციალ-დემოკრატის ევროპაში დიდ შანსს გაუჩენს“. პირველად არ იყო, მისგან რომ გავიგონე: „რაც უფრო ვბერდები, მით უფრო მემარცხენე ვხდები“.

\*

კედლის დანგრევის მეორე დღეს, 1989 წლის 10 ნოემბერს ვილი და მე ბერლინში „ჩვენი“ შიონებერგის რატუშის წინ გამართულ დიდ მიტინგზე წავედით. ბარათზე რამდენიმე ფრაზა ჩაინიშნა, მათ შორის: „ახლა ერწყმის ერთმანეთს, რაც განუყოფელია“. ოც წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ წავიკითხე შლეზვიგ-ჰოლშტაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკოსის, გერტ ბიორზენის სტატიაში, რომ ბრანდტს 1961 წელს, კედლის აშენებიდან მალევე უთქვამს ბერლინის პარლამენტში, რომ „რაც განუყოფელია, ის აუცილებლად შეირწყმებაო“. ეს არის ჩემ მიერ ხშირად აღმოჩენილი უნარი ბრანდტისა – მას შეეძლო მოგონებები მიეპარებინა გონისთვის და მაშინ გამოეძახა, როცა დასჭირდებოდა. კიდევ ერთი, უკვე ნახსენები მაგალითია, როცა 1960 წელს ჰანოვერში ყრილობაზე გამოსვლის მომზადებისას გაახსენდა 1957 წელს ჩემი ნათქვამი გერმანიის ატომური შეიარაღების შესახებ, რომელზეც აღარ გვისაუბრია. და მესამე მაგალითი: 1969 წელს მისი პირველი მთავრობის პროგრამიდან: „მეტი დემოკრატია გავზედოთ!“, რომელმაც ფურორი მოახდინა და დასაბამი დაუდო დებატებს, ვის შეეძლო თავი მოეწონებინა, რომ წვლილი შეიტანა გერმანიაში დემოკრატიის განსამტკიცებლად. ნორვეგიის კუნძულ უტოზიზე ანდერს ბრეივიკის შემზარავი დანაშაულის შემდეგ, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა თქვა: „მეტი დემოკრატია უნდა გავზედოთ!“. ამის შემდეგ ეჭვი აღარ მეპარება, რა არის ამ ფუნდამენტური გამონათქვამის წყარო.

1990 წლის 3 ოქტომბრის გაერთიანების შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუტ კოლმა სამომავლო დიდ მიზნად შიდა გაერთიანება გამოაცხადა. ყველა მრავალრიცხოვანი პარტია უჭერდა მას მხარს. ბუნდესტაგის საგამოძიებო კომისიაზე კი აღნიშნა: „ჩემთვის რომ ეკითხათ, ვიცი, რასაც ვუზამდი

შტაზის ოქმებსო“. სამწუხაროდ, მისთვის არ უკითხავთ, მაგამ მისი შეფასება ძალიან ჰგავდა ბრანდტისას: ესპანეთში სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, გერმანული მეთოდით რომ ეხელმძღვანელათ. და : „აღმოსავლეთ გერმანელები არ შეიძლებოდა იმავე საზომით გაგვეზომა, როგორც მესამე რაიხისგან დარჩენილები“. ჰელმუტ შმიდტმაც მსგავსი აზრი ჩამოაყალიბა: „საზიანოა, რომ 1990 წლის შემდეგ კომუნისტებს უარესად მოვექეციით, ვიდრე ნაცისტებს 1945 წლის შემდეგ“. გენშერი და ლაფონტენიც ამ ძალიან დიდ კოალიციას ეკუთვნოდნენ. მაგრამ ამ კოალიციამ თავისი ვერ გაიტანა აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეთა უფლებადამცველების სურვილის წინააღმდეგ, რამაც დასავლეთ გერმანიაში შექმნა შთაბეჭდილება, რომ შტაზი და გდრ ერთი და იგივე იყო. ასე დაიყვნენ ძმები და დები აღმოსავლელებად და დასავლელებად და ოცი წლის შემდეგაც იმაზე ვფიქრობთ, როდის მივალწევთ თანასწორუფლებიანობას.

## ის, რაც რჩება

ბრანდტის თემები დღესაც აქტუალურია: 2013 წელს მსოფლიო ამოცანის წინაშე დგას, მიაღწიოს სტაბილურობას აზიის უზარმაზარ კონტინენტზე, ეს თითქმის ისეთივე კონფლიქტია, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებისას წარმოშვა ევროპაში ორმა სუპერ-სახელმწიფომ. ბრანდტის მთავარი გზავნილი დღესაც ძალაშია: – მშვიდობა ყველაფერი არ არის, მაგრამ მშვიდობის გარეშე ყველაფერი არაფერია. როდესაც მან ეს წინადადება ჩამოაყალიბა, მსოფლიო ვერ წარმოიდგენდა, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვში სახელმწიფო მოღვაწეებს ეყოფოდათ სიბრძნე, პასუხისმგებლობა და გონიერება, ცივი ომის საზღვრებს მიღმა ემოციებს არ აჰყოლოდნენ.

აზიის საკითხი კიდევ უფრო რთულია. მართალია, მხოლოდ ორ დიდ სახელმწიფოს ხელეწიფება ინტერკონტინენტალური ატომური რაკეტებით რეაგირება, მაგრამ ისინი ბრძანებებს ვედარ გასცემენ და ვერც თვითონ გადანყვეტენ, როგორ უნდა მოიქცნენ მათი დაცვის ქვეშ მყოფნი, მეგობრები თუ მეკავშირეები. გინდაც ჩინეთის ატომურ იარაღს არ შეეძლოს საპასუხო დარტყმის განხორციელება, ეს ახალი სუპერ-სახელმწიფო საკმარისად ძლიერია, რომ არ დაემორჩილოს ვაშინგტონისა და მოსკოვის მითითებებს. იგივე ითქმის ინდოეთსა და პაკისტანზე და ატომური იარაღის არმქონე ინდონეზიასა და იაპონიაზე და, თუ გნებავთ, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაზეც კი.



ალბათ ბარაკ ობამას მიერ მოსკოვის მიმართ ამერიკის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გარდაქმნა კონფრონტაციის რეჟიმიდან კოოპერაციის რეჟიმზე უფრო ძლიერ გლობალურ განზომილებას შეიძენს. რაც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში წარმატებული აღმოჩნდა, ახლა თავიდან უნდა ისწავლოს ბევრმა: დემოკრატია და ადამიანის უფლებები კი არა, არც თავისუფლება, არამედ მშვიდობა უნდა გახდეს გლობალური მოვლენა და უმაღლესი ღირებულება. იმ პარტნიორობის მიმართაც, რომლებიც არ იზიარებენ დასავლური დემოკრატიის სტრუქტურას, დიალოგი რჩება ერთადერთ საშუალებად, რათა გონივრულად მოგვარდეს კონფლიქტები და დაბალანსდეს ინტერესები. ვერცერთი დიდი გლობალური თუ რეგიონალური პრობლემა ვერ გადაიჭრება სამხედრო გზით. ძალის არგამოყენება ისევ აქტუალური თემაა, არა მხოლოდ როგორც სუსტის ძლიერი მხარე, არამედ როგორც საფუძველი იმისა, რომ გავუმკლავდეთ დიდ, გლობალურ პასუხისმგებლობას.

უცნაური სულაც არ ყოფილა – როგორც მეგობარმა ვკითხე ვილის უფროს ვაჟს, პეტერს, რას ფიქრობ, რომ შეიქმნას სადისკუსიო წრე, რომელიც განიხილავს, თუ რა დარჩება მამაშენის პოლიტიკური შეხედულებებისგან-მეთქი. გარდა ამისა, ვკითხე გიუნტერ გრასს, კრიტიკულ მეგობარს, რომელიც იმ მომენტში სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ურთიერთობის კიდევ ერთ მძიმე ფაზას გადიოდა. მან მაშინვე განაცხადა თანხმობა მონაწილეობაზე. ასე შეიკრიბა გაერთიანებული ქვეყნის ორივე ნაწილის წარმომადგენლებისგან ჯგუფი, ინტელექტუალურად დამოუკიდებელი ადამიანები, ზოგს ჰქონდა ბმა პარტიასთან და ზოგს არა, მაგრამ ყველა იზიარებდა ვილი ბრანდტის პოზიციას, რომ ცენტრიდან მარცხნივ უნდა გვეცადა და ძალაუფლებასა და სულიერებას შორის ნაპრალის ამოვსება. ვილი ბრანდტის საზოგადოების დამაარსებლებს შორის იყვნენ გიუნტერ გაუზი და კრისტა ვოლფი, დღეს არცერთი ცოცხა-

ლი აღარაა, ქრისტინე ჰომან-დენჰარდტი, იენს რაიხი, კლაუს სტიკი და ფრიდრიხ შორლმერი, რომელიც კარგა ხანია წარმართავს ჩვენს შეხვედრებს. თემები არ გველევა.

ვილიმ 1971 წელს დაბადების დღეზე ჰაინრიხ ბრიუნინგის მოგონებები მაჩუქა მინაწერით: „ასე არა!“ მაშინ, 1930 წელს, ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე წერტილზე, გადაჭარბებულმა დაზოგვის პოლიტიკამ რესპუბლიკის მონინალმდეგეები გააძლიერა, დემოკრატია დაასუსტა და მისი დასასრული გამოიწვია. როცა ძალიან ბევრი ადამიანი გაჭირვებულია და იმედს კარგავს, დემოკრატია საფრთხეშია. ამას ვხედავთ საბერძნეთში, მას გარედან საგარეო-პოლიტიკური წნეხიც ემატება, რაც ქვეყნის ღირსებას ლახავს.

მისი „ასე არა!“ დღევანდებლობაზე რომ გადმოვიტანოთ, მიაწინებებს: დემოკრატიას საფრთხე მხოლოდ ევროპულ დონეზე არ ემუქრება. ადამიანებს ესმით, რომ ეკონომიკის, ვალუტისა და ვაჭრობის საკითხები ეროვნულმა სახელმწიფოებმა, რომელთა არსებობაც აუცილებელია, ევროპას გადააბარეს. მაგრამ რიგითი მოქალაქე ექსპერტი არ არის, რომ ფინანსური კონსტრუქციების, სახელმწიფოების დაფინანსების ან ბანკების გადასარჩენი კონცეფციების რიცხვებისა და სიტყვების დომხალი გაშიფროს. თუკი არ დაეზარა და წაიკითხა, შეიტყობს, რომ დაპირისპირებაა ევროკავშირის საბჭოს, ევროკავშირის კომისიას და ევროპის პარლამენტს შორის, რომელიც ხალხის წარმომადგენლობის სრული უფლებამოსილებისთვის იბრძვის. მოკლედ რომ ვთქვათ: სულ უფრო მეტი ადამიანი გრძნობს, რომ ევროპის დიდი იდეა იქცა ბიუროკრატიული აპარატების გაუგებარ ბრძოლად კომპეტენციისთვის. თუკი ეს ადამიანები ზურგს შეაქცევენ ევროპის იდეას, მისი სულიც ჩაქრება.

დემოკრატია ევროპული გამოგონებაა. პოლიტიკური ძალაუფლება უმაღლესი ხელისუფლის, ხალხის მიერ თავისუფალი არჩევნების საშუალებით გადაეცემა მთავრობას, და არა

ბაზარს. პოლიტიკამ საზოგადოების ინტერესები უნდა წარმოადგინოს. ამას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როდესაც ეკონომიკას კანონების საშუალებით დაუნესებს ჩარჩოებსა და წესებს, რომელთა შიგნითაც მათ შეუძლიათ თავიანთ მოგებაზე ორიენტირებული ინტერესების გატარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: დემოკრატია ბაზარზე უფრო მაღლა უნდა იდგეს.

ხისტ რეალობაში ფინანსების ეკონომიკამ ათწლეულების გასაყარამდე აღმოაჩინა შესაძლებლობა, განეცალკეებინა ფული პროდუქციისგან. მსოფლიო მასშტაბის სიხარბემ ვირტუალური ფულის მოსაპოვებლად საპნის ბუშტი შექმნა. როდესაც იგი გასკდა, ბანკების გადასარჩენად სახელმწიფოს მეტი არავინ აღმოჩნდა. მისმა გადასარჩენმა პაკეტებმა მანამდე წარმოუდგენელი თანხები შეადგინა და სახელმწიფოებმა თავიც და საკუთარი მოქალაქეებიც ვალებში გადააგდეს. ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ვინ ან რამ უნდა გადაარჩინოს ბოლოს თავად სახელმწიფოები?

ვილი ბრანდტის ლოზუნგს „მეტი დემოკრატია გავბედოთ!“ ანგელა მერკელმა დაუპირისპირა „მეტი თავისუფლება გავბედოთ!“. ამ პაროლმა მიგვიყვანა მისი „ძალაუფლების მიმართ კონფორმისტულ პოლიტიკამდე“. ბაზარმა სახელმწიფოები აქეთ-იქით აბურთავა ან სარეიტინგო აგენტურების საშუალებით ჩამოაქვეითა. ამოცანა შემდეგია: შევქმნათ „პოლიტიკურად კონფორმისტული ბაზარი“. გერმანიას, როგორც ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს ევროპის ცენტრში, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. მან უნდა მოიპოვოს ჩვენი ევროპელი მეზობლების მხარდაჭერა ამ მიზნის მისაღწევად. მეზობელ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო უკეთესით, რომ ჩვენი კონტინენტი თავის რაობას დაკარგავს, დემოკრატია თუ დაიკარგა. ასეთი ორიენტაციით ევროპას ჯერ კიდევ საკმაო წონა აქვს ამ მულტიპოლარულ სამყაროში. არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა გადაიღოს დასავლური დე-

მოკრატის მოდელი იმისთვის, რომ ბაზარი დაუქვემდებაროს პოლიტიკას. ამ ორიენტაციისთვის გლობალური კონსენსუსი ალბათ შედეგაა.

ჟორჟ სოროსი, წარმოშობით უნგრელი, ამერიკის მოქალაქე, საბჭოთა სისტემის ჩამოშლის შემდეგ გვაფრთხილებდა, რომ კაპიტალიზმიც შეიძლება ჩამოიშალოს, თუკი რეფორმირების უნარს დაკარგავს. ფინანსური ეკონომიკის მექანიზმებში ჩახედულობის ნყალობით, მან კიდევ ბევრი მილიარდი დოლარი იშოვა: გაუმარჯოს კაპიტალიზმს, სანამ იგი ცოცხალია! ისე ჩანს, თითქოს სოროსი მართალია, თითქოს მართლაც სისტემის კრიზისთან გვექონდა საქმე და არა მხოლოდ სისტემის შეცდომასთან. დასავლეთში არსებობს კაპიტალიზმის რეფორმირების დემოკრატიული საწყისები. მისგან დამოუკიდებლად მსოფლიოს დიდი ნაწილი „თავის“ კაპიტალიზმს განავითარებს.

ჩვენი ათასწლეულის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ინტერნეტი. იგი უკვე იმაზე მეტად ცვლის ჩვენს ცხოვრებას, ვიდრე თავის დროზე ნიგნის ბექდვის გამოგონებამ შეცვალა. დიდი ხანი დასჭირდა, სანამ ადამიანების უმრავლესობა წერა-კითხვას ისწავლიდა. ინტერნეტი ცხოვრებას აიოლებს, მაგრამ ახალ კრიმინალურ პოტენციალს ქმნის და როგორც ისტორიის ყველა ტექნიკური ხასიათის გარდატეხა, სამხედრო გამოყენების ახალ შესაძლებლობებსაც ავლენს. ერთ-ერთ მათგანს კიბერ-ომი ეწოდება, უკვე რამდენჯერმე გამოიცადა და მას უაღრესად გასაიდუმლოებულად ინახავენ. ხომ ვიცით, რომელი ქვეყანა რომელ ახალ უნარებს ავითარებს. ქსელის გაკონტროლების ნებისმიერი მცდელობა აქამდე უშედეგო აღმოჩნდა, იქნება ეს ამერიკა, ნატო, გერმანია, რუსეთი თუ ჩინეთი.

ყველა, ვინც უსაზღვრო დიგიტალური ტექნოლოგიით უკავშირდება ერთმანეთს, მსოფლიო მასშტაბით და ერთდროულად იმყოფება ერთსა და იმავე საინფორმაციო დონეზე და

შეუძლია აქტიური კომუნიკაცია. არაბული გაზაფხული ამ ქსელის არსებობის შედეგია, ისევე, როგორც – ეროვნული ნიშნით განსხვავებული – ემანსიპირებული მოქალაქის აჯანყება მთელ მსოფლიოში – ამერიკიდან ჩინეთამდე. მაგრამ ქსელის მომწოდებლის მიერ მომხმარებლის და საჯარო სივრცის მანიპულირების შესაძლებლობაც გაიზარდა.

ახალ ტექნოლოგიებს იარაღის ახალი სისტემები მოაქვს. ისინი მიზანს უფრო აზუსტებენ, გლობალური ნვდომაც აქვთ და ატომური იარაღის სტრატეგიული გავლენაც. დრონების ფართო არსენალის საშუალებით და კომუნიკაციის უსაზღვრო ტექნოლოგიების გამოყენებით მკვლევლობის მასშტაბიც უსაზღვროა. შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ეს ტექნიკა ამერიკის მონოპოლიად არ დარჩება.

ჩვენი საუკუნის ახალი გამოწვევები მხოლოდ ტექნოლოგიური ან სამხედრო ხასიათის არ გახლავთ, იგი ეხება გარემოსაც, რაზედაც ასევე გაამახვილა ყურადღება ბრანდტის კომისიამ. მსოფლიო მასშტაბით სავალალოდ მცირდება წყლის მარაგი და თუკი გლობალური დათბობის პროცესი საუკუნის ბოლომდე ოთხ გრადუსს მიაღწევს, ყველა სახელმწიფო იძულებული გახდება გაერთიანდეს გადარჩენის საერთო ინტერესის გარშემო.

„მარცხნივ და თავისუფალი“, ასე აღწერა ვილი ბრანდტმა თავისი ცხოვრების გზა 1930-დან 1950 წლამდე – ლიუბეკიდან ბერლინამდე, მემარცხენე სოციალისტიდან სოციალ-დემოკრატამდე. წიგნი ეხება ბრძოლას ცალკეული ადამიანის თავისუფლებისთვის და ისეთი საზოგადოებისთვის, სადაც არ იქნება სიდუხჭირე. და იგი მოგვითხრობს იმედზე, რომ უფრო სამართლიანი და მშვიდობიანი იქნება მსოფლიო, რომელსაც ერთხელ უკვე გაუცრუა იმედები რეაქციულმა სიბნელემ, ისტორიისგან დაცლილმა სიბეცემ და სახიფათო ამბიციებმა. შედეგად ევროპის დიდი ნაწილი განადგურდა, რასაც დღემდე ვიმკით.

„სამომავლოდ კიდევ უფრო საშინელი რამ მოხდება, თუ არ ვიზრუნებთ, თავიდან ავიცილოთ მესამე მსოფლიო ომი“. ასე მთავრდება წინასიტყვა, რომელიც ბრანდტმა ამ წიგნს 1982 წლის გაზაფხულზე წარუმიძღვარა. ოცდაათი წლის შემდეგაც აქტუალურია მისი სიტყვები: „მშვიდობა ყველაფერი არ არის, მაგრამ მშვიდობის გარეშე ყველაფერი არააფერია“.

**წიგნში გამოყენებული ფოტოები წარმოადგენს შემდეგი პირებისა და ორგანიზაციების საკუთრებას:**

ბარბარა კლემი 14

ხელოვნების, კულტურისა და ისტორიის ფოტოსააგენტო (bpk)/ჰანს ჰუმანი 9

ფედერალური ფოტოარქივი 12

გერმანიის საინფორმაციო სააგენტო (dpa) 3, 5, 11, 13, 19

ი.პ. დარხინგერი / ფრიდრიხ ებერტის ფონდი 7

ბერლინის მიწის არქივი 1 (შიუტცი 69347), 4 (შუბერტი, 77510)

გამომცემლობა „შპიგელი“ 8

ულშტაინის ფოტოები 2, 6, 10, 15-18

წიგნი დაკაბადონდა გამომცემლობა „ინტელექტში“

ISBN 978-9941-482-19-9







თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 57

stamba.damani@gmail.com

📘 სტამბა დამანი / Print House Damani

1. მათ ერთმანეთი მოსწონთ.  
მეორე მსოფლიო ომის შემდეგ  
მშობლიურ ქალაქში პირველად  
ჩამოსულ მარლენე დიტრიხს  
ბერლინის მმართველი მერი  
ვილი ბრანდტი რატუმში  
ესალმება.



2. გერმანელი კენედი? მმართველი მერი სტუმრად ჯონ კენედისთან  
თეთრ სახლში, 1962 წელი.



3. ბრანდენბურგის კარიბჭესთან სენატის კანცელარიის შეფთან ჰაინრიხ ალბერტცთან (მარჯვნივ) ერთად.



4. აშშ-ში მოგზაურობიდან დაბრუნებისას ტემპელჰოფის აეროპორტში.



5. დიდი კოალიციის კანცლერთან კურტ გეორგ კიზინგერთან ბრანდტს თავშეკავებული დამოკიდებულება ჰქონდა. ერჩივნა, ყოველდღიური ურთიერთობა ფრაქციის თავმჯდომარისთვის, ჰელმუტ შმიდტისთვის მიენდო.



6. პარტიის ყრილობა 1969 წლის აპრილში ბად გოდესბერგში. ხუთი თვის თავზე ბრანდტმა თავისუფალ დემოკრატებთან კოალიციის შექმნა გადაწყვიტა და იგი კანცლერად აირჩიეს.



7. ხუმრობისთვის კანცლერის აპარატში დრო იშვიათად გვაქვს, მაგრამ თუკი სტუმარი იგვიანებს...

# DER SPIEGEL

9. FEBRUAR 1970 · NR. 7  
24. JAHRGANG · DM 1,50  
INCL. MEHRWERTSTEUER  
— C 6380 C —



8. ჟურნალ „შპიგელის“ ყდა 1970 წლის 9 თებერვალს. უკანა პლანზე ტინტორეტოს ნახატი – დოჟისა და ბრწყინვალე დიპლომატის პაოლო ტიეპოლოს პორტრეტი, რომელიც კიზინგერმა შეარჩია კანცლერის კაბინეტისთვის. ბრანდტმა შეგნებულად გააგრძელა ადენაუერის შემდეგ დამკვიდრებული ტრადიცია და არაფერი შეუცვლია თავის სამუშაო ოთახში.



9. მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის წინ კრემლში 1970 წლის 12 აგვისტოს. სანამ ბრანდტი და კოსიგინი რაღაცას არკვევენ, უკანა რიგებში უკვე მხიარულობენ.




10. მოსკოვის აეროპორტში ვალენტინ ფალინთან ერთად.

11. უსაფრთხოების მრჩეველთან ჰენრი კისინჯერთან თანამშრომლობა მალე იქცა ნდობით აღსავსე ურთიერთობად.



12. გერმანულ-გერმანული მოლაპარაკებები მიხაელ კოლთან მდორედ მიედინებოდა და ხშირად გვიწვედა პირისპირ შეხვედრა.





13. სიმპათია პირველი  
ნახვისათანავე და  
რუთ ბრანდტის ხელის  
უსასრულოდ ხანგრძლივი  
ამბორი – ბრეჟნევი  
1971 წელს ბონში.




14. მარჯვნივ შეფები სხედან, მარცხნივ მომლაპარაკებლები, რომელთაც  
თარჯიმანი არ სჭირდებათ. ბრეჟნევი და გრომიკო 1973 წლის მაისში  
ბონში, პეტერსბერგზე.

15. „ჩვენ ყველას  
გვიყვარხარ!“ დაიძახა  
ვენერმა ფრაქციის  
თანდასწრებით ბრანდტის  
გადადგომის შემდეგ.  
მისი სახე ყველაფერზე  
მეტყველებს.



16. გაუცხოება აშკარაა – 1975 წელს პარტიის ყრილობაზე მანჭაიმში.



17. ცალ-ცალკე და მაინც ერთად სახელმწიფოსა და პარტიის მიმართ პასუხისმგებლობის გამო. ბრანდტი და შმიდტი 1982 წელს.



18. მეგობარი მილოცავს  
70 წლის იუბილეს 1992  
წელს.



19. ახალი იმედების მოლოდინში: ბრანდტი და გორბაჩოვი ბონში 1989 წელს.



ჰერონ ბარი 1922 წელს დაიბადა იურიინგიაში. ომის შემდეგ ჟურნალისტად მუშაობდა, მათ შორის, ხელმძღვანელობდა RIAS-ს ოფისს ბონში. 1960-1966 წლებში იყო ბერლინის სენატის სპიკერი. ვილი ბრანდტის მინისტრობის დროს ხელმძღვანელობდა საგარეო უწყების დაგეგმვის შტაბს, 1969-1974 წლებში ფედერალური კანცლერის აპარატში იყო სახელმწიფო მდივანი, ბრანდტის გადადგომის შემდეგ იკავებდა ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალური მინისტრის პოსტს, იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმეთა ფედერალური მმართველი და კამპურგის მშვიდობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

„ვილი ბრანდტი და ეგონ ბარი – ეს გახლდათ თანამშრომლობის თითქმის უნიკალური შემთხვევა. თითოეულმა მათგანმა მხოლოდ მეორეს საშუალებით შეძლო საკუთარი ნიჭის სრულყოფილად გამოვლინება.“ რიხარდ ფონ ვაიცზეკერი სასიკვდილო სარეცელზე ბრანდტისთვის მის ვაჟს ლარსს უკითხავს, ვინ იყვნენ შენი მეგობრებიო. ბრანდტს უპასუხია: „ეგონი“. ეგონ ბარი ათწლეულების განმავლობაში მართლაც იყო ბრანდტის უახლოესი პოლიტიკური თანამგზავრი და მეგობარი. დიდი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსის 100 წლის იუბილეს უძღვნის იგი ერთობლივად გატარებული წლების ძალიან პირადულ მოგონებებს – გვთავაზობს ბრანდტის, როგორც ადამიანის პორტრეტს და მთელი ეპოქის ბრწყინვალე დახასიათებას.